იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აფხაზეთის სტრატეგიული კვლევების ცენტრი

მერი გაბედავა

რუსეთის აგრესია საქართველოს წინააღმდეგ 2008 წელი

თბილისი
2009

ნაშრომში გაანალიზებულია 2008 წელს რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის გამომწვევი მიზეზები, კონფლიქტის სამართლებრივ-პოლიტიკური ასპექტები და შედეგები. საკითხი განხილულია გლობალური პოლიტიკური პროცესების ჭრილში. გაშუქებულია ძალადობის შეჩერებისკენ მიმართული საერთაშორისო სამშვიდობო ინიციატივები, ომისათვის რუსეთის სამხედრო, პოლიტიკური და იდეოლოგიური სამზადისი, საომარი მოქმედებების ძირითადი პერიპეტიები. წარმოჩენილია საერთაშორისო თანამეგობრობის დამოკიდებულება საომარი მოქმედებების, რუსეთის მიერ სეპარატისტული რეჟიმების აღიარებისადმი.

ნაშრომი განკუთვნილია ისტორიკოსების, პოლიტოლოგებისა და უახლესი პოლიტიკური საკითხებით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისთვის.

რედაქტორი: პროფესორი **გიორგი გოცირიძე**
რეცენზენტები: პროფესორი **ოთარ ჟორდანია**
ასოც. პროფესორი **დაზმირ ჯოჯუა**

ყდის დიზაინი და დაკაბადონება: **გიორგი ბაგრატიონი**

© მერი გაბედავა, 2009

გამომცემლობა „ნეკერი", 2009

ISBN 978-9941-404-94-8

ეძღვნება მამის, შალვა გაბედავას, ხსოვნას

შესავალი

2008 წელს რუსეთის აგრესიამ საქართველოს წინააღმდეგ ის საფრთხეები და რისკები წარმოაჩინა, რომლებსაც „გაყინული კონფლიქტები" შეიცავენ რეგიონის უსაფრთხოების თვალსაზრისით. სეპარატისტული რეჟიმები გეოპოლიტიკური თამაშის ობიექტებს წარმოადგენენ და საფრთხეს უქმნიან მშვიდობას მთელს მსოფლიოში. ეს კონფლიქტი გლობალური პოლიტიკური პროცესების დროით და სივრცით განზომილებებში, საერთაშორისო ურთიერთობების სისტემური ანალიზის კონტექსტში უნდა განვიხილოთ.

2008 წლის 31 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა დ. მედვედევმა საერთაშორისო თანამეგობრობას განუცხადა, რომ რუსეთისთვის მიუღებელია ერთპოლუსიანობა და ვინმეს დომინირება, რომ მსოფლიო მრავალპოლარული უნდა იყოს.[1] იმავე წლის 30 სექტემბერს კრემლში გაჟღერდა მედვედევის დოქტრინა, რომელმაც ფარდა ახადა რუსეთის პოლიტიკური ელიტის შორს მიმავალ გეოპოლიტიკურ მიზნებს. დ. მედვედევის აზრით, რუსეთის ხელისუფლება თუ კავკასიას დაკარგავდა, მაშინ ის საბოლოოდ დაკარგავდა რუსეთსაც. რუსეთი უნდა იყოს დიდი და ძლიერი ან ის საერთოდ ვერ იარსებებს.[2] რუსეთის პოლიტიკური ელიტა საერთაშორისო სისტემის სტრუქტურისა და ძალთა ბალანსის შეცვლისთვის, გეოპოლიტიკური ტრანზიციისთვის იბრძვის.

სსრკ-ის კოლაფსი რუსეთისთვის ნამდვილად „გეოპოლიტიკური კატასტროფა" იყო, რადგანაც ცივი ომი ატლანტისტებმა მოიგეს. 1991 წლის 8 დეკემბერს ბელორუსში, ბე-

1 Интервью Дмитрия Медведева телеканалам «Россия», Первому, НТВ 31 августа 2008 г. Сочи. [http://kremlin.ru/appears/2008/08/31].

2 Выступление на церемонии представления офицеров по случаю их назначения на вышестоящие командные должности и присвоения им высших (специальных) званий. 30 сентября 2008 г. Москва, Большой Кремлевский Дворец. [http://kremlin.ru/text/appears/2008/09/30].

ლოვეჟში რუსეთის, უკრაინისა და ბელორუსის პოლიტიკურმა ლიდერებმა ხელი მოაწერეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) შექმნას. სსრკ-მა, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტმა და გეოპოლიტიკურმა რეალობამ, არსებობა შეწყვიტა. შეიქმნა ახალი, მონოპოლარული მსოფლიო წესრიგი, რომელშიც რუსეთს რეგიონული სახელმწიფოს როლი ერგო. როგორც ცნობილია, რეგიონული სახელმწიფოს პოლიტიკური ინტერესები მეზობელი ქვეყნების არეალს არ სცილდება. მისი პოლიტიკური წონა უფრო მცირეა, ვიდრე ზესახელმწიფოსი, ამიტომ ის პირდაპირ გავლენას ვერ ახდენს გლობალურ გეოპოლიტიკურ პროცესებზე და ძირითად სტრატეგიულ მიმართულებებში ზესახელმწიფოების ძალთა წონასწორობას ემორჩილება.

რუსეთის ფედერაციის ჰეგემონობით შექმნილი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის უმთავრეს ამოცანას რუსეთის იმპერიული ბატონობის აღდგენა, გავლენის სფეროს შექმნა და სუსტი მეზობლების ხარჯზე საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენდა. ამავე მიზანს ემსახურებოდა 1992 წლის მაისის ტაშკენტის სამხედრო ხელშეკრულება კოლექტიური უსაფრთხოების შესახებ. დსთ-მ ვერ შეძლო მასში გაწევრიანებული ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობისა და უსაფრთხოების პრობლემების გადაჭრა, რამაც ცალკეული სახელმწიფოების ლიდერებისა და მოსახლეობის იმედგაცრუება გამოიწვია.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები არ იყო სწორხაზოვანი და მის ინტეგრარულ მახასიათებელს კრიზისების პერმანენტული მონაცვლეობა წარმოადგენდა. გამოვყოფდით კრიზისის სამ ძირითად ფაზას: 1991-1992 წწ., 1999-2002 წწ., 2006-2008 წწ.

1991-1992 წლების რუსეთ-საქართველოს კრიზისი რუსეთ-საქართველოს გამოუცხადებელ ომში გადაიზარდა, რომელშიც საქართველო დამარცხდა. მიღწეული გამარჯვება რუსეთმა სათანადო საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებით განამტკიცა. 1993 წლის 9 დეკემბერს საქართველო დსთ-ში

გაწევრიანდა და თანამეგობრობის კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებას შეუერთდა, რითაც ის რუსეთის გავლენის სფეროში მოექცა. ქვეყნის ხელისუფლება რუსეთთან კეთილმეზობლურ, თანასწორობის პრინციპებზე აგებულ, კონსტრუქციულ ურთიერთთანამშრომლობას ესწრაფვოდა, მაგრამ ეს მოლოდინები არარეალისტური აღმოჩნდა. საქართველოზე გავლენის შენარჩუნება რუსეთისთვის სასიცოცხლო ეროვნულ ინტერესს წარმოადგენდა და მას მხოლოდ გავლენის სფეროდ განიხილავდა. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის დღემდე ვერ მოხერხდა მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმება.

რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირების პირველ მცდელობად უნდა ჩაითვალოს 1997 წლის 17 იანვარს საქართველოს პარლამენტის მიერ „საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის" ხელშეკრულების რატიფიცირება. ხელშეკრულებას უნდა განესაზღვრა რუსეთ-საქართველოს სტრატეგიული თანამშრომლობის ძირითადი პრინციპები და ორ ქვეყანას შორის ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები, მაგრამ ის არ იქნა რატიფიცირებული რუსეთის ლეგისლატურის მიერ და ამდენად, ძალაში არ შესულა. წლების მანძილზე არ არსებობდა საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის სამხედრო ბაზების ყოფნის ლეგიტიმური საფუძველი. 1997 წელს საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთისგან შავი ზღვის სამხედრო-საზღვაო ფლოტის საქართველოს კუთვნილი წილი და 1992 წლის ტაშკენტის ხელშეკრულების საფუძველზე, საქართველოსთვის კვოტით გათვალისწინებული სამხედრო შეიარაღების გადმოცემა მოითხოვა. ამ ღონისძიებით პირველი ნაბიჯები გადაიდგა საქართველოს დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის ფორმირებისკენ, რომელშიაც დიდი როლი ევროპა-აზიის სატრანზიტო საკომუნიკაციო დერეფნის საერთაშორისო პროექტმა შეასრულა. 1997 წლის ჰელსინკის შეხვედრაზე შავი ზღვის რეგიონი პანევროპული სატრანსპორტო არეალის ნაწილად გამოცხადდა. საქართველოს ხელისუ-

ფლებამ მთელი ძალისხმევა ამ პროექტში მონაწილეობისკენ მიმართა. აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებში რუსეთის ღია და უხეშმა ჩარევამ, საქართველოს ხელისუფლებაზე მუდმივმა ზეწოლამ ქვეყნის საგარეო პოლიტიკას თანდათან დასავლური ორიენტაცია შესძინა.

რუსეთ-საქართველოს კრიზისის მეორე ფაზა საქართველოს საგარეო პოლიტიკის ტრანსფორმაციას უკავშირდება. 1999 წლიდან საქართველო აქტიურად ჩაერთო კასპიის ზღვისა და „აბრეშუმის გზის“ საერთაშორისო ეკონომიკურ პროექტებში. იდეალურმა სატრანსპორტო-გეოგრაფიულმა მდებარეობამ საქართველოს შესაძლებლობა მისცა გამხდარიყო შავი ზღვის პორტებიდან ტვირთების შიდა კონტინენტური გადაზიდვების აღმოსავლეთ-დასავლეთის დერეფნის ორგანული ნაწილი, რომელიც გადაჭიმულია შავი ზღვიდან სამხრეთ კავკასიის, კასპიის ზღვის, ყაზახეთისა და ცენტრალური აზიის გავლით ჩინეთისკენ. საქართველო ევროპის სატრანსპორტო კომუნიკაციების ინტეგრალური სისტემის ნაწილად აღიარეს. დაიწყო კასპიის ზღვის აუზის ენერგორესურსების დივერსიფიცირება და ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა. საქართველოს, აზერბაიჯანისა და უზბეკეთის კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებიდან გამოსვლის შემდეგ ტაშკენტის ბლოკი, ფაქტობრივად, დაიშალა. იმავე წლის ნოემბერში ეუთო-ს სტამბულის სამიტზე მიღებული „ჩვეულებრივი შეიარაღების ახალი რეჟიმის შესახებ ევროპული ქარტიის“ თანახმად, რუსეთი ვალდებული იყო, არა უგვიანეს 2000 წლის 31 დეკემბრისა, საქართველოს ტერიტორიაზე შეიარაღებული ძალების რაოდენობა შეემცირებინა, მოეხდინა ვაზიანის, გუდაუთის, ბათუმისა და ახალქალაქის ბაზების ლიკვიდაცია. ვაზიანისა და გუდაუთის ბაზები უნდა გაუქმებულიყო 2001 წლის 1 ივლისამდე, ხოლო დანარჩენი ორის გაყვანა უნდა მომხდარიყო მხარეებს შორის პირდაპირი შეთანხმების საფუძველზე.

რუსეთთან სტაბილური ურთიერთობებისა და ეკონომიკური კავშირების შენარჩუნების, ქვეყნის უსაფრთხოების გაზრდის მიზნით, 2000 წელს საქართველოს ხელისუფლება

მოსკოვთან ჩარჩო-ხელშეკრულების გაფორმების ინიციატივით გამოვიდა, მაგრამ გეოპოლიტიკური ლოგიკიდან გამომდინარე, ამ წამოწყებამ კრემლის პოლიტიკურ წრეებში სათანადო მხარდაჭერა ვერ პოვა.

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ რუსეთისა და დასავლეთის ურთიერთობების შერბილება, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის საკითხებში თანამშრომლობა დაიწყო. ეს პოზიტიური დინამიკა რელევანტურად აისახა რუსეთის საგარეო სტრატეგიის ძირითად მიმართულებებში. ბუნებრივია, რუსეთმა არ შეასრულა სტამბულის სამიტის მოთხოვნა გუდაუთის ბაზის გაუქმების შესახებ. 2002 წლის ოქტომბერში მოსკოვის ინიციატივით შეიქმნა ტაშკენტის კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია. მასში გაერთიანდნენ სომხეთი, ბელორუსი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, რუსეთი და ტაჯიკეთი (2005 წლიდან შეუერთდა უზბეკეთი). ტაშკენტის ბლოკის წევრებს ეკრძალებათ სხვა სამხედრო კავშირებში ან სახელმწიფოთა გაერთიანებაში შესვლა, ერთ-ერთ მოკავშირე ქვეყანაზე აგრესია აღიქმება როგორც აგრესია ყველას წინააღმდეგ. ტაშკენტის ხელშეკრულების ძირითადი პრინციპებიდან გამომდინარე, ის ნატო-ს ბლოკის წინააღმდეგ არის მიმართული და მიზნად ისახავს რუსეთის გეოსტრატეგიული ზონების შემოსაზღვრას, ალიანსის დაბალანსებას. რუსეთის საგარეო პოლიტიკაში დაიწყო ახალი გეოპოლიტიკური ეპოქა. 2002 წლის პრაღის ნატო-ს სამიტზე საქართველოს ხელისუფლებამ ალიანსის წევრობაზე ოფიციალური განაცხადი გააკეთა. საქართველო „წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამაში ჩაერთო. ატლანტიკური მისწრაფებების ზრდასთან ერთად იზრდებოდა კრემლის ზეწოლა საქართველოზე.

2003 წლიდან პროატლანტიკურმა და პროდასავლურმა პოლიტიკამ, „ვარდების რევოლუციის" შედეგად საქართველოს ხელისუფლებაში ახალგაზრდა დემოკრატიული პოლიტიკური ძალების მოსვლის შემდეგ, თანამიმდევრული და შეუქცევადი ხასიათი შეიძინა. დაიწყო ევროპული ტიპის სახელმწიფო მოდ-

ელის მშენებლობის პროცესი, ქართული კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია. სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში კრიზისის მესამე ფაზის დაწყება. 2006 წლიდან საგარეო პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტად ნატო-სთან ინტეგრაცია გამოცხადდა. აპრილში, ნატო-ს ბრიუსელის შტაბ-ბინაში, საქართველოს ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა განიხილეს, ხოლო სექტემბრიდან ჩრდილო ატლანტიკურ საბჭოსთან დიალოგი ინტენსიური გახდა. საპასუხოდ, რუსეთმა საქართველოს ფაქტობრივი ეკონომიკური ემბარგო დაუწესა და აკრძალა შიდა ბაზარზე საქართველოს საექსპორტო საქონლის იმპორტი. გამოცხადდა სატრანსპორტო ბლოკადა, დაიკეტა ლარსის სასაზღვრო გამშვები პუნქტი. შეწყდა პირდაპირი საჰაერო მიმოსვლა, საფოსტო და საბანკო კავშირები. წლის ბოლოსთვის რუსეთში დაიწყო ქართველების მიმართ ძალადობა, დევნა-შევიწროება და მასობრივი დეპორტაცია.

ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გამწვავებას ხელს უწყობდა როგორც საგარეო, ასევე შიდა ფაქტორები. 2007 წელს, ეუთო-ს სტამბულის სამიტის გადაწყვეტილების შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლებამ მოითხოვა ახალქალაქიდან რუსეთის ერთ-ერთი უდიდესი სამხედრო ბაზის გაყვანა. დაგეგმილი 2008 წლის ნაცვლად, სამხედრო ბაზა რამდენიმე თვეში იქნა გაყვანილი. არ არსებობდა პროცესის გაჭიანურების მიზეზებიც. ამ დროისათვის უკვე დასრულებული იყო რუსეთის სამხედრო ბაზის მშენებლობა ცხინვალის რეგიონში, ჯავაში. შენარჩუნებული იყო სამხედრო ბაზა გუდაუთაში და ოჩამჩირის სამხედრო პორტი. მიუხედავად ახალციხის, ვაზიანისა და ბათუმის სამხედრო ბაზების გაყვანისა, რუსეთი ინარჩუნებდა სამხედრო ძალთა ბალანსს საქართველოს ტერიტორიაზე. 2007 წლის მოვლენათა შორის აღსანიშნავია ბაქო-თბილისი-ერზერუმის (სამხრეთ კავკასიის) გაზსადენის ექსპლუატაცია, რომელიც სამხრეთ-კასპიის შაჰ-დენიზის საბადოს ბუნებრივი აირით ამარაგებს ევროპას. კასპიის ენერგორესურსების დივერსიფიცირებამ საფრთხის ქვეშ დააყენა რუსეთის ენერგომო-

ნოპოლია ევროპის ბაზარზე და მისი პოლიტიკური გავლენა დასავლეთ ევროპაზე.

2008 წლის თებერვალში საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებამ რუსეთის პოლიტიკური ელიტა საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების რევიზიამდე მიიყვანა. რუსები სერბეთს ცენტრალურ ევროპაში მართლმადიდებლური რუსეთის წარმომადგენლად და რუსეთის პოლიტიკური ინტერესების გამტარებლად მიიჩნევენ. კოსოვოს სეცესია რუსეთისათვის იყო არა მარტო გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული კრახი, არამედ სლავურ სამყაროში რუსი ხალხის მესიანიზმის შესახებ მოძღვრებისა და მართლმადიდებლური გეოპოლიტიკის კრახიც. 2008 წლის ნატო-ს აპრილის ბუქარესტის სამიტმა რუსული რევანშისტული პოლიტიკის კატალიზატორის ფუნქცია შეასრულა. ამის უპირველესი მიზეზი დასავლეთის მხრიდან საქართველოს მიმართ არათანამიმდევრულ და წინააღმდეგობრივ პოლიტიკაში უნდა ვეძიოთ.

რუსეთის პოლიტიკური ელიტა შავი ზღვის აუზს პრივილეგიურ რეგიონად, გეოსტრატეგიული ინტერესების სფეროდ განიხილავს,[3] სადაც არ დაუშვებს დასავლეთის როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური გავლენის ზრდას. შავი ზღვა წარმოადგენს სტრატეგიულ გეოგრაფიულ და კულტურულ გზაჯვარედინს, სადაც რუსეთის ინტერესები კვეთს ევროკავშირის ინტერესებს, სადაც ევრაზიის ენერგომწარმოებლები უკავშირდებიან ენერგორესურსების მომხმარებელ ცენტრალურ და დასავლეთ ევროპას, სადაც ერთმანეთს ხვდება ისლამური და ქრისტიანული ტრადიციები, ევროპა და ახლო აღმოსავლეთი.

2008 წელს საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის უმთავრესი მიზანი სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკურ სივრცეში ბატონობის შენარჩუნება, დასავლეთისთვის ჰართლენდის ჩაკეტვა, რეგიონში მისთვის ხელსაყრელი ქცევის წესების დაკანონება და რუსეთის, როგორც ზესახელმწიფოს რეანიმაცია

3 იხ. აგრეთვე: **Лавров С.В.** Внешняя политика России и новое качество геополитической ситуации [www.mid.ru].

იყო. საქართველოს წინააღმდეგ აგრესიით რუსეთმა თავისი პრივილეგიური ინტერესების არეალში „რეაგირების სტანდარტი" დააწესა, რითაც ღიად გამოიწვია ჩრდილოატლანტიკური ალიანსი; გამოვიდა პანევროპული უსაფრთხოების ახალი არქიტექტურის, ურთიერთობის ახალი ფორმატის – სამკუთხედი: რუსეთი, ევროკავშირი, აშშ – შექმნის ინიციატივით, რომელიც ევროპაში აშშ-ისა და ნატო-ს გავლენის შესუსტებას ესწრაფვის. დასავლეთის ლიბერალურ ფასეულობებს რუსეთის პოლიტიკურმა ელიტამ ძალის პოლიტიკა დაუპირისპირა, ღიად უარყო სუვერენულ სახელმწიფოთა თანასწორობა და მის ჩანაცვლებას ისეთი ნეოიმპერიალისტური წესრიგით ცდილობს, სადაც დომინანტი თვითონ იქნება.

I. სეპარატისტული მოძრაობა საქართველოში და რუსეთი

XX საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანებისთვის მსოფლიო სოციალისტური სისტემა ღრმა სოციალურ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა კრიზისმა მოიცვა. საბჭოთა ტოტალიტარულმა რეჟიმმა დაკარგა საზოგადოებრივი მხარდაჭერა და მასთან ერთად ლეგიტიმურობაც. სსრკ-ის კრახის შესაჩერებლად ბიუროკრატიული სისტემისა და პარტიული ნომენკლატურის გაძლიერების მცდელობები კონტრპროდუქტიული აღმოჩნდა. დღის წესრიგში დაისვა არსებული სისტემის ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმებით ტრანსფორმაციის საკითხი. „პერესტროიკის“ პერიოდში ამოქმედებულმა საჯაროობის პოლიტიკამ ბიძგი მისცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების გაძლიერებას, „ხავერდოვან რევოლუციებს“ და დააჩქარა არსებული სისტემის დემონტაჟი. განმათავისუფლებელმა მოძრაობამ მოიცვა როგორც მოკავშირე რესპუბლიკები, ასევე რუსეთის ფედერაციაში შემავალი ავტონომიური ერთეულები. ნაციონალიზმი არა მხოლოდ გამაერთიანებელ, დამოუკიდებლობის მოპოვების მთავარ იარაღად იქცა, არამედ დამანგრეველი და გამთიშველი სეპარატიზმისა და ეთნიკური კონფლიქტების წარმომქმნელ ფაქტორადაც მოგვევლინა. სამწუხაროდ, თავისი არსით, ყველა მოძრაობა როდი ისახავდა მიზნად სსრკ-ის ნგრევას. პარტიულ ნომენკლატურასა და „კაგებეს“ ძალებზე დაყრდნობით მოკავშირე რესპუბლიკებში დაიწყო „ინტერფრონტების“ ორგანიზება, რომელთაც განსაზღვრული ფუნქცია – ნაციონალური მოძრაობების შეკავება და სსრკ-ის შენარჩუნებისთვის ბრძოლა დაეკისრათ. ამ თვალსაზრისით ერთმანეთისგან არსებითად არ განსხვავდებოდნენ ბალტიისპირეთში, უკრაინაში, მოლდავეთში, შუა აზიასა თუ კავკასიაში მიმდინარე შიდა პოლიტიკური პროცესები, რომლებსაც თან სდევდა დრამატული შედეგები, ძმათამკვლელი

ომები და სისხლიანი კონფლიქტები.

საქართველოში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელ, სეცესიონისტურ მოძრაობას ექსტრემისტული, სეპარატისტული ტენდენციები დაუპირისპირეს, რისთვისაც ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა მოსახლეობის ეთნიკური მოზაიკა. ანტიქართული მოძრაობის ორგანიზატორები მარჯვედ იყენებდნენ საქართველოს ეროვნულ მოძრაობაში არსებულ დაქსაქსულობას, ლიდერების მიერ დაშვებულ შეცდომებს ეთნიკური უმცირესობების ნაციონალიზმისა და ანტიქართული განწყობის გასაძლიერებლად. აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ეთნოკრატიული წრეები და პარტიული ნომენკლატურა მათი ავტონომიური წარმონაქმნების რუსეთის ფედერაციასთან ინტეგრაციის, სსრკ-ის შენარჩუნების მოთხოვნებს აყენებდნენ.[4] ქართულმა ეროვნულმა ძალებმა ამ გამოწვევებს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნა, ქმედებების რადიკალიზაცია, პერმანენტული მანიფესტაციები და შიმშილობის აქცია დაუპირისპირეს. 1989 წლის 9 აპრილის სისხლიანმა ტრაგედიამ მოახდინა მთელი ერის კონსოლიდირება საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის გარშემო. საქართველოს ეროვნულმა ძალებმა მოითხოვეს ქვეყნიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარის ნაწილების გაყვანა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელის შეცვლა მისი ისტორიული სახელწოდებით – ცხინვალის ოლქით, როკის გვირაბის გაუქმება, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნების ჩატარება და ა.შ.

1990 წლის ოქტომბერში, საბჭოთა სისტემის ევოლუციური ტრანსფორმაციის შედეგად, საქართველოს ხელისუფლებაში ეროვნული ძალები მოვიდნენ. საბჭოთა კავშირის სივრცეში საქართველო ერთ-ერთი პირველი რესპუბლიკა იყო, სადაც „ხავერდოვანი" გზით დასრულდა კომუნისტური დიქტატურა. თუმცა, ფორმალურად, საბჭოთა კავშირი კვლავ განაგრძობდა

4 იხ. **პაპასქირი ზ.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. II. თბ., 2007; **ჯოჯუა დ.** აფხაზეთი 1938-2006 წლებში: რეგიონალური ისტორიული პროცესის ასპექტები. თბ., 2007; **Жоржолиани Г.** Исторические и политические корни конфликта в Абхазии/ Грузия. Тб., 2000; **მიბჩუანი თ.** აფხაზეთი საქართველოს ჭრილობაა. თბ., 2005.

არსებობას. ურჩი ქართველების დასასჯელად საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ოსი სეპარატისტების წახალისების გზას დაადგა. კონფრონტაციის საბაბად ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმება იქნა გამოყენებული. 1991 წლის იანვარში სსრკ-ის პრეზიდენტმა გორბაჩოვმა გამოსცა ბრძანებულება ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღდგენის შესახებ. კონფრონტაცია ქართველებსა და ოსებს შორის ცხინვალსა და ჯავაში შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

1991 წლის 17 მარტს ჩატარდა რეფერენდუმი სსრკ-ის შენარჩუნების საკითხზე. საქართველომ რეფერენდუმს ბოიკოტი გამოუცხადა. გაგრასა და გუდაუთაში აფხაზი ექსტრემისტები ეთნიკური ქართველებისგან ძალის მუქარით სსრკ-ის შენარჩუნების მხარდაჭერას მოითხოვდნენ. აფხაზეთში დაიწყო ქართველების დევნა-შევიწროება. გუდაუთის სოფლებიდან – ოთხარადან, ახალი სოფლიდან, აბგარხუკიდან გამოასახლეს ის ქართველები, რომელთაც მონაწილეობა არ მიიღეს საკავშირო რეფერენდუმში.[5]

1991 წლის 31 მარტს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე (მათ შორის, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) რეფერენდუმი ჩატარდა. მასში მონაწილეობა მიიღო საქართველოს მოსახლეობის 90%-მა, რომლის 99%-მა ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობას. რეფერენდუმის საფუძველზე 1991 წლის 9 აპრილს საქართველომ მიიღო დამოუკიდებლობის აქტი, რომლითაც ახლად შექმნილმა საქართველოს რესპუბლიკამ თავი 1918 წლის რესპუბლიკის სამართალმემკვიდრედ გამოაცხადა და ყოველგვარი სამართლებრივი კავშირი გაწყვიტა საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან. რეფერენდუმის შედეგები ცნო საერთაშორისო თანამეგობრობამ, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა.

აფხაზეთის მიმართ ცენტრალური ხელისუფლების ლავირების პოლიტიკამ და მიღებულმა კომპრომისულმა სა-

5 აფხაზეთის ლაბირინთი. თბ., 1999, გვ.84, 166.

კანონმდებლო მოდელმა დროებით შეაჩერა შეიარაღებული დაპირისპირების ესკალაცია რეგიონში.[6] ახალი საარჩევნო კოდექსის საფუძველზე, 1991 წლის სექტემბერში აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს არჩევნები ჩატარდა, რითაც აფხაზეთი საქართველოს სამართლებრივ სივრცეში დარჩა.

რუსეთის ფედერაციის მიერ სახელმწიფო სუვერენიტეტის დეკლარირების შემდეგ სსრკ-ის ნგრევამ შეუქცევადი ხასიათი მიიღო. კრემლის კონსერვატიული ძალები მხარს უჭერდნენ ხელისუფლების ძველი სტრუქტურების ძალისმიერი მეთოდებით შენარჩუნებას. მათთვის ყოვლად მიუღებელი იყო სსრკ-ის მოდერნიზება ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულებით, დეპარტიზაცია და სკკპ-ის მონოპოლიის გაუქმება. 1991 წლის აგვისტოში კრემლის მაღალჩინოსნების მიერ ორგანიზებული პუტჩის დამარცხების ლოგიკური შედეგი ტოტალიტარიზმის კრახი და სსრკ-ის დაშლა იყო.

რუსეთის ახალ ხელმძღვანელობასა და ძველ პარტიულ ელიტას შორის არაფორმალური შეთანხმება შედგა, რომ არ დაეშვათ საბჭოთა სისტემის სრული დემონტაჟი, მოეხდინათ მისი რეფორმირება დეტერმინებულ ფარგლებში, შეენარჩუნებინათ პოლიტიკური გავლენა პოსტსაბჭოთა სივრცეზე თვით იარაღის ძალის გამოყენებითაც კი. რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში დასავლეთის პოლიტიკური ელიტის ჩაურევლობა კრემლის ახალმა ლიდერებმა პოსტსაბჭოთა გეოპოლიტიკურ სივრცეში რუსეთის გავლენის სფეროების რეანიმაციის ჩუმ სანქციად აღიქვეს. სსრკ-ის ნანგრევებზე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა შეიქმნა. ნაციონალური დისკრიმინაციის ფაბრიკაციითა და ეთნოდივერსიებით დაიწყო კრემლის პოლიტიკური პოზიციების განმტკიცება სუვერენულ რესპუბლიკებში. ბალტიისპირეთის ქვეყნებმა და საქართველომ დსთ-ში გაწევრიანებაზე უარი განაცხადეს. დასავლეთის პოლიტიკური წრეების მიერ მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის დენონსაციის მოთხოვნის პირობებში, მოსკოვს ხელიდან

6 **ჯოჯუა დ.** აფხაზეთი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პირველ წლებში. 1990-1992წწ. – *ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე.* თბ., 2007, გვ. 345-347.

გამოეცალა ბალტიისპირეთის ქვეყნებზე ზეწოლის ბერკეტები და იძულებული გახდა შეგუებოდა მათზე პოლიტიკური გავლენის დაკარგვას.

იმპერიულმა კომუნისტურმა სისტემამ საქართველოს მთავარი დარტყმა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მიაყენა. ოსური სეპარატისტული მოძრაობის „ადამონ ნიხასისა“ და აფხაზეთის სახალხო ფორუმის „აიდგილარას“ დაახლოებით სოხუმი-ცხინვალის ღერძზე შეიქმნა ერთიანი ანტიქართული ფრონტი. ძლიერდებოდნენ პოლიტიკური თუ ეთნიკური ნიშნით ორგანიზებული განგსტერული დაჯგუფებები და გასამხედროებული ფორმირებები როგორც თბილისში, ასევე სოხუმსა და ცხინვალში, რომლებიც ტყვია-წამლითა და იარაღით საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებული რუსეთის სამხედრო ბაზებიდან მარაგდებოდნენ. აფხაზურ და ოსურ მონოეთნიკურ შეიარაღებულ ფორმირებებს რუსი სამხედრო ინსტრუქტორები წვრთნიდნენ. საქართველოში მიმდინარე სამოქალაქო დაპირისპირება თუ ეთნოსეპარატისტული მოძრაობა საქართველოს სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების ჩამოყალიბებას აფერხებდა და მიზნად ისახავდა ქვეყნის აღმშენებლობის ობსტრუქციას.

საქართველოს ეროვნული ხელისუფლების დასამხობად პუტჩისტური ამბოხების სცენარი დაიწერა, რომელიც მოსკოვის პუტჩის ძირითად ელემენტებს შეიცავდა. 1991 წლის დეკემბრის ბოლოს თბილისში შეიარაღებული ამბოხების შედეგად დაემხო ზ. გამსახურდიას ხელისუფლება. ძალაუფლება სამხედრო საბჭოს ხელში გადავიდა. მთელი საქართველო სამოქალაქო ომში აღმოჩნდა ჩათრეული. სამოქალაქო ომის შედეგად პარალიზებულ იქნა სუსტი, ემბრიონის სტადიაში მყოფი სახელმწიფოებრივი სტრუქტურები, მოიშალა ის სამართლებრივი კავშირები, რომლებიც შიდასახელმწიფოებრივ კონტროლს უზრუნველყოფდნენ. დაიწყო ქვეყნის დეზინტეგრაციის პროცესი. ოსმა სეპარატისტებმა ისარგებლეს რა ქვეყანაში მიმდინარე შიდა დაპირისპირებით, 1992 წლის იანვარში ცხინვალის რეგიონში ჩატარებული უკანონო რეფერენ-

დუმის საფუძველზე ე.წ. სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადეს.

პუტჩისტურმა სამხედრო საბჭომ იდეოლოგიური საფუძვლები მოამზადა საქართველოში ედუარდ შევარდნაძის ჩამოსაყვანად, რომელმაც 1992 წლის მარტში საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის პოსტი ჩაიბარა. დაიწყო ხელისუფლების ლეგიტიმაციის პროცესი. ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე ე. შევარდნაძემ რუსეთის პრეზიდენტ ბ. ელცინს საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ჯარების დატოვების თხოვნით მიმართა. ფაქტობრივად, რუსეთმა საბოლოოდ მიაღწია რეგიონში ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის არსენალისა და სამხედრო კონტინგენტის შენარჩუნებას.

1992 წლის 24 ივნისს სოჭში (დაგომისი) ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ქართულ-ოსური კონფლიქტის რეგულირების პრინციპების შესახებ. ეს იყო ორმხრივი შეთანხმება საქართველოსა და რუსეთს შორის, რომლის ძალითაც ცხინვალის რეგიონში შეიქმნა შერეული საკონტროლო კომისია რუსეთის, ჩრდილოეთ ოსეთის, ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლებისა და საქართველოს მონაწილეობით. მიღწეულ იქნა შეთანხმება საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის ეკონომიკური სანქციების გაუქმების შესახებ. ხელშეკრულებამ დაადასტურა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და ცხინვალის რეგიონი საქართველოს განუყოფელ ნაწილად ცნო. დაგომისის ხელშეკრულება იმთავითვე წარმოადგენდა დისკრიმინაციულ შეთანხმებას, რომელშიც რუსეთი ორი სხვადასხვა სუბიექტით იყო წარმოდგენილი.

1992 წლის 31 ივლისს საქართველო გაერო-ში გაწევრიანდა. საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებამ ხელისუფლებას საშუალება მისცა კონფლიქტის მოწესრიგებაში აქტიურად ჩაერთო საერთაშორისო მისიები. ნოემბრიდან საქართველოში ეუთო-ს მისია დაფუძნდა, რომელმაც, სხვა ფუნქციებთან ერთად, დაიწყო ცხინვალის რეგიონში ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულების მონიტორინგი და სამშვიდობო პროცესებისთვის ხელის შეწყობა.

ცხინვალის რეგიონში საომარი ოპერაციების შეწყვეტისთანავე პროვოკაციები დაიწყო აფხაზეთში. 1992 წლის ივლისში აფხაზეთის უზენაესი საბჭოს აფხაზურმა ფრაქციამ საკანონმდებლო ნორმების უხეში დარღვევით აღადგინა 1925 წლის აფხაზეთის კონსტიტუცია, რითაც საქართველოსთან სამართლებრივი კავშირის გაწყვეტას და აფხაზეთის სეცესიას შეეცადა. 1992 წლის აგვისტოში აფხაზეთში საომარი ოპერაციები დაიწყო. ეს იყო შეიარაღებული კონფლიქტი ორ სუვერენულ სახელმწიფოს – საქართველოსა და რუსეთს – შორის, რომლის უმთავრეს ამოცანას საქართველოს რუსეთის გავლენის სივრცეში დატოვება წარმოადგენდა. ეთნოკონფლიქტი იყო შირმა, რომელიც რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული ღია აგრესიის შესანიღბად გამოიყენა.

საბრძოლო მოქმედებებში აფხაზურ შეიარაღებულ ფორმირებებს, ჩრდილოკავკასიელ და კაზაკ მოხალისეთა ლაშქარს ზურგს უმაგრებდნენ რუსეთის რეგულარული ჯარის ნაწილები, საჰაერო ძალები და სამხედრო-საზღვაო ფლოტი.[7]

შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებიდან რამდენიმე კვირაში, 1992 წლის 3 სექტემბერს მოსკოვში გაფორმდა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება, მაგრამ მშვიდობიანი აფხაზეთი კრემლის ინტერესებში არ შედიოდა. 1992 წლის ოქტომბერში რუსეთის შეიარაღებული ძალების უშუალო მონაწილეობით აფხაზურმა მხარემ უხეშად დაარღვია შეთანხმების პირობები. საომარი ოპერაციების განახლებას თან სდევდა ქართველების ორგანიზებული, მასობრივი ხოცვა-ჟლეტა და ეთნიკური წმენდა გაგრაში. ამიერიდან საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ საზღვარსა და მიმდებარე ტერიტორიებს რუსეთი აკონტროლებდა. პოზიციური და ტაქტიკური ბრძოლები აფხაზეთის ტერიტორიაზე ერთი წლის მანძილზე გრძელდებოდა.

1993 წლის 27 ივლისს ქართველებსა და აფხაზებს შორის სოჭში კვლავ დაიდო შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

---

7 იხ. **მიბჩუანი თ.** აფხაზური სეპარატიზმის სისხლიან ნაკვალევზე. თბ., 1994; **პაპასქირი ზ.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაწილი II, გვ. 371-375; **ჯოჯუა დ.** აფხაზეთი 1938-2006 წლებში: რეგიონალური ისტორიული პროცესის ასპექტები, გვ. 171-177.

შეთანხმება ითვალისწინებდა რეგიონის დემილიტარიზაციას, მდინარეებზე – გუმისთაზე, ფსოუსა და ენგურზე საერთაშორისო მეთვალყურეების განლაგებას, ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმისა და მართლწესრიგის დასაცავად, კონფლიქტის ზონაში მყოფი რუსეთის საჯარისო კონტინგენტთან ერთად, საერთაშორისო სამშვიდობო ძალების გამოყენებას.[8] გაერო-ს უშიშროების საბჭო მიესალმა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების მიღწევას და 6 აგვისტოს 854-ე რეზოლუციით დაამტკიცა აფხაზეთში გაერო-ს სამხედრო დამკვირვებლების მოწინავე ჯგუფის გაგზავნა, რომელსაც უნდა უზრუნველეყო ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულების მონიტორინგი.[9] აფხაზეთში საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის განთავსებამდე ერთი თვით ადრე, 1993 წლის სექტემბერში განიარაღებულ სოხუმზე იერიში რუსეთის რეგულარული არმიის ნაწილებმა და სეპარატისტთა შეიარაღებულმა ფორმირებებმა მიიტანეს. რამდენიმე დღიანი უთანასწორო ბრძოლის შემდეგ სოხუმი დაეცა. დაიწყო ქართული მოსახლეობის მიზანმიმართული ხოცვა-ჟლეტა. მშვიდობიანი მოსახლეობისთვის არ გაკეთდა ჰუმანიტარული კორიდორი, რის გამოც ადგილი ჰქონდა ჰუმანიტარულ კატასტროფას. ქართული მოსახლეობა კოდორი-ჭუბერის გზით შეეცადა კონფლიქტის ზონიდან თავის დაღწევას. აფხაზეთის ომში დაიღუპა 10000-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე,[10] უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება 2000-მდე ადამიანი, მათ შორის, 1100-ზე მეტი მშვიდობიანი მცხოვრები. სეპარატისტების მიერ ორგანიზებული ტერორის მსხვერპლი გახდნენ აფხაზეთის ბერძნები, უკრაინელები, თვით აფხაზებიც კი. მათი უდიდესი ნაწილი იძულებული გახდა დაეტოვებინა აფხაზეთი და თავშესაფარი საქართველოს სხვა რეგიონში

8 აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში. ნაწილი I, გვ. 229-232; იხ. აგრეთვე, **ჯოჯუა დ.** აფხაზეთი 1938-2006 წლებში: რეგიონალური ისტორიული პროცესის ასპექტები, გვ. 194-195.

9 აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში, ნაწილი I, გვ. 241-242.

10 Incomplete List of the Victims of Ethnical extermination and Genocide. Tb. 2002; **Надареишвили Т.** Геноцид в Абхазии. Тб., 1998.

ან უცხო ქვეყნებში ეძებნათ. აგრესიული სეპარატიზმი პოლიტიკური ბრძოლის იარაღად ეთნიკურ წმენდას იყენებდა, რის გამოც 250 ათასზე მეტი ქართველი საკუთარ სამშობლოში იძულებით ადგილნაცვალ პირად იქცა. აფხაზეთში განხორციელებული ეთნიკური წმენდის შედეგად მთლიანად შეიცვალა ეთნოდემოგრაფიული სურათი რეგიონში. აფხაზეთის ქართული მოსახლეობის მიმართ ძალადობა და დევნა საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგაც გრძელდებოდა.

აფხაზეთში განხორციელებული ეთნიკური წმენდის ფაქტი აღიარებულია ეუთო-ს 1994 წლის ბუდაპეშტის, 1996 წლის ლისაბონის, 1999 წლის სტამბულის სამიტების, ასევე გაერო-ს უშიშროების საბჭოსა და გენერალური ასამბლეის რეზოლუციებში.[11]

საქართველოს პარლამენტის წევრთა ერთი ჯგუფი მოითხოვდა ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს სამართლებრივი შეფასება მიეცა საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის ღია აგრესიისთვის, რუსეთი გამოეცხადებინა აგრესორად, ხოლო აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონი – ოკუპირებულ ტერიტორიებად. სამწუხაროდ, საქართველოს მაშინდელ ხელისუფლებას არ ეყო პოლიტიკური ნება ამ გადაწყვეტილების მისაღებად.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებაში აქტიურად ჩაერთო გაერო. 1993 წლის 30 ნოემბერს – 1 დეკემბერს გაერო-ს ეგიდითა და ეუთო-ს ხელშეწყობით ჟენევაში გაიმართა ქართულ-აფხაზური მხარეების პირველი შეხვედრა. ჟენევის მემორანდუმში აისახა დევნილებისა და ლტოლვილთა დაბრუნების საკითხი. ჟენევის შეხვედრის მეორე რაუნდზე, 1994 წლის 13 იანვარს მხარეებს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება იმავე წლის 10 თებერვლიდან დაწყებულიყო დევნილთა დაბრუნების ეტაპობრივი პროცესი. პირველი ეტაპი ითვალისწინებდა მათ დაბრუნებას გალის რაიონში. დათქმულ ვადაზე ორი დღით ადრე,

---

11 აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში. ნაწილი I, გვ. 408; აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში. საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლება, საერთაშორისო ორგანიზაციები. 1989-1999, ნაწილი II (1996-1999), თბ., 2000, გვ. 126, 332.

8 თებერვალს აფხაზმა სეპარატისტებმა ჩრდილოკავკასიელ ბოევიკებთან ერთად სადამსჯელო ღონისძიება განახორციელეს გალში დარჩენილი ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ. მოკლულ იქნა 60-ზე მეტი მშვიდობიანი მცხოვრები, გადაწვეს რამდენიმე სოფელი, შეიჭრნენ ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონების სოფლებში, სადაც დააწიოკეს ადგილობრივი მოსახლეობა.[12] ამ სისხლიანი აქციის მთავარ მიზანს ჟენევის სამშვიდობო შეთანხმების ჩაშლა, რეგიონში რუსეთის გავლენისა და როლის გააქტიურება წარმოადგენდა.

პერმანენტული ძალადობრივი აქციებითა და სისხლისღვრით რუსეთმა კონფლიქტის მოწესრიგებაში გარანტორისა და შუამავლის ფუნქცია მოიპოვა. 1994 წლის 14 მაისს მოსკოვში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას „ცეცხლის განუახლებლობისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ". მოსკოვის ხელშეკრულება ითვალისწინებდა, პირველ რიგში, დევნილების დაბრუნებას გალის რაიონში, რაც უხეშად არღვევდა აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის უფლებებს. შეიქმნა სამართლებრივი დოკუმენტი, რომელმაც, პრაქტიკულად, აფხაზეთში დაბრუნების უფლება წაართვა ასიათასობით დევნილს. ხელშეკრულებაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კოდორის ხეობას. შეთანხმების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საქართველოს საჯარისო შენაერთებს უნდა დაეტოვებინათ ხეობა, სადაც რეგულარულ პატრულირებას რუსეთის „სამშვიდობო ძალები" და საერთაშორისო დამკვირვებლები განახორციელებდნენ. ხელშეკრულება მთლიანად რუსეთის ინტერესებზე იყო მორგებული და ქართულ მხარეს, როგორც დამარცხებულს, კაპიტულანტურ პირობებს სთავაზობდა.

მოსკოვისა და დაგომისის ხელშეკრულებების ძალით აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურ კონტროლს დაექვემდებარა, ხოლო კონფლიქტის რეგიონებში დისლოცირებული საოკუპაციო ჯარები „სამშვიდობო მანდატით" შეინიღბა.

რუსეთის ხელისუფლება არც ერთი წამით არ შერიგებია

12 აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში, ნაწილი I, გვ. 299-300.

კოდორის ხეობის დაკარგვას და არა იმიტომ, რომ მასზე პრეტენზიას აფხაზური მხარე აცხადებდა. კოდორის ხეობა იყო სტრატეგიული პლაცდარმი, წინააღმდეგობის ფორპოსტი, სადაც სტრატეგიულ და ტაქტიკურ უპირატესობას ქართველები ფლობდნენ. ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე განმათავისუფლებელი მოძრაობის ფონზე კოდორის ხეობამ რუსეთისთვის სტრატეგიული დატვირთვა შეიძინა – კოდორის ხეობაზე გავლით ყაბარდო-ბალყარლებს, ინგუშებს, ჩეჩნებსა თუ ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ხალხებს პირდაპირ შეეძლოთ შავ ზღვასთან და გარე სამყაროსთან დაკავშირება.

მოსკოვის ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთ თვეში, 1994 წლის ივლისში რუსეთის საჯარისო შენაერთები კოდორის ხეობაში შევიდნენ, სექტემბრის დასაწყისში დაიკავეს პოზიციები სოფელ ლათასთან. რუსი ჯარისკაცების კონტროლს დაექვემდებარა სოფლების აჟარასა და კვაბჩარას შორის ტერიტორიები.[13] ამავდროულად, კოდორის ხეობაში გაერო-ს დამკვირვებელთა მისია განთავსდა. აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების ხელშეწყობისთვის შეიქმნა გაერო-ს გენერალური მდივნის საქართველოს მეგობარი ქვეყნების ჯგუფი საფრანგეთის, გერმანიის, რუსეთის ფედერაციის, გაერთიანებული სამეფოსა და აშშ-ის (დამკვირვებლის სტატუსით) მონაწილეობით.

მოსკოვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული უსაფრთხოების გარანტიების მიუხედავად, რუსეთის „სამშვიდობო ძალები“ და აფხაზ სეპარატისტთა ბანდფორმირებები გალის რაიონში დევნილთა და ლტოლვილთა დაბრუნების ჩაშლის მიზნით აგრძელებდნენ სადამსჯელო ექსპედიციებს, ადგილი ჰქონდა ძალადობას, მკვლელობებს, გაუპატიურებას, მოსახლეობის ძარცვასა და დაშინებას.

1994 წლის ნოემბერში სეპარატისტულმა მონოეთნიკურმა მარიონეტულმა ელიტარულმა წრეებმა აფხაზეთი სუვერენულ რესპუბლიკად გამოცხადეს, მიიღეს აფხაზეთის კონსტიტუცია

13 **Калинина Ю.** Теракт в масштабе государства. В кн.: Распятая Грузия. Санкт-Петербург, 1995, с.170-173.

და აირჩიეს თვითაღიარებული ქვეყნის პრეზიდენტი. ეს ფაქტი დაგმო ეუთო-ს ბუდაპეშტის სამიტმა, როგორც გაერო-სა და ეუთო-ს ძალისხმევით მიმდინარე კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების პოლიტიკური პროცესების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიება.[14]

ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესასრულებლად, ჰუმანიტარული და პოლიტიკური პრობლემების მოსაწესრიგებლად აფხაზეთის სეპარატისტულ რეჟიმზე ზემოქმედების მიზნით, 1996 წლის 19 იანვარს დსთ-ის ქვეყნების მეთაურებმა მიიღეს დადგენილება, რომლითაც აიკრძალა დსთ-ის ქვეყნებიდან, მათი გემების ან თვითმფრინავების გამოყენებით, ან მათი მოქალაქეების მიერ აფხაზეთის რეგიონში იარაღის, ნებისმიერი სახის ტექნიკისა და მისი სათადარიგო ნაწილების, სამხედრო სატრანსპორტო საშუალებებისა და მოწყობილობის შეტანა და გაყიდვა, აფხაზეთის ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე მუდმივად მცხოვრები ადამიანების დსთ-ის ქვეყნების შეიარაღებულ ძალებში გაწვევა. დადგენილება ითვალისწინებდა დამატებითი ზომების მიღებას აფხაზეთში შეიარაღებული ფორმირებების გაგზავნის აკრძალვის, დსთ-ის ქვეყნების სამხედრო კონსულტანტებისა და მოქალაქეების აფხაზეთის შეიარაღებული ფორმირებებიდან გაწვევის შესახებ. დსთ-ის წევრი ქვეყნები საქართველოს მთავრობასთან შეთანხმების გარეშე აფხაზურ მხარესთან არ განახორციელებდნენ სავაჭრო-ეკონომიკურ, ფინანსურ, სატრანსპორტო და სხვა ოპერაციებს. აფხაზეთი აღიარებული იყო საქართველოს განუყოფელ ნაწილად. დსთ-ის წევრი-ქვეყნები გაერო-ს უშიშროების საბჭოს მოუწოდებდნენ მხარი დაეჭირა სამიტის გადაწყვეტილებისთვის და გაერო-ს წევრი ქვეყნებისთვის მიეცა რეკომენდაცია შეერთებოდა აფხაზურ მხარეზე ზემოქმედებისთვის გათვალისწინებულ ღონისძიებებს. [15]

1996 წლის დსთ-ის სამიტის დადგენილება მიმართული იყო აგრესიული სეპარატიზმის წინააღმდეგ. დღის წესრიგში აყენ-

14 აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში. ნაწილი I, გვ. 409.

15 აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში. ნაწილი II, გვ. 40.

ებდა ყველა დევნილის და იძულებით გადაადგილებული პირის მათ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე დაუყოვნებლივი, უპირობო და ღირსეული დაბრუნების საკითხს. ხელშეკრულების ამ ნაწილის სულისკვეთება არსებითად განსხვავდებოდა 1994 წლის მოსკოვის ხელშეკრულების პრინციპებისაგან.

დსთ-ის სამიტის დადგენილებას რუსეთისთვის პრაგმატული დატვირთვა ჰქონდა. 1995 წლიდან რუსეთმა დაიწყო საომარი ოპერაციები ჩეჩნეთში. აფხაზეთის მიმართ დაწესებული სამხედრო ემბარგო მიმართული იყო არა აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის, არამედ აფხაზეთიდან ჩეჩნეთში იარაღის ტრანზიტის წინააღმდეგ. ამას ადასტურებს მოვლენების შემდგომი განვითარებაც. მაგალითად, 1996 წლის 26 ნოემბერს აფხაზეთში ე.წ. საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა, რასაც აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობა რუსეთის ხელისუფლებისა და „სამშვიდობო ძალების" ფინანსური თუ მორალური მხარდაჭერის გარეშე ვერ შეძლებდა. ეს გარემოება კარგად ჰქონდა გაცნობიერებული საქართველოს მაშინდელ ხელისუფლებას. „აღნიშნული არჩევნების მოწყობა სეპარატისტული რეჟიმის მიერ მსოფლიო თანამეგობრობის სერიოზული გამოწვევაა, რაც შეუძლებელი იქნებოდა რუსეთის საკმაოდ გავლენიანი ძალების მხარდაუჭერლად და რუსეთის ოფიციალური ხელისუფლების მხრივ დროული რეაგირების შემთხვევაში", – ნათქვამია 1996 წლის 26 ნოემბრის საქართველოს პარლამენტის განცხადებაში.[16]

საქართველოს ხელისუფლებამ ალტერნატიული ზომები მიიღო და იძულებით ადგილნაცვალ პირთა და ლტოლვილთა საერთო-სახალხო გამოკითხვა – პლებისციტი დანიშნა. საქართველოსა და საზღვარგარეთის რიგ ქვეყანაში მოეწყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან დევნილთა გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობა 223 ათასზე მეტმა ადამიანმა ანუ აფხაზეთში კონფლიქტის დაწყებამდე მცხოვრები ამომრჩევლების 70%-მა მიიღო. პლებისციტის მონაწილეთა 99%-მა, მათ შორის, აფხაზებმა, რუსებმა, ბერძნებმა, ებრაელებმა, მხარი

16 აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში. ნაწილი II, გვ. 122.

დაუჭირა აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრას ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ.

დსთ-ის სამშვიდობო ძალები აფხაზეთში და შერეული საკონტროლო კომისიის შენაერთები ცხინვალის რეგიონში, ფაქტობრივად, სასაზღვრო ჯარის ფუნქციებს ასრულებდნენ და არსებითად აძლიერებდნენ სეპარატისტულ რეჟიმებს. ამ რეალობის გათვალისწინებით საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება კონფლიქტის ზონებიდან რუსეთის შეიარაღებული ძალების გაყვანისა და საერთაშორისო აქტიორების როლის გასაზრდელად მექანიზმების შემუშავების შესახებ. სეპარატისტულ რეჟიმებთან დაიწყო პირდაპირი მოლაპარაკებები. პოზიტიურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს 1997 წლის აგვისტოში თბილისში აფხაზთა დელეგაციის ჩამოსვლა არძინბას მეთაურობით. მიღწეულ იქნა შეთანხმება ზოგიერთ საკითხზე. მხარეებმა იკისრეს ვალდებულება არ დაეშვათ იარაღის გამოყენება და სისხლისღვრა.[17] 1997 წლის ივლისიდან განახლდა ჟენევის შეხვედრები „გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის“ ფასილიტატორობით. ამიერიდან ყველა მოლაპარაკება ჟენევის ფორმატში განიხილებოდა. შეიქმნა ერთობლივი საკოორდინაციო საბჭო, რომლის პირველი სესია 1997 წლის 18 დეკემბერს სოხუმში გაიმართა. დამტკიცდა საბჭოს დებულება. საბჭოს სესიები 1998 წელსაც გაგრძელდა. ამოქმედდა ე.წ. ჭუბურხინჯის ოთხმხრივი შეხვედრები, რომლებიც ქართული მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის ერთერთ მექანიზმს წარმოადგენდა.

ინტენსიური ხასიათი მიიღო ურთიერთობებმა ოსურ მხარესთან. 1996 წელს ვლადიკავკაზში გაიმართა ე. შევარდნაძისა და ჩიბიროვის შეხვედრა. 1997 წლის ჯავისა და 1998 წლის ბორჯომის შეხვედრებზე დაიწყო მოლაპარაკებები დევნილთა დაბრუნებაზე, ეკონომიკურ განვითარებაზე, კონფლიქტის ზონაში მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვაზე ვითარების შემდგომი რეგულირების პერსპექტივით. კონფლიქტის ზონაში ვითარება ნაწილობრივ გამოსწორდა. საერთო ბიზნესინტერესებ-

17 აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში. ნაწილი II, გვ.174-175.

მა მოსახლეობა კვლავ დააახლოვა, მნიშვნელოვნად შენელდა დაპირისპირების მუხტი.[18]

ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ მხარეებს შორის ურთიერთობების დათბობისა და დადებითი დინამიკის შექმნისთანავე დაიწყო პროვოკაციების ახალი ტალღა. 1998 წლის მარტში აფხაზეთში ე.წ. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები დაინიშნა. მაისის ბოლოს შეიარაღებულმა ბანდფორმირებებმა გალის რაიონში განახორციელეს მორიგი ეთნიკური წმენდა. მოკლულ იქნა 1500-ზე მეტი მშვიდობიანი მცხოვრები, გადაწვეს 4000-ზე მეტი სახლი, რაიონიდან განდევნეს 40 ათასზე მეტი ადამიანი.[19] ტერორისტულ აქტებს და პროვოკაციებს ადგილი ჰქონდა გაერო-ს დამკვირვებელთა მისიის წარმომადგენელთა მიმართ, არ იყო დაცული მათი უსაფრთხოება. დაიწყო ქართული მოსახლეობის იძულებითი გააფხაზების პროცესი. რუსეთის სამშვიდობო ძალები არავითარ ზომას არ მიმართავდნენ სისხლისღვრის შესაჩერებლად. პირიქით, ხელს უწყობდნენ პროცესების ესკალაციას. არ ხდებოდა უკანონო შეიარაღებული ფორმირებების განიარაღება, კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაცია. ოფიციალურად გამოცხადებული სამხედრო ემბარგოს პირობებში აფხაზეთში შეჰქონდათ იარაღი და უცხოეთიდან, მათ შორის, რუსეთიდან, შემოდიოდნენ დაქირავებული ბოევიკები, რომლებიც ქართულ მოსახლეობას აწიოკებდნენ და ტერორისტულ აქტებში მონაწილეობდნენ. აფხაზეთი და ცხინვალი კონტრაბანდის, ნარკობიზნესის, ტრეფიკინგის ადგილად, ტერორისტებისა და კრიმინალების თავშესაფრად გადაიქცა. რუსეთი ფარულად ახდენდა ამ ტერიტორიების ეკონომიკურ ექსპანსიას და მცოცავ ანექსიას. მთლიანად რუსეთზე იყო მიბმული სეპარატისტული რეგიონების

---

18 საქართველოს მთავრობის ანგარიში რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ სრულმასშტაბიან აგრესიასთან დაკავშირებით. აგვისტო, 2009 წელი.

19 აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში. ნაწილი II, გვ. 212, 243; **Начкебия Л.** Политика геноцида и этнической чистки в Абхазии (Грузия) – главное оружие агрессивного сепаратизма. Материалы международной конференции-семинара, 6-7 июня. Тб., 1999.

საკანონმდებლო, საბანკო-საფინანსო, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და საგანმანათლებლო სისტემები. ცხინვალის რეგიონი, რომელიც როკის გვირაბით უკავშირდებოდა რუსეთს, საბოლოოდ ანკლავად ჩამოყალიბდა.

1999 წლიდან გლობალურ პოლიტიკაში მიმდინარე ცვლილებების შედეგად მკვეთრად გაუარესდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები. რუსეთის წინააღმდეგობის მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლებამ, საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვით, ჰუმანიტარული კორიდორი გაუხსნა და თავშესაფარი მისცა ჩეჩნეთის მეორე ომის შედეგად ლტოლვილ მშვიდობიან მოსახლეობას. რუსეთი ითხოვდა საქართველოს ტერიტორიის გამოყენების უფლებას ჩეჩნეთში სამხედრო შენაერთების გადასაყვანად, რაზეც უარი მიიღო. საპასუხოდ, რუსეთის ავიაციამ დაიწყო პანკისის ხეობის დაბომბვა. ვითარება დაიძაბა კონფლიქტის რეგიონებში. დევნილი მოსახლეობის ინტერესების სრული იგნორირებით, 1999 წელს აფხაზეთში ჩატარდა უკანონო რეფერენდუმი, რომლის საფუძველზე აფხაზეთის დე-ფაქტო პარლამენტმა მიიღო ასევე უკანონო აქტი აფხაზეთის დამოუკიდებლობის შესახებ.

2000 წელს, ჩეჩნეთში სამხედრო კამპანიის მომიზეზებითა და ტერორისტული ჯგუფების შესვლის თავიდან აცილების საბაბით, რუსეთმა საქართველოსთან სავიზო რეჟიმი შემოიღო, მაშინ როდესაც უვიზო რეჟიმი შენარჩუნდა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. 2001 წლის მარტიდან უვიზო რეჟიმი გაუქმდა დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და სასაზღვრო ზოლში მცხოვრები მოსახლეობისთვის. საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მცხოვრებლების მიმართ არათანაბარი რეჟიმის შემოღებით რუსეთმა უხეშად დაარღვია საერთაშორისო სამართლის ნორმები და საფრთხე შეუქმნა ქვეყნის სუვერენიტეტს.

2000 წლიდან გააქტიურდა საერთაშორისო თანამეგობრობის მონაწილეობა კონფლიქტის დარეგულირების საკითხებში. ამ მხრივ საყურადღებოა ეუთო-ს ხელშეწყობით ბადენში (ავსტრია) გამართული ქართველ და ცხინვალელ ექსპერტთა

შეხვედრა, სადაც დაიწყო მუშაობა რეგიონში კონფლიქტის მოგვარების საკითხებზე. დღის წესრიგში დაისვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარების, ოსთა თვითგამორკვევის უფლების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური სტატუსის, უსაფრთხოების გარანტიებისა და კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაციის საკითხები, მაგრამ, მხარეებს შორის კომპრომისის მიუღწევლობის გამო, საბოლოო დოკუმენტის მიღება ვერ მოხერხდა.

2001 წელს გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ჯგუფის ქვეყნებმა მოამზადეს ე.წ. ბოდენის დოკუმენტი „თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებების გამიჯვნის პრინციპების შესახებ". დოკუმენტის მიხედვით, აფხაზეთს ენიჭებოდა ფართო ავტონომია და სუვერენიტეტის ელემენტები საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში. აფხაზურმა მხარემ ამ დოკუმენტის მიღებაზე უარი განაცხადა.[20] ფორმალურად, რუსეთი მხარს უჭერდა საერთაშორისო თანამეგობრობის სამშვიდობო ინიციატივებს, მაგრამ საქმით ყველა ღონეს ხმარობდა მათ დასაბლოკად.

2002 წლიდან საქართველოს საგარეო პოლიტიკაში ევროატლანტიკური ორიენტაციის გაძლიერებასთან ერთად, ვითარება კონფლიქტურ რეგიონებში თანდათან გამოვიდა კონტროლიდან. კრემლმა საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებში დაიწყო ფარული ანექსიის პოლიტიკის გატარება. რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებამ ცვლილებები შეიტანა მოქალაქეობის შესახებ კანონში, რომლის თანახმადაც, სსრკ-ის ყოფილ მოქალაქეებს მიეცათ გამარტივებული წესით რუსეთის მოქალაქეობის მიღების უფლება. აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში გაიხსნა სპეციალური შტაბები, რომლებიც საერთაშორისო სამართლის ნორმების სრული უგულებელყოფით, ადგილობრივ მოსახლეობაზე რუსეთის პასპორტებს გასცემდნენ. სამწუხაროდ, მაშინ დასავლეთმა ეს პროცესი ზომიერად ნეგატიურ მოვლენად აღიქვა და მასზე ადეკვატური რეაგირე-

20 საქართველოს მთავრობის ანგარიში რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ სრულმასშტაბიან აგრესიასთან დაკავშირებით.

ბა არ მოუხდენია. ფაქტობრივად, ამ დროიდან იწყება საქართველოს სეპარატისტული რეგიონების ანექსიისთვის სათანადო სამართლებრივი და იდეოლოგიური საფუძვლების მომზადება. რუსეთის ხელისუფლებამ ღიად დაიწყო სეპარატისტული რეჟიმების მხარდაჭერა და რუსეთის მოქალაქეების ინტერესების დაცვით მანიპულირება.

2004 წლის ივლისში რუსეთის სახელმწიფო დუმამ გააკეთა განცხადება, თითქოს, 1774 წელს ქუჩუკ-კაინარჯის ზავით რუსეთს „მთელი ოსეთი" ნებაყოფლობით შეუერთდა. საკითხისადმი ასეთი მიდგომა ისტორიული სინამდვილის გაყალბებას წარმოადგენს, რადგან გეოგრაფიული ცნება „ოსეთი" XVIII საუკუნეში არ არსებობდა და ის XIX საუკუნის II ნახევრიდან დაამკვიდრეს რუსმა ჩინოვნიკებმა. 1774 წელს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა ჩრდილო კავკასიის სამი ხეობის – ალაგირის, ქურთათის და თაგაურის ოსური მოსახლეობა. რაც შეეხება შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილს, სადაც შემდგომში ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი შეიქმნა, ჯერ ერთიანი საქართველოს, შემდეგ ქართლის, ბოლოს კი ქართლ-კახეთის სამეფოში შედიოდა განუყოფლად.[21] რუს კანონმდებლებს და ოს სეპარატისტებს ეს „მტკიცება" ჩრდილოეთ და ე.წ. სამხრეთ ოსეთის გაერთიანების „ისტორიული კანონზომიერების" დასასაბუთებლად სჭირდებათ.

2004 წლიდან საქართველოს ხელისუფლება ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის დარეგულირების ახალი სამშვიდობო ინიციატივებით გამოვიდა. სამშვიდობო პროექტი მოიცავდა ნდობის აღდგენის ღონისძიებებს, კონფლიქტის რეგიონების დემილიტარიზაციას, დეკრიმინალიზაციას, ცხინვალის რეგიონისთვის ფართო ავტონომიის შეთავაზებას საკონსტიტუციო გარანტიების საფუძველზე. საქართველოს ხელისუფლების სამშვიდობო გეგმას ერთხმად დაუჭირა მხარი 2005 წლის დეკემბერში ლუბლიანაში გამართულმა ეუთო-ს საგარეო საქმეთა მინისტერიალმა.

---

21 მეტრეველი რ. ალღუებელი საწყაული, ანუ ამაოება ამაოთა. *საქართველოს რესპუბლიკა*, 11.10. 2008, №192.

2006 წლის თებერვალში საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომლითაც არადამაკმაყოფილებლად შეფასდა ცხინვალის რეგიონში განთავსებული სამშვიდობო კონტინგენტის საქმიანობა და გამოითქვა სამშვიდობო მისიის ახალ ფორმატზე გადასვლის სურვილი. ოქტომბერში საქართველოს ხელისუფლებამ გაერო-ს უშიშროების საბჭოს წინაშე აფხაზეთში რუსი სამშვიდობოების საერთაშორისო შეიარაღებული ძალებით ჩანაცვლების საკითხი დააყენა, მაგრამ ამ იდეამ შემდგომი განვითარება ვერ პოვა.

ივნისში ბრიუსელში, ეუთო-ს დონორთა კონფერენციაზე დონორმა სახელმწიფოებმა ცხინვალის რეგიონის სარეაბილიტაციო პროგრამების განსახორციელებლად 7.8 მილიონი ევრო გამოყვეს. პროგრამას აფინანსებდნენ ევროკავშირის წევრი ქვეყნები და საქართველო. ეკონომიკური რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში დაიწყო რეგიონის ქართულ და ოსურ სოფლებში საგანმანათლებლო და სამედიცინო დაწესებულებების, გზების რეაბილიტაცია, ენერგეტიკული და სასმელი წყლის ინფრასტრუქტურის აღდგენა, თანამედროვე აგროტექნოლოგიების დანერგვა.[22]

ნოემბერში ე.წ. სამხრეთ ოსეთში ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები და დამოუკიდებლობის რეფერენდუმი. ცხინვალის მოსახლეობის აზრი ორად გაიყო. სეპარატისტული რეჟიმის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის მოსახლეობამ მხარი დაუჭირა დამოუკიდებლობის გამოცხადებას, ხოლო მეორე ნაწილმა – ცხინვალის რეგიონის საქართველოს იურისდიქციაში დარჩენას. რუსეთის დუმამ განიხილა ე.წ სამხრეთ ოსეთში ჩატარებული არჩევნების საკითხი და მიიღო რეზოლუცია, რომლითაც ცნო უკანონო რეფერენდუმის შედეგები. დუმა რუსეთის მთავრობას მოუწოდებდა უფრო მჭიდრო კავშირები დაემყარებინა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებულ რესპუბლიკებთან, რადგანაც მათი მოსახლეობის უდიდეს ნაწილს რუსეთის მოქალაქეები წარმოადგენდნენ.

22 საქართველოს მთავრობის ანგარიში რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ სრულმასშტაბიან აგრესიასთან დაკავშირებით.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი საჯაროდ მიესალმა დე-ფაქტო პრეზიდენტის კოკოითის „გამარჯვებას". რუსეთის ოფიციოზის წარმომადგენლები ცხინვალში კოკოითის „ინაუგურაციას" დაესწრნენ.[23] აშშ-ის ხელისუფლებამ და ეუთო-მ დაგმეს ე.წ. სამხრეთ ოსეთის უკანონო რეფერენდუმი.

2007 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის მოგვარებისათვის სათანადო პირობების შექმნის შესახებ", რითაც საფუძველი ჩაეყარა ცხინვალის რეგიონში დროებითი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულისა და მისი ადმინისტრაციის შექმნას. ახალ ერთეულს სათავეში ოსური სეპარატისტული მოძრაობის ყოფილი ლიდერი დიმიტრი სანაკოევი ჩაუდგა. ახალი ადმინისტრაციის შექმნის მთავარი მიზანი მის გარშემო ოსური მოსახლეობის გაერთიანება, ადამიანებს შორის ნდობის აღდგენის ხელშეწყობა, ცხინვალის რეგიონის მცხოვრებთა ყოფითი პირობების გაუმჯობესება იყო. სეპარატისტულმა რეჟიმმა და აქ მოკალათებულმა რუსმა ჩინოვნიკებმა ყველა ღონეს მიმართეს, ძალადობის ჩათვლით, რეგიონის მოსახლეობის საბოლოოდ გასახლეჩად.

აფხაზეთისა და ცხინვალის მარიონეტულ რეჟიმებსა და კონფლიქტის რეგიონებზე სრული კონტროლის განსახორციელებლად დე-ფაქტო ხელისუფლების მაღალ თანამდებობებზე რუსი სამხედრო მოხელეები და ფედერაციის უშიშროების სამსახურების წარმომადგენლები ინიშნებოდნენ. 2005 წელს ცხინვალის დე-ფაქტო მთავრობის პრემიერ-მინისტრად რუსეთის ფედერაციის მოქალაქე იური მოროზოვი დაინიშნა, რომელსაც წლების მანძილზე სხვადასხვა მაღალი თანამდებობა ეკავა ბაშკირეთში. შინაგან საქმეთა მინისტრი გახდა რუსეთის მილიციის პოლკოვნიკი მიხეილ მინძაევი, რომელიც 2004 წლის ბესლანის კონტრტერორისტულ ოპერაციაში უშიშროების სამსახურის სპეციალურ ქვედანაყოფს – „ალფას"

23 **Jibladze K.** Russia's Opposition to Georgia's Quest for NATO Membership. China and Eurasia Forum Quarterly, Volume 5, No. 1 (2007) p. 45-51.

ხელმძღვანელობდა. 2006 წლიდან ე.წ. სამხრეთ ოსეთის ნაციონალური უსაფრთხოების საბჭოს მდივნად რუსეთის შეიარაღებული ძალების პოლკოვნიკი, ავღანეთისა და ჩეჩნეთის ომების მონაწილე ანატოლი ბარანკევიჩი დაინიშნა, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარედ – ბორის ატოევი, რომელიც წლების მანძილზე იმყოფებოდა „კაგებეს“ სხვადასხვა თანამდებობაზე, ავღანეთში მისიის დასრულების შემდეგ მსახურობდა მოსკოვში ფედერალური უშიშროების ცენტრალურ აპარატში. 2007 წელს დე-ფაქტო სახელმწიფო დაცვის სამსახურის უფროსი გახდა რუსეთის არმიის პოლკოვნიკი, ჩეჩნეთისა და ბოსნიის ბრძოლების მონაწილე ვლადიმირ კოტოევი.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მკვეთრად გაიზარდა რუსეთის სამხედრო აქტივობა. დაიწყო ჯავის სამხედრო ბაზის აღჭურვა. სეპარატისტულ პარამილიტარისტულ ფორმირებებს აიარაღებდნენ და წვრთნიდნენ რუსი ინსტრუქტორები, მათ შორის, რუსული „სამშვიდობო ძალების“ წარმომადგენლები. 2007 წელს რუსეთის სამხედრო თვითმფრინავებმა რამდენჯერმე დაარღვიეს საქართველოს საჰაერო სივრცე და დაბომბეს საქართველოს ტერიტორია, რაც ქვეყნის სუვერენიტეტის წინააღმდეგ მიმართული ქმედება და აშკარა აგრესიის გამოხატულება იყო. რუსეთის ხელისუფლება შეუნიღბავად დაადგა „გაყინული კონფლიქტების“ გალღობისა და დაპირისპირების ესკალაციის გზას.

II. პოლიტიკური დაძაბულობის ზრდა სეპარატისტულ რეგიონებში

1. რუსეთის პოლიტიკა სეპარატისტულ რეგიონებში 2008 წლის დასაწყისში

The belief that security can be obtained by throwing a small state to the wolves is a fatal delusion.
Winston Churchill

რწმენა იმისა, რომ უსაფრთხოება შეიძლება მოიპოვო მგლების ხროვისათვის პატარა სახელმწიფოს გადაგდებით, საბედისწერო შეცდომაა.
უინსტონ ჩერჩილი

2008 წლის დასაწყისიდან საქართველოს ხელისუფლებამ კონფლიქტების მოგვარების ახალი სტრატეგია შეიმუშავა, რომელიც ლიბერალურ ღირებულებებს ეფუძნებოდა და მიზნად ისახავდა ქართველ და აფხაზ, ქართველ და ოს ხალხებს შორის ნდობის აღდგენას ურთიერთგადამფარავი ინტერესების სფეროში თანამშრომლობის ხელშეწყობით. ასეთი მიდგომა გულისხმობდა ინტეგრაციული პროცესების წახალისებას, კონფლიქტის ზონის რეაბილიტაციას, აფხაზებთან და ოსებთან ერთად არსებითი, შედეგზე ორიენტირებული ამოცანების განხორციელებას; ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტების აქტივიზაციას. მხარეებს შორის ურთიერთსასარგებლო, „მოგება მოგებაზე" ორიენტირებული თანამშრომლობა, თავის მხრივ, ხელს შეუწყობდა დაძაბულობის შენელებასა და ნდობის აღდგენას. ბუნებრივია, ახალი სტრატეგიის ამოსავალს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პოსტულატი წარმოადგენდა.

საკითხისადმი ახლებური მიდგომა ნათლად აისახა 2008 წლის 18-19 თებერვალს ჟენევის ფორმატით გამართულ ქართულ-აფხაზურ შეხვედრაზე საქართველოს დელეგაციის მიერ წარდგენილ პროგრამაში. მასში წინა პლანზე იყო წამოწეული აფხაზეთის რეგიონსა და დანარჩენ საქართველოს შორის ეკონომიკური, სახმელეთო და საზღვაო კავშირების აღდგენის, თავისუფალი მიმოსვლის, უსაფრთხოების გარანტიების, დევნილთა ღირსეული დაბრუნების საკითხები. აფხაზეთის მხარე შესაძლებლად მიიჩნევდა კომპრომისების მიღწევას კოდორის ხეობიდან საქართველოს სამხედრო შეიარაღების გაყვანისა და ძალის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის შემთხვევაში. ის გამოთქვამდა მზადყოფნას ოთხმხრივი ფორმატის ფარგლებში გაეგრძელებინა რეგულარული კონსულტაციები უსაფრთხოების საკითხებზე. სამწუხაროდ, ამ იდეებმა შემდგომი განვითარება ვერ პოვეს რუსეთის ფედერაციის უხეში პოლიტიკური ჩარევისა და ხისტი პოზიციის გამო.

კონფლიქტის რეგიონებში პოზიტიური დინამიკა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ შეიცვალა. კრემლის ნაციონალისტებმა და მილიტარისტებმა უმთავრეს გეოსტრატეგიულ ამოცანად აღმოსავლეთ ევროპის მიმართულებით ნატო-ს გაფართოების შეჩერება დაისახეს. მოსკოვის აგრესია კონცენტრირებულ იქნა უკრაინისა და საქართველოს მიმართულებით, რომლებიც ალიანსის წევრობის ახალ ეტაპზე გადასვლისთვის ემზადებოდნენ. რუსეთის ფედერაციის ხელისუფლება საქართველოსა და უკრაინის, საერთაშორისო თანამეგობრობის დაშანტაჟების გზას დაადგა. იმუქრებოდნენ საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში სეპარატიზმის გაძლიერებით,[24] აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარებით, უკრაინისგან ყირიმის სეცესიით,[25] საქართველოსა და უკრაინის წინააღმდეგ სამხ-

24 Russia's NATO envoy says offering Georgia membership track would bolster separatists. *International Herald Tribune*. 11.03. 2008 [http://www.iht.com/articles/ap/2008/03/11/europe/EU-GEN-Russia-NATO.php].

25 *Независимая газет*а. 11. 04. 2008.

ედრო ძალის გამოყენებითაც კი. რუსი პოლიტიკოსების აზრით, 2008 წლის 5 იანვარს ალიანსის წევრობის საკითხზე საქართველოში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგები არ იყო ლეგიტიმური, რადგანაც არ გამოხატავდა სეპარატისტული რეგიონების მოსახლეობის ნებას.

რუსეთის ოფიციოზის წაქეზებით, მარტის პირველი დღეებიდანვე აფხაზეთში დაიწყო ისეთი სამართლებრივი აქტების მიღება, რომლებიც ხელს უწყობდა რეგიონში დაძაბულობის ესკალაციას, ქაოსისა და ანარქიის პროვოცირებას. 4 მარტს აფხაზეთის დე-ფაქტო პარლამენტმა მიიღო დადგენილება ზემო კოდორის ხეობიდან საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების შენაერთების გაყვანამდე ქართულ მხარესთან მოლაპარაკებების შეჩერების შესახებ. პარლამენტი დე-ფაქტო ხელისუფლების ლიდერებს კოდორის ხეობაში აფხაზეთის „იურისდიქციის" აღდგენისკენ მოუწოდებდა. კრიმინალური ანგარიშსწორებები, ძარცვა, ყაჩაღობა, სახლების გადაწვა გალის რაიონის ყოველდღიური ცხოვრების რეალობად იქცა. ფეხქვეშ ითელებოდა დაბრუნებული ქართული მოსახლეობის ადამიანური უფლებები და ინტერესები. მარტის ბოლოდან განახლდა „პასპორტების" დარიგება. დაშინებითა და ძალადობით ქართველებს აიძულებდნენ უარი ეთქვათ საქართველოს მოქალაქეობაზე.[26]

აგრესიული სეპარატიზმის პირდაპირ წახალისებას წარმოადგენდა 2008 წლის 6 მარტის ვ. პუტინის ბრძანებულება დსთ-ის აკრძალვების რეჟიმიდან რუსეთის გამოსვლის შესახებ.[27] ბრძანებულებას თან სდევდა ბიზნეს კონტრაქტების გაფორმება აფხაზებთან 2014 წლის ზამთრის სოჭის ოლიმპიადის სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით. კრემლის პოლიტიკური გადაწყვეტილება აფხაზეთის დე-ფაქტო ანექსიის მცდელობად და მისი აღიარებისკენ სწრაფვად შეაფასეს ევროკავ-

26 Report of the Secretary-General on the situation in Abkhazia, Georgia Distr.: General. 2 April 2008.

27 [http://www.ln.mid.ru/Brp_4.nsf/arh/79C58F476CAEC4E8C32574040058934C?OpenDocument].

შირის პოლიტიკურმა ლიდერებმა,[28] რომლებიც ცალსახად უჭერდნენ მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას.

6 მარტის გადაწყვეტილებით კრემლმა, ფაქტობრივად, მოახდინა ქართველთა ეთნიკურ წმენდაზე ეუთო-ს შეფასებებისა და დსთ-ის ფარგლებში მიღებული დოკუმენტების იგნორირება, სეპარატისტული რეგიონებისათვის შეუზღუდავი სამხედრო და ეკონომიკური დახმარების ლეგიტიმაცია მათი დამოუკიდებლობის ოფიციალური აღიარების გარეშე, რითაც ეჭვქვეშ დააყენა კონფლიქტის ზონაში არსებული დსთ-ის სამშვიდობო ფორმატის სამართლებრივი ბაზა და რუსეთის სამშვიდობო მანდატი. ბუქარესტის სამიტის წინ ეს იყო პოლიტიკური გზავნილი დასავლეთისთვის, რომ ნატო-სთან საქართველოს შემდგომი ინტეგრაცია საფრთხეს შეუქმნიდა როგორც ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, ასევე უსაფრთხოებას მთელს კავკასიაში.

7 მარტს აფხაზეთის დე-ფაქტო პარლამენტმა გაერო-ს, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და რუსეთის ფედერაციას მიმართა თხოვნით განეხილათ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების საკითხი. სოხუმთან კოორდინირებულად მოქმედებდა ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლება, რომელიც სახელმწიფო დუმისაგან რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარებას მოითხოვდა. ეს მოთხოვნა გაისმოდა 12 მარტს ცხინვალსა და ჯავაში, მოსკოვში გამართულ მიტინგებზე.

2008 წლის 13 მარტს რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმამ განიხილა პოსტსაბჭოთა ტერიტორიაზე არსებული თვითაღიარებული რესპუბლიკების – აფხაზეთის, ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და დნესტრისპირეთის – დამოუკიდებლობის ცნობის საკითხი. დუმის დეპუტატთა აზრით, საჭირო იყო ამ რეგიონებისთვის ჰუმანიტარული და ეკონომიკური დახმარების გაწევა, რუსული ბიზნესის განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა; რეგიონებთან პოლიტიკური თანამ-

28 EU concerned at Russian moves on Abkhazia. *Reuters*. 10.03.2008. [http://www.reuters.com/article/asiaCrisis/idUSL10832593].

შრომლობის გაღრმავების მიზნით, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან საკონსულოებისა და დიპლომატიური მისიების ჩამოყალიბება.[29] პრაქტიკულად, რუსეთის ფედერაციის ლეგისლატურა ღიად დაადგა საქართველოს სეპარატისტული ტერიტორიების მცოცავი ლეგიტიმაციის გზას.

2008 წლის მარტში ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო თავდაცვის მინისტრად დაინიშნა რუსეთის არმიის გენერალი ვასილ ლუნევი, ხოლო სახელმწიფო სასაზღვრო სამსახურის ხელმძღვანელად – ფედერალური უშიშროების სამსახურის პოლკოვნიკი ოლეგ ჩებოტარევი, რითაც რუსეთმა გაამკაცრა კონტროლი რეგიონზე. ცხინვალის რეგიონში დაიწყო იმ ოსების უფლებების უხეში დარღვევა, რომლებმაც სანაკოევის ხელისუფლებასთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს. დე-ფაქტო რეჟიმის უშიშროების სტრუქტურების მიერ ჯავის რაიონში განხორციელდა დამსჯელი ოპერაციები, უკანონოდ დააკავეს ათეულობით ადგილობრივი მოსახლე, მათ შორის, ქალები, რომლებიც ცხინვალის ციხეში გადაიყვანეს. ამ ქმედების მთავარ მიზანს ადგილობრივ მოსახლეობაზე კონტროლის შენარჩუნება წარმოადგენდა. სოფელ ოქონში გაიხსნა უკანონო ოსური პოსტი, რომელსაც შერეული სამშვიდობო ძალების მეთაური გენერალი მარატ კულახმეტოვი „სამხრეთ ოსეთის სამართალდამცავი ორგანოების პოსტად" ნათლავდა.

საქართველოს ხელისუფლება კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირების პრინციპების ერთგული რჩებოდა. სეპარატისტულ რეგიონებში პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნებისა და დაძაბულობის შენელებისთვის შემუშავდა ახალი ინიციატივები. აფხაზეთისათვის შეთავაზებულ იქნა ფართო პოლიტიკური უფლებამოსილებანი ფედერალური სახელმწიფოს ფარგლებში. კერძოდ:

1. ფართო პოლიტიკური წარმომადგენლობა აფხაზებისთვის, მათი მონაწილეობა საქართველოს ცენტრალური

29 Russian lawmakers call for missions in Georgian rebel regions. *Agence France Presse*. 13. 03. 2008 [http://afp.google.com/article/ALeqM5hagoFjy_a2eH2-_rIyu5skFw1zfw].

მთავრობის სამინისტროებსა და უწყებებში. აფხაზეთის წარმომადგენლობისთვის საგანგებოდ ვიცე-პრეზიდენტის პოსტის შემოღება;

2. ვეტოს უფლება აფხაზეთის საკონსტიტუციო სტატუსთან დაკავშირებულ საკანონმდებლო საკითხებზე. აფხაზური ენის, კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონსტიტუციური გარანტიები;

3. გალის რაიონსა და ოჩამჩირის პორტის ტერიტორიაზე თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა;

4. აფხაზეთის ავტონომიისათვის საერთაშორისო გარანტიები და რუსეთის შუამავლობა კონფლიქტის სამშვიდობო გადაწყვეტაში.[30]

საქართველოს ხელისუფლების მცდელობა აფხაზეთში მიმდინარე პროცესები დაებრუნებინა სამშვიდობო ფორმატში, წარუმატებელი აღმოჩნდა. აფხაზეთის დე-ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრის ს. შამბას სიტყვებით, აფხაზები, ჯერ კიდევ საქართველო-აფხაზეთის ომამდე, მზად იყვნენ განეხილათ საქართველოს სახელმწიფოსთან თანაარსებობის ფედერალური მოდელი, ხოლო ომის შემდეგ – ერთიანი სახელმწიფოს მოდელი, მაგრამ ამ ეტაპზე მხოლოდ დამოუკიდებელ, სუვერენულ, კოსოვოს მოდელზე ორიენტირებულ აფხაზეთის სტატუსზე შეიძლებოდა საუბარი.[31]

2008 წლის მარტში საქართველოს ხელისუფლებამ წამოაყენა შერეული საკონტროლო კომისიის ფორმატის მოდიფიცირების ინიციატივა, რომელიც ითვალისწინებდა სამშვიდობო პროცესში ეუთო-სა და ევროკავშირის, ე.წ. სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენელთა ჩართვას. მხარეებს საკითხი უნდა განეხილათ და შეთანხმებულიყვნენ ადგილობრივი ლიდერების, რუსეთ-საქართველოს, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტებისა და კონფლიქტში ჩართული მხარეების, ეუთო-სა და ევროკავშირის,

30 საქართველოს მთავრობის ანგარიში...

31 [http://www.abkhaziagov.org/ru/president/press/news/detail.php?ID=9299].

როგორც ნეიტრალური მედიატორებისა და ფასილიტატორების, დონეებზე. კოკოითის მარიონეტულმა რეჟიმმა ეს წინადადება კატეგორიულად უარყო. ამ ინიციატივის ჩავარდნის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ დისკრიმინაციული, რეალურად უმოქმედო შერეული საკონტროლო კომისიიდან გამოსვლის გადაწყვეტილება მიიღო.

რუსეთის დესტრუქციული საქმიანობის, ნეიტრალიტეტის ვალდებულების დარღვევისა და საქართველოსთან ღია საკანონმდებლო ანტაგონიზმის გამო, კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგების საკითხში პროგრესის მიღწევა შეუძლებელი აღმოჩნდა.

2. ვითარება სეპარატისტულ რეგიონებში ნატო-ს ბუქარესტის სამიტის შემდეგ

2008 წლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენას 2-4 აპრილს ბუქარესტში გამართული ნატო-ს სამიტი წარმოადგენდა, რომელზეც ალიანსის საზღვრები აღმოსავლეთის მიმართულებით მნიშვნელოვნად გაფართოვდა ალბანეთისა და ხორვატიის მიერთებით. სამიტმა, ასევე, განიხილა საქართველოსა და უკრაინისათვის MAP-ის მინიჭება. რუსეთთან განსაკუთრებული გეოსტრატეგიული და გეოპოლიტიკური ინტერესების გათვალისწინებით, ძირითადად, საფრანგეთმა და გერმანიამ დაბლოკეს საკითხის დადებითად გადაწყვეტა. ევროპის ლიდერები, თავიანთი პოზიციის გასამყარებლად, მთავარ აქცენტს საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებში არსებულ დაძაბულობაზე, ე.წ. სამხრეთ ოსეთში საქართველოს შეჭრისა და რუსეთთან მოსალოდნელი ომის საფრთხეებზე აკეთებდნენ.[32] აშშ-ის ხელისუფლება მტკიცედ უჭერდა მხარს საქართველოს ალიანსში გაწევრიანების შემდგომ ეტაპზე გადასვლას. საბოლოოდ, ალიანსის წევრ ქვეყნებს შორის მიღ-

32 Стенограмма выступления Министра иностранных дел России С.В.Лаврова на встрече с членами Комитета Государственной Думы по делам СНГ и связям с соотечественниками, Москва, 20 мая 2008 года [www.mid.ru].

წეული კონსესუსის შედეგად, მიღებულ იქნა კომპრომისული გადაწყვეტილება.[33] კერძოდ, საქართველოსა და უკრაინის მიმართ გამოცხადდა ღია კარების პოლიტიკა. ამ ქვეყნებისათვის MAP-ის მინიჭების საკითხი უნდა განეხილა და გადაეწყვიტა 2008 წლის დეკემბერში ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტერიალს. სამიტზე განიხილეს კავკასიაში არსებული პოლიტიკური ვითარება და კიდევ ერთხელ გამოხატეს მხარდაჭერა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს, ტერიტორიული მთლიანობის, დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისადმი.

ბუქარესტის სამიტზე წარმოჩნდა საფრანგეთისა და გერმანიის განსაკუთრებული სტრატეგიული ინტერესები რუსეთთან მიმართებაში, რაც სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენდა როგორც ალიანსისთვის, ასევე მთელი დასავლეთისთვის. საქართველოსა და უკრაინისთვის MAP-ის მინიჭება იქნებოდა ალიანსის გაფართოების ახალი ტალღის დასაწყისი. ამ პროცესის დაბლოკვით გერმანიამ და საფრანგეთმა, ფაქტობრივად, აღმოსავლეთ ევროპის პოსტსაბჭოური გეოპოლიტიკური სივრცე რუსეთის გავლენის სფეროდ აღიარეს. ჰიპოთეზურად, შესაძლებელია ამ ქვეყნების ლიდერების პოზიცია წინასწარ იყო შეთანხმებული რუსეთის პოლიტიკურ წრეებთან. აშშ-ის ზეწოლით საქართველოსა და უკრაინის მიმართ გამოცხადებულმა ღია კარების პოლიტიკამ რუსეთ-საფრანგეთ-გერმანიის გარიგება ჩიხში მოაქცია. აშკარა გახდა აღმოსავლეთის მიმართულებით ალიანსის გავლენის სტრატეგიული ზონის გაფართოების გარდუვალობა. ამ გარემოებამ რუსეთის პრეზიდენტის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, რაც მან საჯაროდ დააფიქსირა ბუქარესტში ნატო-რუსეთის საბჭოზე, ხოლო 6 აპრილს – პრეზიდენტ ჯ. ბუშთან სოჭში გამართულ შეხვედრაზე. ვ. პუტინი მსოფლიოს აფრთხილებდა, რომ უკრაინისა და საქართველოს ნატო-სკენ მისწრაფება სერიოზულ საფრთხეს შეუქმნიდა ამ ქვეყნების სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ

33 [http:// www.nato.int/cps/en/natolive/opinions_7619.htm].

მთლიანობას.[34]

რუსეთის ხელისუფლება დილემის წინაშე აღმოჩნდა: ან მოლოდინის რეჟიმში შეგუებოდა საქართველო-უკრაინაზე გავლენის დაკარგვას, ან პოლიტიკური პროცესების აქტივიზაციით, დასავლეთთან კონფრონტაციითა და ძალისმიერი პოლიტიკით შეენარჩუნებინა პოზიციები რეგიონში. რუსეთის სამხედრო და პოლიტიკურმა ისტებლიშმენტმა არჩევანი ბოლო ვარიანტის სასარგებლოდ გააკეთა.

რუსეთის სახელმწიფო დუმის უსაფრთხოების კომიტეტის დახურულ სხდომაზე დეპუტატებმა განიხილეს ფედერალური უშიშროების სამსახურის ანალიტიკური ჯგუფის საიდუმლო მოხსენება. მასში გაანალიზებული იყო აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში შექმნილი ვითარება. მოხსენების ავტორები მთავარ პრობლემად სამშვიდობო ძალების ქმედებების დაბალეფექტურობას მიიჩნევდნენ. მათი აზრით, შერეული საკონტროლო კომისიის ძალთა მეთაურები მოუმზადებელნი იყვნენ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან მომდინარე გამოწვევებსა და საფრთხეებზე ოპერატიული რეაგირებისათვის, რომ ინიციატივა მთლიანად გადასული იყო საქართველოს შინაგანი ჯარებისა და საშვიდობო ძალების კონტროლქვეშ, ხოლო შერეული საკონტროლო კომისიის ფუნქცია მხოლოდ მოვლენების პასიური მონიტორინგით იფარგლებოდა. საიდუმლო მოხსენების ავტორები რუსეთის ხელისუფლებას ურჩევდნენ „სამხრეთის მიმართულებით რუსეთის ნაციონალური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი რუსეთის სასიცოცხლო ინტერესების ზონად გამოეცხადებინათ".[35]

ბუქარესტის სამიტის შემდეგ მოსკოვმა დაიწყო ქმედითი ღონისძიებები რეგიონში დესტაბილიზაციის შესაქმნელად. ბუნებრივია, ვექტორი საქართველოს მოწყვლადი, კონფლიქტური ზონებისკენ იქნა მიმართული. თბილისსა და სეპარატისტულ რეგიონებს შორის კონფრონტაციის გაღრმავებას ემსახ-

34 *Moscow Times.* 8.04.2008.

35 Авторы секретного доклада рекомендуют России решительные действия. 14.07.2008 [http://sojcc.ru/rus/1324.html].

ურებოდა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვ. პუტინის 16 აპრილის დავალება მთავრობისადმი „აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ურთიერთობების გაღრმავების შესახებ", რომელიც ითვალისწინებდა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული ბიზნესისა და ორგანიზაციების აღიარებას, სეპარატისტულ ხელისუფლებებთან თანამშრომლობას სავაჭრო-ეკონომიკურ, სოციალურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, საინფორმაციო სფეროებში, კულტურისა და განათლების საკითხებში, საკონსულოების გახსნას სეპარატისტული რეგიონების ადგილობრივი მოსახლეობისათვის. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ამ ქმედებებს სეპარატისტული რეგიონების ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების დაცვით, გაერო-ს გენერალური მდივნისა და საქართველოს მეგობარი ქვეყნების ჯგუფის რეკომენდაციებით ამართლებდა.

რუსეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებას იმავე დღეს გამოეხმაურა აშშ-ის ადმინისტრაცია. სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა შ. მაკკორმაკმა მტკიცე მხარდაჭერა გამოხატა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი.[36]

17 აპრილს აშშ-ის ელჩმა ეუთო-ში ჯული ფინლეიმ კონფლიქტის მოწესრიგების ერთადერთ გზად საქართველოს ხელისუფლების სამშვიდობო პროექტი დაასახელა, როგორც აფხაზთა კანონიერი ინტერესების დაცვის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და 200 ათასზე მეტი იძულებით ადგილნაცვალი პირის უფლებების დაცვისა და მათი ღირსეული დაბრუნების გარანტი. ელჩის აზრით, 16 აპრილის დეკრეტი წარმოადგენდა რუსეთის ხელისუფლების მცდელობას ლეგალურად ეღიარებინა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მთავრობების მიერ მიღებული დოკუმენტები და გადაწყვეტილებები, რასაც სეპარატისტების ქმედებების ლეგიტიმაციის ეფექტი ექნებოდა.[37] საქართველოს სამშ-

36 U.S. Supports Georgian Territorial Integrity and Sovereignty: Daily Press Briefing by Sean McCormack, Spokesman [www.mfa.ge].

37 United States Mission to the OSCE: Statement on Developments in Georgia [www.mfa.ge].

ვიდობო პროექტს მხარი დაუჭირა ეუთო-ს თავმჯდომარემ, ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდრ სტუბმა და მხარეებს მოლაპარაკების მაგიდასთან დაბრუნებისკენ მოუწოდა.[38] რუსეთის ქმედებებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იააპ დე ჰოოპ სხეფერმა, რომელმაც რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებას მიღებული გადაწყვეტილების გაუქმებისკენ, ხოლო საქართველოს ხელისუფლებას – თავშეკავებისკენ მოუწოდა.[39]

ევროკავშირმა გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიც მხარი დაუჭირა საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. რუსეთის ფედერაციას შეახსენა მისი სამშვიდობო მისია და მოუწოდა თავი შეეკავებინა ისეთი ქმედებებისაგან, რომლებიც რეგიონში ხელს შეუწყობდა დაძაბულობის ესკალაციას.[40] ევროსაბჭოს ხელმძღვანელობა შეშფოთებას გამოთქვამდა რუსეთსა და აფხაზეთს შორის დადებული პირდაპირი შეთანხმებების გამო.[41]

საერთაშორისო საზოგადოებამ რუსეთის ფედერაციის 16 აპრილის დეკრეტი შეაფასა როგორც საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის სერიოზული გამოწვევა, რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ანექსიის მცდელობა. რუსეთმა დაიწყო სეპარატისტულ რეჟიმებთან პირდაპირი სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების დამყარება, რაც ხელს შეუწყობდა ამ ტერიტორიების ინკორპორაციას რუსეთის ფედერაციის სა-

38 OSCE Chairman expresses concern about recent developments in the Georgian conflict areas [www.mfa.ge].

39 Statement by the NATO Secretary General on Abhkazia and South Ossetia [www.mfa.ge]; Russia tightens ties with Georgian rebel areas. *Reuters*. 16. 04.2008. [http://www.reuters.com/article/europeCrisis/idUSL1644289].

40 Declaration by the Presidency on behalf of the EU. [http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?pubRef=-//EP//TEXT+TA+P6-TA-2008-0253+0+DOC+XML+V0//EN&language=EN].

41 Russia-Abkhazia direct dealing a 'concern'. *Independent Online*.23.04. 2008 [http://www.iol.co.za/index.php?set_id=1&click_id=24&art_id=nw20080423151654178C385867].

მართლებრივ სივრცეში; მოახდინა თვითგამოცხადებული რესპუბლიკების ფაქტობრივი აღიარება, საჭირო იყო მხოლოდ ამ აქტის ფორმალიზაცია. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეს იყო საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ქცევის ნორმების ფეხქვეშ გათელვის უპრეცედენტო ფაქტი.

საქართველოს პრეზიდენტ მ. სააკაშვილთან სატელეფონო საუბარში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვ. პუტინმა განმარტა, რომ რუსეთის გამოსვლა დსთ-ის სანქციების რეჟიმიდან, ისევე როგორც 16 აპრილის დეკრეტი მთავრობისადმი, მიზნად ისახავდა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების ინტერესების დაცვას, რომ კონფლიქტის რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური რეაბილიტაციის საკითხი დასმული იყო გაერო-ს უშიშროების საბჭოს ბოლო რეზოლუციაში (№1808 15. 04. 2008) და რუსეთის ქმედებები არ სცილდებოდა საერთაშორისო სამართლის ნორმებს, პრინციპულად განსხვავდებოდა ზოგიერთი ქვეყნის პოლიტიზირებული და კანონსაწინააღმდეგო ქმედებებისაგან, რომელთაც აღიარეს კოსოვოს დამოუკიდებლობა, რასაც პრეცედენტის ხასიათი აქვს.[42]

ესპანელმა ფილოსოფოსმა ჯორჯ სანტანიამ ვ. პუტინის პოლიტიკა XX საუკუნის 30-იანი წლების ნაცისტების საგარეო პოლიტიკას შეადარა. 1937 წელს ჰიტლერი შეშფოთებას გამოთქვამდა ჩეხოსლოვაკიაში სუდეტელი გერმანელების უუფლებობის გამო. 1938 წელს მან მოახდინა სუდეტის მიწების ანექსია და ამ ტერიტორიებიდან განდევნა არაგერმანელები. რუსეთი აღიარებს საქართველოს საერთაშორისო საზღვრებს, მაგრამ მისი ქმედებები ეწინააღმდეგება მის სიტყვებს. „ისინი, ვინც ვერ სწავლობენ ისტორიისგან, განწირულები არიან მისი განმეორებისათვის", – ასე შეაფასა მეცნიერმა დასავლეთის ზომიერი რეაქცია ვ. პუტინის გამოწვევაზე.[43]

რუსეთის ჰუმანური დეკლარაციები სრულიად ეწინააღმდე-

42 разговор-грузия-саакашвили[http://www.kremlin.ru/text/psmes/2008/04/164154.shtml].

43 Echoes of the 1939s in Russia's sweeping annexation. *Financial Time*, By Mart Laar, 18 . 04. 2008.

გებოდა გალში შექმნილ რეალობას, სადაც ყოველდღიური საფრთხის ქვეშ იყო ქართული მოსახლეობის სასიცოცხლო პერსპექტივა და ილახებოდა მათი ადამიანური ღირსება. ქართული ენის დევნა-შევიწროებას რელიგიური დევნაც დაემატა. ამ მხრივ აღსანიშნავია გალის მკვიდრის, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ღვთისმსახურის იერობერ პიმენის (რომან ქარდავა) გამოძევება გალიდან, რომელსაც ბრალად გალის ქართულ მოსახლეობაში ნაციონალური იდეების გაღვივება წაუყენეს.

ტყვარჩელში, აკმარას მთებში 400 კაციანი დესანტი, ე.წ. რუსეთის წითელდროშოვანი ბრიგადის რეგულარული გვარდიის ნაწილები განათავსეს, რომელსაც აფხაზეთის დე-ფაქტო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილე, რუსი პოლკოვნიკი პალუშკო ხელმძღვანელობდა. ზემო კოდორის ხეობის დასაბომბად ტყვარჩელის მთებში შეიტანეს „Д-30" ჰაუბიცები. რუსეთის ეს ქმედებები ეწინააღმდეგებოდა მის სამშვიდობო მისიასა და არბიტრის მანდატს. აფხაზეთში შეიარაღებული დაპირისპირების რეალური საფრთხე შეიქმნა.

3. მზვერავი თვითმფრინავის ინციდენტი

საერთაშორისო საზოგადოების რეაქციის მოსინჯვის პოლიტიკით რუსეთი ნაბიჯ-ნაბიჯ არღვევდა საქართველოს სუვერენიტეტს მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. 20 აპრილს რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ავიაგამანადგურებლებმა დაარღვიეს საქართველოს საჰაერო სივრცე და აფხაზეთში საქართველოს შსს-ს კუთვნილი უპილოტო თვითმფრინავი ჩამოაგდეს. თვითაღიარებული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის წარმომადგენელმა გარი კუპალბამ ჟურნალისტებთან დაუყოვნებლივ „აღიარა" ისრაელის წარმოების „Harmes-450-"-ის აფხაზეთის სამხედრო ძალების თვითმფრინავის „L-39"-ის მიერ ჩამოგდების ფაქტი. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მეორე დღესვე გამოაქვეყნა ვიდეომასალა, რომელიც ადასტურებდა, რომ უპილოტო თვითმფრინავი რუსეთის ავი-

აგამანადგურებელმა „MIG-29"-მ ჩამოაგდო. რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტრომ ეს ფაქტი უარყო. მზვერავი თვითმფრინავის ჩამოგდება რუსეთისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემად იქცა, რადგანაც გამოაშკარავდა ოჩამჩირეში რუსეთის ახალი სამხედრო ბაზის არსებობა, ტყვარჩელში საჰაერო-სადესანტო ჯარის ნაწილების გადასროლა და ზემო კოდორის ხეობაზე იერიშისთვის სამზადისი.

21 აპრილს პრეზიდენტ სააკაშვილთან სატელეფონო საუბრისას რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვ. პუტინმა განაცხადა, რომ საქართველოს მხრიდან კონფლიქტის ზონაში განხორციელდა სამხედრო გადაფრენა, რაც ეწინააღმდეგებოდა 1994 წლის 14 მაისის მოსკოვის შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ, წარმოადგენდა მადესტაბილიზებელ ფაქტორს და ხელს უწყობდა დაძაბულობის ესკალაციას რეგიონში.[44] ანალოგიური ხასიათის საჯარო განცხადება გააკეთა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა 22 აპრილს.[45] რუსეთის ხელისუფლების ცინიზმი ყოველგვარ ზღვარს გასცდა, როდესაც დიმიტრი რაგოზინმა გამოთქვა ვარაუდი, რომ საქართველოს უპილოტო თვითმფრინავი შეიძლებოდა ნატო-ს წევრი რომელიმე ქვეყნის კუთვნილ „MIG-29"-ს ჩამოეგდო.[46]

26 მაისს გაერო-მ გამოაქვეყნა დამოუკიდებელი ექსპერტების დასკვნა 20 აპრილის ინციდენტთან დაკავშირებით. მათ დაადასტურეს საქართველოს მიერ გავრცელებული ვიდეომასალისა და რადარის მონაცემების აუთენტურობა და უპილოტო თვითმფრინავის რუსეთის ავიაგამანადგურებლის მიერ ჩამოგდების ფაქტი. სავარაუდოდ, ავიაგამანადგურებელი გუდაუთის ბაზიდან იყო აფრენილი.[47]

---

44 разговор-грузия-саакашвили [http://www.kremlin.ru/text/psmes/2008/04/164154.shtml].

45 Комментарий Департамента информации и печати МИД России в связи с вопросами СМИ отиосительно инцидента с грузинским беспилотным самолетом 20 апреля 2008 года, 22.04.2008.

46 Russia's Moves Add To Strains With Georgia. *The Washington Post,* 1.05. 2008.

47 Report of UNOMIG on the incident of 20 April involving the downing of a Georgian unmanned aierial vehicle over the zone of conflict. *UNOMIG.* 26.05.2008.

ამ ქმედებით რუსეთმა დაარღვია გაერო-ს წესდების მე-2 მუხლი და ღია აგრესია განახორციელა სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ, რითაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ცალსახად იცავდა აფხაზური მხარის ინტერესებს, არღვევდა ნეიტრალიტეტის ვალდებულებას და სრულ წინააღმდეგობაში მოდიოდა თავის სამშვიდობო მანდატთან. ფაქტობრივად, რუსეთი კონფლიქტის მონაწილე მხარეს წარმოადგენდა.

უპილოტო თვითმფრინავის ინციდენტმა კიდევ უფრო დაძაბა ურთიერთობა საქართველოსა და რუსეთს შორის. 2008 წლის 24 აპრილს, საქართველოს მოთხოვნით, დახურულ კარს მიღმა, გაერო-ს უშიშროების საბჭოს სესია გაიმართა. საქართველოს მეგობარი ქვეყნების წარმომადგენლებმა – აშშ-მა, გაერთიანებულმა სამეფომ, საფრანგეთმა და გერმანიამ გამოაქვეყნეს ერთობლივი განცხადება, რომელშიც მოსკოვს მოუწოდებდნენ გაეუქმებინა დადგენილებები აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან ურთიერთობების ლეგალიზების შესახებ ან არ მოეხდინა მათი იმპლემენტაცია. რუსეთის ხელისუფლებამ საერთაშორისო საზოგადოებას საჯაროდ განუცხადა, რომ არ აპირებდა მიღებული გადაწყვეტილების რევიზიას.

4. სამშვიდობო მოლაპარაკებების ჩაშლა. დაძაბულობის ზრდა სეპარატისტულ რეგიონებში

კონფლიქტის რეგიონებში დღითიდღე იზრდებოდა პოლიტიკური დაძაბულობა, პარალელურად მცირდებოდა ტრანსპარანტულობის დონე, რაც ზრდიდა სეპარატისტულ რეგიონებში შეიარაღებული დაპირისპირების ესკალაციის რისკებს.

ცხინვალის რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნებას ემსახურებოდა საქართველოს პრეზიდენტის ახალი სამშვიდობო წინადადებები. პროექტი ითვალისწინებდა ცხინვალის რეგიონისათვის ფართო ავტონომიის მინიჭებას, რეგიონის მოსახლეობისათვის სოციალური გარანტიების შექმნას, დაზიანებული საკუთრების კომპენსირებასა და რესტიტუციას, თავისუფალ

და თანასწორ არჩევნებს, ოფიციალური ენის სტატუსს ოსური და ქართული ენებისათვის, საქართველოს მთავრობის მიერ სუბსიდირებულ ოსურ ტელევიზიას და რადიოს, ადგილობრივად მართულ საგანმანათლებლო სისტემას, ბეჭდურ მედიას, თეატრებს, მუზეუმებსა და კულტურულ დაწესებულებებს, გამარტივებულ მიმოსვლას ცხინვალის რეგიონიდან ჩრდილოეთ ოსეთის, ალანიის მიმართულებით.[48] კოკოითის რეჟიმმა ამ სამშვიდობო წინადადებებისადმი ობსტრუქციული პოზიცია დაიკავა.

საერთაშორისო თანამეგობრობის მთელი ყურადღება აფხაზეთზე იქნა კონცენტრირებული, რადგანაც ის კონფრონტაციის ეპიცენტრად გადაიქცა. აფხაზეთში შექმნილი ვითარების ადგილზე გასაცნობად 18 აპრილს სოხუმს ეწვივნენ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მრჩეველი კონფლიქტების მოწესრიგების საკითხში მაიკლ კარპენტერი და საქართველოში აშშ-ის ელჩის მრჩეველი პოლიტიკურ საკითხებში ალან პარსელი.[49]

25 აპრილს სოხუმში ჩავიდა გაერთიანებული სამეფოს ელჩი საქართველოში დენის კიფი, რომელმაც აფხაზურ მხარეს კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირებისკენ მოუწოდა და ამ საქმეში საერთაშორისო საზოგადოების, კერძოდ, გაერო-ს არსებითი დახმარება შესთავაზა. ბრიტანეთის ელჩი გამოთქვამდა იმედს, რომ მომავალში არ განმეორდებოდა 20 აპრილის ინციდენტი, რადგან ასეთი გარემოებები ძაბავდა ვითარებას.[50]

28 აპრილს გალში გაიმართა ევროპარლამენტის დეპუტატებისა და აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების ოფიციალური პირების შეხვედრა. აფხაზური მხარე კატეგორიულად მოითხოვდა არსებული სამშვიდობო ფორმატის, როგორც მათთვის მისაღები ერთადერთი ფორმატის, შენარჩუნებას,

48 საქართველოს მთავრობის ანგარიში...

49 [http://www.abkhaziagov.org/ru/president/press/news/detail.php?ID=9676].

50 Спикер парламента: Абхазия видит в России гаранта невозобновления военных действий. [http://www.abkhaziagov.org/ru/president/press/news/detail.php].

უარს ამბობდნენ მოლაპარაკებების პროცესში იმ შუამავლების მონაწილეობაზე, რომელთა პოზიციები „ანგაჟირებულ და არაობიექტურ ხასიათს ატარებდა". აფხაზური მხარე აცხადებდა, რომ მათთვის მიუღებელი იყო აფხაზეთის სტატუსის განხილვა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ჭრილში. მათ დასავლეთის დიპლომატები პროქართულ ორიენტაციასა და ერთა თვითგამორკვევის პრინციპების იგნორირებაში დაადანაშაულეს.

საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, ხელისუფლების ატლანტიკური მისწრაფებების მხარდაჭერას წარმოადგენდა 28 აპრილს აშშ-ის სენატის მიერ მიღებული 523-ე რეზოლუცია, რომელიც ინიცირებული იყო სენატორების ჰილარი კლინტონის, ჯონ მაკკეინის, ბარაკ ობამას, ჯიმ დიმინტისა და სხვათა მიერ. რეზოლუცია მხარს უჭერდა ნატო-ს ბუქარესტის სამიტის განცხადებას ალიანსში უკრაინისა და საქართველოს აუცილებლად გაწევრიანების შესახებ.[51] „ნატო-ს კარები ღიაა და ის დახმარებას გაუწევს საქართველოს, უკრაინასა და ყველა იმ ქვეყანას, რომელიც მზად იქნება გაიზიაროს წევრობის პასუხისმგებლობა ამ კარებში შესასვლელად", – განაცხადა სენატორმა ჯ. ბაიდენმა.

აღნიშნულ საკითხზე დადებითი პოზიცია გამოხატა პრეზიდენტობის კანდიდატმა, სენატორმა ბ. ობამამ. „მივესალმები უკრაინისა და საქართველოს სურვილს ნატო-სთან მჭიდრო კავშირების შესახებ და იმედი მაქვს, ნატო კეთილგანწყობით უპასუხებს მათ თხოვნას, წევრობის კრიტერიუმების თანმიმდევრული გატარებით", – განაცხადა სენატორმა.

„დადგა დრო ტრანსატლანტიკურმა თანამეგობრობამ აჩვენოს ერთსულოვნება და პრინციპულობა. ჩვენ მხარს ვუჭერთ აშშ-ის ადმინისტრაციის მცდელობებს ნატო-ს მომდევნო, დეკემბრის სამიტზე საქართველოსა და უკრაინის MAP-თან მიერთებისათვის", – განაცხადა სენატორმა ლუგარმა.

---

51 supporting ukraine and georgia becoming members of nato — (Senate - April 28, 2008). [Page: S3451], [http://thomas.loc.gov/cgi-bin/query/C?r110:./temp/~r1107ey7zd].

საქართველოსადმი დასავლეთის ერთსულოვან მხარდაჭერას რუსეთი მისთვის სასურველ ინტერპრეტაციას აძლევდა. მოსკოვმა საქართველოს წინააღმდეგ დაიწყო პროპაგანდისტული ომი, რომელიც საქართველოს როგორც „აგრესორისა" და აფხაზი და ოსი ხალხების „მტრის" ხატის შექმნას ემსახურებოდა. ამ ომში ფართოდ იყო ჩართული რუსეთის საგარეო სამინისტროსა და თავდაცვის უწყებების საინფორმაციო დეპარტამენტები. ისინი საერთაშორისო საზოგადოებას არწმუნებდნენ, რომ საქართველოს ხელისუფლება, ნატო-ს მხარდაჭერით, ძალისმიერი მეთოდებით გეგმავდა აფხაზეთის საკითხის გადაწყვეტას, რისთვისაც კოდორის ხეობაში, აფხაზეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვარზე, გაიგზავნა სამხედრო შენაერთები და რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებას მოუწოდებდნენ სამხედრო მფარველობის ქვეშ მოექცია სეპარატისტული რეგიონები. კოდორის ხეობაში განთავსებული გაერო-ს მონიტორინგის ჯგუფი არ ადასტურებდა რუსეთისა და აფხაზეთის მასმედიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას. ეს ცილისმწამებლური კამპანია მიზნად ისახავდა საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში რუსეთის სამხედრო ძალების რიცხოვნობის გაზრდისთვის სათანადო ნიადაგის მომზადებას.

29 აპრილს, საქართველოს ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალურად გამოაცხადა აფხაზეთის რეგიონში დამატებითი სამხედრო შენაერთების შეყვანის შესახებ. საქართველო-აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე კიდევ 15 საკონტროლო-გამშვები საგუშაგო შექმნეს. სამხედრო რიტორიკა არ ცხრებოდა კაზაკებისა და ჩრდილოკავკასიელ მოხალისეთა სარდლობის მხრიდანაც.[52] სახეზე იყო კონფლიქტის ესკალაციის დაუფარავი მცდელობა. საქართველოს ხელისუფლება კოდორის ხეობაში პროვოკაციის მოლოდინში განგაშის ზარებს რეკდა და საერთაშორისო საზოგადოებას ამცნობდა, რომ საქართველო რუსეთთან კონფლიქტის ზღვარზე იმყოფებოდა.

29 აპრილს საქართველოს პრეზიდენტმა მ. სააკაშვილმა

52 Казаки и кавказские горцы готовы помочь Абхазии. 30.04.2008. [*Pravda.ru*].

აფხაზ და ოს მოსახლეობას მოწოდებით მიმართა. მან კიდევ ერთხელ დაუჭირა მხარი კონფლიქტის მშვიდობიან მოწესრიგებას, აფხაზებსა და ოსებს მოუწოდა გაერთიანებულიყვნენ გარეშე ძალის გამოწვევის წინააღმდეგ, ძალისა, რომელიც რეგიონში სისხლისღვრას ესწრაფვოდა. „ჩვენი სამოქმედო გეგმაა არა ომი, არამედ ახალი სამუშაო ადგილების შექმნა; არა დაპირისპირება, არამედ ჩვენს მოხუცებზე და ბავშვებზე ზრუნვა, პენსიების ზრდა, უკეთესი სკოლების და საავადმყოფოების მშენებლობა; არა გათიშულობა, არამედ ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის განვითარება, ხალხის შემოსავლების ზრდა, წარმატებული ცხოვრებისათვის სათანადო შესაძლებლობების გაჩენა... ერთად უნდა დავდგეთ და ვთქვათ, რომ ჩვენ არ ვართ მტრები, რომ ჩვენ ერთი საერთო მტერი გყავს და ეს არის თავად მტრობა. მტრობა, რომელიც ჩვენი ფესვებიდან არ მოდის, თავს მოგვახვიეს და ჩვენ არასოდეს აგვირჩევია", – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.[53]

რუსეთის მილიტარისტულ ღონისძიებებს ოპერატიულად გამოეხმაურა აშშ-ის ადმინისტრაცია. აშშ-ის წარმომადგენელმა ნატო-ში ჯეიმს აპატურაიმ მხარეებს მოუწოდა თავი შეეკავებინათ ისეთი კონკრეტული ქმედებებისგან, რომლებიც ძირს გამოუთხრიდა ისედაც მყიფე ვითარებას რეგიონში.[54] აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა შ. მაკკორმაკმა რუსეთის ხელისფლებას მოუწოდა გადაესინჯა ბოლო დროს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მიმართ მიღებული გადაწყვეტილებები და განცხადებები. შ. მაკკორმაკმა დაადასტურა, რომ საქართველო-აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან საქართველოს მხრიდან ადგილი არ ჰქონდა სამხედრო ძალების ზრდას, რომ კოდორის ხეობაში მიმდინარეობდა შენაერთების სტანდარტული როტაცია.[55] 2 მაისს აშშ-ის სენატმა მიიღო 550-ე რეზოლუცია, რომელშიც შეშფოთება იყო

53 [http://www.president.gov.ge/?l=G&m=0&sm=3&st=70&id=2597].

54 Press briefing by the NATO Spokesman, James Appathurai. 30. 04.2008 [www.mfa.ge].

55 Daily Press Briefing by Sean McCor.nack, Spokesman 30. 04. 2008 [www.mfa.ge].

გამოთქმული რუსეთის ფედერაციის მხრიდან განხორციელებული პროვოკაციული ქმედებებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის გამო.[56]

ევროკავშირმა გაავრცელა დეკლარაცია, რომელშიც გმობდა აფხაზეთში რუსეთის დამატებითი სამშვიდობო ძალების შეყვანას, მხარს უჭერდა კონფლიქტების მოწესრიგებაში საერთაშორისო ორგანიზაციების, გაერო-სა და ეუთო-ს ჩართულობას.[57]

საქართველოს ხელისუფლება რუსი სამშვიდობო ძალების ნეიტრალური და მიუკერძოებელი ევროკავშირის სწრაფი რეაგირების კორპუსით ჩანაცვლებას ითხოვდა.[58] გაერო-ს დამკვირვებელთა მონაცემებით, აფხაზეთში განლაგებული იყო სადესანტო ბატალიონი, ორი 50 BMD რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი ტექნიკა, მძიმე შეიარაღება და ორი საარტილერიო ბატარეა.[59] რუსეთის სატელევიზიო არხმა «Звезда»-მ გაავრცელა ინფორმაცია, რომ 8-9 მაისს საქართველო აფხაზეთში შეიჭრებოდა.[60]

დაძაბულობის დეესკალაციის მიზნით გაიზარდა დასავლეთის მაღალი რანგის დიპლომატების ჩართულობა სამშვიდობო პროცესებში. 10 მაისს აფხაზეთს ეწვია აშშ-ის დელეგაცია მეთიუ ბრაიზას ხელმძღვანელობით. დელეგაციის წევრები იმყოფებოდნენ გაგრის, სოხუმისა და გალის რაიონებში. მათი მიზანი იყო აფხაზური მხარე დაერწმუნებინათ მოლაპარაკებების

---

56 senate resolution 550--expressing the sense of the senate regarding provocative and dangerous statements made by the government of the russian federation that undermine the territorial integrity of the republic of georgia -- (Senate - May 02, 2008). [Page: S3748] http://thomas.loc.gov/cgi-bin/query/D?r110:9:./temp/~r110yN8qp7].

57 Declaration by the Presidency on behalf of the EU on the escalation of tension between Georgia and Russia [http://www.eu2008.si/en/News_and_Documents/CFSP_Statements/May/0502MZZ_Gruzija.html].

58 [http://newsgeorgia.ge/intercoop/20080430/42220576.html].

59 Conflicting reports coming from Georgia-Abkhazia conflict zone. *RIA Novosti.* 21. 05. 2008. [http://en.rian.ru/world/20080521/108015785.html].

60 **Латынина Ю.** Как начиналась российско-грузинская война . *Новая Газета,* 28.08. 2008.

განახლებისა და კომპრომისების მიღწევის აუცილებლობაში. შეხვედრაზე აფხაზებმა მოლაპარაკებების განახლების წინაპირობად კოდორის ხეობიდან საქართველოს შეიარაღებული შენაერთების გაყვანა წამოაყენეს. დელეგაციამ გაერო-ს დამკვირვებელთა კოალიციისაგან მიიღო ინფორმაცია, რომ აფხაზეთში იმყოფებოდნენ რუსეთის სამხედრო პირები, რომლებიც არ განეკუთვნებოდნენ სამშვიდობო ფორმატს.[61]

15 მაისს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ განიხილა და მიიღო საქართველოს რეზოლუციის პროექტი „აფხაზეთიდან/საქართველო ადგილნაცვალ პირთა და ლტოლვილთა მდგომარეობის შესახებ". რეზოლუციაში კიდევ ერთხელ დაფიქსირდა დევნილთა და ლტოლვლთა უსაფრთხო, ღირსეული და ნებაყოფლობითი დაბრუნების საკითხის აქტუალურობა. დაუყოვნებლივ უნდა შემდგარიყო იძულებით ადგილნაცვალ პირთა და ლტოლვილთა აფხაზეთში დაბრუნების გრაფიკი. რეზოლუცია გაერო-ს წევრ ქვეყნებს მოუწოდებდა მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფი მოქალაქეებისათვის არ მიეცათ აფხაზეთში საკუთრების შეძენის უფლება, რადგანაც ეს არღვევდა დევნილთა და ლტოლვილთა უფლებებს. რეზოლუცია აღიარებდა აფხაზეთში განხორციელებულ ეთნოწმენდას, გმობდა დემოგრაფიულ ცვლილებებს და ნებისმიერ მცდელობას, რომელიც მიმართული იყო რეგიონში კონფლიქტამდე არსებული დემოგრაფიული სურათის შეცვლისკენ.[62] ასამბლეის სხდომაზე რუსეთი რეზოლუციის წინააღმდეგ გამოვიდა, მაგრამ ხმათა უმრავლესობით გადაწყვეტილება მაინც იქნა მიღებული.

მაისის შუა რიცხვებისათვის გახშირდა პროვოკაციები და დესტრუქციული საქმინაობა აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე რუსეთის სამშვიდობო ძალების მიერ კონტროლირებად უსაფრთხოების ზონაში. 18 მაისს სამშვიდობოთა ჯავშანტრანსპორტიორი ქ. ზუგდიდში მოქალაქის მსუბუქ

61 რუსეთსა და საქართველოს შორის ომის საფრთხე არსებობს. *კვირის პალიტრა*. 11. 05. 2008.

62 Status of internally displaced persons and refugees from Abkhazia, Georgia. *15 May 2008.* [http://daccessdds.un.org/doc/UNDOC/GEN/N07/478/71/PDF/N0747871.pdf?OpenElement].

ავტომანქანას დაეჯახა, რის გამოც ადგილობრივმა სამართალდამცავებმა ხუთი რუსი მშვიდობისმყოფელი დროებით დააკავეს. საპასუხოდ, კრემლის სამხედრო ხელმძღვანელობამ რუსი სამშვიდობოების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე, აუცილებლობის შემთხვევაში, სამხედრო ოპერაციების დაწყების სანქცია გასცა.[63] რუსეთის სამხედრო ელიტის ქმედება წარმოადგენდა ღია მოწოდებას შეიარაღებული დაპირისპირებისკენ და ხელს უწყობდა კონფლიქტის ზონაში კონფრონტაციის გაღრმავებას.

21 მაისს სოფ. ხურჩაში, რუსი სამშვიდობოების მიერ კონტროლირებად უსაფრთხოების ზონაში, ავტომატური იარაღიდან და ყუმბარმტყორცნებიდან ცეცხლი გაუხსნეს ქართველთა სამგზავრო ავტობუსებს, რაც დაადასტურეს როგორც გაერო-ს დამკვირვებლებმა, ასევე რუსეთის სამშვიდობო მისიის წარმომადგენლებმა. ისარგებლეს რა ხურჩის პროვოკაციით, რუსებმა საქართველო-აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან დამატებითი სამხედრო ძალები გადმოისროლეს.

აფხაზეთში არასამშვიდობო ფორმატის სამხედრო ნაწილების განთავსებასთან დაკავშირებით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ დსთ-ის აღმასრულებელ კომიტეტს საპროტესტო ნოტა გაუგზავნა. საქართველოს ხელისუფლება მოითხოვდა რუსეთის არალეგალური შეიარაღებული ძალებისა და ტექნიკის დაუყოვნებლივ გაყვანას აფხაზეთიდან,[64] რუსეთის ხელისუფლებასა და დსთ-ის აღმასრულებელ კომიტეტს სთავაზობდა, არაუგვიანეს 30 ივნისისა, დაეწყოთ კონსულტაციები სამშვიდობო მანდატისა და ფორმატის შეცვლის შესახებ. საქართველოს ხელისუფლების ეს ინიციატივა სრულიად მიუღებელი იყო კრემლისათვის, რადგანაც სამშვიდობო მანდატის ჩანაცვლება სტრატეგიული მნიშვნელობის გუდაუთის, ოჩამჩირის, ჯავის სამხედრო ბაზებისა და ოჩამჩირის სამხედრო პორტის დაკარგვას ნიშნავდა.

63 Tensions Heated for Abkhaz Leader Visit. *The Moscow Times*.20. 05. 2008. [http://www.themoscowtimes.com/article/1010/42/362875.htm].

64 Georgia demands withdrawal of 'illegal' Russian troops from Abkhazia. *RIA Novosti*. 21. 05. 2008. [http://en.rian.ru/world/20080521/108030559.html].

პროვოკაციები დაიწყო ცხინვალის რეგიონშიც, სადაც მარიონეტული ხელისუფლება ე.წ. სამხრეთ ოსეთის ჩრდილოეთ ოსეთთან გაერთიანების პროპაგანდას ეწეოდა. „სამხრეთ ოსეთის უმთავრესი მიზანია ჩრდილოეთ ოსეთთან უნიფიკაცია რუსეთის ფედერაციის ფარგლებში", – აცხადებდა კოკოითი, რომელსაც რუსეთთან ინკორპორაცია სრულიად შესაძლებლად მიაჩნდა რეფერენდუმის გზით.[65] 16 მაისს საქართველოს სამშვიდობო ძალებზე თავდასხმა მოხდა სოფელ ერედვთან.

21 მაისს რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმამ მიიღო დადგენილება, რომელშიც ფედერაციის ხელისუფლებას მოუწოდებდა თავისი პოლიტიკა კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების ცალმხრივ დეკლარაციასთან შესაბამისობაში მოეყვანა და განეხილა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების საკითხი. ამასთან, აღმასრულებელ ხელისუფლებას რეკომენდაციას აძლევდა გაეძლიერებინა დახმარება და პროტექცია აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეებისათვის საქართველოს ნატო-სთან ინტეგრაციის პირობებში, კრასნოდარის მხარესა და ჩრდილოეთ ოსეთში (ალანია) არსებულ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებს საკონსულო სამსახური გაეწიათ თვითაღიარებულ რესპუბლიკებში მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობისათვის.

რუსეთი ღიად დაადგა საქართველოს სეპარატისტული რეგიონების აღიარების გზას. შექმნილი დაძაბულობის ფონზე სამშვიდობო ძალისხმევა გააძლიერეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა. 28 მაისს აფხაზეთს ეწვია დევნილთა საკითხებში გაერო-ს უმაღლესი კომისრის დელეგაცია უმაღლესი კომისრის მოადგილის კრეიგ ჯონსტონის ხელმძღვანელობით. მათი მიზანი იყო დაეწყოთ პრაქტიკული ღონისძიებების გატარება გაერო-ს გენერალური ასამბლეის 15 მაისის რეზოლუციის იმპლემენტაციისათვის. კერძოდ, შეესწავლათ აფხაზეთში დაბრუნებული ქართველების ყოფითი პირობები და ადგილნაცვალ

65 moscow encourages north-south ossetian irredentism against georgia. *The Jamestown Foundation.* 21.05.2008. [http://jamestown.org/edm/article.php?article_id=2373078].

პირთა დაბრუნების პროცესის განახლების საკითხები. შეხვედრაზე აფხაზეთის მხარემ ქართველ დევნილთა დაბრუნებაზე უარი განაცხადა.[66]

30 მაისს აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტსა და ოფიციალურ პირებს შეხვდნენ ევროკავშირის ელჩები (საფრანგეთი, ბულგარეთი, საბერძნეთი, იტალია, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, ნიდერლანდები, რუმინეთი, შვეცია, სლოვენია, გერმანია, პოლონეთი) და ევროკომისიის წარმომადგენლები. დელეგაციამ აფხაზურ მხარეს საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციის ჩატარება შესთავაზა, რაზეც მათ კატაგორიული უარი მიიღეს. ბაგაფშმა მოლაპარაკებების განახლების წინაპირობად კოდორის ხეობაში სტატუს-კვოს აღდგენა, საქართველოს მიერ ცეცხლის განუახლებლობა და სადავო საკითხების მშვიდობიანი დარეგულირების შეთანხმებაზე ხელმოწერა დაასახელა. აფხაზეთის მხარე კოდორის ხეობაში საერთაშორისო მონიტორინგისა და უსაფრთხოების კოლექტიური ძალების (КСПМ) შეყვანას მოითხოვდა. ევროკავშირის ელჩებმა შეხვედრაზე წამოსწიეს აფხაზეთთან განათლების, ჯანდაცვის, კომუნიკაციების სფეროში შესაძლო თანამშრომლობის საკითხები. ერთი სიტყვით, ევროპა აფხაზეთს ბევრად მეტს სთავაზობდა, ვიდრე რუსეთის ფედერაციის მხრიდან დსთ-ის ემბარგოს რეჟიმიდან გამოსვლა ან, თუნდაც, რუსეთთან პირდაპირი ეკონომიკური კავშირების დამყარება იყო.

რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური ისტებლიშმენტი თავად არ გამოხატავდა წინააღმდეგობას საქართველოს ხელისუფლების, გაერო-სა თუ ევროკავშირის წარმომადგენლების სამშვიდობო ინიციატივებისადმი, მაგრამ ფარულად ყველა ღონეს ხმარობდა სამშვიდობო პროცესის ჩასაშლელად. სეპარატისტული რეჟიმი კრემლის პოლიტიკური და სამხედრო მხარდაჭერით ცდილობდა დაეკანონებინა ეთნიკური წმენდის შედეგები, რითაც არღვევდა საერთაშორისო სამართლის იმპერატიულ ნორმებს. რაც უფრო ხისტი და პრორუსული იყო სეპარატისტული რეჟიმის პოზიცია, მით უფრო დემონსტრაცი-

66 Сергей Шамба: В настоящее время речь может идти лишь о возвращении беженцев в Гальский район [http://www.abkhaziagov.org/ru/president/press/news/detail.php].

ულად იზრდებოდა კრემლის მხარდაჭერა სოხუმის დე-ფაქტო ხელისუფლებისადმი.

31 მაისს რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ აფხაზეთში შემოიყვანა ვოლგოგრადის სარკინიგზო ჯარების 76-ე ნაწილის 400 ჯარისკაცი აფხაზეთის სარკინიგზო ინფრასტრუქტურის შესაკეთებლად. ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იააპ დე ჰოოპ სხეფერმა რუსეთი საქართველოს სუვერენიტეტის ხელყოფაში დაადანაშაულა და სარკინიგზო ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანა მოითხოვა.[67] რუსეთის ხელისუფლება თვლიდა, რომ სარკინიგზო-საინჟინრო ნაწილები რეგიონში უნდა დარჩენილიყვნენ სარკინიგზო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის დასრულებამდე. ამ ხნის მანძილზე აფხაზეთის ტერიტორიაზე არ წყდებოდა აფეთქებები, რომლებიც მიზნად ისახავდა რეგიონში სარკინიგზო ჯარების ყოფნის ლეგალიზებას.

საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთის ქმედება ღია აგრესიად და ახალი ფართომასშტაბიანი აგრესიისათვის სამზადისად შეაფასა. 2 ივნისს საქართველოს პრეზიდენტი მ. სააკაშვილი რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ დ. მედვედევთან სატელეფონო საუბარში შეეხო სარკინიგზო ჯარების აფხაზეთში შეყვანის საკითხს. სახელმწიფოთა მეთაურები შეთანხმდნენ, რომ რეგიონში მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების პრობლემები განეხილათ სანკტ-პეტერბურგში, პეტერბურგის ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში.[68] სანკტ-პეტერბურგში პრეზიდენტების შეხვედრა კონკრეტული შედეგების გარეშე დასრულდა.

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში შექმნილი ვითარება გააანალიზეს 5 ივნისს მოსკოვში გამართულ შეხვედრაზე აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ მეთიუ ბრაიზამ და რუსეთის ფედერაციის სტატს-მდივანმა, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა. მათ განიხილეს რეგიონში დაძაბულობის დეესკალაციის საკითხები.[69]

---

67 Nato warns Russia over Abkhazia. *BBC*. 03.06. 2008.

68 [http://www.kremlin.ru/text/news/2008/06/202054.shtml].

69 Карасин и Брайза обсудили ситуацию в зонах грузино-абхазского и грузино-осетинского конфликтов. [www.mid.ru].

როგორც საქართველოს, ასევე დასავლეთის პოლიტიკურ წრეებს ღრმად სწამდათ, რომ რუსეთის ფედერაციის ახალი პრეზიდენტი დასავლეთთან მიმართებაში ახალ ხედვას, კონსტრუქციული დიალოგისა და მჭიდრო თანამშრომლობის სტრატეგიას აირჩევდა. თუმცა, ეტაპობრივად სხვა დისპოზიცია გამოიკვეთა: რუსეთის პრეზიდენტ-პრემიერ-მინისტრის ტანდემი შეთანხმებულად მოქმედებდა და საქართველოსთან მიმართებაში უკომპრომისო პოლიტიკურ კურსს აგრძელებდა.

აფხაზეთში დაძაბულობის განმუხტვის და სიტუაციის სტაბილიზაციის ერთადერთ გზად სამშვიდობო ფორმატის ჩანაცვლება რჩებოდა. სწორედ ამ პოზიციას დაუჭირა მხარი ევროპარლამენტმა 5 ივნისს ბრიუსელში გამართულ შეხვედრაზე. დეკლარაციაში აღინიშნა რუსეთის სამშვიდობო მანდატის გადახედვის აუცილებელლობა, რადგან ეჭვქვეშ დადგა რუსი მშვიდობისმყოფელების ნეიტრალურობა და მიუკერძოებლობა. ევროპარლამენტი მხარს უჭერდა საქართველოს ხელისუფლების ინიციატივას ალტერნატიული, ჭეშმარიტად დამოუკიდებელი საერთაშორისო სამშვიდობო მისიის შექმნის თაობაზე. ევროპარლამენტარები ევროკავშირის სახელისუფლებო ინსტიტუტებს მოუწოდებდნენ დაეჩქარებინათ მოლაპარაკებები ევროკავშირ-საქართველოს შორის სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ, რომელიც არ გავრცელდებოდა სეპარატისტულ რეგიონებში მცხოვრებ რუსეთის პასპორტების მქონე პირებზე. მათ მხარი დაუჭირეს ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის ხავიერ სოლანას სამშვიდობო ინიციატივას ხელი შეეწყო მხარეთა დაახლოებისა და მათ შორის ნდობის აღგენისთვის.[70]

6 ივნისს აფხაზეთს ეწვია ევროკავშირის საბჭოს გენერალური მდივანი, ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ხავიერ სოლანა. ევროკავშირის პირველ დიპლომატს ჰქონდა კონკრეტული წინადადებები – მხარეებს შორის პირდაპირი

70 European Parliament resolution of 5 June 2008 on the situation in Georgia. [http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?pubRef=-//EP//TEXT+TA+P6-TA-2008-0253+0+DOC+XML+V0//EN&language=EN].

დიალოგის დაწყება, სავაჭრო კავშირების აღდგენა და სამშვიდობო ფორმატის გაფართოება. ამ უკანასკნელი საკითხის განხილვაზე აფხაზურმა მხარემ უარი განაცხადა და ირწმუნებოდა, რომ ყველა ღონეს მიმართავდა რეგიონში რუსეთის სამშვიდობო მანდატის შესანარჩუნებლად. ევროკავშირის უმაღლესი კომისრის ძალისხმევა უშედეგო აღმოჩნდა. არსებული სამშვიდობო მისიის სტრუქტურებში ცვლილებები შეუძლებელი იყო მხარეების თანხმობის გარეშე. რუსეთის ხელისუფლება საჯაროდ ეთანხმებოდა სამშვიდობო ფორმატის შეცვლას, მაგრამ საქმით ზურგს უმაგრებდა დე-ფაქტო ხელისუფლებას. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო აღფრთოვანებას ვერ მალავდა ევროკომისართან შეხვედრაზე ბაგაფშის მტკიცე პოზიციის გამო. ამ ვიზიტის პირდაპირ შედეგს წარმოადგენდა გალის რაიონის ქართულ მოსახლეობაში იძულებითი პასპორტიზაციის განახლება.

აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების ორივე შტოს წარმომადგენლები პერმანენტულ განცხადებებს აკეთებდნენ იმის თაობაზე, რომ რუსეთი წარმოადგენდა რეგიონში ომის განუახლებლობის ერთადერთ გარანტს, რომ მზად იყვნენ რუსეთთან ხელი მოეწერათ სამხედრო შეთანხმებისთვის „აფხაზეთის საქართველოს აგრესიისგან დასაცავად“. აფხაზეთის პარლამენტი ღებულობდა რეზოლუციებს, რომლებიც სამართლებრივ საფუძველს უმყარებდა სარკინიგზო ჯარებისა თუ დამატებითი არასამშვიდობო კონტინგენტის გაზრდას აფხაზეთის ტერიტორიაზე. ამავდროულად, ნატო-ს, ევროკავშირსა და გაერო-ს საქართველოს მეგობარი ჯგუფის ქვეყნებს „ქართული რევანშიზმისა და ექსტრემიზმის წახალისებაში“ ადანაშაულებდნენ. ბაგაფში აშშ-ის ატლანტიკური საბჭოს დელეგაციის წევრებთან შეხვედრაზე ამტკიცებდა, რომ რუსეთის სამხედრო კონტინგენტის გაზრდა აფხაზეთის მხარის მოთხოვნით ხდებოდა და რუსეთის ხელისუფლების ქმედებები შეესაბამებოდა 1994 წლის 22 აგვისტოს დსთ-ის სახელმწიფო მეთაურთა საბჭოს გადაწყვეტილებებს.

მოსკოვის გაღიზიანებას იწვევდა თბილისის მხრიდან სამშ-

ვიდობო ფორმატის ინტერნაციონალიზაციის, რუსი სამშვიდობოების სტატუსის გადასინჯვისა და მათი საერთაშორისო ძალებით ჩანაცვლების მცდელობები. კრემლი ამტკიცებდა, რომ ის იყო აფხაზი ხალხის ინტერესების ერთადერთი რეალური დამცველი და მისი ჩამოცილება სამშვიდობო მისიიდან გამოიწვევდა კონფლიქტის გალღობას და დაძაბულობის ესკალაციას მთელს კავკასიაში.[71] აფხაზ ხალხზე „მზრუნველობის" დასადასტურებლად აღდგა საზღვაო მიმოსვლა სოჭსა და გაგრას შორის, იყო სოხუმსა და მოსკოვს შორის პირდაპირი საერთაშორისო საჰაერო ფრენების განახლების მცდელობაც, რომელსაც წინ აღუდგა საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაცია.

ივნისის შუა რიცხვებისთვის ოჩამჩირის რაიონში, სოფ. აგუბედიასთან, რუსეთის სამხედრო ბაზაზე დაიწყო მძიმე სამხედრო ტექნიკის მობილიზება. აფხაზეთში განთავსებულმა გაერო-ს დამკვირვებელთა მისიამ ვერ შეძლო ამ ტერიტორიების დათვალიერება, რადგან რუსმა სამხედროებმა ისინი სოფელში არ შეუშვეს.[72] რუსები ფარულად აიარაღებდნენ კონფლიქტის ზონის მიღმა მათ მიერ კონტროლირებადი უსაფრთხოების ზონაში მდებარე საკონტროლო-გამშვებ პუნქტებს. 18 ივნისს, აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან, ქართველმა პოლიციელებმა დააკავეს 4 რუსი მშვიდობისმყოფელი და ამუნიციით დატვირთული სამხედრო სატვირთო მანქანა. ამიერკავკასიის ქვეყნებთან კოორდინირების გარეშე, ჯარისკაცებს გადაჰქონდათ 35 ყუთი იარაღი, მათ შორის, რეაქტიული რაკეტები და ტანკსაწინააღმდეგო ნაღმები, რაც არ იყო ნებადართული გაერო-ს რეზოლუციით კონფლიქტის ზონაში მძიმე ტექნიკის აკრძალვის შესახებ. აღშფოთებული რუსი გენერლები სამშვიდობოების დაკავების ფაქტის განმეორების შემთხვევაში სისხლისღვრით იმუქრებოდნენ.[73] გენერ-

71 Moscow warns against pulling peacekeepers out of Abkhazia. *RIA Novosti*, 17. 08. 2008. [http://en.rian.ru/russia/20080617/110846941.html].

72 Russian Military Keeps UN Military Observers Out of Georgian Village: Abkhazia Legitimate Government. *Trend News*.17. 06. 2008 [http://news.trendaz.com/index.shtml?show=news&newsid=1225550&lang=EN].

73 Russia warns Georgia detaining peacekeepers may end in bloodshed. *RIA No-*

ლების პოზიციას მხარი დაუჭირა რუსეთის პრეზიდენტმა.[74]

კონფრონტაციამ აფხაზეთში პიკს მიაღწია, მაშინ როდესაც ცხინვალის რეგიონში სიმშვიდე მეტ-ნაკლებად შენარჩუნებული იყო. 14-15 ივნისს ცხინვალის რეგიონის ქართულ სოფლებს – მამისაანთუბანს, წარგვსა და ერგნეთს ინტენსიური ცეცხლი გაუხსნეს ცხინვალის მხრიდან. შეიარაღებული პროვოკაციის შედეგად დაზიანდა სოფლების – ნიქოზისა და ერგნეთის საცხოვრებელი სახლები. ეუთო-ს მონიტორინგის ჯგუფის დამკვირვებლებმა ვერ შეძლეს დაედგინათ თუ რომელმა მხარემ გაისროლა პირველმა. ორმხრივი ცეცხლის შედეგად იყვნენ დაჭრილები და გარდაცვლილები.[75] ამ ინციდენტის შედეგად დაიცხრილა ეუთო-ს დამკვირვებელთა მისიის მანქანები, რითაც პირდაპირი საფრთხე შეუქმნეს მათ სიცოცხლეს. ეუთო-ს სამხედრო დამკვირვებლების მოქმედება შეზღუდული იყო და მათზე პოლიტიკური ზეწოლა ხდებოდა.

16 ივნისს სოხუმში შედგა კოკოითისა და ბაგაფშის შეხვედრა. ამ შეხვედრის დეტალები არ ხმაურდება, მაგრამ შემდგომში განვითარებული მოვლენების ანალიზი საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ რუსეთის გენერალიტეტმა თავის სტრატეგიულ გეგმაში ტაქტიკური ცვლილებები შეიტანა. კერძოდ, კონფრონტაციის ეპიცენტრი აფხაზეთიდან ცხინვალში გადაიტანეს. ეს ტაქტიკური ცვლილება ობიექტური გარემოებებით იყო ნაკარნახევი. აფხაზეთი მაღალი რანგის დიპლომატების, პოლიტიკოსებისა და მათი კორტეჟის თითქმის ყოველდღიური ვიზიტის ასპარეზად იქცა, ამიტომ სამხედრო ძალების შეუმჩნეველი გადაადგილება შეუძლებელი იყო. ცხინვალის ანკლავურ რეგიონში ამ პროცესებს ვერავინ გააკონტროლებდა. რაც შეეხება ეუთო-ს დამკვირვებელთა მისიის სამკაციან ჯგუფს, ის იმდენად დაუცველი იყო, რომ რუს

---

vosti. 19. 06. 2008. [http://en.rian.ru/world/20080619/111333707.html].

74 Russian president backs peacekeepers in Georgia. *Reuters*. 21. 06. 2008. [http://www.reuters.com/article/worldNews/idUSL2144306520080621?pageNumber=1&virtualBrandChannel=0].

75 Crossfire kills one in Georgian breakaway region. *Agence France-Presse*. 15.06. 2008 [http://afp.google.com/article/ALeqM5jyl-ia34FGB728ru_85p2zz_v8IQ].

გენერლებს დაბრკოლებებს ვერ შეუქმნიდა. ცხინვალის სეპარატისტული რეჟიმი ყოველმხრივ ბლოკავდა სამხედრო დამკვირვებელთა რაოდენობის გაზრდას და ცდილობდა კონფლიქტის ზონაში მიმდინარე პროცესებიდან საერთაშორისო თანამეგობრობის იზოლაციას.

23 ივნისს ცხინვალის რეგიონს ეწვივნენ საქართველოში აკრედიტებული ევროკავშირის ქვეყნების (საფრანგეთი, ბულგარეთი, საბერძნეთი, იტალია, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, ნიდერლანდები, პოლონეთი, ჩეხეთი, რუმინეთი, შვეცია და გაერთიანებული სამეფო) დიპლომატები. ელჩები შეხვდნენ ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებს – ჩოჩიევს, კოჩიევსა და სხვებს. ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლებამ ხელაღებით უარყო შერეული საკონტროლო კომისიის ჩანაცვლების შესაძლებლობა. დელეგაციის წევრები გაეცნენ კონფლიქტის რეგიონში შექმნილ ვითარებასა და დონორთა პროგრამის ფარგლებში კონფლიქტის ზონის ეკონომიკური რეაბილიტაციის პროცესებს, ქურთაში შეხვდნენ სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, პროქართულად განწყობილ დიმიტრი სანაკოევს. საპასუხოდ, ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლებამ ევროკავშირის ქვეყნების ელჩები ცხინვალიდან გამოაძევა. სამწუხაროდ, მათ ამ უპასუხისმგებლო ქმედებას არ მიეცა სათანადო პოლიტიკური შეფასება.

აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მოვლენების ნეგატიურ განვითარებაზე, მდგომარეობის გაუარესების პრევენციის, სამშვიდობო პროცესში შექმნილი კრიზისისა და მისი დაძლევის პერსპექტივებზე იმსჯელეს 30 ივნისს ბერლინში გაერო-ს მეგობართა ჯგუფის წარმომადგენლებმა. შეხვედრაზე შეჯამდა სხვადასხვა დელეგაციის მუშაობის შედეგები, შემუშავდა კონფლიქტის დარეგულირების წინადადებათა ახალი პაკეტი. საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევას რუსეთის სამშვიდობო ძალებმა 1 ივლისიდან მდ. ენგურზე ადმინისტრაციული საზღვრის ჩაკეტვით უპასუხეს. თავიანთ ქმედებებს 29-30 ივნისს სოხუმსა და გაგრაში განხორციელებული პროვოკაციული აფეთქებებით ამართლებდნენ. ადმინისტრაციული

საზღვრის გადაკვეთის უფლებას მხოლოდ იმ საერთაშორისო მისიების წარმომადგენლებს აძლევდნენ, რომლებიც აკრედიტებული იყვნენ აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში.[76] ამ ღონისძიებით რუსეთის ფედერაციამ, ერთი მხრივ, საქართველო-აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვარი ჩაკეტა საერთაშორისო დიპლომატიური მისიებისთვის და, პრაქტიკულად, მთელი რეგიონი, რუსეთის ერთპიროვნულ კონტროლს დაექვემდებარა. მეორე მხრივ, განამტკიცებდა დე-ფაქტო მთავრობის პოზიციებს.

ივლისის დასაწყისში აშკარად გამოიკვეთა სიტუაციის დესტაბილიზაციის ტენდენცია. რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ შეძლო ერთიანი სეპარატისტული ფრონტის შექმნა. კარგად ორგანიზებული ტერორისტული აქტებით გახშირდა შეიარაღებული დაპირისპირების პროვოცირების მცდელობები. სიტუაცია უმართავ ხასიათს იღებდა. აფხაზეთისა და ცხინვალის რეჟიმებთან უნისონში, რუსეთის ხელისუფლება აგრძელებდა პროპაგანდისტულ ომს საქართველოს წინააღმდეგ. რუსი სამშვიდობოები, მანიპულირებდნენ რა სამშვიდობო მანდატით, ხელს უწყობდნენ დესტაბილიზაციის გაღრმავებას კონფლიქტურ რეგიონებში.

2 ივლისს, გამთენიისას, აფეთქება მოხდა საქართველოს საკონტროლო საგუშაგოსთან, რუსი სამშვიდობოების მიერ წინა დღით ჩაკეტილი მდ. ენგურის ხიდის გადასასვლელზე. მეორე დღის გამთენიისას, დე-ფაქტო პრეზიდენტის განკარგულებით, აფხაზეთის პარამილიტარული შენაერთები საქართველოს ადმინისტრაციულ საზღვართან, რუსების მიერ კონტროლირებად უსაფრთხოების ზონაში განლაგდნენ. 5 ივლისს სოხუმში, ბუნდესტაგის დეპუტატებთან გამართულ შეხვედრაზე აფხაზეთის მარიონეტულმა ხელისუფლებამ დაადასტურა აფხაზთა სამხედრო შენაერთების გადასროლა ადმინისტრაციულ საზღვართან და ცხინვალში სროლების განახლების შემთხვევაში, მათი უშუალოდ საზღვარზე გადაყვანით იმუქრებოდა. ბუნდესტაგის ერთ-

76 Грузино-абхазская граница по реке Ингур закрыта [http://www.abkhaziagov.org/ru/president/press/news/detail.php].

ერთი დეპუტატის შეკითხვაზე თუ რა სახელმწიფოს აშენებდნენ აფხაზები, როცა 145 ათასიან მოსახლეობაში მხოლოდ 40-45 ათასამდე აფხაზი ცხოვრობდა, ბაგაფშმა უპასუხა, რომ აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო და ის არასდროს დაბრუნდებოდა საქართველოს შემადგენლობაში, რომ არ დაუშვებდნენ რუსეთის სამშვიდობო ძალების ჩანაცვლებას საერთაშორისო სამშვიდობო თუ პოლიციური ძალებით.[77]

3 ივლისს განხორციელებული ტერორისტული აქტის შედეგად ვითარება დაიძაბა ცხინვალის რეგიონშიც. სოფელ დმენისის გზაზე ააფეთქეს დიმიტრი სანაკოევის კორტეჟი. დაიჭრა სანაკოევის თანმხლები პოლიციის 5 თანამშრომელი. პროვოკაციის საბაბად გამოყენებულ იქნა ოსების მიერ კონტროლირებად სოფელ დმენისში პოლიციის უფროსის ნოდარ ბიბილოვის მკვლელობა საკუთარი სახლის სორტირში. გვიან საღამოს ოსმა შეიარაღებულმა ფორმირებებმა ავტომატებიდან და ყუმბარმტყორცნებიდან ცეცხლი გაუხსნეს ქართველების მიერ კონტროლირებად სოფლებს — ნიქოზს, ერგნეთს, ერედვს, ფრისს, ვანათს, თამარაშენსა და ავნევს. დაიღუპა ორი ადამიანი.[78] კოკოითის რეჟიმმა რეზერვისტების მობილიზაცია გამოაცხადა და ისინი სამხედრო მზადყოფნაში მოიყვანა.[79]

საერთაშორისო თანამეგობრობა დიდი იმედით ადევნებდა თვალს 5 ივლისს ქ. ასტანაში საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტების არაოფიციალურ შეხვედრას, რომელიც, სამწუხაროდ, არაპროდუქტიული აღმოჩნდა. საბოლოოდ გაირკვა, რომ რუსეთის ხელისუფლება არ აპირებდა პოლიტიკური კურსის შეცვლას და საქართველოს სეპარატისტული რეგიონების მიმართ მიღებული გადაწყვეტილებების რევიზიას. ამ ფონზე წარუმატებელი იყო საერთაშორისო ნეი-

77 Грузия не готова к мирному диалогу, - заявил президент Сергей Багапш на встрече с депутатами Бундестага. [http://www.abkhaziagov.org/ru/president/press/news/detail.php].

78 Two Killed in Overnight Shelling in S.Ossetia. *Civil Georgia*. 04. 07. 2008. [http://www.civil.ge/eng/article.php?id=18677].

79 South Ossetia threatens Georgia with retaliation. *Russia Today*. 04. 07. 2008. [http://www.russiatoday.ru/news/news/27009].

ტრალური მედიატორებისა და ფასილიტატორების ნებისმიერი სამშვიდობო ინიციატივა.

6 ივლისს აფეთქებების სერია განხორციელდა აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან. ოთხი აფეთქება მოხდა მდ. ენგურის ხიდთან ახლოს, ერთიც – სადემარკაციო ხაზის ჩრდილო-დასავლეთით, საქართველოს შინაგანი ჯარის ნაწილების სადამკვირვებლო პოსტიდან 400 მეტრში. გალის ცენტრში, გაერო-ს დამკვირვებელთა მისიის ოფისთან ახლოს, აფეთქების შედეგად დაიჭრა 6 და დაიღუპა 4 ადამიანი, მათ შორის, მისიის თანამშრომელი. აფეთქება კრიმინალურ დაჯგუფებებს შორის დაპირისპირების შედეგი იყო, მაგრამ აფხაზეთის დე-ფაქტო ლიდერები ამ ინციდენტში საქართველოს ხელისუფლებას ადანაშაულებდნენ. იმავე დღეს რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს, აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების სპეცსამსახურებს ხელთ ჩაუვარდათ „აფხაზეთის დაპყრობის ქართული გეგმა“, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას 2008 წლის მაისში უნდა განეხორციელებინა.

აფხაზეთში შექმნილი დაძაბულობის განსამუხტავად საქართველოს მთავრობა, საერთაშორისო საპოლიციო ძალების ხელმძღვანელობით, გალსა და ოჩამჩირეში ადგილობრივი ქართულ-აფხაზური პოლიციის შექმნის ინიციატივით გამოვიდა. ინიციატივას მხარი დაუჭირეს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა და ევროკავშირის ლიდერებმა. ეს საკითხი 8 ივლისს აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტთან განიხილა დანიის სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრმა პიერ შტინგ მოლლერმა. ბაგაფშის შეხედულებით, მსგავსი წინადადებების უმთავრეს მიზანს მოლაპარაკებების პროცესის ფორმატის შეცვლა, რეგიონში რუსეთის როლის შესუსტება და ადრე მიღებული შეთანხმებების რევიზია წარმოადგენდა. დანიის სამეფოს პირველი დიპლომატის აზრით, კონფლიქტის გადაწყვეტა აფხაზეთის ინტერესების, აფხაზი ხალხის ისტორიისა და კულტურის გათვალისწინებით უნდა მომხდარიყო, მაგრამ ამის მიღწევა მხოლოდ აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში დაბ-

რუნებით იქნებოდა შესაძლებელი.[80]

8 ივლისს ცხინვალს საქართველოში აკრედიტებული ეუთო-ს ქვეყნების ელჩების დელეგაცია ეწვია, რომელთაც დღის წესრიგში დააყენეს სამშვიდობო პროცესის ფორმატის ჩანაცვლების საკითხი, მაგრამ კოკოითის მიერ ეს წინადადება არ იქნა გაზიარებული.

იმავე დღეს ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვართან, ზნაურის რაიონის სოფ. ოკონთან, ოსებმა დააკავეს საქართველოს არტილერიის ბრიგადის ოთხი ოფიცერი, რამაც საქართველოს ხელისუფლების პროტესტი გამოიწვია. ვითარება უკიდურესად დაიძაბა. რუსეთის ოთხმა სამხედრო თვითმფრინავმა დაარღვია საქართველოს საჰაერო სივრცე და ცხინვალის ტერიტორიაზე შემოიჭრა. ეს ქმედება წარმოადგენდა სამხედრო აგრესიის აქტს და კიდევ ერთხელ ადასტურებდა, რომ რუსეთი იყო კონფლიქტის მხარე. აღნიშნული პროვოკაციები შეიძლება შეფასდეს, როგორც საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებების დაწყების აშკარა მცდელობა.

აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით განცხადება გამოაქვეყნა ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა ხავიერ სოლანამ, რომელშიც შეშფოთებას გამოთქვამდა აფხაზეთსა და ცხინვალის ზონაში ვითარების დაძაბვისა და კონფლიქტის გამწვავების საფრთხეების მაღალი დონის გამო. მან მხარეებს მოუწოდა გამოევლინათ თავშეკავება და დაბრუნებოდნენ სამშვიდობო მოლაპარაკებებს.[81] ევროკავშირის ხელმძღვანელთა დირექტივით, ევროკავშირის წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში პიტერ სემნები უშუალოდ ჩაება სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესში.

კონფლიქტის დარეგულირების საკითხებში საქართველოსა და რუსეთს შორის დაპირისპირებამ დიპლომატიური ურთ-

80 Президент Республики Абхазия С. В. Багапш принял министра иностранных дел Дании Пьера Штинга Моллера. [http://www.abkhaziagov.org/ru/president/press/news/detail.php].

81 Statement by Javier Solana, EU High Representative for the CFSP, on South Ossetia and Abkhazia. [http://www.delgeo.ec.europa.eu/en/press/8July2008.html].

იერთობების სიბრტყეში გადაინაცვლა. რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, რომელშიც საქართველოს ხელისუფლებას აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში 15 წლის მანძილზე არსებული სამშვიდობო არქიტექტურის შეგნებულ რღვევასა და კონფლიქტის რეგულირების მისთვის მისაღები მექანიზმებით ჩანაცვლების მცდელობებში ადანაშაულებდა.

8 ივლისს რუსეთის წარმომადგენელმა გაერო-ში შეიტანა რეზოლუციის პროექტი, რომელშიც მოითხოვდა საქართველოს ხელისუფლებას ხელი მოეწერა ძალის გამოუყენებლობის დოკუმენტზე, გამოეყვანა შეიარაღებული ძალები კოდორის ხეობიდან 1994 წლის 14 მაისის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. მეორე დღეს უშიშროების საბჭომ განიხილა რეზოლუციის პროექტი და საკითხის შემდეგომი შესწავლის მიზნით ის გაერო-ს მეგობართა ჯგუფს გადაეგზავნა.[82]

პროვოკაციების კასკადი განხორციელდა 9 ივლისს. აფხაზებმა იერიში მიიტანეს ქვემო კოდორის ხეობაში, აჩამხარაში მდებარე ქართულ საგუშაგოზე. ორმხრივი ცეცხლის შედეგად დაშავდა საქართველოს შინაგანი ჯარების 3 პოლიციელი და 2 აფხაზი რეზერვისტი. გვიან საღამოს ოსებმა ცეცხლი გახსნეს სოფელ ავნევის მიმართულებით.

საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებში ორგანიზებული ტერორისტული აქტები და ცილისმწამებლური კამპანია რუსეთის სამხედრო შენაერთების საომარ მზადყოფნაში მოსაყვანად სათანადო პირობების მომზადებას ემსახურებოდა. სამხედრო მზადყოფნა გამოცხადდა აფხაზეთში დისლოცირებულ რუსეთის სამშვიდობო ჯარებში, გამკაცრდა უსაფრთხოების ზომები სამშვიდობოთა ბაზებში, სადამკვირვებლო პოსტებსა და საკონტროლო-გამშვებ პუნქტებზე. სამშვიდობო პერსონალს ჩაუტარდა დამატებითი ტრენინგები.[83] შექმნილი საგანგებო ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოს თავ-

82 [www.securitycouncilreport.org/.../ Update%20Report%2018%20July%202008%20Georgia.doc].

83 Russian MoD: Troops on Combat Readiness in Abkhazia. *Civil Georgia*. 11. 07. 2008. [http://www.civil.ge/eng/article.php?id=18758].

დაცვის სამინისტრომ დაიწყო დამატებითი ზომების მიღება აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან ადმინისტრაციული საზღვრების, საქართველოს საჰაერო სივრცისა და შავი ზღვის სანაპირო ზოლის დასაცავად.

10 ივლისს საქართველოს ესტუმრა აშშ-ის სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა საქართველო-რუსეთის ურთიერთობების განხილვა. საქართველოს პრეზიდენტთან ერთად გამართულ ბრიფინგზე აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა რუსეთს მოუწოდა პატივი ეცა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის, როგორც საქართველოს მეგობართა ჯგუფის წევრ ქვეყანას, თავისი წვლილი შეეტანა სამშვიდობო პროცესების წარმართვაში. სახელმწიფო მდივანმა მხარი დაუჭირა კონფლიქტების მოწესრიგების სამშვიდობო პროცესს და გამოთქვა აშშ-ის ხელისუფლების მზაობა ამ მიმართულებით საქმიანობის გასაფართოებლად. კ. რაისი, ასევე, შეეხო საქართველოს ტრანსატლანტიკურ მისწრაფებას და ხაზი გაუსვა ამ ეტაპზე საქართველოს ნატოს-თან მიერთების მნიშვნელობას.[84]

იმავე დღეს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააკეთა განცხადება, რომელშიც ოფიციალურად დაადასტურა რუსეთის სამხედრო თვითმფრინავების შემოჭრა საქართველოს საჰაერო სივრცეში, რითაც, პრაქტიკულად, აღიარა საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესია. ამ ქმედებით კრემლმა იმის საჯარო დემონსტრირება მოახდინა, რომ მისი საზღვრების მიმდებარე ტერიტორიები რუსეთის სამხედრო კონტროლქვეშ იმყოფებოდა. საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობის მიმართ პროტესტის ნიშნად, 11 ივლისს საქართველოს ხელისუფლებამ მოსკოვიდან გამოიწვია ელჩი კონსულტაციებისთვის. ამავდროულად, საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაერო-ს უშიშროების საბჭოს მოუწოდა დაუყოვნებლივ შეკრებილიყვნენ საქართველოს კონფლიქტის ზონაში შექმნილი ვითარების განსახილველად.

საქართველოს პარლამენტმა საერთაშორისო თანამე-

84 [http://2001-2009.state.gov/secretary/rm/2008/07/106912.htm].

გობრობას, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და პარტნიორი ქვეყნების პარლამენტებს მიმართა მოწოდებით მკაცრი შეფასება მიეცათ რუსეთის ფედერაციის აგრესიული ქმედებებისათვის, მხარი დაეჭირათ საქართველოს ინიციატივისთვის არსებული სამშვიდობო ფორმატის შეცვლისა და მისი საერთაშორისო საპოლიციო ძალებით ჩანაცვლების შესახებ. „წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს მხარე იძულებული იქნება, უახლოეს მომავალში, მიიღოს შესაბამისი სამართლებრივი ზომები კონფლიქტის ზონებში მოქმედი რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების დელეგიტიმაციისა და უსწრაფესად გაყვანის მიზნით", – ნათქვამია მიმართვაში.

15 ივლისს ნატო-ს წარმომადგენლებმა დაგმეს რუსეთის სამხედრო თვითმფრინავების მიერ საქართველოს საჰაერო სივრცის წინასწარგანზრახული დარღვევა. მათი აზრით, რუსეთმა ამ ქმედებით კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა თავისი სამშვიდობო როლი აფხაზეთში და ფასილიტატორის ფუნქცია თბილისსა და სოხუმს შორის.

21 ივლისს გაერო-ს უშიშროების საბჭომ დახურულ კარს მიღმა განიხილა რუსეთის მიერ საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევის საკითხი, თუმცა, რუსეთის პოზიციის გამო გადაწყვეტილება ვერ მიიღეს. უშიშროების საბჭომ დაგმო რუსეთის ქმედება და ის საქართველოს სუვერენიტეტის ხელყოფად შეაფასა. მოსმენებით უკმაყოფილო რუსეთის ელჩი უშიშროების საბჭოს ზოგიერთ წევრს პროქართულ ორიენტაციაში ადანაშაულებდა.

საერთაშორისო თანამეგობრობამ დაუყოვნებლივი რეაგირება მოახდინა აფხაზეთში მიმდინარე პროცესებზე. გაერო-ს მეგობარმა ქვეყნებმა შეხვედრები გამართეს ქართულ-აფხაზურ მხარეებს შორის ძალადობის ესკალაციის პრევენციისათვის. შემუშავდა დიპლომატიური ინიციატივები, რომლებიც ითვალისწინებდა მხარეების მიერ ძალის გამოყენებაზე საბოლოოდ უარის თქმას; კოდორის ხეობაში საქართველოს შსს-ის ძალების საერთაშორისო საპოლიციო ძალებით ჩანაცვლებას, რომელთა როტაცია მოხდებოდა საქართველოში გაერო-ს დამ-

კვირვებელთა მისიისა და აფხაზთა მეთვალყურეობით. გალისა და ოჩამჩირის რაიონებიდან უნდა გასულიყვნენ რუსეთის სამშვიდობო ძალები, რომელთაც ჩაანაცვლებდა საერთაშორისო პოლიციის ძალები, რაც ხელს შეუწყობდა რეგიონში დევნილი ქართველების დაბრუნებას.[85] ეს ძირითადი პრინციპები დაედო საფუძვლად გაერო-ს მეგობართა ჯგუფის სამშვიდობო ინიციატივას, რომელიც მოგვიანებით გერმანიის სამშვიდობო გეგმის სახელით გახდა ცნობილი.

14 ივლისს აფხაზეთში შექმნილი ვითარება განიხილეს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებაში გაერო-ს მისიის მეთაურმა ბერტრან რამჩარანომ და რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა. შეხვედრაზე რუსეთის წარმომადგენელმა საქართველოს მიერ ძალის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერა და კოდორის ხეობიდან შინაგანი ჯარის ნაწილების გაყვანა მოითხოვა. ანალოგიური მოთხოვნები წამოაყენეს სოხუმისა და ცხინვალის მარიონეტულმა რეჟიმებმა სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელთან პიტერ სემნებთან შეხვედრაზე. პ. სემნებმა გამოთქვა მზადყოფნა მოესმინა ნებისმიერი მითითება კონფლიქტის დარეგულირების საკითხებთან დაკავშირებით. ბუნებრივია, ახალი ან განსხვავებული მოსაზრება მარიონეტულ მთავრობებს არ ჰქონიათ – ისინი კატეგორიულ უარს ამბობდნენ სამშვიდობო ფორმატის შეცვლაზე. მარიონეტი დე-ფაქტო პრეზიდენტები აკეთებდნენ განცხადებებს რუსეთ-ბელორუსის კავშირთან შეერთების შესახებ. თავის მხრივ, კავშირის წარმომადგენლობა გამოთქვამდა საკითხის დადებითად გადაჭრის მზაობას.[86] კავშირში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გაწევრიანება შეუძლებელი იყო რუსეთისა და ბელორუსის მიერ სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარების გარეშე. ვრცელ-

85 [http://www.acus.org/publication/restoring-georgias-sovereignty-abkhazia].

86 Georgia's breakaway republics reveal plan to join Russia. *Russia Today*. 15. 07. 2008. [http://www.russiatoday.ru/news/news/27526] ; "Spokesman for Russia-Belarus Union State: Georgia can join the Union State as well". *Regnum News Agency*. 15. 07. 2008. [http://www.regnum.ru/english/1027897.html].

დებოდა ინფორმაცია, რომ 27 სექტემბრისთვის, აფხაზეთში „გამარჯვების დღესასწაულის" აღსანიშნავად, რუსეთი გეგმავდა აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობას.

17 ივლისს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანკვალტერ შტაინმაიერმა საქართველოს ხელისუფლებას გააცნო გერმანიის სამშვიდობო გეგმა. პროექტის მიხედვით სამშვიდობო პროცესი სამ ძირითად ეტაპს მოიცავდა:

1. ნდობის აღდგენის ღონისძიებებისა და პირდაპირი მოლაპარაკებების დაწყება; 1990-იანი წლების დასაწყისში აფხაზეთიდან დევნილი ქართველების დაბრუნება;

2. ერთიანი სარეაბილიტაციო და ეკონომიკური პროექტების ამოქმედება;

3. აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრას.

პროექტი, ასევე, ითვალისწინებდა აფხაზური მხარის ერთერთი მოთხოვნის – ძალის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერას.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მხარი არ დაუჭირა პროექტში გათვალისწინებულ დევნილების დაბრუნებას. დევნილთა საკითხი კონფლიქტების ერთ-ერთ ყველაზე რთულ ასპექტად გამოაცხადა და მაგალითად პალესტინელი და სერბი დევნილები მოიყვანა. რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებამ ობსტრუქციული პოზიცია დაიკავა და სამშვიდობო პროცესის ჩაშლას ცდილობდა.

18 ივლისს გაერო-ს გალის ოფისში ფ.-ვ. შტაინმაიერი აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდა. დევნილების დაბრუნების წინადადებას პრინციპულად არ დაეთანხმა აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტი, რადგან 1994 წლის მოსკოვის შეთანხმება დევნილების დაბრუნებას მხოლოდ გალის რაიონში ითვალისწინებდა.[87] აფხაზური მხარე თვლიდა, რომ მხარეებს შორის მოლაპარაკებების განახლებისკენ დასავლეთის სწრაფვა საქართველოსთვის MAP-ის მინიჭებით იყო მოტივირებული და არა კონფლიქტის გრძელვადიანი დარეგუ-

87 Власти Абхазии отказались от германских инициатив по трехэтапному урегулированию грузино-абхазского конфликта [http://www.abkhaziagov.org/ru/president/press/news/detail.php].

ლირების სურვილით.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ფ.-ვ. შტაინმაიერი საქართველოდან მოსკოვს გაემგზავრა, სადაც რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს შეხვდა. კრემლმა დღის წესრიგში კვლავ ძალის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმების დადება და ზემო კოდორის ხეობიდან ქართული ძალების გამოყვანის საკითხები დააყენა.

გაერო-ს მეგობართა ჯგუფის წევრები პოზიციების დათმობას არ აპირებდნენ. 25 ივლისს გაერო-ს მეგობართა ჯგუფის კოორდინატორი, გერმანიის ელჩი პატრისია ფლორი შეხვდა ს. ბაგაფშს. გერმანელი დიპლომატი ითხოვდა აფხაზურ მხარეს დაეკონკრეტებინა თუ რა წინადადებები იყო მიუღებელი მათთვის გერმანულ გეგმაში და რა კორექტივების შეტანა სურდათ პროექტში. ელჩმა ბაგაფშს შესთავაზა მონაწილეობა მიეღო ბერლინში გაერო-ს მეგობართა ჯგუფის შეხვედრაში. ბაგაფში დაეთანხმა შეხვედრაში მონაწილეობას იმ პირობით თუ გაერო-ს მეგობართა ჯგუფი რეალურ გავლენას მოხდენდა აფხაზეთისათვის სასურველი საკითხების გადაწყვეტაზე. პ. ფლორმა, გერმანიის მხარისა და გაერო-ს მეგობართა ჯგუფის კოორდინატორის სახელით, აღუთქვა, რომ მაქსიმალურ ძალისხმევას გამოიჩენდა მხარეთა პოზიციების დასაახლოებლად და აფხაზური მხარის შემხვედრი წინადადებების შესასწავლად.

იმავე დღეს სამშვიდობო პროცესების განახლების პერსპექტივებზე იმსჯელეს აშშ-ისა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა მეთიუ ბრაიზამ და აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტმა. განიხილეს გერმანულ პროექტში აფხაზური მხარისათვის მიუღებელი საკითხები, ის კონკრეტული ღონისძიებები, რომელთაც პოზიტიური გავლენის მოხდენა შეეძლოთ მოლაპარაკებების პროცესზე. ბაგაფშმა დაადასტურა, რომ მონაწილეობას მიიღებდა ბერლინის მოლაპარაკებებში. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებით შეხვედრა ბერლინში 5 აგვისტოსთვის დაინიშნა. აფხაზეთში დაძაბულობის შენელებისა და პროცესების სამშვიდობო ჩარჩოებში დაბრუნების ილუზია შეიქმნა, რაც რუსეთის სამხედრო

გეგმის ნაწილს წარმოადგენდა.

22-24 ივლისს ეუთო-სა და ევროკავშირის წარმომადგენლები მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლებასთან ბრიუსელში საქართველოსა და ოს სეპარატისტებს შორის ორმხრივი მოლაპარაკებების დაწყების შესახებ, რუსეთის ფედერაციის მონაწილეობით. თავდაპირველად, შეხვედრაზე უარის საბაბად სეპარატისტებმა რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის რანგში თემურ იაკობაშვილის მონაწილეობა დაასახელეს. ამ საბაბის გასანეიტრალებლად, სახელმწიფო მინისტრს პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენლის უფლებამოსილება მიენიჭა, მაგრამ ოსებმა მოლაპარაკებებში მონაწილეობაზე კვლავ უარი განაცხადეს. ივლისის ბოლოს ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარე, ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრ სტუბი ახალი ინიციატივით გამოვიდა, რომელიც ითვალისწინებდა აგვისტოს დასაწყისში, ჰელსინკში, მხარეებს შორის მოლაპარაკებების დაწყებას. სეპარატისტული რეჟიმის მიერ არც ეს წინადადება იქნა გაზიარებული.

ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების წარუმატებლობა ლოგიკური იყო. ამ დროისთვის რუსეთის თავდაცვის სამინისტროს, ფაქტობრივად, დასრულებული ჰქონდა საქართველოს წინააღმდეგ აგრესიისთვის ხანგრძლივი სამზადისი. სოხუმიდან ოჩამჩირემდე აღდგენილი იყო აფხაზეთის სარკინიგზო ინფრასტრუქტურა, რომლის რეაბილიტირებული მონაკვეთები რუსი სამხედროების დისლოკაციის ადგილებს უერთდებოდნენ. 30 ივლისს დაიწყო აფხაზეთიდან სარკინიგზო ჯარების გაყვანა. სრულ სამხედრო მზადყოფნაში მოიყვანეს აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული, მძიმე ტექნიკით აღჭურვილი საჰაერო-სადესანტო ნაწილები. ზემო კოდორის ხეობისკენ გადაისროლეს აფხაზეთში დისლოცირებული რუსეთის სამხედრო ბატალიონი. რუსეთის ჯარის ნაწილებმა გადმოლახეს მამისონის უღელტეხილი, როკის გვირაბის გავლით შემოვიდნენ ცხინვალის რეგიონშიც.[88]

88 Georgia Raises Alarm. *Kommersant*. 21. 07. 2008 [http://www.kommersant.com/p914485/Georgia_Troops_Russia/].

15 ივლისს საქართველოში დაიწყო სამხედრო წვრთნები „დაუყოვნებლივი პასუხი – 2008“ აშშ-ის, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და უკრაინის 2000-მდე ჯარისკაცის მონაწილეობით. წვრთნების მიზანი იყო ერაყში ნატო-ს ეგიდით მიმდინარე კოალიციური ოპერაციებისთვის ჯარისკაცების მომზადების დონის ამაღლება. რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ამ ფაქტზე დაყრდნობით ამტკიცებდნენ, რომ საქართველოს ომისათვის ამერიკელი ინსტრუქტორები ამზადებდნენ. წვრთნების სცენარი, თავდაცვითი ხასიათის იყო, რასაც მისი სახელწოდებაც ადასტურებს. 4 აგვისტოს, წვრთნების დასრულების შემდეგ, საქართველოს საარტილერიო ბრიგადები მუდმივი დისლოკაციის ადგილებს დაუბრუნდნენ გორისა და სენაკის სამხედრო ბაზებში. წვრთნებში მონაწილე ყველა სამხედრო პირმა საქართველო საომარი მოქმედებების დაწყებამდე დატოვა.

12 ივლის – 2 აგვისტოს საქართველოს სახელმწიფო საზღვართან გაიმართა რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების, სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და არმიის სწავლება „კავკასია – 2008“. მასში 8 ათასი ჯარისკაცი, 700 ერთეული ჯავშანტექნიკა, 30 თვითმფრინავი და შვეულმფრენი მონაწილეობდა. წვრთნები მიზნად ისახავდა ჰუმანიტარული ინტერვენციის საბაბით მეზობელ სახელმწიფოში შეჭრის სიმულირებას. სცენარის მიხედვით, სამხედრო ძალებს ხმელეთიდან, ზღვიდან და ჰაერიდან მხარი უნდა დაეჭირათ რეგიონში განლაგებული „სამშვიდობოებისთვის“ რუსეთის მოქალაქეების დაცვისა და მათთვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევის მიზნით. წვრთნის მონაწილეებს სპეციალურ სამახსოვრო ბარათებს ურიგებდნენ, რომლებშიც ჩამოთვლილი იყო მთავარი სამიზნის – ქართული ჯარის – შემადგენლობა და აღჭურვილობა. „კავკასია-2008“-ის წვრთნის სცენარი გააპროტესტა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, რადგანაც ის შეიცავდა საქართველოში შეიარაღებული ინტერვენციის პირდაპირ მუქარას.

ცხინვალის რეგიონში წვრთნები გაიარა რუსეთის 58-ე არმიის სატანკო ნაწილმა.[89] ეს ფაქტი მოგვიანებით დაადასტურა რუსეთის ფედერაციის საჰაერო-სადესანტო ძალების მეთაურის მოადგილემ, გენერალ-მაიორმა ვიაჩესლავ ბორისოვმა «Эхо Москвы»-ს პირდაპირ რადიოეთერში. მისი თქმით, ამ წვრთნების დამსახურებას წარმოადგენდა ის გარემოება, რომ რუსეთის საჰაერო-სადესანტო ჯარებმა ბევრად უკეთ განახორციელეს ცხინვალის მიმართულებით წინსვლა, ვიდრე ცენტრალური და საოლქო დაქვემდებარების ნაწილებმა და ქვედანაყოფებმა.[90]

წვრთნების დასრულების შემდეგ 58-ე არმია არ იქნა დაბრუნებული მუდმივი დისლოკაციის ადგილზე ნალჩიკში, დაბა პროხლადნიში. იგი სტრატეგიულ სამხედრო პლაცდარმზე, ნიჟნი ზარამაგში, როკის გვირაბის პორტალის ჩრდილოეთით რამდენიმე კილომეტრზე განალაგეს.[91] ეს ძალები დაახლოებით 1500-1600 ჯარისკაცს ითვლიდა, ხოლო კოლონა 30 ტანკის, 100-ზე მეტი ჯავშანტრანსპორტიორის, 12 თვითმავალი საარტილერიო დანადგარისა და რამდენიმე ათეული სატვირთო ავტომობილისაგან შედგებოდა.[92] ფართომასშტაბიანი სამხედრო მანევრები არ უნდა დარჩენილიყო ცხინვალში მყოფი ეუთო-ს დამკვირვებლების ყურადღების მიღმა, რაც, უდავოდ, კითხვის ნიშნის ქვეშ სვამს ეუთო-ს დამკვირვებლების მიერ მათზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულების საკითხს.

28 ივლისს სეპარატისტთა უკანონო ბანდფორმირებებმა ცეცხლი გაუხსნეს შერეულ სამშვიდობო ძალებს და ეუთო-ს სადამკვირვებლო ჯგუფს, რომელიც ზნაურის რაიონის სოფელ ჩორბაულის მიმართულებით სადამკვირვებლო საქმიანობას ახორციელებდა. სოფლის ტერიტორიაზე საფორტიფიკაციო მშენებლობები

89 Лейтенант-танкист Александр Попов: "Мама, я ранен, но живой!". *Известия*.13.08.2008; *Комсомолка*.12.08.2008; **Латынина Ю.** 200 км танков. О российско-грузинской войне. 19.11.2008. [http://www.ej.ru/?a=note&id=8579].

90 [http://echo.msk.ru/programs/voensovet/596473-echo/].

91 **Снегирев Ю.**Меня зовут Снегирев. *Известия*, 20 . 11. 2008.

92 **ჩაჩანიძე თ.** ოპერაცია „საქართველო -2008", *არსენალი*, №18, გვ. 13-14.

მიმდინარეობდა. დე-ფაქტო ხელისუფლება არ მალავდა სამხედრო ფორტიფიკაციების მშენებლობას და ამას საქართველოს მხრიდან „მოსალოდნელი თავდასხმისგან თავდაცვით ხსნიდა".[93]

29 ივლისს ოსი შეიარაღებული ფორმირებები ქართველების მიერ კონტროლირებადი პერიმეტრის ფორსირებას შეეცადნენ. სარაბუკის სიმაღლიდან 120 მმ-იანი ნაღმსატყორცნებიდან და ყუმბარმტყორცნებიდან ცეცხლი გაუხსნეს სოფლის მახლობლად განთავსებულ ქართულ სამშვიდობო საგუშაგოს. ცეცხლის ალში გაეხვია ცხინვალის ჩრდილოეთით მდებარე საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებადი სოფლები. უკანონო შეიარაღებული ფორმირებების სამიზნე გახდნენ შერეულ სამშვიდობო ძალებთან მომუშავე ეუთო-ს დამკვირვებლები, რომლებიც სოფელ ანძისისკენ გადაადგილდებოდნენ.

30 ივლისს საარტილერიო ცეცხლით დაიბომბა საქართველოს მიერ კონტროლირებადი ქართული სოფლებისა და ცხინვალის ჩრდილოეთ ნაწილის დამაკავშირებელი სტრატეგიული გზა. უკანონო შეიარაღებულმა ფორმირებებმა სოფელ ანძისში გამაგრებული პოზიციებიდან ცეცხლი გაუხსნეს საქართველოს შსს-ს მანქანას, რომელიც სოფელ კეხვსა და სოფელ სვერს შორის გადაადგილდებოდა. 31 ივლისს, შერეული სამშვიდობო ძალების სადამკვირვებლო ჯგუფისა და ეუთო-ს მისიის თვალწინ, ცხინვალსა და სოფელ ერგნეთს შორის ორ საგუშაგოზე უკანონო ბანდფორმირებებმა ახალი ფართომასშტაბიანი საფორტიფიკაციო სამუშაოები დაიწყეს.

რუსეთის სამშვიდობო ძალები არ ასრულებდნენ მათთვის დაკისრებულ მთავარ ვალდებულებას – სეპარატისტული რეჟიმის უკანონო შეიარაღებული ფორმირებების განიარაღებას, იარაღისა და საბრძოლო მასალის რუსეთიდან შემოტანის აღკვეთას. პირიქით, ხელს უწყობდნენ რეგიონში სამხედრო ძალების კონცენტრაციასა და კონფლიქტის ესკალაციას. ივლისის ბოლოსთვის ცხინვალის რეგიონში რუსეთის რეგულარული არმიის ნაწილებისა და შეიარაღების უწყვეტ გადაადგილებებს,

93 S.Ossetia Confirms Setting Up Military Fortifications. *Civil Georgia*. 30. 07. 2008. [http://www.civil.ge/eng/article.php?id=18867].

დიდი რაოდენობით საწვავისა და საკვები პროდუქტების შეტანას გენერალი უვაროვი სამშვიდობო კონტინგენტის როტაციითა და მათი ყოფითი საჭიროებებით ხსნიდა. 2004 წელს მხარეებს შორის დადებული შეთანხმების შესაბამისად, შერეული საკონტროლო კომისიის სამშვიდობო ბატალიონის როტაცია ნებადართული იყო მხოლოდ დღისით, მეორე მხარის, მინიმუმ, ერთი თვით ადრე გაფრთხილების შემთხვევაში. როგორც გაირკვა, საქართველოს მხარეს ასეთი შეტყობინება არ მიუღია.[94]

რუსეთის მასმედიაში გაჩაღებული იყო პროპაგანდისტული ომი, რომელიც მიზნად ისახავდა საერთაშორისო საზოგადოების დარწმუნებას, თითქოს, საქართველოს ხელისუფლება ცხინვალზე იერიშისა და სეპარატიზმის საკითხის ძალისმიერი მეთოდებით მოწესრიგებისთვის ემზადებოდა. ომის დასაწყებად საჭირო იყო შესაფერისი დრო და საბაბი.

94 СМИ: российские войска вошли в Южную Осетию еще до начала боевых действий NEWSru

III. ომი

1. კონფლიქტის ესკალაცია

პეკინის ოლიმპიური თამაშების კვირაძალზე გამოცხადებულმა ოლიმპიურმა მშვიდობამ რუსეთის გენერალიტეტს საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო ინტერვენციის გეგმიური და ეფექტური შესრულების ხელსაყრელი პირობები შეუქმნა. შეიარაღებული დაპირისპირებების ინსპირირების მცდელობები აგვისტოს პირველი დღეებიდანვე შეინიშნებოდა. 1 აგვისტოს უკანონო ბანდფორმირებებმა ცეცხლი გახსნეს სოფლების – ქვემო ნიქოზის, ზემო ნიქოზის, ავნევის, ერგნეთისა და ერედვის მიმართულებით. სოფელ ნულში დაიჭრა ერთი მშვიდობიანი მოქალაქე. სოფელ სარაბუკთან განთავსებულ ქართულ საგუშაგოზე თავდასხმის შედეგად დაიჭრა ერთი ადამიანი. ერედვი-ხეითის შემოვლით გზაზე აფეთქებულ იქნა საქართველოს შსს-ს კუთვნილი ავტომანქანა, რომელშიც 6 ოფიცერი იმყოფებოდა. 5 მათგანი მძიმედ დაიჭრა. ქართველი პოლიციელების მიერ გახსნილი საპასუხო ცეცხლის შედეგად მოკლულ იქნა უკანონო ბანდფორმირებების 6 წევრი, ხოლო 12 დაიჭრა. 2 აგვისტოს მსხვილკალიბრიანი (120 მმ) ყუმბარმტყორცნებიდან ინტენსიური სროლები განხორციელდა ზემო და ქვემო ნიქოზის, ნულის, ავნევის, ერედვისა და ერგნეთის მიმართულებით, დაიჭრა ექვსი სამოქალაქო პირი და ერთი ქართველი პოლიციელი.

სეპარატისტულ რეგიონებში დაიწყო სამხედრო ძალების მობილიზება. 3 აგვისტოდან აფხაზეთში შემოვიდნენ შეიარაღებით დატვირთული ეშელონები და საჯარისო შენაერთები, კერძოდ, ბოტლიხის ქვეითი ნაწილები.[95] როკის გვირაბი გაიხსნა სხვადასხვა ბანდფორმირებისთვის. 7 აგვისტოსთვის

95 **Латынина Ю.** 200 км танков. О российско-грузинской войне. 19. 11. 2008. [http://www.ej.ru/?a=note&id=8579].

ჩრდილოეთ კავკასიიდან და კაზაკთა ოლქებიდან ცხინვალში ჩამოსული იყო 300 ვოლონტერი,[96] სამხედრო მზადყოფნა გამოცხადდა როკის გვირაბთან განლაგებული რეგულარული არმიის ნაწილებში. 4 აგვისტოს ცხინვალის რეგიონში შევიდა რუსეთის 58-ე არმიის სამედიცინო და საკომუნიკაციო დანაყოფები. ჯავის სამხედრო ბაზიდან ცხინვალის ახლომდებარე სოფლებში – არძნისში, ძარაში, ცრუში დისლოცირებულ იქნა სეპარატისტთა საკუთრებაში არსებული 11 საარტილერიო დანადგარი. 5 აგვისტოს სოფელ ავნევთან გამაგრდნენ უკანონო ბანდფორმირებების შენაერთები და ტექნიკა. 6 აგვისტოს ალაგირიდან ნიჟნი ზარამაგისკენ დაიძრა 58-ე არმიის სამხედრო კოლონა და ჯავშანტექნიკა პირადი შემადგენლობით, კერძოდ, 135-ე და 639-ე მოწინავე პოლკების ნაწილები, რომლებიც ჯავის სამხედრო ბაზაში განთავსდა. ცხინვალში დაიკეტა მაღაზიები და ოფისები.

7 აგვისტოს ნიჟნი ზარამაგიდან ცხინვალში რუსეთის რეგულარული არმიის ნაწილების შეყვანას ადასტურებდა ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის 58-ე არმიის 135-ე მოტომსროლელი პოლკის კაპიტანი დენის სიდრისტო.[97] მოგვიანებით ეს ინფორმაცია გაზეთის საიტზე ჩასწორდა რედაქციის მიერ, ხოლო კაპიტანმა სიდრისტომ უარყო თავისი კომენტარები. 15 აგვისტოს გაზეთ «Пермские новости»-ში გამოქვეყნდა 58-ე არმიის 693-ე პოლკის ჯარისკაცის ინტერვიუ, რომელმაც 10 აგვისტოს, მშობლების თხოვნით, დატოვა ცხინვალი. გაზეთი ციტირებდა ჯარისკაცის სიტყვებს, რომ 7 აგვისტოს მათი შენაერთები ვლადიკავკაზიდან ცხინვალში შეიყვანეს და იარაღი დაურიგეს.[98] 135-ე პოლკის ჯარისკაცი იური ბიკკინი-

96 В Южную Осетию прибывают добровольцы. 7.08.2008 [http://sojcc.ru/rus/1568.html].

97 Жизнь продолжается «Красная Звезда». 3 сентября 2008 г., Все дороги ведут в Рокский тоннель: война началась на провокационной территории. 11. 09. 2008 г. [NEWS.ru].

98 GEORGIA & RUSSIA: THE "UNKNOWN" PRELUDE TO THE "FIVE DAY WAR". COMMENT BY Martin Malek. CAUCASIAN REVIEW OF INTERNATIONAL AFFAIRS. VOL. 3 (2) – SPRING 2009, p.230.

აევი გაზეთ «Вечерний Саранск»-ისადმი მიცემულ ინტერვიუში ადასტურებს, რომ 7 აგვისტოს მათი პოლკი ჯავაში შევიდა.

„ნიუ იორკ ტაიმსის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, დასავლურმა სამსახურებმა დამოუკიდებლად აღმოაჩინეს, რომ რუსეთის 58-ე არმიის 135-ე დივიზიის ორმა ბატალიონმა როკის გვირაბი 7 აგვისტოს ღამეს ან 8 აგვისტოს დილას გაიარა.

2008 წლის 20 ნოემბერს გაზეთ «Известия»-სადმი მიცემულ ინტერვიუში ვ. პუტინის ყოფილი მრჩეველი ანდრეი ილარიონოვი ამტკიცებდა, რომ რუსეთის რეგულარული ჯარის 135-ე და 693-ე მოტომსროლელი პოლკები, 141-ე სატანკო ბატალიონის განყოფილება, 22-ე ბრიგადის სპეცრაზმი 2 000 ჯარისკაცის შემადგენლობით ე.წ. სამხრეთ ოსეთში შევიდა 7 აგვისტოს შუაღამემდე.

2 აგვისტოდან ცხინვალიდან და მიმდებარე ტერიტორიებიდან დაიწყო ქალებისა და ბავშვების ევაკუაცია, რომელიც 6 აგვიტოსათვის დასრულდა.[99] რუსეთის ხელისუფლებამ და ელექტრონულმა მედიამ საქართველოს წინააღმდეგ დაიწყო საომარი პროპაგანდა, რომელშიც ქართველებს ცხინვალზე იერიშის სამზადისში ადანაშაულებდნენ და გამოთქვამდნენ მზაობას დაეცვათ ე.წ. სამხრეთ ოსეთში მცხოვრები რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების ინტერესები. რეგიონში შეიყვანეს რუსეთის წამყვანი სატელევიზიო არხების (NTV, RTR, ORT, RenTV, TVC) ჟურნალისტები და პრესის კორესპონდენტები.

4 აგვისტოს საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა თემურ იაკობაშვილმა მოინახულა საომარი ოპერაციების შედეგად დაზარალებული ქართული სოფლების მოსახლეობა, შეხვდა ეუთო-ს წარმომადგენლებს, გაერთიანებული სამშვიდობო ძალების სარდალს გენერალ ყურაშვილს და სამშვიდობო ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსს, გენერალ კულახმეტოვს. საქართველოს ხელისუფლება ოსურ მხარეს ორმხრივი მოლაპარაკებების დაწყებას სთავაზობდა. სახელმწიფო მინისტრის

99 Зону грузино-осетинского конфликта покинули более 2,5 тыс. человек. 4 августа 2008, 01:34. [http://korrespondent.net/world/542928] ; Южная Осетия ведет переговоры для оказания помощи всем эвакуируемым. 6.08.2008. [http://sojcc.ru/rus/1581.html].

მცდელობა შეხვედროდა ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებს წარუმატებელი აღმოჩნდა. კოკოითის რეჟიმი უარს ამბობდა ორმხრივი მოლაპარაკებების ფორმატზე და პროცესებში რუსეთის ფედერაციისა და მისი ავტონომიური რესპუბლიკის ჩრდილოეთ ოსეთის ჩართულობას მოითხოვდა. დე-ფაქტო ხელისუფლების პოზიცია გამოხატა შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარემ ჩოჩიევმა. „ჩვენ ოფიციალურად ვაცხადებთ, რომ რუსეთის გარეშე, რომელმაც იხსნა ჩვენი ხალხი განადგურებისგან, რომელსაც აკისრია ჩვენთვის ნორმალური პირობების შექმნის პასუხისმგებლობა და რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების სიცოცხლისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მოლაპარაკებების მაგიდას არ მივუსხდებით", – აღნიშნა მან.[100]

5 აგვისტოდან დაიწყო მასშტაბური სამხედრო ოპერაციები ქართული ანკლავების წინააღმდეგ. კერძოდ, ყუმბარმტყორცნებიდან ცეცხლი გახსნეს სოფელ ნულის მიმართულებით, იერიში მიიტანეს ფრონესა და ლიახვის ხეობების ქართულ სოფლებზე – ვანათა, ერედვი, ფრისი და სარაბუკი. სროლების შედეგად დაიჭრა 2 მცირეწლოვანი ბავშვი და ქართული სამშვიდობო ძალების სამი წარმომადგენელი.

ქართულ სოფლებზე სეპარატისტების მიერ განხორციელებული აგრესიის შედეგებს ადგილზე გაეცნენ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. ეუთო-ს დამკვირვებლების, საქართველოსა და რუსეთის სამშვიდობო ძალების სამმხრივმა მონიტორინგის ჯგუფმა შეადგინა რაპორტი, რომელშიც ადასტურებდნენ, რომ სეპარატისტებმა ქართული სოფლების წინააღმდეგ გამოიყენეს 1992 წლის სოჭის შეთანხმებით აკრძალული მძიმე შეიარაღება, რომელიც არ უნდა ჰქონოდათ კონფლიქტის რეგიონში. რაპორტს ხელს აწერდა გენერალი კულახმეტოვი.[101]

---

100 Борис Чочиев: «Мы не будем проводить переговоры без Северной Осетии, которая и сегодня приютила тысячи югоосетинских детей». 4.08.2008 [http:// sojcc.ru/rus/1532.html].

101 Georgia & Russia: the "unknown" prelude to the "Five Day War". Comment by Martin Malek. Caucasian review of international affairs. Vol. 3 (2) – Spring 2009, p.229.

6 აგვისტოს ოსთა შეიარაღებულმა ფორმირებებმა მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევებიდან და ნაღმსატყორცნებიდან ცეცხლი გაუხსნეს ნულსა და ავნევში მდებარე საქართველოს შსს-სა და სამშვიდობო ძალების საგუშაგოებს. დაბომბეს სოფლები – ერედვი და ფრისი. სროლები წარმოებდა ოთხი პოზიციიდან – ოსების მიერ კონტროლირებადი სოფლებიდან – პრინევიდან, უბიათიდან, ხეთაგუროვოდან და ტილინადან. სროლა მთელი ღამის განმავლობაში გრძელდებოდა. ღამის ინტენსიური სროლების შედეგად დაიჭრა ქართული სამშვიდობო ძალების 2 მოსამსახურე. მსხვერპლი იყო სეპარატისტების მხარესაც.

7 აგვისტოს, გამთენიისას, ოსებმა 82 და 120 მილიმეტრიანი ნაღმსატყორცნებითა და 122 მილიმეტრიანი «Д-30» ტიპის ჰაუბიცებით ინტენსიური ცეცხლი გაუხსნეს ქართულ სოფლებს – ერედვს, ფრისს და ვანათს. სარაბუკის სიმაღლეზე იერიშის შედეგად დაიჭრა სამი ქართველი მშვიდობისმყოფელი. რეგიონში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ავნევიდან, ნულიდან და ერგნეთიდან დაიწყო ბავშვებისა და ქალების ევაკუაცია. იმავე დილით, რუსეთის საინფორმაციო სააგენტოებისადმი მიცემულ ინტერვიუში ცხინვალის დე-ფაქტო პრეზიდენტი კოკოითი დაიმუქრა, თუ საქართველოს ხელისუფლება არ გაიყვანდა შეიარაღებულ ძალებს, მაშინ თვითონ დაიწყებდა რეგიონის „წმენდას".[102]

საქართველოს ხელისუფლება შექმნილი ვითარებიდან გამოსავალს ცხინვალის მთავრობასთან პირდაპირ დიალოგში ხედავდა, რომელშიც შუამავლის როლი რუსეთის საგანგებო დავალებათა ელჩს იური პოპოვს უნდა შეესრულებინა. 7 აგვისტოს, საქართველოს პრეზიდენტის დავალებით, რუსეთის მიერ ორგანიზებული სეპარატისტული მთავრობის წარმომადგენლებთან შესახვედრად კონფლიქტის ზონაში გაემგზავრა საქართველოს სახელმწიფო მინისტრი თ. იაკობაშვილი, მაგრამ შეხვედრა არ შედგა. დე-ფაქტო ხელისუფლების ლიდერები

102 Заявление Президента Южной Осетии по поводу обострившейся ситуации. [http://sojcc.ru/rus/1582.html].

უკვე ჯავაში იმყოფებოდნენ. ცხინვალში არც ი. პოპოვი ჩავიდა თბილისიდან, მანქანის საბურავის დაშვების მომიზეზებით. სახელმწიფო მინისტრი შერეული სამშვიდობო ჯარების მეთაურს მარატ კულახმეტოვს შეხვდა. გენერალი ამტკიცებდა, რომ „კოკოითი გამოსული იყო კონტროლიდან" და საქართველოს ხელისუფლებას ცეცხლის ცალმხრივად შეწყვეტას, სეპარატისტებისა და მათი რუსი მხარდამჭერების მხრიდან პროვოკაციული ქმედებების იგნორირებას ურჩევდა. გენერლის თქმით, სეპარატისტების შეიარაღებული ფორმირებები ქართული მხარის მიმართულებით რუსი სამშვიდობოების დისლოკაციის უშუალო სიახლოვიდან ისროდნენ, რაც „რუსების მიერ საქართველოს ძალების წინააღმდეგ განხორციელებული თავდასხმის შთაბეჭდილებას" ქმნიდა.

შუადღისთვის განახლდა ქართული სოფლების საარტილერიო დაბომბვები. ქართული სამშვიდობო ბატალიონის საბრძოლო მანქანის აფეთქების შედეგად დაიჭრა სამი ქართველი მშვიდობისმყოფელი. სოფელ ავნევში დაიბომბა ქართველი სამშვიდობოების საკონტროლო-გამშვები პუნქტი.[103] დაბომბვების შედეგად დაიღუპა ორი და დაშავდა ქართული სამშვიდობო ბატალიონის ოთხი ჯარისკაცი, დაიჭრა რვა მშვიდობიანი მოქალაქე. ოსი კომბატანტები ქართულ სოფლებს რუსი მშვიდობისმყოფელების ზურგს უკან გამაგრებული პოზიციებიდან ესროდნენ.[104] ფაქტობრივად, რუსეთის სამშვიდობო ძალები ხელს უწყობდნენ კონფლიქტის ესკალაციას, რითაც საფრთხე შეუქმნეს ცხინვალის რეგიონის ქართული ანკლავების მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლეს.

საღამოს საქართველოს პრეზიდენტმა ოს სეპარატისტებს საბრძოლო მოქმედებების დაუყოვნებლივ შეწყვეტისა და მოლაპარაკებების განახლებისკენ მოუწოდა. ასევე, საზოგადოე-

103 Совет Безопасности, 5951-е заседание, Воскресенье, Пятница, 8 августа 2008 года, 01 ч. 15 м. [http://www.un.org/russian/documen/scaction/2008/index.html].

104 Daniel Fried, Assistant Secretary of State for European and Eurasian Affairs. Testimony before the House Committee on Forcign Affairs. Washington, DC. [http://2001-2009.state.gov/p/eur/rls/rm/109363.htm].

ბას აცნობა საქართველოს მხრიდან ცეცხლის ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება. საქართველოს პრეზიდენტმა საერთაშორისო საზოგადოებას მიმართა ძალადობის ესკალაციის შეჩერების, პირდაპირი მოლაპარაკებების დაწყებისა და კონფლიქტის დარეგულირების პროცესის ინტერნაციონალიზაციაში დახმარების თხოვნით.

ცეცხლის ცალმხრივად შეწყვეტიდან რამდენიმე საათში ცხინვალისა და ჯავის მხრიდან ოსთა არტილერიამ ორმხრივი ცეცხლი გახსნა ქართული ანკლავების წინააღმდეგ. დაიბომბა სოფელი ნული, საარტილერიო ცეცხლისგან მთლიანად განადგურდა სოფელი ავნევი. სეპარატისტების „უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ“ ა. ბარანკევიჩმა ადგილობრივი ტელევიზიით გაავრცელა ინფორმაცია, რომ ცხინვალისკენ კაზაკთა შეიარაღებული დაჯგუფებები მოემართებოდნენ. ცხინვალიდან და თლიაყანის მხრიდან ცეცხლი გაიხსნა სოფლების – ფრისისა და თამარაშენის მიმართულებით. ქართული სამშვიდობო ქვედანაყოფი ალყაში მოექცა, რამაც შეუძლებელი გახადა მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაცია, დაჭრილი ქართველი სამშვიდობოების გამოყვანა და დაღუპულთა გადმოსვენება ცეცხლის წარმოების ზონიდან. ცხინვალის გარშემო მდებარე ოსური პოზიციებიდან ცეცხლი გაიხსნა ქართული სოფლების – ფრისის, თამარაშენისა და ქურთას მიმართულებით. ინტენსიური დაბომბვების შედეგად ქურთაში დაინგრა პოლიციის განყოფილების შენობა,[105] სოფელი ნული ოსეთის პარამილიტარისტული ფორმირებების კონტროლქვეშ გადავიდა.

ცხინვალის რეგიონის ქართული ანკლავების მშვიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდა მიეღო ქმედითი თავდაცვითი ზომები. საქართველოს უმაღლესმა მთავარსარდალმა თავდაცვითი ოპერაციის დაწყების ბრძანება გასცა, რომლის ამოცანას მოწინააღმდეგის საცეცხლე პოზიციების ჩახშობა და მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვა, როკის გვირაბის გავლით

105 Совет Безопасности, 5951-е заседание, Воскресенье, 8 августа 2008 года, 11 ч. 35 м. [http://www.un.org/russian/documen/scaction/2008/index.html].

რუსეთის რეგულარული არმიის ნაწილების საქართველოში შემოსვლის შეჩერება შეადგენდა.

2. რუსეთის მიერ სრულმასშტაბიანი საომარი ოპერაციების დაწყება

რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული საომარი ოპერაციების მასშტაბურობამ, სახმელეთო, სამხედრო-საზღვაო, საჰაერო ძალების კოორდინირებულმა მოქმედებამ, ელვისებური სისწრაფით ორგანიზებულმა კიბერშეტევამ ცხადყო, რომ რუსეთის ხელისუფლება დიდი ხნის მანძილზე ამზადებდა სამხედრო აგრესიას საქართველოს წინააღმდეგ. ეს ფაქტი ვერ უარყვეს თვით დასავლეთ ევროპელმა პოლიტიკოსებმაც კი, რომლებიც ძალიან ფრთხილ დამოკიდებულებას იჩენდნენ რუსეთისადმი. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბერნარ კუშნერმა ერთ-ერთ ინტერვიუში გამოთქვა აზრი, რომ სამხედრო ოპერაციისთვის წინასწარი სამზადისით იყო განპირობებული რუსეთის საჯარისო ნაწილების დროის მცირე მონაკვეთში შემოსვლა საქართველოს ტერიტორიაზე.[106]

ცხინვალში საომარი მოქმედებებისთვის წინასწარ სამზადისს ადასტურებენ ოსეთში ცნობილი პიროვნებები, ძმები ვადიმ და ვლადისლავ კოზაევები (ვადიმ კოზაევი იყო ჩრ. ოსეთის შსს-ს თანამშრომელი, ხოლო ვლადისლავ კოზაევი აფხაზეთისა და ოსეთის გმირია). მათი მტკიცებით, კოკოითი ინფორმირებული იყო ცხინვალში სამხედრო ოპერაციების დაწყების შესახებ, ამიტომაც გადავიდა ჯავაში, რუსეთის სამხედრო ბაზაზე.[107]

693-ე პოლკის ჯარისკაცი ალექსანდრ პლოტნიკოვი გაზეთ «Комсомол»-ისათვის მიცემულ ინტერვიუში ამბობს, რომ აგვის-

106 Бернар Кушнер: Я, наверное, менее дипломатичный и более честный. *Kommersant Online*. 10.08 2008. [http://www.kommersant.ru/doc.aspx?DocsID=1048686].

107 Лепина М. Южная Осетия не выдает России ее граждан, поднявших руку на президента Кокойты. *Коммерсант*, 1.09.2008, № 155/П(3972).

ტოს დასაწყისში პოლკში ვრცელდებოდა ხმები ომის დაწყების შესახებ, პოლკის ორი ასეული გადაიყვანეს ცხინვალის მახლობლად, ხოლო 8 აგვისტოს, დილის 3 საათზე საომარი განგაში დაიწყო.

რუსეთის ხელისუფლების მიერ დამუშავებული იყო ოფიციალური ვერსია შეიარაღებული კონფლიქტის მიზეზებზე. ცხინვალში შეიარაღებული დაპირისპირების დაწყების პირველივე დღეებში რუსეთში გამოიცა წიგნები და ბროშურები, სადაც აღწერდნენ საქართველოს მიერ ოსების წინააღმდეგ საუკუნეების მანძილზე განხორციელებულ გენოციდს. ომის დამთავრებიდან ერთ თვეში გამოვიდა წიგნი „კატასტროფის დღე – 888. შეჩერებული გენოციდი სამხრეთ ოსეთში" (შემდგენლები ვ. ბიკოვა, ნ. დავლეტშინა, მ. კორელოვის წინასიტყვაობით, 192 გვ.) და ჯავჯანის „ხუთდღიანი ომი. რუსეთი აიძულებს მშვიდობას (184 გვ.)[108]. ასე რომ, საქართველოში შეჭრის გამართლება ოსების „გენოციდისაგან" დასაცავად წინასწარ იყო მოფიქრებული. სამხედრო პროპაგანდაც ამ მიმართულებით მუშაობდა. ეს ტაქტიკური მანევრი მიზნად ისახავდა რუსეთის აგრესიის ჰუმანიტარულ ინტერვენციად წარმოჩენას. 8 აგვისტოს რუსეთის თავდაცვის სამინისტრო და სხვადასხვა მაღალჩინოსანი, ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლება ამტკიცებდნენ, რომ ქართული ძალების მიერ ცხინვალში „2000 სამოქალაქო პირი იქნა მოკლული და რომ სამხრეთ ოსეთში განხორციელდა გენოციდი ოსების წინააღმდეგ". როგორც მოგვიანებით დადგინდა, ომში დაღუპული მშვიდობიანი მოსახლეობის რაოდენობა რამდენიმე ათეულს შეადგენს.

2009 წლის იანვარში *Human Rights Watch* —ის მიერ გამოაქვეყნებული დასკვნა არ ადასტურებს რუსეთისა და სეპარატისტული ხელისუფლების ბრალდებებს საქართველოს მიერ ცხინვალში გენოციდის ორგანიზების შესახებ.[109]

---

108 **Кротов Я**. Непятидневная Война. [http://www.krotov.info/1/1/1/5_61_2008_08_gruzia.htm].

109 На войне как на войне? Нарушения гуманитарного права и жертвы среди гражданского населения в связи с конфликтом вокруг Южной Осетии. *Human Rights Watch*. 2009. с. 63.

რუსეთის ანტიქართული სისტემური პროპაგანდის ნაწილს წარმოადგენდა საქართველოს წარმოჩენა ავტორიტარული რეჟიმის სახელმწიფოდ, აშშ-ის მარიონეტად, იმის მტკიცება, რომ საქართველოს ხელისუფლება აშშ-ის სანქციით მოქმედებდა და საომარ ოპერაციებში ამერიკელი ინსტრუქტორებიც მონაწილეობდნენ. ამ ვერსიის დასამტკიცებლად რუსეთის სპეცსამსახურებმა აშშ-ის რამდენიმე მოქალაქის პასპორტიც კი შეიტანეს კონფლიქტის ზონაში. რუსეთის ხელისუფლება ესწრაფვოდა ქვეყნის ჭეშმარიტ მტრად აშშ-ის წარმოჩენას, რაც მიზნად ისახავდა რუსული საზოგადოების იდეურ კონსოლიდაციას აშშ-ისა და ატლანტიზმის წინააღმდეგ.

საომარი ოპერაციების საბაბს „კოკოითის კონტროლიდან გამოსვლა" და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მიწების ქართველებისგან „გაწმენდა" წარმოადგენდა. ამაზე მიუთითებს ომის წინარე დღეებში გენერალ კულახმეტოვის განცხადებები. როგორც ჩანს, რუსეთის რეგულარული არმიის ნაწილები რეზერვის ფუნქციას ასრულებდნენ და ზურგს უმაგრებდნენ უკანონო შეიარაღებულ დაჯგუფებებს. პრაქტიკულად, სამხედრო ოპერაციის გეგმის ეს ნაწილი 1992-93 წწ. აფხაზეთის ომის სცენარს იმეორებდა.

საქართველოს ხელისუფლების მიერ თავდაცვითი ოპერაციის დაწყებამ და წარმატებულმა სამხედრო მოქმედებებმა სერიოზული პრობლემების წინაშე დააყენა რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო ისტებლიშმენტი.

7 აგვისტოს შუაღამისთვის, საქართველოს უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებით, საქართველოს შეიარაღებული ძალების საარტილერიო ქვედანაყოფებმა საპასუხო ცეცხლი გახსნეს. დაბომბვა ხდებოდა უშუალოდ ცხინვალსა და მის შემოგარენში წინასწარ შერჩეული სამხედრო სამიზნეების მიმართულებით, რუსეთის არმიის სატანკო კოლონის გადაადგილების გასწვრივ. დროის მცირე მონაკვეთში საქართველოს ჯარის ნაწილებმა ალყაში მოაქციეს ცხინვალი და მათ კონტროლს დაექვემდებარა ზნაურის რაიონი. გამთენიისას, დილის 5 საათზე, დაიბომბა გუფთის ხიდი და მასთან ერთად

განადგურდა ვლადიკავკაზიდან შემოსული, ჯავადან ცხინვალის მიმართულებით მომავალი რუსეთის ჯარების კოლონა.

ცხინვალში, ქართული ჯარების მოლოდინში, რუსი სამშვიდობოების შტაბში გაანადგურეს შავი საიდუმლო ჩემოდანი, ხოლო საიდუმლო დოკუმენტები შტაბის შენობის გვერდით დანთებულ კოცონში დაწვეს, მწყობრიდან გამოიყვანეს სპეცკავშირის აპარატი. იმავე ღამეს მზვერავთა ჯგუფმა და შტაბის თანამშრომლებმა ცხინვალი დატოვეს.

დილით საქართველოს თავდაცვის და შსს-ს ნაწილები ქ. ცხინვალში შევიდნენ. უკანონო ფორმირებებმა მათ ცეცხლი გაუხსნეს ქალაქის ცენტრში მდებარე ადმინისტრაციული შენობის გარშემო გამაგრებული პოზიციებიდან, რომლებიც დაკავებულ იქნა ქართული შენაერთების მიერ. შუადღისთვის 58-ე არმიის საშტაბო კოლონის მეთაურის, გენერალ-ლეიტენანტ ხრულევის მცდელობა იერიში მიეტანა ცხინვალზე და გაერღვია ცეცხლის ხაზი, წარუმატებელი აღმოჩნდა. გენერალი დაიჭრა, ხოლო კოლონა განადგურდა.[110] საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა ჰუმანიტარული კორიდორი გახსნეს და სამ საათიანი მორატორიუმი გამოაცხადეს.

8 აგვისტოს, საღამოს, რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს, 58-ე არმიის ქვედანაყოფები ცხინვალის შემოგარენში შევიდნენ და ქართველთა საცეცხლე პოზიციები ჩაახშვეს.[111] არსებული რეალობა სრულიად ეწინააღმდეგებოდა მოსკოვის გამარჯვების რელაციებს. საქართველოს სამხედრო შენაერთები 2 დღის მანძილზე აკონტროლებდნენ ცხინვალს და, სავარაუდოდ, იერიშები მიჰქონდათ რუსეთის სამხედრო ბაზაზე ჯავაში და როკის გვირაბის პორტალზე.

8 აგვისტოს, გამთენიისას, რუსეთის ავიაცია საქართველოს ტერიტორიების რეგულარულ საჰაერო დარტყმებზე გადავიდა.

---

110 **Латынина Ю.** Как начиналась российско-грузинская война. *Новая Газета* No 63, 28.08. 2008 [http://virtualcollector.blogspot.com/2008/08/blog-post_28.html].

111 Информация Минобороны России от 8 августа 2008 г. [http://www.mil.ru/info/1069/details/index.shtml?id=49292].

დაიწყო სოფელ ტყვიავის დაბომბვა. სოფელ ვანელიდან 3 კმ-ში ჰაუბიცების თვითმავალი საარტილერიო დივიზიონი განლაგდა და ქართული პოზიციების დამუშავებას შეუდგა. ცხინვალისაკენ დაიძრნენ მე-19 დივიზიის 503-ე და 693-ე მოტომსროლელი პოლკები, 141-ე ცალკეული სატანკო ბატალიონი, ანუ ბრძოლაში ჩაერთო მთელი დივიზია თავისი შემადგენლობით. ჩეჩნეთიდან დაიძრნენ 42-ე მოტომსროლელი დივიზიის 70-ე და 71-ე მოტომსროლელი პოლკები, აგრეთვე ჩეჩენი ეროვნების სამხედრო მოსამსახურეებით დაკომპლექტებული იმავე დივიზიის ბატალიონების – „ვოსტოკისა" და „ზაპადის" გაძლიერებული ასეულები, რომლებიც რუსეთის თავდაცვის სამინისტროს უშუალო განკარგულებაში იმყოფებიან. საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობდა ოსების ბატალიონი „ბესლანი". 8 აგვისტოს ოსმა შეიარაღებულმა ფორმირებებმა მოკლეს ტელეკომპანია „ალანიას" ჟურნალისტები ალექსანდრე კლიმჩუკი და გრიგოლ ჩიხლაძე.

საომარ ოპერაციებში ახალი ტექნოლოგიების, რუსეთის მძიმე არტილერიისა და ავიაციის ჩართვის შემდეგ კონფლიქტის ზონაში ტაქტიკურ და პოზიციურ ბრძოლებს ადგილი არ ჰქონია. რუსულმა სამხედრო ავიაციამ იერიში მიიტანა ქარელის, გორის, მარნეულის, ცხინვალის რაიონების დასახლებულ პუნქტებზე, თბილისის შემოგარენზე. საჰაერო დაბომბვების სამიზნეებად შერჩეულ იქნა მშვიდობიანი მოსახლეობის თავშეყრის ადგილები – ქ. გორის ბაზარი და სტადიონი. დაიბომბა ვაზიანი და მარნეულის აეროდრომი. დაიწყო ცხინვალის მასირებული დაბომბვა. 8 აგვისტოს, დილით, ცხინვალში ქართველებმა ჩამოაგდეს რუსეთის თვითმფრინავი. გადარჩენილი პილოტი ოსმა კომბატანტებმა ადგილზე მოკლეს.[112]

ელვისებურად ორგანიზებული კიბერშეტევით სერიოზული საფრთხე შეექმნა საქართველოს კომპიუტერულ უსაფრთხოებას და, მასთან ერთად, საინფორმაციო უსაფრთხოებასაც. 8 აგვისტოს ჰაკერებმა გატეხეს საქართველოს ცენტრალური

112 **Латынина Ю.** 200 км танков. О российско-грузинской войне. 19.11. 2008. [http://www.ej.ru/?a=note&id=8579].

ბანკის საიტი და შეცვალეს ეროვნული ვალუტის კურსი,[113] რამაც სერიოზული საფრთხე შეუქმნა საქართველოს საფინანსო სისტემას. დაიბლოკა საქართველოს სამთავრობო საიტები.

8 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიმართა საერთაშორისო თანამეგობრობას, რომ ქვეყანა იმყოფებოდა რუსეთის ფედერაციის მხრიდან გამოუცხადებელი ომის პირობებში და უფლება ჰქონდათ, გაერო-ს წესდების 51-ე მუხლის შესაბამისად, ყველა ზომა მიეღოთ სუვერენიტეტისა და მოსახლეობის დაცვის უზრუნველსაყოფად. საქართველოს პარლამენტი მოუწოდებდა პარტნიორი ქვეყნების პარლამენტებს, საერთაშორისო თანამეგობრობასა და მსოფლიოს დემოკრატიულ საზოგადოებას ყველა ღონე ეხმარათ, რათა შემწყდარიყო რუსეთის ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესია საქართველოს წინააღმდეგ, მომხდარიყო ვითარების დეესკალაცია და დაწყებულიყო კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესი საერთაშორისო, ნეიტრალური შუამავლების მონაწილეობით.

8 აგვისტოს რუსეთის პრეზიდენტმა დ. მედვედევმა მოიწვია უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომა, სადაც განაცხადა საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციებში ჩართვის შესახებ. მისი სიტყვებით, რუსეთის კონსტიტუციისა და ფედერალური კანონმდებლობის შესაბამისად, ვალდებული იყო დაეცვა რუსეთის მოქალაქეების პატივი და ღირსება, რომ ვერ დაუშვებდა უდანაშაულო თანამემამულეების სიკვდილს და, რომ დამნაშავენი დამსახურებულად უნდა დასჯილიყვნენ.[114]

ამ განცხადებიდან რამდენიმე საათში ბესლანის აეროდრომზე რუსეთის სამხედრო-სატრანსპორტო ავიაციის თვითმფრინავებმა გადმოიყვანეს 76-ე ფსკოვის საჰაერო-სადესანტო დივიზიის ბატალიონი საშტატო შეიარაღებითა და ტექნიკით.[115]

საქართველოში მიმდინარე მოვლენებს ფართოდ გამოეხ-

---

113 **Латынина Ю.** Как начиналась российско-грузинская война. *Новая Газета* No 63, 28.08. 2008 [http://virtualcollector.blogspot.com/2008/08/blog-post_28.html].

114 [http://www.kremlin.ru/appears/2008/08/08/1522_type63374type63378type82634_205027.shtml].

115 **ჩაჩანიძე თ.** ოპერაცია „საქართველო -2008", არსენალი, №18, გვ. 13-14.

მაურა აშშ-ის ხელისუფლება, რომელმაც სრული მხარდაჭერა გამოხატა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში, მოითხოვა რუსეთის სახმელეთო შეირაღებული ძალების გაყვანა საქართველოს ტერიტორიიდან და 6 აგვისტოს სტატუს-კვოს აღდგენა.[116] აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა რუსეთის საელჩოს წარმომადგენელს ა. დარჩიევს წერილობით გააცნო აშშ-ის პოზიცია, რომ საქართველოზე თავდასხმა წარმოადგენდა „რეგიონში ვითარების სახიფათო და არამართლზომიერ ესკალაციას". აშშ-მა გამოთქვა მზადყოფნა საქართველოში კონფლიქტის დასარეგულირებლად, ევროკავშირისა და ეუთო-ს წარმომადგენლებთან ერთად, გამოეგზავნა დამკვირვებელთა მისია სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მ. ბრაიზას ხელმძღვანელობით.[117] საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს პეკინიდან გამოეხმაურა შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯ. ბუში. მისი აზრით, ძალის გამოყენება საქართველოში საფრთხეს უქმნიდა მშვიდობას რეგიონში და მხარეებს მოუწოდა საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგებისაკენ.[118]

საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი მხარდაჭერა გამოხატა ევროკავშირის თავმჯდომარემ ნ. სარკოზიმ. მან მხარეებს შეიარაღებული დაპირისპირების დაუყოვნებლივი შეწყვეტისა და კრიზისიდან გამოსავლის მოსაძებნად მოლაპარაკებების განახლებისკენ მოუწოდა. საქართველოში შექმნილი ვითარება იმდღესვე განიხილეს ევროკავშირის თავმჯდომარემ, ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა ერთიანი საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ხავიერ სოლანამ და ეუთო-ს თავმჯდომარემ, ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე სტუბმა. საფრანგეთის პრეზიდენტი ნ. სარკოზი

116 Robert Wood, Acting Deputy Spokesman. Russian Actions in Georgia. Press Statement Washington, DC. August 8, 2008.

117 Дмитрий Медведев отдал приказ о "принуждении" грузин к миру. [http://www.gazeta.ru/politics/2008/08/09_a_2805857.shtml].

118 President Bush Concerned by Escalation of Violence in Georgia. Westin Beijing Chaoyang. Beijing, People's Republic of China.

და საგარეო საქმეთა მინისტრი ბ. კუშნერი დაუკავშირდნენ კონფლიქტის მხარეებს და აქტიურად შეუდგნენ მუშაობას ცეცხლის შეწყვეტის მისაღწევად.[119]

ესტონეთის ხელისუფლებამ საქართველოში დაუყოვნებლივ გამოაგზავნა ინფორმაციის უსაფრთხოების სწრაფი რეაგირების ჯგუფის სპეციალისტები. ვებ-გვერდების აღდგენამდე პოლონეთის პრეზიდენტის ოფისმა საქართველოს მთავრობისთვის ხელმისაწვდომი გახადა ინტერნეტ სივრცე, რათა ამ უკანასკნელს შესძლებოდა ინფორმაციის გავრცელება.

9 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა გასცა განკარგულება დაეწყოთ „საქართველოსათვის მშვიდობის იძულების“ ოპერაცია.[120] რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვ. პუტინმა შეწყვიტა ვიზიტი პეკინში, ჩავიდა ვლადიკავკაზში, საიდანაც უშუალოდ ხელმძღვანელობდა საბრძოლო ოპერაციებს. მთელი დღის მანძილზე გრძელდებოდა ძალების მობილიზება, დაიწყო 98-ე ივანოვოს საჰაერო-სადესანტო დივიზიისა და 45-ე მოსკოვის საჰაერო-სადესანტო სადაზვერვო პოლკის ქვედანაყოფთა შემოყვანა საქართველოში.[121]

საქართველოს მთელს ტერიტორიაზე საომარი მდგომარეობა და სრული მობილიზაცია გამოცხადდა. ეს გადაწყვეტილება სრულ შესაბამისობაში იყო გაერო-ს წესდების 51-ე მუხლთან, რომელიც ითვალისწინებს თავდაცვის უფლებას გაერო-ს წევრ ქვეყანაზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში.

რუსეთის პრეზიდენტის განკარგულებამ „საქართველოსთვის მშვიდობის იძულების შესახებ“ უხეშად დაარღვია საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმა, მათ შორის, გაერო-ს 2008 წლის 15 აპრილის 1808-ე რეზოლუცია, რომელიც ცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.

გაერო-ს უშიშროების საბჭოს 2004 წლის სექტემბრის 59-ე

119 Communique about the events in South Ossetia - Georgia. 8.08. 2008. [http://www.francconu.org/spip.php?article2207].

120 Дмитрий Медведев отдал приказ о "принуждении" грузии к миру. [http://www.gazeta.ru/politics/2008/08/09_a_2805857.shtml].

121 [http://www.mil.ru/info/1069/details/index.shtml?id=49309].

სესიის 59/5565-ე რეზოლუციის თანახმად, მშვიდობის ხელშეწყობისა და მშვიდობის იძულების ოპერაციებისთვის ძალის გამოყენება შესაძლებელი იყო უშიშროების საბჭოს სანქციით. გაერო-ს უშიშროების საბჭოს ეს გადაწყვეტილება აისახა 2008 წლის 12 ივლისს დამტკიცებულ რუსეთის საგარეო პოლიტიკის კონცეფციის მესამე პარაგრაფში, რომლის მიხედვით, „მხოლოდ გაერო-ს უშიშროების საბჭოა უფლებამოსილი გასცეს სანქცია მშვიდობის იძულების მიზნით ძალის გამოყენების შესახებ".[122] რუსეთის ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, შეითავსა გაერო-ს უშიშროების საბჭოს ფუნქციები, რითაც უხეშად დაარღვია საერთაშორისო სამართლის ნორმები.

რუსეთის კონსტიტუციის 102-ე სტატიის შესაბამისად, რუსეთის ფედერაციის საზღვრებს მიღმა რუსეთის შეიარაღებული ძალების გამოყენების გადაწყვეტილება უნდა მიიღოს საკანონმდებლო ორგანოს ზედა პალატამ – ფედერაციის საბჭომ. გადაწყვეტილება საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო შენაერთების გაგზავნის შესახებ ფედერაციის საბჭოს არ მიუღია. რუსი ექსპერტების აზრით, ხელისუფლებამ ამ ქმედებით უხეშად დაარღვია კონსტიტუციის 102-ე მუხლი.[123] შიდა საკანონმდებლო დელიქტის გამოსასწორებლად რუსეთის ფედერაციის საბჭომ 25 აგვისტოს, პოსტფაქტუმ, დახურულ სხდომაზე მიიღო დადგენილება „ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად რუსეთის ფედერაციის დამატებითი სამშვიდობო ძალების გამოყენების შესახებ".

რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო ინტერვენციის სამართლებრივ საფუძვლად გაერო-ს წესდების 51-ე მუხლი დაასახელა. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღიარებულია საერთაშორისო სამართლის ნორმებით, რომლის თანახმადაც, ე.წ. სამხრეთ ოსეთი საქართველოს ტერიტორიის ნაწილს წარ-

122 Концепция Внешней Политики Российской Федерации. На официальном сайте Президента России 12 июля 2008 г.

123 **Вишневский Б.** Война или «принуждение к миру»? [http://boris-vis.livejournal.com/].

მოადგენს. ამ მუხლზე აპელირებით რუსეთი გახდა კონფლიქტის მონაწილე მხარე, შეიჭრა მეზობელი სუვერენული ქვეყნის ტერიტორიაზე, რომელიც მისთვის არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენდა.

9 აგვისტოს 12 საათის მანძილზე გრძელდებოდა საქართველოს ტერიტორიის სასტიკი და მასირებული საჰაერო დაბომბვა. დაბომბვაში მონაწილეობდა ჩრდილოეთ კავკასიაში დისლოცირებული რუსეთის ფედერაციის სამხედრო-საჰაერო და საჰაერო თავდაცვის ძალების მე-4 არმია, რომელიც უშუალოდ ექვემდებარება სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარსარდლობას.[124] რუსეთის თვითმფრინავები ასაფრენად იყენებდნენ სომხეთისა და დაღესტნის ბაზებს.

საჰაერო თავდასხმის სამიზნე გახდა კონფლიქტის ზონიდან დაშორებული ობიექტები. დაიბომბა თბილისის საავიაციო ქარხანა, დასავლეთ საქართველოში მდებარე კოპიტნარის აეროდრომი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მახლობლად მდებარე გაჩიანი. რუსეთის ავიაციამ საჰაერო თავდასხმა განახორციელა ქ. გორზე, რასაც მოჰყვა მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში. არაერთხელ დაიბომბა ქ. ონი, ფოთის პორტი და ქ. სენაკი, სენაკის სამხედრო ბაზა. რუსეთის თვითმფრინავებმა დაბომბეს ზემო აფხაზეთის სოფლები, ადმინისტრაციული ცენტრი – სოფელი ჩხალთა.[125]

სამხრეთის ენერგეტიკულ კორიდორზე თავდასხმის სტრატეგიული მიზანი პოლიტიკურ-ეკონომიკურ ჭრილში უნდა განვიხილოთ. ეს იყო ინვესტორებისა და ამ სატრანზიტო გზით დაინტერესებული პირების ერთგვარი გაფრთხილება, იმის დეკლარირება, რომ რუსეთი მონოპოლიურად აკონტროლებდა ევროპის ნავთობითა და გაზით მომარაგებას. საჰაერო თავდასხმების შედეგად შეწყდა ბაქო-სუფსის მილსადენის ექსპლუატაცია. საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო ინტერვენციას საეჭვოდ დაემთხვა 4 აგვისტოს ქურთი სეპარატისტების მიერ

---

124 ჟორჟოლიანი გ. რუსული საბრძოლო ავიაცია რუსეთ-საქართველოს ომში, *არსენალი*, გვ. 33-34.

125 Совет Безопасности, 5953-е заседание, Воскресенье, 10 августа 2008 года, 11 ч. 35 м. [http://www.un.org/russian/documen/scaction/2008/index.html].

თურქეთის ტერიტორიაზე ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენზე განხორციელებული აფეთქება, რომელმაც ნავთობსადენი დააზიანა. ფუნქციონირებდა მხოლოდ სამხრეთ კავკასიის გაზსადენი, რომელიც საინჟინრო თვალსაზრისით კარგად დაცულ კონსტრუქციას წარმოადგენს.

10 აგვისტოს, დილით, ფსკოველი პარაშუტისტები, როკის გვირაბის გავლით, კონფლიქტის ზონაში შემოვიდნენ. შემოიტანეს მძიმე ტექნიკა და რაკეტები. სამხედრო ექსპერტების აზრით, რუსეთის არმიის დაჯგუფება ცხინვალის მიმართულებით, სავარაუდოდ, 12-დან 14 ათასამდე სამხედრო მოსამსახურეს და 650-ზე მეტ ჯავშანტექნიკას, 100-მდე მედესანტეთა საბრძოლო მანქანას, 150-მდე ტანკს, 100-მდე სხვადასხვა სისტემის თვითმავალ საარტილერიო დანადგარსა და რამდენიმე ასეულ სხვადასხვა დანიშნულების სატრანსპორტო საშუალებას ითვლიდა.[126]

საბრძოლო ოპერაციებში რუსეთის ფართომასშტაბიანი ჩართვის შემდეგ ქართულმა სამხედრო ძალებმა ტაქტიკური გადაადგილება მოახდინეს. 9 აგვისტოს, საღამოს, საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა ცხინვალიდან ეტაპობრივი უკანდახევა დაიწყეს და ცხინვალის სამხრეთ ნაწილში გადაჯგუფდნენ.

10 აგვისტოს ერაყიდან გადმოისროლეს ქართული სამხედრო კონტინგენტის ნაწილი, რომელმაც თბილისის მისადგომები გაამაგრა. რუსეთის ავიაციამ დაბომბა თბილისი, გორი, გორის რ-ნის სოფელი შავშები, ქარელის რ-ნის სოფელი კნოლევი, ააფეთქეს დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი მაგისტრალის ხიდი.

მასირებული დაბომბვები გრძელდებოდა 11 აგვისტოს. დაიბომბა გორი, გორის რ-ნის სოფლები– კერე და ერედვი, დედოფლის რ-ნის შირაქის ასაფრენი ბილიკი, თბილისთან, მახათას მთაზე მდებარე სარადარო სადგური, სარადარო სადგური შავშვებში. რუსეთის სამხედრო შენაერთები ქ. გორში, ახალ-

126 **ჩაჩანიძე თ.** ოპერაცია „საქართველო -2008", *არსენალი*, №18, სექტემბერი, გვ. 13-14.

გორში, გორის რაიონის სოფელ შინდისში შევიდნენ. გადაიკეტა დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი მთავარი მაგისტრალი.

12 აგვისტოს გრძელდებოდა საქართველოს ტერიტორიების დაბომბვა. დაიბომბა კასპი, გორი, ბაქო-სუფსის ნავთობსადენის მიდამოები, კასპისა და ხაშურის რაიონები. რუსეთის ვერტმფრენმა გორთან ახლოს გზატკეცილზე დაბომბა სამგზავრო მიკროავტობუსი, რის შედეგადაც დაიღუპა 9 მგზავრი.

3. სამარი ოპერაციები დასავლეთ საქართველოში

9 აგვისტოს რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა საარტილერიო და საავიაციო ცეცხლი გახსნეს ზემო კოდორის მიმართულებით. აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების პრეზიდენტმა ზემო კოდორის ხეობაში სამხედრო ოპერაციისათვის სამზადისი გამოაცხადა. იმავე დღეს დე-ფაქტო თავდაცვის მინისტრის მოადგილემ გაერო-ს დამკვირვებელთა მისიას მოსთხოვა კოდორის ხეობაში მყოფი დამკვირვებლების გამოყვანა, რადგან ვერ უზრუნველყოფდა მათ უსაფრთხოებას. ამასთანავე, დსთ-ის სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელმა გენერალმა ჩაბანმა მისიის ხელმძღვანელობას აცნობა, რომ „ვერ აკონტროლებდნენ" აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებას. თუმცა, სრულიად განსხვავებული განცხადება გააკეთა ბაგაფშმა 10 აგვისტოს მოწვეულ პრეს-კონფერენციაზე. მისი სიტყვებით, აფხაზეთის ხელისუფლება დსთ-ის სამშვიდობო ძალებთან კოორდინირებულად მოქმედებდა.

დასავლეთ საქართველოს მიმართულებით დაწყებულ აგრესიაში მე-7 ნოვოროსიის სადესანტო-მოიერიშე დივიზიისა და კონფლიქტის ზონაში უკვე მყოფი 131-ე მაიკოპისა და მე-15 სამარის მოტომსროლელი ბრიგადების ქვედანაყოფები მონაწილეობდნენ. აგრესიის დაწყებამდე აფხაზეთში „სამშვიდობო" ფორმატის 131-ე ბრიგადის ორი, მე-15 ბრიგადის ერთი და 247-ე სადესანტო-მოიერიშე პოლკის ერთი ბატალიონი ანუ,

დაახლოებით, 2400 სამხედრო მოსამსახურე იმყოფებოდა. 10 აგვისტოს სოხუმთან, ბაბუშერის აეროდრომზე „ИЛ-76" მარკის სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავები დაეშვნენ, რომლებმაც ნოვოროსიიდან მე-7 დივიზიის გაძლიერებული მე-4 ბატალიონის პირადი შემადგენლობა გადმოიყვანეს. მედესანტეთა საბრძოლო მანქანების ერთი ნაწილი ოჩამჩირეში წინასწარ შემოიყვანეს. მოგვიანებით შავი ზღვის სამმა დიდმა სადესანტო ხომალდმა 4000 კაციანი შეიარაღებული დესანტი გადმოსხა ოჩამჩირეში. დასავლეთ საქართველოში რუსეთის არმიის დაჯგუფება, დაახლოებით, 9 ათას სამხედროს ითვლიდა, ჰყავდა 400-მდე მედესანტეთა საბრძოლო მანქანა, 50-ზე მეტი 120 მმ-იანი თვითმავალი საარტილერიო დანადგარი, 100-ზე მეტი სხვადასხვა სახის ჯავშანტრასპორტიორი და რამდენიმე ასეული სატვირთო ავტომობილი.[127]

10 აგვისტოს რუსეთის შეიარაღებული ძალები შევიდნენ გალის რაიონში. კოდორის ხეობაში გადასროლილ იქნა რუსეთის სადესანტო ბატალიონი 1000 ჯარისკაცის ოდენობით. იმავე დღეს აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობამ კოდორის ხეობის მშვიდობიან მოსახლეობასა და აქ განლაგებულ შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფებს რეგიონის დაუყოვნებლივ დატოვების ულტიმატუმი წაუყენა. რუსულმა ავიაგამანადგურებლებმა დაიწყეს კოდორის ხეობის დაბომბვა. სავარაუდოდ, ზემო აფხაზეთის ქართული სოფლების მიმართულებით ზალპური ცეცხლი გახსნა სარაკეტო კრეისერმა „მოსკვამ". დაიბომბა სენაკი, ზუგდიდის რ-ნის სოფელი ურთა.

11 აგვისტოს რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა სეპარატისტული მთავრობის შეიარაღებულ ფორმირებებთან ერთად დაიკავეს ზემო აფხაზეთი, გადმოლახეს აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვარი, მათ კონტროლს დაექვემდებარა განმუხური, ხურჩა და მისი მიმდებარე ტერიტორიები, ქ. ზუგდიდი. რუსეთის სამხედრო შენაერთები ზუგდიდის, ხობის, სენაკის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს რაიონებსა და ქ. ფოთში

127 **ჩაჩანიძე თ.** ოპერაცია „საქართველო -2008", *არსენალი*, №18, სექტემბერი, გვ. 13-14.

განლაგდნენ, სადაც დაიწყეს პოზიციების გამაგრება. აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე სოფლებში ადგილი ჰქონდა ქართულ მშვიდობიან მოსახლეობასა და აფხაზებს შორის ეთნოკონფლიქტის პროვოცირების მცდელობებს. იძარცვებოდა ფოთისა და სენაკის შეიარაღებული ძალების ქონება. დაიბომბა სენაკის აეროდრომი, ბათუმის მახლობლად მდებარე სოფლები – შარაბიძეები, კაპანდიჩი, მახო.

„საქართველოს მშვიდობის იძულებისა და შავი ზღვის ფლოტის გემების წინააღმდეგ იარაღის გამოყენების თავიდან აცილების მიზნით" შავი ზღვის აკვატორიაში რუსეთმა დააწესა სამი ზონა. კერძოდ, დაკვირვების ზონა – 50 კმ-დე, სახიფათო ზონა – 30 კმ-დე და აკრძალული ზონა – 20კმ-მდე და ნაკლებ მანძილზე. რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლობის ინფორმაციით, მათი ხომალდების მეთაურები ცეცხლს გახსნიდნენ გაერო-ს წესდების 51-ე მუხლის შესაბამისად, ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის მიზნით.[128] ოჩამჩირის პორტში შევიდნენ რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის გემები. საქართველოს წინააღმდეგ აგრესიაში მონაწილეობდნენ: სარაკეტო კრეისერი „მოსკვა", ფრეგატი „სმეტლივი", კორვეტები „მურომეცი" და „ალექსანდროვეცი", საზღვაო ტრანსპორტი „გენერალი რიაბიკოვი", მაშველი გემი „ეპრონი" და სამი დიდი სადესანტო ხომალდი საზღვაო ქვეითებით ბორტზე.[129] საზღვაო აგრესიის მიზანი საქართველოს სანაპირო ზოლის ბლოკადა და საქართველოს მეგობარი ქვეყნებიდან დახმარების მიღების შეჩერება იყო.

რუსეთის ფლოტმა ფოთის პორტში განხორციელებული ოპერაციის შედეგად ჩაძირა სარაკეტო კატარღა „თბილისი", მეკავშირე კატარღა „წყალტუბო", დიდი ჰიდროგრაფიული კატარღა №81, საპატრულო დანიშნულების „აიეტი", „ორბი" და რამდენიმე „გრიფი".[130]

---

128 რუსეთის დიდი შეცდომა. *24 საათი*. 13.08. 2008, №183.

129 **ჩაჩანიძე თ.** ოპერაცია „საქართველო -2008". *არსენალი*, №18, სექტემბერი, გვ. 13-14.

130 „მშვიდობისათვის იძულება" რუსული გაგებით. *არსენალი*, №17, აგვისტო, გვ. 20-22.

აფხაზეთის ტერიტორიაზე არ არსებობდა ჰუმანიტარული კატასტროფის არავითარი საფრთხე, აქედან გამომდინარე, აფხაზეთის მიმართულებით სამხედრო ოპერაციების წარმოების ჰუმანიტარული მოტივაცია. აფხაზეთის რეგიონი წარმოადგენდა გაერო-ს უშიშროების საბჭოს მანდატით აღჭურვილი გაერო-ს დამკვირვებელთა მისიის განთავსების ადგილს. აფხაზეთში შეჭრით რუსეთმა დაარღვია უსაფრთხოების ზონა, რომელსაც აკონტროლებდნენ მშვიდობის უზრუნველყოფის გაერო-ს ძალები.

4. ცეცხლის შეწყვეტა

რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ დაწყებული ღია აგრესიის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო. 10 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას ცხინვალის რეგიონში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ საქართველო გამოთქვამდა მზადყოფნას დაუყოვნებლივ დაეწყო მოლაპარაკებები რუსეთის ფედერაციასთან ცეცხლის შეწყვეტისა და საომარი მოქმედებების შეჩერებასთან დაკავშირებით. იმავე დღეს სათანადო ნოტა გაეგზავნა რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლობას საქართველოში. დაიწყო საქართველოს შეიარაღებული ძალების გამოყვანა კონფლიქტის ზონიდან.

საქართველოს ხელისუფლება ცალმხრივად ასრულებდა ცეცხლის შეწყვეტის პირობებს, რამაც რამდენიმე ათას რუს ჯარისკაცს შესაძლებლობა მისცა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე გადმოელახა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვარი და დაეკავებინა ქალაქები გორი და ახალგორი. საქართველოს შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ წარმოებული დაბომბვების შედეგად შეფერხდა მათი დროულად გამოსვლა კონფლიქტის ზონიდან, რამაც გაზარდა მსხვერპლი საქართველოს სამხედრო შენაერთებში.

10 აგვისტოს, საქართველოსა და აშშ-ის დელეგაციების მოთხოვნით, გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომა გაიმართა, რომელზეც რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის საკითხი განიხილეს. სხდომაზე გაერო-ს გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა შეშფოთება გამოთქვა კონფლიქტის ზონის მიღმა, მათ შორის, ზემო აფხაზეთში მიმდინარე სამხედრო მოქმედებების გამო. საქართველოს წარმომადგენელმა გაერო-ში ი. ალასანიამ მოწოდებით მიმართა გაერო-ს, განეხორციელებინა აქტიური ჰუმანიტარული და დიპლომატიური კამპანია რუსეთის მხრიდან აგრესიისა და ოკუპაციის შესაჩერებლად. აშშ-ის წარმომადგენელმა ზ. ხალილზადემ რუსეთს ცეცხლის დაუყოვნებლივი შეწყვეტისა და 6 აგვისტოს სტატუს-კვოს აღდგენისაკენ მოუწოდა. ასევე, ამერიკულმა მხარემ გაახმიანა რუსეთის ხელისუფლების მიზანი დაემხო საქართველოს დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლება.

11 აგვისტოს საქართველოში ჩამოვიდნენ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ. კუშნერი და ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. სტუბი, რომლებიც მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ რუსეთის ოკუპაციის შეჩერების საკითხებზე.[131] საფრანგეთის პრეზიდენტის ინიციატივით მომზადდა სამშვიდობო წინადადებები, რომლის თანახმადაც, ევროკავშირი სამშვიდობო პროცესის გარანტად მოგვევლინა. აშშ-ის პრეზიდენტმა სრული მხარდაჭერა გამოხატა საქართველოს დემოკრატილი გზით არჩეული ხელისუფლებისადმი, რუსეთს მოსთხოვა პატივი ეცა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის.

12 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება დსთ-დან საქართველოს გასვლის შესახებ. თბილისში დაიწყო საპროტესტო აქციები რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ. ათიათასობით ადამიანი, განურჩევლად ეროვნული კუთვნილებისა და რელიგიისა, აპროტესტებდა რუსეთის ქმედებებს.

131 Occupation of Georgia by Invading Russian Forces , Monday, August 11, 2008 Posted by Ministry of Foreign Affairs at 10:26 AM [http://georgiamfa.blogspot.com/2008/08/occupation-of-georgia-by-invading.html].

საღამოს პარლამენტის შენობის წინ საქართველოს სოლიდარობის მანიფესტაცია გაიმართა პოლონეთის პრეზიდენტის ლეხ კაჩინსკის, უკრაინის პრეზიდენტის ვიქტორ იუშენკოს, ლიტვის პრეზიდენტის ვალდას ადამკუსის, ესტონეთის პრეზიდენტის ტომას ილვესის და ლატვიის პრემიერ-მინისტრის ივარ გოდმანისის მონაწილეობით. „ჩვენ ჩამოვედით აქ იმისათვის, რომ ვიბრძოლოთ. ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი ფიქრობს, რომ პატარა ქვეყნები უნდა დაიპყროს, რომ ძველი დრო დაბრუნდება. ჩვენ მას ვეუბნებით – არა! ჩვენ აქ ვართ, რომ მომხდარზე მკაცრი რეაგირება მოვახდინოთ და ერთიანი ევროპული აზრი ჩამოვაყალიბოთ“, – განაცხადა მიტინგზე ლეხ კაჩინსკიმ.[132]

საერთაშორისო თანამეგობრობის ცალსახად ნეგატიურმა დამოკიდებულებამ აგრესორი აიძულა დათმობებზე წასულიყო. 12 აგვისტოს რუსეთის ხელისუფლებამ „საქართველოს მშვიდობის იძულების“ ოპერაციის დასრულება გამოაცხადა. რუსეთის თავდაცვის მინისტრთან, ანატოლი სერდიუკოვთან და გენერალური შტაბის უფროს ნიკოლაი მაკაროვთან შეხვედრაზე რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ რუსეთის სამშვიდობოების და სამოქალაქო მოსახლეობის უსაფრთხოება აღდგენილია, ხოლო „აგრესორი დასჯილია და მან მძიმე დანაკარგები განიცადა“. პრეზიდენტმა გენერლებს დაავალა გაეგრძელებინათ გაწმენდითი ოპერაციები, რომლებიც ითვალისწინებდა საქართველოს ტერიტორიების დაბომბვას, ოკუპაციას, სამხედრო ბაზების, ხიდების, ინდუსტრიისა და სტრატეგიული ობიექტების განადგურებას.[133]

იმავე დღეს დ. მედვედევი შეხვდა საფრანგეთის პრეზიდენტს ნ. სარკოზის, რომელმაც, ევროკავშირის სახელით, რუსეთს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების გეგმა წარუდგინა. რუსეთის პრეზიდენტმა შეთანხმებაში შესწორებები შეიტანა, რის შემდეგაც საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ. კუშნერი კვლავ თბილისში ჩამოფრინდა და საქართ-

132 ეს არ გაუვათ. *24 საათი*, 13.08. 2008, № 183.

133 J. Nichol. Russia-Georgia Conflict in Augast 2008: Context and Implications for U.S. Interests. [http://www.fas.org/sgp/crs/row/RL34618.pdf];*CEDR*, August 12, 2008, Doc. No. CEP-950208.

ველოს პრეზიდენტს გააცნო რუსეთის მოსაზრებები. 12 აგვისტოს მხარეებმა ხელი მოაწერეს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ პრელიმინარულ შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებდა ცეცხლის შეწყვეტას, ძალის გამოყენებაზე საბოლოოდ უარის თქმას, სტატუს-კვოს აღდგენას, კონფლიქტის დარეგულირების სამშვიდობო მექანიზმის შექმნას. კონსულტაციები და აზრთა შეჯერება 12-13 აგვისტოსაც გაგრძელდა.

„მშვიდობის იძულების" ოპერაციის დასრულებისთანავე, 12 აგვისტოს, დღის მეორე ნახევრიდან, რუსეთის საჯარისო შენაერთებმა დაიწყეს საქართველოს მთელი ტერიტორიის ოკუპაცია. რუსეთის ჯარებმა დაიკავეს გორისა და ქარელის რაიონების სოფლები, სეპარატისტების შეიარაღებულმა ბანდებმა და ე.წ „მოხალისეებმა" დაიწყეს ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ ძალადობა, ადამიანების გატაცება და მოსახლეობის დევნა ეთნიკური ნიშნით, მაროდიორობა. შეიარაღებულმა ბანდებმა დააწიოკეს ქართული სოფლების – ბერკურის, რახას, სვენეთის, ხელთუბნის, კარალეთის, არბოსა და დიცის მოსახლეობა, სადაც ადგილი ჰქონდა ქართველების მასობრივ მკვლელობებს, ძალადობასა და შეურაცხყოფას. ანალოგიური ვითარება შეიქმნა გორის რ-ნის ქართულ სოფლებში – ქორდში და მერეთში. ეთნიკური წმენდა განხორციელდა სოფელ კარალეთში.

მთელი დღის განმავლობაში გრძელდებოდა საქართველოს ტერიტორიების დაბომბვა. დაიბომბა გორის საავადმყოფო, უნივერსიტეტი და ქალაქის ბაზარი, ქ. კასპი და კასპის რაიონის სოფელი საკორინთო, ქარელის რ-ნის სოფელი რუისი, ხაშურის რ-ნის სოფლები აგარა და ტკოცა, რუსთავთან – ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მიდამოები. იმუქრებოდნენ ყულევის ტერმინალის აფეთქებით. დაბომბვების შედეგად იყო მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში. ზემო აფხაზეთში, სოფელ ხაიშის მხრიდან, რუსეთის დამატებითი სამხედრო შენაერთები შევიდნენ.

დაიწყო საქართველოს სამხედრო ინფრასტრუქტურის მიზანმიმართული ნგრევა. განადგურდა სენაკის სამხედრო ბაზა,

ხოლო იქ არსებული სამხედრო ქონება რუსმა მაროდიორებმა დაიტაცეს. თავს დაესხნენ საქართველოს სანაპირო სასაზღვრო დაცვის ცენტრს და დააზიანეს სასაზღვრო დაცვის გემები. დაიწყეს ფოთის პორტში მდგარი ქართული ხომალდების აფეთქება. სოფელ განმუხურის დემილიტარიზებულ ზონაში მოახდინეს მძიმე ტექნიკის მობილიზება და მოაწყვეს საბაჟო გამშვები პუნქტი.

რუსეთის სამხედრო შენაერთებმა ოკუპირებულ ტერიტორიებზე თვითნებურად დაიწყეს უსაფრთხოების ზონების, ე.წ. „ბუფერული ზონების" ფორმირება და ირწმუნებოდნენ, რომ ამას დსთ-ის სამშვიდობო მისიის ფარგლებში ახორციელებდნენ. მათ ბლოკ-პოსტებზე რუსეთის დროშებთან ერთად, დსთ-ის დროშები ფრიალებდა. სამწუხაროდ, დსთ-ის წევრ არც ერთ ქვეყანას არ მოუხსნია პასუხისმგებლობა რუსეთის ქმედებებთან დაკავშირებით.

5. „მშვიდობის იძულება" რუსულად

საქართველოს წინააღმდეგ შეიარაღებულ აგრესიაში მონაწილეობდა რუსეთის შეიარაღებული ძალების არანაკლებ 21 ათასი სამხედრო მოსამსახურე, 750 ჯავშანტრანსპორტიორი, 150 ტანკი, 500 მედესანტეთა მანქანა, 150-მდე საარტილერიო დანადგარი. ერთ-ერთი ინფორმაციით, ცხინვალის რეგიონიდან უკან გაბრუნებული სატანკო კოლონა, ეკვაფოდან მახაჩკალამდე, 200 კმ-ზე იყო გადაჭიმული. მისი გავლის შემდეგ ჩეჩნეთში, ფედერალურ ტრასაზე, მდ. არგუნზე, ჩაინგრა ხიდი, რომელმაც ჩეჩნეთის ორ ომს გაუძლო.[134]

სამხედრო ექსპერტთა აზრით, ასეთი ძალების სამხედრო მზადყოფნაში მოყვანა და ერთი დღის მანძილზე მათი გადასროლა საქართველოს ტერიტორიაზე შეუძლებელი იყო წინასწარი მომზადების გარეშე. ერთი სიტყვით, საქართველოს

134 **Латынина Ю.** 200 км танков. О российско-грузинской войне. 19.11. 2008. [http://www.ej.ru/?a=note&id=8579].

წინააღმდეგ სამხედრო ინტერვენციისათვის რუსეთი არა დღეების, არამედ თვეების მანძილზე ემზადებოდა, აფხაზეთის სარკინიგზო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის ჩათვლით.

„მშვიდობის იძულების" ოპერაციის განხორციელებისას რუსეთის არმიამ საქართველოს ქალაქებისა და სოფლების დასაბომბად გამოიყენა კასეტური და მოცულობით დეტონირებადი საავიაციო ბომბები, სტრატეგიული „Ту 22М" ზებგერითი ბომბდამშენი და დიდი სიშორის სტრატეგიული ბომბადმშენი, ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა „9К57 Ураган-1", ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების 2 ტონიანი ბალისტიკური რაკეტები „9К79 Точка-У"-თი, რომლებზეც ბირთვული ქობინები ყენდება. „SS-21 Точка-У" რუსეთმა გამოიყენა ფოთსა და გორში.

ულტრათანამედროვე „Искандер-М" ტიპის ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების 3,8 ტონიანი ბალისტიკური რაკეტით დაიბომბა ბაქო-სუფსის ნავთობსადენი და ვაზიანის სამხედრო ბაზა. 12 აგვისტოს „RBK-250" შეკრული ტიპის ბომბის (შეიცავდა „30 PTAB" 2.5მ ყუმბარას) სამიზნე გახდა გორის მოედანი, სადაც მშვიდობიან მოქალაქეებს ჰუმანიტარულ დახმარებას ურიგებდნენ. აფეთქების შედეგად დაიჭრა 15, ხოლო დაილუპა 8 მშვიდობიანი მოქალაქე. ამ აფეთქებას ემსხვერპლა ჰოლანდიელი ტელეოპერატორი სტანს სტორიმანსი, მისი კოლეგა იერუნ აკკერმანსი დაიჭრა.

გორისა და ახლო მდებარე სოფლების მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ გამოყენებულ იქნა „ОДАБ 500" ტიპის ვაკუუმური ბომბი.[135] ამ ტიპის შეიარაღების გამოყენება დიდ მსხვერპლს იწვევდა მშვიდობიან მოსახლეობაში და მიზნად ისახავდა ჰუმანიტარული კატასტროფის გამოწვევას. კასეტური ბომბებით, უმთავრესად, გორი და მიმდებარე სოფლები, მათ შორის, რუისი და შინდისი დაიბომბა.

წერტილოვანი დაბომბვის ობიექტები იყო არა მარტო სამხედრო ბაზები, არამედ სამრეწველო ობიექტები და სა-

135 ალადაშვილი ი. რა იარაღით შემოგვიტიეს რუსებმა, *არსენალი*, 2008, გვ. 23-26; მისივე. კრემლმა თბილისისკენ „ისკანდერის" ბალისტიკური რაკეტაც კი ისროლა, *არსენალი*. №18, სექტემბერი, გვ. 5-6.

კომუნიკაციო საშუალებები, რაც მიზნად ისახავდა საქართველოს სამხედრო და ეკონომიკური ინფრასტრუქტურის სრულ განადგურებას. არაოფიციალური მონაცემებით, რუსეთის მე-4 საჰაერო არმიამ 413 საბრძოლო გაფრენა განახორციელა.

ამრიგად, რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ აწარმოა სრულმასშტაბიანი ომი, რომელშიც ჩართული იყვნენ სახმელეთო ჯარები, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო შეიარაღებული ძალები. ელვისებურად ორგანიზებული კიბერშეტევით სერიოზული საფრთხე შეექმნა საქართველოს კომპიუტერულ უსაფრთხოებას და, მასთან ერთად, საინფორმაციო უსაფრთხოებასაც.

საქართველოს წინააღმდეგ აგრესიის დროს რუსეთის მიერ გამოყენებული ტექნიკის ანალიზის მიხედვით შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ეს ომი, გარკვეულწილად, წარმოადგენდა იმის დემონსტრირებას, რომ რუსეთი ნატო-სთან მიმართებაში ინარჩუნებს თავის სამხედრო-სტრატეგიულ პოტენციალს და კონტინენტის დონეზე შეუძლია გეოპოლიტიკური რუკის გათამაშება. საკითხს თუ ამ კუთხით მივუდგებით, რუსეთ-საქართველოს ომი იყო გამოუცხადებელი ომი ატლანტიკური ბლოკის წინააღმდეგ.

IV. საქართველოს ოკუპაცია

როგორც ცნობილია, ოკუპანტ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა აკისრია იმ ადამიანების სიცოცხლესა და უსაფრთხოებაზე, რომლებიც მისი ფაქტობრივი კონტროლის ქვეშ აღმოჩნდნენ. ის ვალდებულია, შესაძლებლობის ფარგლებში, ოკუპირებულ ტერიტორიაზე აღადგინოს საზოგადოებრივი წესრიგი, დაიცვას ადამიანები რეპრესალიებისა და შურისძიების აქტებისაგან. რუსეთის საოკუპაციო ძალები ფორმალურად პასუხისმგებელი იყვნენ კანონიერებასა და წესრიგზე მათ მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, სადაც უხეშად დაირღვა საერთაშორისო სამართლის ნორმები, განხორციელდა მოსახლეობის ეთნიკური ნიშნით დევნა და ეთნოწმენდა, ადამიანთა გატაცება, მაროდიორობა. ხშირ შემთხვევაში ამ პროცესებში რუსი ჯარისკაცები თავადაც აქტიურად მონაწილეობდნენ.

13 აგვისტოს შეიარაღებულმა ბანდფორმირებებმა და მაროდიორებმა გაძარცვეს ქარელის რაიონის სოფლების ბრეთისა და არადეთის მოსახლეობა, დაარბიეს ქარელის რაიონის სოფლები – ავნევი, წერონისი, კნოლევი, ატოცი, კასპის რაიონის სოფლები – ხანდაკი, დოესი, კარაღანდი, გორის რაიონის სოფელი ტყვიავი. მაროდიორობა დაიწყო გორში, სადაც რუსული ტანკები ანგრევდნენ საცხოვრებელ სახლებს, გაძარცვეს და დაარბიეს გორის საარტილერიო ბრიგადის ბაზა. ოსი სეპარატისტები შეიჭრნენ ქართველებით დასახლებულ გორის რაიონის სოფლებში – ბობნევი, მარანა, ძევერა, ხიდისთავი, ჩალაუბანი. დაუცველი მოსახლეობა იძულებული გახდა ტყეში გახიზნულიყო. მძევლად აიყვანეს სოფლების – ნიქოზის, ზვერის, ტყვიავის, კარალეთის მცხოვრებლები.

ოკუპანტები წალენჯიხის რაიონის სოფელ ფახულანში შევიდნენ. დაიწყო ფოთის პორტში განთავსებული საზღვაო ძალების ბაზის დარბევა.

14 აგვისტოს მაროდიორობასა და ადგილობრივი მოსახ-

ლეობის მიმართ ღირსების შემლახველ ქმედებებს ადგილი ჰქონდა გორის რაიონის სოფლებში – რუისი, ბროცლეთი, მეჯვრისხევი, გორიჯვარი, დებისი, ქარელის რაიონის სოფლებში – ძევერა, წვერი და ბრეთი, ხაშურის რაიონის სოფელში მოხისი. ოსი სეპარატისტების ლიდერი კოკოითი აცხადებდა, რომ მათი მიზანი ე.წ. სამხრეთ ოსეთის ქართული ანკლავების გაწმენდა იყო და, რომ ეთნიკური ქართველები ვეღარასოდეს დაბრუნდებოდნენ საკუთარ სახლებში.[136] ზუგდიდში დამატებითი საოკუპაციო ძალები შევიდნენ და ქალაქის გარშემო საკონტროლო-გამშვები პუნქტების გამაგრება დაიწყეს. ფოთში დაიკავეს სანაპირო დაცვის შენობა, რომელიც პირწმინდად გაიძარცვა.

14 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტმა საფრანგეთის პრეზიდენტის ნ. სარკოზის წერილი მიიღო, რომელიც ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მე-5 პუნქტს ეხებოდა. ამ პუნქტის თანახმად, რუსეთის საჯარისო ფორმირებები უნდა დაბრუნებოდნენ კონფლიქტამდე არსებულ პოზიციებს. ამასთან, საერთაშორისო მექანიზმის მიღებამდე რუსეთის „სამშვიდობო ძალებს" დამატებითი სამშვიდობო მისია უნდა შეესრულებინათ.

საფრანგეთის პრეზიდენტი განმარტავდა, რომ რუსეთის „სამშვიდობო ძალები" უსაფრთხოების დამატებით ზომებს განახორციელებდნენ მხოლოდ სამხრეთ ოსეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, საქართველოს ადმინისტრაციული საზღვრიდან რამდენიმე კილომეტრში. უსაფრთხოების დამატებითი ზომები გამოიხატებოდა რუსეთის „სამშვიდობო ძალების" მიერ განხორციელებულ პატრულირებაში შეთანხმებით ნებადართულ ზონაში, რასაც დროებითი ხასიათი ექნებოდა. მათ უნდა უზრუნველეყოთ თავისუფალი გადაადგილება საგზაო და სარკინიგზო მაგისტრალებზე. საფრანგეთის პრეზიდენტი საქართველოს პრეზიდენტისგან ითხოვდა, რომ მას ხელმოწერით კიდევ ერთხელ დაედასტურებინა თანხმობა 12 აგვისტოს ექვსპუნქტიანი შეთანხმების პირობებზე. საფრანგეთის

136 *Commersant*. 15. 08. 2008.

პრეზიდენტი ირწმუნებოდა, რომ საქართველოს პრეზიდენტის მიერ ამ დოკუმენტზე ხელმოწერა იქნებოდა რუსეთის ჯარების გასვლის წინაპირობა,[137] მაქსიმალურად მოკლე ვადებში მოხდებოდა საერთაშორისო მექანიზმის ჩამოყალიბება, რომლის ხასიათისა და მანდატის განხილვა უკვე მიმდინარეობდა საერთაშორისო ორგანიზაციებში, ეუთო-ში, ევროკავშირსა და გაერო-ში. საფრანგეთის პრეზიდენტის მტკიცებით, ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება საფუძვლად დაედებოდა 19 აგვისტოს გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომაზე მისაღები რეზოლუციის პროექტს, რომელშიც აისახებოდა რეგიონში მშვიდობის დარეგულირების ძირითადი პრინციპები.

15 აგვისტოს რუსეთის ფედერაციას გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი ეწვია. რუსეთის პრეზიდენტისა და გერმანიის კანცლერის შეხვედრა სოჭში, ბოჩარევ რუჩეიში გაიმართა, სადაც მოლაპარაკებების მთავარ თემას საქართველოში შექმნილი ვითარება წარმოადგენდა. კანცლერის პოზიცია საკმაოდ პრინციპული იყო. მან რუსეთის ქმედებები შეაფასა როგორც არაპროპორციული ძალის გამოყენება და, ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების პირობების შესაბამისად, მოითხოვა რუსეთის სამხედრო ძალების დაუყოვნებლივ გაყვანა საქართველოს ტერიტორიიდან. მისი აზრით, მხარეებს პატივი უნდა ეცათ თავისუფალი ქვეყნების ნატო-სკენ მისწრაფებისთვის. ასევე, დღის წესრიგში დაისვა საერთაშორისო დამკვირვებელთა მისიის გაზრდის საკითხი. გერმანიის კანცლერი კონფლიქტის პოლიტიკური გადაწყვეტის ამოსავალ წერტილად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას მიიჩნევდა.[138] პრეზიდენტმა დ. მედვედევმა ფორმალურად მხარი დაუჭირა საერთაშორისო სამშვიდობო დამკვირვებლების ჩართვას კონფლიქტის მოგვარებაში, მაგრამ, მისი მტკიცებით, თვით აფხაზები და ოსები არავის ენდობოდნენ „რუსი სამშვიდობოების" გარდა. შეხვედრაზე რუსეთის პრეზიდენტის მიერ სა-

137 [http://smr.gov.ge/ge/tskhinvali_region/legal_documents/2008_events/communique_of_the_president_of_france].

138 [http://www.kremlin.ru/text/appears/2008/08/205367.shtml#].

ჯაროდ იქნა დეკლარირებული, რომ კავკასია იყო და დარჩებოდა რუსეთის სტრატეგიული ინტერესების სფეროდ.

იმავე დღეს მოსკოვსა და თბილისს აშშ-ის სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი სტუმრობდა. ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ცეცხლის შეწყვეტის 6 პუნქტიან შეთანხმებას.

შეთანხმების მე-5 პუნქტის თანახმად, რუსეთის „სამშვიდობო ძალები" დროებით, საერთაშორისო მექანიზმების მიღებამდე, დამატებით სამშვიდობო მისიას შეასრულებდნენ. საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული ღია აგრესიის შემდეგ რუსეთი კონფლიქტის მხარეს წარმოადგენდა, რაც სრულ წინააღმდეგობაში მოდიოდა მის სამშვიდობო მანდატთან. ეს პრეფერენცია განამტკიცებდა რუსეთის, როგორც მშვიდობისმყოფელის პოზიციას – თითქოს, აგვისტოს ომი იყო კონფლიქტი საქართველოს, აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს შორის, სადაც თვითონ, ევროკავშირის მსგავსად, მედიატორის როლი შეასრულა. ამ პროექციის დემონსტრირებას ემსახურებოდა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო პრეზიდენტების მიერ 14 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების ხელმოწერა მოსკოვში. ამავე შეხვედრაზე დ. მედვედევმა კომენტარი გააკეთა შეთანხმების მე-6 პუნქტზე, რომელიც, მისი მტკიცებით, საქართველოს პრეზიდენტის კორექტივით შევიდა შეთანხმებაში და შეეხებოდა საერთაშორისო დისკურსის დაწყებას კონფლიქტის დარეგულირების სამართლებრივ მექანიზმებზე. რუსეთის პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთის პოზიცია უცვლელი იყო და მხარს დაუჭერდა აფხაზი და ოსი ხალხების იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც დაეფუძნებოდა გაერო-ს წესდებას, 1966 წლის საერთაშორისო კონვენციას და ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ჰელსინკის აქტს. „ჩვენ არა მარტო მხარს დავუჭერთ ამ გადაწყვეტილებას, არამედ ვიქნებით მისი გარანტორები როგორც კავკასიაში, ასევე მთელს მსოფლიოში", – განაცხადა დ. მედ-

ვედევმა.[139] ეს იყო საერთაშორისო თანამეგობრობის ღია გაფრთხილება, რომ რუსეთის ხელისუფლება სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარებას ამზადებდა.

16 აგვისტოს საფრანგეთის პრეზიდენტმა ნ. სარკოზიმ გამოაქვეყნა ოფიციალური კომუნიკე, სადაც აისახა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების სხვადასხვა პუნქტზე ის საერთო ხედვა, რომელიც მან ხელმომწერ მხარეებს, საერთო თანხმობის მიღწევის მიზნით, გაუზიარა. კომუნიკეში დადასტურებული იყო, რომ უსაფრთხოების დამატებითი ზომები არ შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო ცხინვალის მიმდებარე ტერიტორიების გარდა საქართველოს სხვა რეგიონში; მითითებული იყო, რომ ამ ზომებს დროებითი ხასიათი ჰქონდა და გატარდებოდა კონფლიქტის დარეგულირების საერთაშორისო მექანიზმის ჩამოყალიბებამდე.[140]

რუსეთის ფედერაციისა და საფრანგეთის პრეზიდენტებს შორის ჯენტლმენური შეთანხმების თანახმად, რუსეთის სამხედრო შენაერთებს 16 აგვისტოდან საქართველოს ტერიტორიიდან გასვლა უნდა დაეწყოთ, მაგრამ რუსეთის პრეზიდენტმა პირობა არ შეასრულა. საოკუპაციო ჯარები ოკუპირებულ ტერიტორიებზე პოზიციების გამაგრებას შეუდგნენ. საქართველოს დედაქალაქიდან 25 კმ-ში, სოფელ იგოეთთან რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა საკონტროლო-გამშვები პუნქტი გახსნეს.

საქართველოს წინააღმდეგ განხორციელდა ეკოციდის ფართო კამპანია. რუსულმა ავიაციამ ცეცხლგამჩენი ჭურვები ჩამოყარა ბორჯომი-ცემის ტყეში, რის გამოც ხანძარი გაუჩნდა ბორჯომი-ხარაგაულის უნიკალურ ნაკრძალს. თურქეთიდან და უკრაინიდან საშველად გამოფრენილი ვერტმფრენები რუსეთის საჰაერო ნავიგაციამ საქართველოს საჰაერო სივრცეში არ გამოატარა. საქართველო ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. საქართველოს ხელისუფლება ბორჯომის ხეობის

139 Встреча с Президентом Южной Осетии Эдуардом Кокойты и Президентом Абхазии Сергеем Багапшем [http://www.kremlin.ru/appears/2008/08/14/1535_type63374type63377type82634type205158_205303.shtml].

140 რუსეთის ფედერაციის მიერ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ექვსპუნქტიანი შეთანხმების დარღვევები [www.mfa.ge].

მოსახლეობასთან ერთად 10 დღის მანძილზე ებრძოდა გამძვინვარებულ სტიქიას. შედეგად, სრულიად განადგურდა ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკის ტერიტორიის 250 ჰექტარი.

გრძელდებოდა ქვეყნის ინფრასტრუქტურის განადგურება, ყაჩაღობა და მაროდიორობა. ფოთის პორტიდან გაიტანეს „შავი ზვიგენის“ ტიპის 8 ნავი, A ტიპის 7 ნავი და სანაპირო დაცვის 2 ხომალდი. საჰაერო დარტყმებით მოახდინეს ფოთის პორტის პარალიზება, ჩაძირეს საქართველოს სანაპირო თავდაცვის სამი გემი და პოლიციის კატარღა, დაარბიეს მალთაყვასთან განლაგებული საჰაერო თავდაცვის ქვედანაყოფი. ფოთში დააკავეს ერთი თურქი და როიტერის ორი ჟურნალისტი. ზემო აფხაზეთში, კერძოდ, სოფელ აჟარაში, დაიწყო დარჩენილი მცხოვრებლებისა და სასულიერო პირების დევნა-შევიწროება, რომლებსაც აფხაზეთის ეპარქიისადმი დაქვემდებარება მოსთხოვეს.

16 აგვისტოს ოკუპანტებმა დანაღმეს და ააფეთქეს სარკინიგზო ხიდი კასპის რაიონში, მეტეხი-გრაკალის გადასარბენზე. ამ დივერსიულ-ტერორისტული აქტის შედეგად შეწყდა სარკინიგზო მიმოსვლა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის, გაწყდა კავშირი საქართველოს საზღვაო პორტებთან, რითაც შეფერხდა დევნილების გადმოყვანა კონფლიქტის ზონიდან უსაფრთხო ადგილებში და მათთვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევა. საქართველო ჰუმანიტარული კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. ცეცხლგამჩენი ჭურვებით დაიბომბა კასპის რაიონის სოფელ ხანდაკის ტყე და სურამის გარშემო ტყის საფარი, რითაც შეიქმნა ხანძრის ახალი კერები.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ საერთაშორისო თანამეგობრობას, მეგობარ სახელმწიფოებს მიმართა, რათა მათ დაუყოვნებლივ მიეღოთ ზომები ჰუმანიტარული კატასტროფისა და საქართველოს სახელმწიფოებრიობის განადგურების შესაჩერებლად.

16 აგვისტოს, საერთაშორისო თანამეგობრობის ზეწოლის შემდეგ, რუსეთის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას, რაც სამხედრო ოპერაციების საბოლოოდ

დასრულებას ნიშნავდა. 17 აგვისტოს მან განაცხადა, რომ 18 აგვისტოდან დაიწყებოდა ჯარების გაყვანა. რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობა განმარტავდა, რომ მიმდინარეობდა ზურგისა და მესამე ეშელონის ჯარის ნაწილების გაყვანა. მოწინავე ნაწილები კი გავიდოდნენ ბოლოს, რადგან საჯარისო შენაერთების აქტიური უკან დახევა 22 აგვისტოდან დაიწყებოდა.

17 აგვისტოს საქართველოს გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი ეწვია. კანცლერის ვიზიტის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა საქართველოს ხელისუფლების დარწმუნება რუსეთის უფლებაში – განეხორციელებინა დროებითი „დამატებითი უსაფრთხოების ზომები“ ე.წ. სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონის მიღმა. გერმანიის კანცლერი ირწმუნებოდა, რომ რუსეთი უახლოეს მომავალში გაიყვანდა სამხედრო შენაერთებს საქართველოდან. პრეზიდენტი მ. სააკაშვილი არ იზიარებდა ამ მოსაზრებას და თვლიდა, რომ რუსეთის შეიარაღებულ ძალებს არ ჰქონდათ საქართველოს ტერიტორიაზე „მშვიდობისმყოფელის“ მანდატით დარჩენის უფლება.[141]

რუსეთის გენერალიტეტი უკანდახევის ნაცვლად „ბუფერულ ზონებში“ პოზიციების გამაგრებას შეუდგა. რუსეთის სამხედრო ნაწილებმა დაიკავეს სენაკის რაიონის სოფლები, სუფსის ნავთობტერმინალის მიმდებარე ტერიტორიები. მათ კონტროლს დაექვემდებარა ენგურის ჰიდროელექტროსადგური, დანაღმეს მესტიისკენ მიმავალი გზები. ახალგორში ოსი შეიარაღებული ფორმირებები შევიდნენ. ოკუპანტებმა კასპთან ახლოს ორი ხიდი დანაღმეს.

18 აგვისტოს, დილით, რუსმა სამხედროებმა სოფელ იგოეთთან კასპისკენ მიმავალი ცენტრალური საავტომობილო მაგისტრალი გადაკეტეს, რის გამოც თითქმის მთლიანად გაწყდა სატრანზიტო კავშირები საქართველოს დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებს შორის. გადაწვეს განმუხურის ახალგაზრდული ბანაკი. ფოთის პორტში ტყვედ აიყვანეს 20 ქართველი სამხედრო მოსამსახურე. წაიყვანეს აშშ-ის კუთვნილი ჰამერები,

141[http://afp.google.com/article/ALeqM5irjdfQdHqnS5LyXe2laHu-TxW8zQ].

რომლებიც საჩხერეში სამთო-სამხედრო წვრთნების ჩასატარებლად იყო ჩამოყვანილი.

12 აგვისტოდან 18 აგვისტოს ჩათვლით რუსეთის ფედერაციის სამხედრო შენაერთებმა მოახდინეს საქართველოს ტერიტორიის 1/3-ის ოკუპაცია, სადაც სრულ სამხედრო კონტროლს ახორციელებდნენ. რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობის მტკიცებით, 6 პუნქტიანი შეთანხმება უსაფრთხოების ზომების მისაღებად მათ მუდმივი საკონტროლო პუნქტების აგების, სანგრების გათხრისა და სხვადასხვა საქმიანობის განხორციელების უფლებას აძლევდა.

საქართველოში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, 19 აგვისტოს ვენაში გამართულმა ეუთო-ს საბჭომ საქართველოში სამხედრო დამკვირვებლების დაუყოვნებლივი გამოგზავნის გადაწყვეტილება მიიღო. ომამდე საქართველოში ეუთო-ს რვა დამკვირვებელი იმყოფებოდა. პირველ ეტაპზე მათი რიცხვი 20-ით გაიზრდებოდა. ნავარაუდევი იყო, უახლოეს პერიოდში, დამკვირვებელთა კონტინგენტის 100-მდე გაზრდა. საფრანგეთის პრეზიდენტმა ნ. სარკოზიმ განაცხადა, რომ ის მოატყუა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა, რომელიც საქართველოდან რუსეთის შეიარაღებული ძალების 19 აგვისტოსთვის გაყვანას შეპირდა.[142]

20 აგვისტოს ცხინვალის სეპარატისტულმა რეჟიმმა ახალგორის რაიონის ადმინისტრაციის შექმნა გამოაცხადა. რუსეთის საოკუპაციო ჯარებმა დაიკავეს საჩხერის რაიონის სოფელი პერევი, ფოთის შესასვლელთან საკონტროლო-გამშვები პუნქტი მოაწყვეს და ქალაქში სანგრების გათხრას შეუდგნენ.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე შეიზღუდა გადაადგილება. 21 აგვისტოს რუსეთის საელჩომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს გამოუგზავნა ნოტა, რომლის თანახმადაც, ოკუპირებულ ქ. გორში ნებისმიერი დელეგაციის შესვლა წინასწარ უნდა შეთანხმებულიყო რუსეთის თავდაცვის სამინისტროსთან, ხოლო ჟურნალისტებს ნებართვა უნდა აეღოთ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროდან. ცხინვალის ტერიტორიაზე

142 *Interfax*, 19.08. 2008.

არ უშვებდნენ უცხოელ დამკვირვებლებსა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, მათ მიმართ უნდობლობის მოტივით.

რუსეთის ხელისუფლება ხელოვნურ დაბრკოლებებს ქმნიდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჰუმანიტარული დახმარების განსახორციელებლად. საერთაშორისო მისიებისგან ამ ტერიტორიებზე შესვლას არა საქართველოს, არამედ რუსეთის მხრიდან მოითხოვდა. რუსეთის ხელისუფლების მცდელობა – სრულ იზოლაციაში მოექცია ოკუპირებული ტერიტორიები, საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციების აღშფოთებას იწვევდა.

18 აგვისტოს რუსი გენერლები იძულებული გახდნენ გორში შეეშვათ საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციების წარმომადგენლები. რაც შეეხება ცხინვალის რეგიონს, აქ ჰუმანიტარულ ღონისძიებებს რუსეთი აწარმოებდა. აგვისტოს ბოლოსთვის რეგიონში შესვლის უფლება მხოლოდ წითელი ჯვრის წარმომადგენლებს მიეცათ.

ადამიანის უფლებების დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის, Human Rights Watch-ისა და Amnesty International-ის თანამშრომლების კონფლიქტის ზონაში შესვლა დაამსხვრევდა მითს „ოსი ხალხის გენოციდის" შესახებ, საჯაროს გახდიდა ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდის ფაქტს, ამიტომ რუსეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა კონფლიქტის ზონა დროებით სრულ იზოლაციასა და საინფორმაციო ვაკუუმში მოექცია. ექსკლუზიური უფლებით რუსეთის ფედერაციის სამართალდამცავმა ორგანოებმა თავად დაიწყეს „ოსი ხალხის გენოციდის" გამოძიება და ამ მიზნით საგამომძიებო კომისიაც შექმნეს.

22 აგვისტოს რუსეთის გენშტაბმა გამოაქვეყნა საქართველოში შექმნილი „ბუფერული ზონების" საზღვრები. ცხინვალის რეგიონის მიმდებარე სადემარკაციო ხაზზე რუსეთის სამხედრო კონტროლი ვრცელდებოდა 20 კმ-ის სიღრმეში და ქვეყნის დედაქალაქთან ახლოს. ე.წ. სამხრეთ ოსეთის მიმართულებით „ბუფერულმა ზონამ" მოიცვა დასახლებული პუნქტების – პერევის, გოდორას, ალის, ვარიანის, იკოთის, ციარასა და ფაცას

პერიმეტრი.[143] მასში აღმოჩნდა 50 ქართული სოფელი, რომლებიც ადრე არ შედიოდნენ კონფლიქტის ზონაში.

დასავლეთ საქართველოში ე.წ. ბუფერულმა ზონამ 40 კმ შეადგინა აფხაზეთის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთით. სადემარკაციო ხაზი გადაიჭიმა სენაკის აეროდრომიდან დასავლეთის მიმართულებით. რუსეთის საოკუპაციო ზონაში მოექცა ყულევის ნავთობის საექსპორტო ტერმინალი (აზერბაიჯანის სახელმწიფოს საკუთრება) და ფოთის ორივე შესასვლელი. ამ ზონაში აღმოჩნდა სამეგრელოს რეგიონის მოსახლეობის თითქმის ნახევარი. რუსეთის საჯარისო ნაწილებმა ფოთის პორტთან ორი ბლოკპოსტი გახსნეს. ერთი აკონტროლებდა ნავსადგურის ჩრდილოეთის შესასვლელს, ხოლო მეორე კეტავდა ფოთის სამხრეთ ნაწილს – თავისუფალ ეკონომიკურ ზონას, რომელიც იჯარით გადაცემული იყო არაბეთის გაერთიანებული ემირატების ინვესტორების ადმინისტრაციისთვის. აფხაზეთის მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხოების ზონამ მოიცვა დასახლებული პუნქტები: ნაბადა, ჭალადიდი, სენაკი, კვირა, ხუდონი, გუნაგუა, ჯიკმური, ოჩამჩირე და ანაკლია.

საქართველოს ტერიტორიაზე სულ ორგანიზებულ იქნა 37 პოსტი, მათ შორის, 18 ე.წ. სამხრეთ ოსეთის მიმართულებით, ხოლო 19 – აფხაზეთის მიმდებარე ტერიტორიაზე. „ბლოკპოსტებად" წოდებული საკონტროლო გამშვები პუნქტები ბევრად აღემატებოდა თავის ფუნქციას. ისინი, ფაქტობრივად, წარმოადგენდნენ საფორტიფიკაციო ნაგებობებს ყველა მნიშვნელოვანი ატრიბუტით (სანგრებით, ჯავშანტექნიკით და ა.შ.). რუსეთი იტოვებდა უფლებას ე.წ. ბუფერულ ზონებში გაეზარდა „მშვიდობისმყოფელთა" კონტინგენტი, ხოლო რუსეთის შეიარაღებული ძალები აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში დარჩებოდნენ იმდენი ხნით, რამდენსაც საჭიროდ ჩათვლიდა რუსეთის ხელისუფლება.[144]

რუსი ჯარისკაცები განლაგდნენ დასავლეთ საქართველოს

---

143 Генштаб РФ назвал границы «буферной зоны» в Грузии [http://www.rosbalt.ru/2008/08/22/516376.html].

144 Interfax. 22. 08. 2008; *RIA Novosti*. 23. 08. 2008.

(ფოთი და სენაკი) მთავარი მაგისტრალის მთელს პერიმეტრზე. აღმოსავლეთ საქართველოში გადაადგილება შეზღუდეს საჩხერის, გორისა და ახალგორის ჩრდილოეთით მდებარე სოფლების მიმართულებით. რუსეთის გენერალიტეტის მტკიცებით, რუსი „სამშვიდობოები" უსაფრთხოების ზონებში ხელს შეუწყობდნენ ქართული მოსახლეობის ინტერესების დაცვას. საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ რუსი ოკუპანტები ოს, ჩრდილოკავკასიელ და კაზაკთა შეიარაღებულ ფორმირებებთან ერთად მონაწილეობდნენ ცხინვალის რეგიონის ქართულ სოფლებში მიმდინარე ეთნიკურ წმენდასა და ქართული მოსახლეობის დევნა-შევიწროებაში. ქართველები გამოაძევეს ახლად ჩამოყალიბებული „ბუფერული ზონებიდანაც" კი.

რუსეთის „სამშვიდობო ჯარების" საერთო რაოდენობა 2142 ჯარისკაცით განისაზღვრა, რომელთაგან 452 ჯარისკაცი ცხინვალის რეგიონის მიმართულებით განლაგდა. მათ შორის, თბილისთან ახლოს, იგოეთის ბლოკპოსტზე 272 ჯარისკაცი განათავსეს, დანარჩენ პოსტებზე კი – 180 ჯარისკაცი.[145] ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების თანახმად, ე.წ. სამხრეთ ოსეთში დისლოცირებული უნდა ყოფილიყო მხოლოდ 500 კაციანი სამშვიდობო ბატალიონი (პლუს 300 კაციანი რეზერვი), ხოლო აფხაზეთში – დსთ-ის სამშვიდობო შენაერთი 2.500-3.000 კაციანი შემადგენლობით. რეალურად, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მთელს ტერიტორიაზე დისლოცირებული იყო 10 ათასზე მეტი ჯარისკაცი, რაც მნიშვნელოვნად აღემატებოდა შეთანხმებით დაშვებულ ზღვარს.

საქართველოს ხელისუფლებამ გააპროტესტა რუსეთის ფედერაციის მიერ უსაფრთხოების ზონების შექმნა, ვინაიდან ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით, ის ცხინვალის გარშემო რამდენიმე კილომეტრის რადიუსში მდებარე გეოგრაფიული არეალით უნდა შემოფარგლულიყო. არ არსებობდა კონფლიქტის მარეგულირებელი საბუთები. 1992 წლის 12 ივლისის შერეული საკონტროლო კომისიის სხდომის ოქმით, კონფლიქტის ზონად

145 Буферная зона в Грузии противоречит мирному соглашению – ОБСЕ [http://unian.net/rus/news/news-268805.html [23.08.2008 14:41].

ითვლებოდა ცხინვალის ცენტრის ირგვლივ 15-კილომეტრიანი ზონა. რაც შეეხება აფხაზეთის მიმდებარე ტერიტორიას, ის არ განიხილებოდა საფრანგეთის შუამდგომლობით მიღწეული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების ნაწილად. აქედან გამომდინარე, აბსოლუტურად უკანონო იყო რუსეთის სამხედრო ძალების განლაგება დასავლეთ საქართველოში – სამეგრელოში, ზემო აფხაზეთსა და ახალგორის რაიონში, რომელთაც ყოველთვის საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება მართავდა.

საქართველოს სიღრმეში ტერიტორიების ოკუპაციით, ცხინვალის რეგიონის შემოგარენსა და აფხაზეთის მიმდებარე ტერიტორიებზე უსაფრთხოების ზონების შექმნით, რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებამ უხეშად დაარღვია ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების პირობები, რითაც ზიანი მიაყენა არა მარტო საფრანგეთის, როგორც მედიატორის, ავტორიტეტს, არამედ საფრთხის ქვეშ დააყენა ევროპული ინსტიტუტების პრესტიჟიც.

რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე დაიწყო მასობრივი საპროტესტო აქციები სლოგანით „Stop Rassia". მიტინგები და ანტირუსული გამოსვლები მიმდინარეობდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, სადაც ქართულ დიასპორასთან ერთად რუსეთის აგრესიას საქართველოს მიმართ ადგილობრივი მოსახლეობაც აპროტესტებდა.

22 აგვისტოს რუსეთის თავდაცვის მინისტრმა ანატოლი სერდიუკოვმა კამერების წინ მედვედევს მოახსენა, რომ რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა მოახდინეს სრული უკანდახევა (отвод) და ამდენად, რუსეთის მხარემ შეასრულა შეთანხმების პირობები. იმავე დღეს რუსეთის ჯარის ნაწილებმა გასვლა დაიწყეს კასპის, გორისა და ხაშურის რაიონებიდან, სადაც საპატრულო პოლიცია და გამნაღმელები შევიდნენ. 26 აგვისტოს ოკუპანტებმა დატოვეს სენაკის სამხედრო ბაზა და ზუგდიდი. აღდგა გაერო-ს მისიის პატრულირება ზუგდიდის სექტორში. ქ. ფოთი, სენაკი, წალენჯიხის, ჩხოროწყუსა და საჩხერის რაიონები კვლავ ოკუპანტთა ხელში რჩებოდა.

საერთაშორისო თანამეგობრობის, საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციების მიერ მიღებულ იქნა ქმედითი ზომე-

ბი ომის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის პირველადი ჰუმანიტარული დახმარების გასაწევად. საქართველოს ეწვია გაერო-ს გენერალური მდივნის წარმომადგენელი ჟან არნო, რომელიც მონიტორინგს უწევდა ჰუმანიტარულ ღონისძიებებს. ესტონეთიდან საგანგებოდ ჩამოვიდა 120 რეზერვისტი, რომლებიც აქტიურად ჩაებნენ ჰუმანიტარულ ღონისძიებებში. 21 აგვისტოს შავი ზღვის აკვატორიაში შემოვიდა ჰუმანიტარული ტვირთით დატვირთული ესპანეთისა და გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ფრეგატები, ხოლო 24 აგვისტოს – პოლონეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ფრეგატი და აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ესმინეცი. ეს დახმარებები მნიშვნელოვანი იყო არა მარტო ჰუმანიტარული თვალსაზრისით, არამედ წარმოადგენდა საქართველოსადმი საერთაშორისო მხარდაჭერის ნათელ დემონსტრირებას.

25-26 აგვისტოს ეუთო-ს სამხედრო დამკვირვებლებმა ოთხი პატრულირება განახორციელეს ცხინვალის რეგიონის აღმოსავლეთ საზღვრებთან. 26 აგვისტოს ახალგორთან ქართული და ოსური მხარეების შეხვედრის შემდეგ ქართულმა მხარემ პოლიცია გამოიყვანა სოფელ მოსაბრუნიდან. ეუთო-ს დამკვირვებელთა ცნობით, ახალგორიდან გამოძევებული იყო მოსახლეობის 80-90%. 26 აგვისტოს, გაერო-ს დევნილთა სამმართველოს ხელშეწყობით, ქ. გორის შესასვლელთან კარვის ბანაკი გაიშალა, რომელიც 400 დევნილს იტევდა.

საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევით, 2008 წლის 4 სექტემბერს ეუთო-ს სამხედრო დამკვირვებლებს ე.წ. სამხრეთ ოსეთის მიმართულებით არსებულ „ბუფერულ ზონაში" შესვლის საშუალება მიეცათ. ისინი სოფელ კარალეთში შევიდნენ. ეუთო-ს სამხედრო დამკვირვებლებმა პატრულირება განახორციელეს მეგვერკისის გზაზე, საქართველოს სოფლებში, ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციული საზღვრიდან 3 კმ-ზე. საერთაშორისო მისიებისთვის „ბუფერული ზონების" გახსნას მიესალმა ეუთო-ს მისიის ელჩი საქართველოში ტერი ჰაკალა.[146]

146[http://www.rferl.org/content/OSCE_Monitors_Enter_Russian_Zone_In_Georgia/1196462.html]; OSCE military monitors on patrol in Georgia September 04, 2008 By Reuters.

V. სეპარატისტული რეგიონების აღიარება რუსეთის მიერ

რუსეთ-საქართველოს ომი იყო და დღემდე რჩება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების ერთადერთ ომად. ამ ომმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა დსთ-ის არსებობის მიზანშეწონილობა, შეარყია მისი პოლიტიკური პოზიციები. 18 აგვისტოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ დსთ-ის აღმასრულებელ კომიტეტს ნოტა გაუგზავნა საქართველოს დსთ-დან გამოსვლისა და იმ ვალდებულებებზე უარის თქმის შესახებ, რომლებიც საქართველოს ეკისრა 2008 წლის 18 აგვისტოს მდგომარეობით. ეს იყო სერიოზული დარტყმა რუსეთისთვის, ვინაიდან დსთ-ის სამშვიდობო მისიის მოქმედება საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში კარგავდა ლეგიტიმურ საფუძვლებს. რუსეთის ხელისუფლებამ სასწრაფო ზომები მიიღო სამართლებრივი ვაკუუმის შესავსებად. 20 აგვისტოს აფხაზეთის პარლამენტმა რუსეთის ლეგისლატურას დამოუკიდებლობის აღიარების თხოვნით მიმართა, რომელიც განმტკიცებულ იქნა აფხაზეთის სახალხო კრების დადგენილებით. 22 აგვისტოს ანალოგიური მიმართვა ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო პარლამენტმაც გააგზავნა.

25 აგვისტოს რუსეთის პარლამენტის ორივე პალატამ განიხილა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობის საკითხი. ფედერაციის საბჭომ გადაწყვეტილება ერთხმად მიიღო (130 მომხრე, არც ერთი წინააღმდეგი). ასევე ერთსულოვანი იყო სახელმწიფო დუმა (447 მომხრე, არც ერთი წინააღმდეგი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია 3 დეპუტატს). რუსეთის ფედერაციის საბჭომ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების მოწოდებით მიმართა რუსეთის პრეზიდენტს, ხოლო სახელმწიფო დუმამ გაერო-ს წევრ ქვეყნებ'ისა და საერთაშორისო საპარლა-

მენტო ორგანიზაციებს მოუწოდა მხარი დაეჭირათ ახალი სუვერენული სახელმწიფოებისთვის.[147]

ლეგისლატურის გადაწყვეტილებების საფუძველზე, 26 აგვისტოს, რუსეთის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ბრძანებულებებს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის საერთაშორისო სამართლებრივი აღიარების შესახებ.[148] ეს გადაწყვეტილება თავად რუსეთის პრეზიდენტმა გაახმიანა საერთაშორისო თანამეგობრობისადმი საჯარო მიმართვაში. „ოსი და აფხაზი ხალხების ნების გათვალისწინებით, ვიხელმძღვანელე რა გაერო-ს წესდების დებულებებით, საერთაშორისო სამართლის პრინციპების 1970 წლის დეკლარაციებით სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობების შესახებ, 1975 წლის ეუთო-ს ჰელსინკის დასკვნითი აქტით, სხვა საერთაშორისო დოკუმენტების ფუძემდებლური პრინციპებით, ხელი მოვაწერე ბრძანებულებებს რუსეთის ფედერაციის მიერ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ“, – განაცხადა დ. მედვედევმა. რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაევალა აფხაზურ და ოსურ მხარეებთან ეწარმოებინა მოლაპარაკებები დიპლომატიური ურთიერთობების დასამყარებლად და მიღწეული შეთანხმებები გაეფორმებინა სათანადო დოკუმენტებით; მოემზადებინა მეგობრობის, თანამშრომლობისა და დახმარების ხელშეკრულებების პროექტები, ხოლო სათანადო ხელშეკრულებების გაფორმებამდე თავდაცვის სამინისტროს „უზრუნველეყო მშვიდობა“ აღნიშნულ რეგიონებში.

აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარებით რუსეთმა უხეშად დაარღვია ევროკავშირის შუამდგომლობით მიღწეული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების პრინციპები, ხელყო საქართ-

147 Обращение Совста Федерации Федерального Собрания Российской Федерации к Президенту Российской Федерации Д. А. Медведеву о признании независимости Южной Осетии и Абхазии.

148 Указ Президента Российской Федерации от 26.08.2008 № 1260 «О признании Республики Абхазия»; Указ Президента Российской Федерации от 26.08.2008 № 1261 «О признании Республики Южная Осетия».

ველოს ტერიტორიული მთლიანობა, რაც ობიექტურად წარმოადგენს პოსტსაბჭოური საზღვრების გადასინჯვის პირველ მცდელობას ცივი ომის დამთავრების შემდეგ. ეს პოლიტიკური აქტი ეწინააღმდეგება გაერო-ს წესდებას და უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს, მათ შორის, 2008 წლის 15 აპრილის 1808-ე რეზოლუციას, რომელიც ცნობს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.[149] რუსეთის საკანონმდებლო ორგანოს ორივე პალატის დადგენილებითა და რუსეთის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით რუსეთის ფედერაციამ მოახდინა ყველა იმ სამართლებრივი აქტის დელეგიტიმაცია, რომლებითაც გათვალისწინებული იყო მისი შეიარაღებული ძალების ყოფნა საქართველოს ტერიტორიაზე.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა რუსეთის ფედერაციის ქმედებები შეაფასა, როგორც სუვერენული სახელმწიფოს სამხედრო ანექსიის მცდელობა, რომელიც არღვევს საერთაშორისო სამართალს და საფრთხეს უქმნის საერთაშორისო უსაფრთხოებას. „რუსეთის დღევანდელი გადაწყვეტილება ადასტურებს, რომ მისი შეჭრა საქართველოში წარმოადგენდა უფრო ფართო, წინასწარ მოფიქრებული გეგმის ნაწილს ევროპის რუკის შესაცვლელად", – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

28 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება „რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის შესახებ". საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ე.წ. სამშვიდობო ძალები საოკუპაციო საჯარისო შენაერთებად, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა ოკუპირებულ ტერიტორიებად გამოცხადდა. საქართველოს აღმსარულებელ ხელისუფლებას დაევალა უზრუნველეყო ყველა იმ სამართლებრივი აქტის გაუქმება, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების ყოფნას

149 **Хецуриани Дж.** Признание Россией независимости Абхазии и Южной Осетии в контексте международного права: взгляд из Грузии. Кавказ и глобализация. Т. 2, Вып. 4, 2008, с. 26-36.

ითვალისწინებდა. საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთთან დიპლომატიური კავშირი გაწყვიტა.

1 სექტემბერს მთელი საქართველოს მოსახლეობა, რუსეთის აგრესიის მიმართ პროტესტის ნიშნად, ცოცხალ ჯაჭვში ჩაება, რითაც მსოფლიოს დაანახა თავისი ერთსულოვნება და შეურიგებლობა რუსეთის საოკუპაციო რეჟიმისადმი.

VI. საოკუპაციო ჯარების ნაწილობრივი გასვლა „ბუფერული ზონებიდან“

8 სექტემბერს ევროკავშირის დელეგაციამ მოსკოვში დაძაბული მოლაპარაკებები გამართა. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი, ევროკავშირის კომისარი ერთიანი საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ხავიერ სოლანა და ევროკომისიის ხელმძღვანელი მანუელ ბაროსო. მოლაპარაკებები წარმოებდა ქვეყნის პრეზიდენტთან და საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვთან. მიღწეულ იქნა შეთანხმება აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მიმდებარე ზონებში 1 ოქტომბრიდან რუსეთის „სამშვიდობო ძალების“ ევროკავშირის 200 დამკვირვებლით ჩანაცვლების შესახებ. რუსეთის სამხედრო შენაერთებს ე.წ. ბუფერული ზონები 10 ოქტომბრისათვის სრულად უნდა დაეტოვებინათ. ადგილზე რჩებოდნენ გაერო-სა და ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიები. 15 ოქტომბრიდან ჟენევაში უნდა დაწყებულიყო საერთაშორისო შეხვედრები რეგიონში სტაბილურობისა და უსაფრთხოების გარანტიების, იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა დაბრუნების საკითხებზე.

მოლაპარაკებების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე მხარეებმა კიდევ ერთხელ დააფიქსირეს თავიანთი განსხვავებული პოლიტიკური ხედვები. რუსეთის პოზიცია შეუქცევადი იყო. კრემლის პოლიტიკოსების აზრით, დისპუტები აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სტატუსზე – წარმოუდგენელი იყო, რადგანაც ის უკვე განსაზღვრული იყო რუსეთის მიერ და რუსი „მშვიდობისმყოფელები“ დარჩებოდნენ ამ რეგიონებში. საფრანგეთის პრეზიდენტის ნ. სარკოზის აზრით, საერთაშორისო შეხვედრებზე უნდა განეხილათ საქართველოს სეპარატისტული რეგიონების სტატუსი, რადგანაც სუვერენული საქართველოს საზღვრები რუსეთის გადასასინჯი არ იყო. მან

ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ შეთანხმებაზე ხელმოწერა რუსეთს აძლევდა ევროკავშირთან პარტნიორული თანამშრომლობის განახლების შესაძლებლობას.

9 სექტემბერს დელეგაცია საქართველოს ეწვია და ქვეყნის პრეზიდენტს შეხვდა. საფრანგეთის პრეზიდენტის განცხადებით, მზადდებოდა საერთაშორისო კონფერენცია, რომლის მიზანი იყო დონორი სახელმწიფოების მოზიდვა და საქართველოს ეკონომიკური აღორძინების ხელშეწყობა. ევროკავშირის თავმჯდომარემ საქართველოს პრეზიდენტს გადასცა ევროპული საბჭოსა და ევროკომისიის თავმჯდომარეების ერთობლივი დეკლარაცია. დოკუმენტი უკიდურესად მკაცრ შეფასებას აძლევდა რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ცალმხრივად აღიარებას, ხაზს უსვამდა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების სრული და დაუყოვნებლივი შესრულების აუცილებლობას, გამოხატავდა მხარდაჭერას ყველა იძულებით გადაადგილებულისა და ლტოლვილის დაბრუნების საკითხში. ევროკავშირი გამოთქვამდა მზადყოფნას საქართველოს მთელს ტერიტორიაზე განელაგებინა დამკვირვებლები.

მოსკოვის შეხვედრის შემდეგ რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე შეიარაღებული ძალების გაზრდა დაიწყო. ოფიციალური განცხადება ამ საკითხზე რუსეთის გენერალიტეტმა 9 სექტემბერს გააკეთა, რასაც საერთაშორისო საზოგადოების მწვავე რეაქცია მოჰყვა. ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იააპ დე ჰოოპ სხეფერმა ევროკავშირი გააკრიტიკა, რადგან ვერ შეძლო რუსეთის „სამშვიდობოების" კონტინგენტის კონფლიქტამდელი დონის შენარჩუნების მიღწევა.[150]

9 სექტემბერს აფხაზეთის უკანონო შეიარაღებულმა ფორმირებებმა ზუგდიდის რაიონის სოფლები – განმუხური და ხურჩა დატოვეს, ხოლო 13 სექტემბერს საოკუპაციო ჯარებმა გასვლა დაიწყეს ფოთიდან და სენაკიდან. ვითარება კვლავ

150 **Nichol J.** Russia-Georgia Conflict in August 2008: Context and Implications for U.S. Interests, 2009, p. 10.

დაიძაბა ცხინვალის რეგიონის სოფლებში. 13 სექტემბრის ღამით სეპარატისტთა უკანონო შეიარაღებულმა ფორმირებებმა სოფლებში – კოშკასა და დილეგში გადაწვეს ადგილობრივი ქართული მოსახლეობის სახლები, მძევლად აიყვანეს 6 ქართველი, რომელთაც საწვავი გადაასხეს და დაწვით დაემუქრნენ, თუ დაუყოვნებლივ არ დატოვებდნენ სოფლებს. დაშინებულმა ქართულმა მოსახლეობამ სოფლებიდან გასვლა დაიწყო.

16 სექტემბერს გაერო-ს დევნილთა კომისარიატის წარმომადგენელებს შესაძლებლობა მიეცათ შესულიყვნენ გორის ჩრდილოეთით რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე და გაცნობოდნენ არსებულ ჰუმანიტარულ ვითარებას. მისიამ მოინახულა სოფლები: კარალეთი, ტყვიავი, ყიწნისი და ძევერა. მისიის მონაცემებით, სოფლები გაძარცვული იყო, სახლები – გადამწვარი, ხოლო დაუცველი მოსახლეობა – დაშინებული.[151]

რუსეთის ხელისუფლება ცდილობს „გაყინული" კონფლიქტების გალღობასა და შეიარაღებული კონფრონტაციის დაწყებაში მთელი პასუხისმგებლობა დასავლეთს დააკისროს. ამ მხრივ, ფრიად საყურადღებოა რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრის ვ. პუტინის განცხადება, რომელიც მან 21 სექტემბერს საფრანგეთის პრემიერ-მინისტრ ფრანსუა ფიიონთან შეხვედრაზე გააკეთა. „ჩვენ ვაღიარეთ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა ზუსტად ისე, როგორც მრავალმა ევროპულმა სახელმწიფო ცნო კოსოვოს დამოუკიდებლობა, რაც ჩვენი აზრით, სრულიად უსაფუძვლო იყო და ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო სამართლის არსებულ ნორმებს. პანდორას ყუთი ჩვენ არ გაგვიხსნია"[152] – განაცხადა რუსეთის პრემიერ-მინისტრმა.

კონკრეტული ისტორიული ფაქტორებიდან გამომდინარე რეგიონში მშვიდობისა და სტაბილიზაციის აღდგენის მთელი სიმძიმე ევროკავშირს დააწვა. ამ მიმართულებით განხორციელებულ ღონისძიებებს შორის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ევრო-

151 UNHCR teams enter Georgia-South Ossetia "buffer zone" [http://www.unhcr.org/48cfcb8b4.html].

152 Putin snubs French - again [http://democratizationpolicy.org/2008/09/21/putin-snubs-french-again/].

კავშირის მონიტორინგის მისიის (EUMM) შექმნას. მისიის ძირითადი ამოცანაა საქართველოში ვითარების სტაბილიზაციის ხელშეწყობა, 12 აგვისტოსა და 8 სექტემბრის შეთანხმებების შესრულებაზე მეთვალყურეობა, ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევების გამოვლენა, დევნილების დაბრუნებისა და მხარეებს შორის ნდობის აღდგენისათვის ხელშეწყობა, ევროკავშირის ინფორმირება რეგიონში არსებული სიტუაციის შესახებ.

სადამკვირვებლო მისიის მანდატი საქართველოში 12 თვით განისაზღვრა. მისი პერსონალი ევროკავშირის 22 ქვეყანამ გამოყო, ხოლო ბიუჯეტმა 35 მლნ. ევრო შეადგინა. 30 სექტემბერს მისია ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა ერთიანი საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ხავიერ სოლანამ გახსნა. „ევროკავშირი თავის ვალდებულებებს ასრულებს, ვალდებულებები სხვა მხარეებმაც უნდა შეასრულონ," – განაცხადა ინაუგურაციაზე ევროპის პირველმა დიპლომატმა. ევროკავშირის მისიის ოფისები გაიხსნა თბილისში, ბაზალეთში, გორში, ფოთსა და ზუგდიდში. მისიის ხელმძღვანელად გერმანელი დიპლომატი ჰანსორგ ჰაბერი დაინიშნა.[153] შეთანხმების შესაბამისად, 225-მა შეუიარაღებელმა დამკვირვებელმა 1 ოქტომბრიდან დაიწყო პატრულირება სეპარატისტული რეგიონების ადმინისტრაციულ საზღვრებთან. ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საქართველოდან დაუვილში (საფრანგეთი), ევროკავშირის საგარეო მინისტრების არაფორმალურ შეხვედრაზე გაემგზავრა, სადაც საგარეო საქმეთა მინისტრებს მოახსენა საქართველოში ევროდამკვირვებელთა მისიის საქმიანობის დაწყების შესახებ. ხ. სოლანამ ევროკავშირის ორთვიანი პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში შემდეგნაირად დაახასიათა: „ომის დროს ევროკავშირის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები გამოხატავდა ჩვენს კონკრეტულ პოლიტიკურ, ჰუმანიტარულ, ფინანსურ და პრაქტიკულ მხარდაჭერას საქართველოსადმი. ევროკავშირის მონიტორინგთა

153 **ავალიანი დ.** ჩვენ აქ ვართ. *24 საათი.* 1 09. 2008, №218.

მისია ამ მხარდაჭერის მნიშვნელოვანი ნაწილია".[154]

ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესაბამისად, 5 ოქტომბრიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარის ნაწილებმა გასვლა დაიწყეს ე.წ. ბუფერული ზონებიდან. ისინი დასავლეთის მიმართულებით დარჩნენ აფხაზეთსა და კოდორის ხეობაში, საჩხერის რაიონის სოფელ პერევში, ხოლო ე.წ. სამხრეთ ოსეთის მიმართულებით – ახალგორის რაიონსა და ცხინვალის რეგიონში.

გათავისუფლებულ ტერიტორიებზე ევროდამკვირვებელთა მისიის შესვლის შემდეგ ცხადი გახდა იქ არსებული ჰუმანიტარული კრიზისი. უმძიმესი ვითარება იყო შიდა ქართლის 50 ქართულ სოფელში, რომლებშიც ეთნოწმენდა განხორციელდა, უხეშად დაირღვა ადამიანის უფლებათა ფუძემდებლური პრინციპები და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმები.

12 აგვისტოდან 9 ოქტომბრის ჩათვლით შიდა ქართლის ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოკლეს და გაიტაცეს ათობით ადამიანი, ასობით სახლი გადაიწვა და ათი ათასობით ადამიანი გაიძარცვა. ტყვიავში გახსნილი ჰქონდათ ტყვეთა ბანაკი, სადაც დატყვევებული ჰყავდათ ქალები, ბავშვები და მოხუცები. უკანონო შეიარაღებული ფორმირებები და რუსი ჯარისკაცები მათ ქართული მხარის ტყვეებში ცვლიდნენ. ქართველ ტყვეებს იყენებდნენ იძულებითი შრომისათვის, მათ შორის, ცხედრების დასაკრძალავად. „ბუფერული ზონებიდან" რუსი სამხედროების გასვლას თან სდევდა ტერორისტული აქტების მთელი სერია.

გათავისუფლებულ ტერიტორიებზე შესულმა საქართველოს სამართალდამცავმა სტრუქტურებმა საზოგადოებრივი წესრიგის აღდგენა დაიწყეს. პირველივე დღეებში ცხინვალის ადმინისტრაციულ საზღვართან მაროდიორობისათვის 11 ოსი დააკავეს. ე.წ. სამხრეთ ოსეთის კომენდანტის, პოლკოვნიკ ანატოლი ტარასოვის აზრით, კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლა არ იყო მიზანშეწონილი, რადგანაც ხელს შეუწყობდა რეგიონში

154 Summary of remarks by Javier Solana, EU High Representative for the Common Foreign and Security Policy, at the informal meeting of EU defence ministers. Deauville, France, 1 October 2008.

დაძაბულობის ესკალაციას.[155]

9 ოქტომბერს საქართველოს ეწვია საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბერნარ კუშნერი საქართველოდან რუსეთის ჯარების გასვლისა და 6 აგვისტომდე არსებული სტატუს-კვოს აღდგენის პროცესების ადგილზე გასაცნობად.[156] მინისტრის აზრით, ჯარის ნაწილების ე.წ. ბუფერული ზონებიდან გაყვანა სრულებითაც არ ნიშნავდა რუსეთის მხრიდან ვალდებულებების შესრულებას. სხვაგვარად ფიქრობდა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, რომელიც თვლიდა, რომ რუსეთის ფედერაციამ ვადამდე შეასრულა ევროკავშირის თავმჯდომარის ეგიდით მიღწეული შეთანხმების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულება რუსეთის „სამშვიდობოების" გაყვანის შესახებ. რაც შეეხება ახალგორს, ის სამხრეთ ოსეთის საზღვრებში შედიოდა და, შესაბამისად, გეგმის დებულებები ამ ტერიტორიაზე არ გავრცელდებოდა.[157] საქართველოს პარლამენტი საერთაშორისო თანამეგობრობას, მათ შორის, მეგობარი ქვეყნების პარლამენტარებს მოუწოდებდა რუსეთის ფედერაციისაგან მოეთხოვათ აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიებზე საერთაშორისო დამკვირვებლების დაშვების უზრუნველყოფა, ეთნიკური წმენდის შედეგების აღმოფხვრა, ყველა იძულებით გადაადგილებული პირის ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნებისათვის ხელშეწყობა.

საქართველოს ტერიტორიაზე ევროდამკვირვებლების მისიის განთავსების შემდეგაც რუსეთის ხელისუფლება აგრძელებდა შეიარაღებული ძალების კონცენტრაციას და პროვოკაციულ ქმედებებს კონფლიქტის ზონაში. კერძოდ, ცხინვალის რეგიონში დამატებით შეიყვანეს 2 000 სამხედრო მოსამსახურე, ხოლო ახალგორში – 40 ერთეული საბრძოლო ტექნიკა. ცხინვალიდან ახალგორამდე დაიწყო სამხედრო გზის მშენებლობა. ვითარება დაიძაბა საჩხერის რაიონში, პერევის „უსაფრთხო-

155 [http://www.opendemocracy.net/article/russia-theme/south-ossetia-fear-and-loathing-in-the-buffer-zone].

156 ბერნარ კუშნერის ვიზიტი. *24 საათი*. 10.10.2008, №226.

157 ჟენევის შეხვედრის წინ. *24 საათი*, 13.10.2008, № 228.

ბის ზონაში". ეუთო-ს მონიტორინგის მისიის ცნობით, ადგილი ჰქონდა პერევის საკონტროლო-გამშვებ პუნქტში რუსი სამხედროების დე-ფაქტო ხელისუფლების შეიარაღებული ძალებით ჩანაცვლების მცდელობას.[158]

რუსეთის საჯარისო ნაწილები ოკუპირებულ ტერიტორიებზე დღემდე უხეშად არღვევენ საერთაშორისო სამართლის ნორმებს. მძიმე ჰუმანიტარული ვითარებაა როგორც აფხაზეთში, ასევე ცხინვალის რეგიონში. ძალადობა, ყაჩაღობა, მკვლელობა, გაუპატიურება, ტერორიზმი ამ რეგიონების ყოველდღიურ რეალობად იქცა. ცხინვალის ადმინისტრაციულ საზღვართან მიმდებარე სოფლებიდან იტაცებენ ქართველებს „საზღვრის გადაკვეთის" საბაბით, რითაც ცდილობენ თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის საზღვრების „დაკანონებას".

საქართველოში გაერო-სა და ეუთო-ს მისიების დაბლოკვის შემდეგ რუსეთ-საქართველოს კრიზისის დაძლევის მთელი სიმძიმე ევროკავშირს დააწვა. რუსეთი, ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების პირობებზე აპელირებით, ევროკავშირის დამკვირვებელთა მისიას ოკუპირებულ ტერიტორიებზე პატრულირების უფლებას არ აძლევს. კონფლიქტის ზონებში საერთაშორისო კონტროლის არარსებობა რეგიონის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად რჩება, იზრდება საქართველოს წინააღმდეგ ახალი შეიარაღებული აგრესიის რისკები, რაც კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას ანიჭებს ევროკავშირს სამხრეთ კავკასიაში მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების თვალსაზრისით.

158 *Steve Bird (+995 91 227 055)*
[http://www.delgeo.ec.europa.eu/en/press2008/081108Perevi.pdf].

VII. ჟენევის შეხვედრები

ნეიტრალური შვეიცარია წამყვან როლს ასრულებს საქართველოში არსებული კონფლიქტების მოგვარების საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმების შემუშავებაში. იმთავითვე ცნობილი იყო, რომ ჟენევის მოლაპარაკებები ნაკლებ ეფექტური იქნებოდა, მაგრამ არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების საერთაშორისო სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევას და დიალოგის რეჟიმში დაბრუნებას. ჟენევის ფორმატი რუსეთს, პრაქტიკულად, კონფლიქტის მონაწილე მხარედ აღიარებს, რაც ჟენევის მოლაპარაკებების მთავარ შედეგად უნდა ჩაითვალოს. მოლაპარაკებები წარმოებს სამი ქვეყნის – საქართველოს, აშშ-ისა და რუსეთის წარმომადგენელთა შორის გაერო-ს, ეუთო-სა და ევროკავშირის მედიატორობით (3+3 სქემით). 15 ოქტომბერს ჟენევაში გამართულ პლენარულ სხდომაზე ევროკავშირის სახელით მონაწილეობდნენ: საგარეო საქმეთა მინისტრი ბერნარ კუშნერი, ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი ხავიერ სოლანა და კომისარი ბენიტა ფერერო-ვალდნერი, გაერო-ს წარმოადგენდა გენერალური მდივანი პან გი მუნი, ეუთო-ს – ოფისის თავმჯდომარე ჰეიკი ტალვიტი და გენერალური მდივანი მარკ პერინ დე ბრიჩამბაუტი, აშშ-ს – სახელმწიფო მდივნის მოადგილე დენიელ ფრიდი.

პირველივე სესია რუსეთის დელეგაციის დემარშით დაიწყო. მან, „ახალი რეალიების“ გათვალისწინებით, მოითხოვა სეპარატისტთა ემისრებს სხდომაში მონაწილეობა დამოუკიდებელი სახელმწიფოების წარმომადგენელთა სტატუსით მიეღოთ. ბუნებრივია, ეს პოზიცია არ იქნა გაზიარებული საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ, რის გამოც რუსულმა მხარემ შეხვედრა, ფაქტობრივად, ჩაშალა.

რუსეთი დღემდე ცდილობს ჟენევის ფორმატის შეცვლას, სამშვიდობო პროცესის ჩიხში შეყვანას, უკეთეს შემთხვევაში,

მის საერთოდ ჩაშლას. ქართული მხარე მოითხოვს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ევროკავშირის მისიის წარმომადგენელთა დაშვებას, ეუთო-ს მისიის დაბრუნებას საქართველოში, მაგრამ არა სადამკვირვებლო, არამედ საპოლიციო ფუნქციებით, საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციის ჩატარებას. ბუნებრივია, ეს მოთხოვნები კატეგორიულად მიუღებელია რუსეთისთვის. რუსეთი და მარიონეტული რეჟიმები საქართველოს ხელისუფლებას ძალის გამოუყენებლობის დოკუმენტების ხელმოწერის მოთხოვნას უპირისპირებენ. ჟენევის მოლაპარაკებების ბედი ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ იქნება კონსტრუირებული უახლოეს მომავალში რუსეთ-ევროკავშირისა და რუსეთ-ნატო-ს ურთიერთობები.

VIII. საერთაშორისო თანამეგობრობა და საქართველო

1. რუსეთ-საქართველოს ომი და საერთაშორისო თანამეგობრობა

რუსეთის სამხედრო ინტერვენცია საქართველოში, პატარა, მაგრამ მზარდი დემოკრატიული სახელმწიფოს „დასჯის" სურვილი – საერთაშორისო თანამეგობრობის ღია გამოწვევას, ცივი ომის შემდეგ შექმნილი მსოფლიო წესრიგის ძალის პოლიტიკით შეცვლის მცდელობას წარმოადგენდა. ამ ომით რუსეთმა უხეშად დაარღვია საერთაშორისო სამართლის ნორმები, ფეხქვეშ გათელა საერთაშორისო ურთიერთობების ელემენტარული პრინციპები, საფრთხე შეუქმნა საერთაშორისო უზენაესი ლეგიტიმური ორგანოს – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის – ღირებულებებსა და ფასეულობებს. ამიტომ რუსეთ-საქართველოს ომი საერთაშორისო თანამეგობრობის ერთიანობისა და სოლიდარობის საუკეთესო გამოცდაც იყო. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები დაუყოვნებლივ გაერთიანდნენ საერთაშორისო სამართლისა და არსებული მსოფლიო წესრიგის დასაცავად.

საომარი ოპერაციების დაწყების პირველივე დღიდან დასავლეთის პოლიტიკურმა ლიდერებმა და საერთაშორისო ორგანიზაციების მესვეურებმა საოცარი პრინციპულობა და სიმტკიცე გამოავლინეს ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის მისაღწევად, კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირებისა და ისტორიული სამართლიანობის აღსადგენად.

რუსეთის ინტერვენციას საქართველოში ოპერატიულად გამოეხმაურა აშშ-ის ხელისუფლება. 8 აგვისტოს აშშ-ის პრეზიდენტმა, ჯერ კიდევ პეკინში, რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრთან ისაუბრა საქართველოში მიმდინარე პროცესებზე, დაგმო ძალადობა საქართველოს წინააღმდეგ, რუსეთის მიერ

არაპროპორციული ძალის გამოყენება და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებს მიღმა განხორციელებული სამხედრო ქმედებები.[159]

გაერო-ს წესდების უზენაეს პრინციპებს, სუვერენული სახელმწიფოს საზღვრების ურღვეობას იცავდნენ გაერო-ს უშიშროების საბჭოს წევრები 8 აგვისტოს საქართველოს საკითხის განსახილველად გამართულ სხდომაზე. სხდომას წინ უძღოდა კონსულტაციები უშიშროების საბჭოს ერთიანი პოზიციის შესამუშავებლად, მაგრამ არსებული აზრთა სხვადასხვაობის გამო ვერ მოხერხდა ერთიანი განცხადების ტექსტის შემუშავება. თუმცა, საბჭოს წევრთა უმრავლესობა უპირველეს ამოცანად მიიჩნევდა ცეცხლის შეწყვეტას, საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ურღვეობის პრინციპების საფუძველზე პროცესების პოლიტიკურ რეგულირებას გაერო-სა და ეუთო-ს მონაწილეობით. უშიშროების საბჭოს სხდომაზე აშშ-ის წარმომადგენელმა, ქ-ნმა დიკარლომ რუსეთს მოუწოდა გაეყვანა შეიარაღებული ძალები საქართველოდან, შეეწყვიტა ცოცხალი ძალისა და ტექნიკის შეყვანა სამხრეთ ოსეთში როკის გვირაბის გავლით.[160]

გაერო-ს უშიშროების საბჭოს 10 აგვისტოს სხდომაზე კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა რუსეთის ჰუმანიტარული მოტივაცია. აშშ-ის წარმომადგენლის ზ. ხალილზადეს აზრით, კონფლიქტის გავრცელება საქართველოს სხვა სეპარატისტულ რეგიონში და ავიადარტყმების განხორციელება თბილისის გარშემო, ეჭვქვეშ აყენებდა რუსეთის ჰუმანიტარულ მიზნებს. მან რუსეთი დაადანაშაულა კონფლიქტის გაჭიანურებისა და სიტუაციის დეესკალაციის ხელის შეშლის მცდელობებში. აშშ-ის წარმომადგენელმა მკაცრად გააფრთხილა რუსეთის მხარე, რომ კრიზისის დაძლევის მშვიდობიანი მოწესრიგებისთვის ხელის შეშლა, საქართველოს წინააღმდეგ იერიშის გაგრძელება გავლენას მოახდენდა როგორც რუსეთისა და აშშ-ის, ასევე

159 **Nichol J.** Russia-Georgia Conflict in Agust 2008: Context and Implications for U.S. Interests. 2009, p.24.

160 Совет Безопасности, 5951-е заседание, 8 августа 2008 года [http://www.un.org/russian/documen/scaction/2008/indcx.html].

რუსეთისა და საერთაშორისო თანამეგობრობის სხვა წევრების ურთიერთობაზე. რუსეთის წარმომადგენელმა გაეროში თავისი ქვეყნის პოზიციის დასაცავად კოსოვო გაიხსენა, როდესაც იბომბებოდა სერბიის დედაქალაქი ბელგრადი, კონფლიქტის ზონიდან რამდენიმე ასეული კილომეტრით დაშორებული ხიდები დუნაიზე. რუსეთის მხარემ „იუკადრისა" მისი დადანაშაულება მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ ტერორში „იმ ქვეყნის წარმომადგენლის ბაგეებიდან, რომლის მოქმედებების შედეგები ცნობილია ერაყის, ავღანეთის და იმავე სერბიის მოსახლეობისთვის".[161] სხდომაზე ცალსახად გამოიკვეთა რუსეთის რევანშისტული განწყობა კოსოვოსა და ერაყის საკითხებთან მიმართებაში.

რადიკალური და უკომპრომისო იყო აშშ-ის ადმინიტრაციის პოზიცია. 10 აგვისტოს აშშ-ის პრეზიდენტის მრჩევლის წარმომადგენელმა ნაციონალური უსაფრთხოების საკითხებში ჯეიმს ჯეფფრეიმ რუსეთის ფედერაციის ხელისუფლება გააფრთხილა, რომ საქართველოს წინააღმდეგ არაპროპორციული ძალის გამოყენება გავლენას მოახდენდა აშშ-რუსეთის ურთიერთობაზე და რუსეთს კიდევ ერთხელ მოუწოდა სამხრეთ ოსეთიდან ჯარების გაყვანისკენ. აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის დიკ ჩეინის განცხადებით, რუსეთის აგრესია არ დარჩებოდა უპასუხოდ, აგრესიის გაგრძელებას მოჰყვებოდა სერიოზული შედეგები როგორც აშშ-რუსეთის, ასევე მთელ საერთაშორისო თანამეგობრობასთან ურთიერთობებში. საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს მიმართ სრული მხარდაჭერა გამოხატა აშშ-ის პრეზიდენტმა, რომლის აზრითაც, დაშინებისა და მუქარის ხერხები მიუღებელი იყო 21-ე საუკუნეში საგარეო პოლიტიკის საწარმოებლად. [162]

9 აგვისტოს ბალტიისპირეთის რესპუბლიკებისა და პოლონეთის პრეზიდენტებმა ევროკავშირსა და ნატო-ს მოუწოდეს

161 Совет Безопасности, 5953-е заседание, 10 августа 2008 года [http://www.un.org/russian/documen/scaction/2008/index.html].

162 Bush to Russia: 'Bullying and intimidation are not acceptable', *Los Angeles Times*; **Spetalnick, M.** Cheney: "Russian aggression must not go unanswered". *Reuters*. 10. 08. 2008. [http://www.reuters.com/article/latestCrisis/idUSN10298525].

დაპირისპირებოდნენ რუსეთის იმპერიალისტურ პოლიტიკას. მათ შეიმუშავეს ცეცხლის შეწყვეტისა და სამხრეთ კავკასიაში სტაბილურობის მიღწევის გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა რეგიონში საერთაშორისო ძალების განლაგებას. გეგმა პრეზენტირებულ იქნა 10 აგვისტოს პოლონეთის პრეზიდენტის მიერ, რის შემდეგაც ის ევროკავშირში განსახილველად გადაეგზავნა საფრანგეთის პრეზიდენტს. გეგმის კომენტირებისას პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რადოსლავ სიკორსკიმ აღნიშნა, რომ ევროკავშირის ძალების გარეშე, მხოლოდ რუსეთის იმედად, სამხრეთ ოსეთში დიდი ხნის მანძილზე ვერ დამყარდებოდა მშვიდობა. პოლონეთის პოზიციას ღიად დაუპირისპირდა იტალიის პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი, რომელმაც მხარი არ დაუჭირა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის გამო ევროკავშირის მიერ რუსეთის წინააღმდეგ ზომების მიღებას.[163] იტალიის ხელისუფლების პოზიცია უფრო ნათლად გამოხატა საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანკო ფრატტინიმ. „ჩვენ ევროპაში ვერ შევქნით ანტირუსულ კოალიციას და, ამ თვალსაზრისით, ჩვენ ახლოს ვდგავართ პუტინის პოზიციასთან", – განაცხადა მან.[164]

12 აგვისტოს აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ მ. ბრაიზამ თბილისში, აშშ-ის საელჩოში პრესკონფერენცია გამართა, სადაც რუსეთ-საქართველოს ომი დაახასიათა როგორც მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოს შეჭრა პატარა მეზობელ სახელმწიფოში მისი დემოკრატიული გზით არჩეული ხელისუფლების დასამხობად. „მოსკოვში ზოგიერთებმა სერებრენიცას განმეორება გადაწყვიტეს, რათა შემდეგ ამ მოვლენებისთვის გენოციდი ეწოდებინათ", – განაცხადა მ. ბრაიზამ.[165]

ამრიგად, რუსეთ-საქართველოს ომის პირველივე დღეებ-

---

163 **Nichol J.** Russia-Georgia Conflict in Agust 2008: Context and Implications for U.S. Interests. 2009, p.18.

164 **Bennhold K.** Differences emerge in Europe of a response to Georgia conflict. *International Herald Tribune*, 12.08.2008.

165 **გაბიევა ხ.** რუსეთის ინტერვენციას გამართლება არ აქვს. 24 საათი, 13.08. 2008. DAS Matthew Bryza Press Conference (August 12, 2008) - U.S. Embassy Georgia.

ში დასავლეთის პოზიცია ორად გაიყო. აშშ-ის ხელისუფლება ცალსახად უჭერდა მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას და რუსეთის ხელისუფლებისგან საომარი ოპერაციების დაუყოვნებლივ შეწყვეტას მოითხოვდა. ასევე უკომპრომისონი იყვნენ პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების ლიდერები. საფრანგეთმა და გერმანიამ „ოქროს შუალედი" გამოძებნეს და ამ კონფლიქტში მედიატორის როლი იტვირთეს. რაც შეეხება იტალიას, ის მხარს უჭერდა საქართველოს სუვერენიტეტს, მაგრამ ერთმნიშვნელოვნად პრორუსულ პოზიციაზე იდგა.

12 აგვისტოს გაიმართა ნატო-ს ელჩების საგანგებო სხდომა, რომელმაც მხარდაჭერა გამოხატა საქართველოს სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობისადმი, დაგმო რუსეთის მიერ არაპროპორციული ძალის გამოყენება. გაერო-ს გენერალურმა მდივანმა იააპ დე ჰოოპ სხეფერმა საქართველოს ნატო-ს საპატიო პარტნიორი უწოდა და აღნიშნა, რომ საქართველოსთვის MAP-ის მინიჭების საკითხი კვლავ დღის წესრიგში რჩებოდა.[166]

12 აგვისტოს საფრანგეთის პრეზიდენტმა ნ. სარკოზიმ რუსეთის ფედერაციის და საქართველოს პრეზიდენტებს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების გეგმა წარუდგინა. იმავე დღეს მხარეებმა ხელი მოაწერეს პრელიმინარულ შეთანხმებას. ე.წ. სარკოზის გეგმა თავდაპირველად 4 პუნქტისგან შედგებოდა. რუსეთის და საქართველოს მხარეების მიერ მასში შევიდა დამატებები და დაზუსტებები.[167]

ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების სამუშაო პროექტი ასე გამოიყურებოდა:

1. მხარეები არ მიმართავენ ძალის გამოყენებას;
2. საბოლოოდ შეწყდეს სამხედრო მოქმედებები;
3. შეიქმნას ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენის თავ-

166 **Nichol J.** Russia-Georgia Conflict in Agust 2008: Context and Implications for U.S. Interests. 2009. p.31.

167 **Kramer, Andrew E.** Peace Plan Offers Russia a Rationale to Advance. *The New York Times*. 13.08.2008. [http://www.nytimes.com/2008/08/14/world/europe/14document.html].

ისუფალი შესაძლებლობა" (აქ და შემდეგ *-ის შემდეგ მითითებული მოთხოვნები ამოღებულ იქნა რუსეთის ფედერაციის მიერ. რედ.) და ლტოლვილებს მიეცეთ დაბრუნების საშუალება;

4. საქართველოს შეიარაღებული ძალები უნდა დაბრუნდნენ მუდმივი დისლოკაციის ადგილებში;

5. რუსეთის შეიარაღებული ძალები უნდა დაბრუნდნენ სამხედრო მოქმედებების დაწყებამდე არსებულ ხაზზე. საერთაშორისო მექანიზმების ამოქმედებამდე რუსეთის სამშვიდობო ძალები განახორციელებენ უსაფრთხოების დამატებით ზომებს "6 თვით;

6. დაიწყოს საერთაშორისო დისკუსია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მომავალ სტატუსზე და მათი უსაფრთხოების გარანტიებზე "გაერო-სა და ეუთო-ს გადაწყვეტილებების საფუძველზე.[168]

13 აგვისტოს ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრები ბრიუსელში, საგანგებო სესიაზე შეიკრიბნენ, სადაც მხარი დაუჭირეს ევროკავშირის სამშვიდობო გეგმას, საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, ეუთო-ს მონიტორინგთა საქმიანობას. დაისვა საკითხი საქართველოში ევროკავშირის დამკვირვებელთა მისიის გამოგზავნის აუცილებლობის შესახებ. მინისტერიალის გადაწყვეტილებით, დროებით, საქართველოს ოკუპაციის დასრულებამდე, შეჩერდა ევროკავშირ-რუსეთის ჩარჩო-ხელშეკრულებაზე მუშაობა. ბრიუსელში პარალელურად მიმდინარეობდა ეუთო-სა და ევროკავშირის საკოორდინაციო თათბირები გაერო-ს გენერალური მდივნის წარმომადგენლის იოჰან ვერბეკეს მონაწილეობით.

14 აგვისტოს რუსეთის მთავრობას კიდევ ერთხელ შეახსენა აშშ-ის თავდაცვის მდივანმა რობერტ გეიტსმა, რომ მისი ქცევა კითხვის ნიშნის ქვეშ სვამდა როგორც აშშ-თან, ასევე ნატო-სთან დიალოგსა და უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობას.

რუსეთ-საქართველოს ომმა და დასავლეთ ევროპის წამყ-

168 French original of the peace plan and letter by President Sarkozy.

ვანი ქვეყნების ლიდერების ლავირების პოლიტიკამ ევროპის ახალგაზრდა დემოკრატიულ სახელმწიფოებში დაუცველობის განცდა გაზარდა. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას პოლონეთის ხელისუფლების მიერ 13 აგვისტოს სასწრაფო წესით მიღებული გადაწყვეტილება პოლონეთის ტერიტორიაზე აშშ-ის სარაკეტო თავდაცვითი სისტემის განთავსების შესახებ, რაც სხვადასხვა მიზეზთა გამო თითქმის ერთი წლის მანძილზე ჭიანურდებოდა. შეთანხმება ოფიციალურად გაფორმდა 20 აგვისტოს. შეთანხმების მიხედვით, 2012 წლამდე პოლონეთში, ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის ელემენტებთან ერთად, აშშ-ის საჯარისო ნაწილიც უნდა განთავსდეს.

აშშ-პოლონეთის სამხედრო-პოლიტიკურ ხელშეკრულებას კრემლმა კონტრშეტევით უპასუხა. მოსკოვი დაიმუქრა, რომ პენტაგონის გეგმის განხორციელების შემთხვევაში მიღებული იქნებოდა კონტრზომები, კერძოდ, პოლონეთსა და ჩეხეთს მოიერიშე სტრატეგიულ იარაღს დაუმიზნებდნენ, ხოლო ბელორუსის ტერიტორიაზე „ისკანდერის" ტიპის ბალისტიკურ რაკეტებსა და სტრატეგიულ ბომბდამშენებს განალაგებდნენ.[169] რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე გრუშკო ამტკიცებდა, რომ რუსეთი პირნათლად ასრულებდა თავის ვალდებულებებს, მათ შორის, ნატო-სთან ჩარჩო-ხელშეკრულების ფარგლებში, დახმარებას უწევდა ნატო-ს ავღანეთში სატრანზიტო სივრცის დათმობით, მხარს უჭერდა თანამშრომლობას ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და მასობრივი განადგურების იარაღის (WMD) გაუვრცელებლობის საკითხებში, მაგრამ თუ ალიანსი საქართველოს მფარველობას შეეცდებოდა, სერიოზული პრობლემები შეიქმნებოდა რუსეთ-ნატო-ს ურთიერთობებში.[170]

სამხედრო მოქმედებების დასრულების შემდეგ რუსეთ-საქართველოს დაპირისპირებამ პოლიტიკური და დიპლომატიური კონფრონტაციის ხასიათი მიიღო და საერთაშორისო

169 პოლონეთში ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა განლაგდება. *24 საათი*, 21.08. 2008.

170 ITAR-TASS, August 18, 2008.

პოლიტიკის სფეროში გადაინაცვლა. მთელი მსოფლიო, განსაკუთრებით ევროკავშირი და საფრანგეთი, რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო ელიტისგან ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების პირობების შესრულებას მოელოდა, მაგრამ რუსეთი აგრძელებდა სადამსჯელო ოპერაციებსა და საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას. 19 აგვისტოს, საფრანგეთის დელეგაციის მოთხოვნით, გაერო-ს უშიშროების საბჭო კიდევ ერთხელ დაუბრუნდა რუსეთ-საქართველოს ომის საკითხს, სადაც კონფლიქტს სამართლებრივ-პოლიტიკური შეფასებები მიეცა. „ევროპის აღმოსავლეთ ფლანგში კვლავ შეიქმნა არასტაბილური სიტუაცია, რომელიც საფრთხეს უქმნის მშვიდობას რეგიონში და იწვევს სერიოზულ დაძაბულობას საერთაშორისო ურთიერთობებში", – განაცხადა საფრანგეთის ელჩმა ბ-ნმა ლაკრუამ. გაერთიანებული სამეფოს წარმომადგენლმა სერ ჯონ სოერსმა რუსეთს კონფლიქტის მონაწილე მხარე უწოდა, ხოლო საქართველოში განთავსებულ რუსეთის სამხედრო შენაერთებს – საოკუპაციო არმია.

უშიშროების საბჭოს წევრები ერთხმად მოუწოდებდნენ რუსეთს დაუყოვნებლივ გაეყვანა შეიარაღებული ძალები საქართველოს ტერიტორიიდან და აღედგინა 6 აგვისტომდე არსებული მდგომარეობა. უშიშროების საბჭომ განიხილა საფრანგეთის დელეგაციის რეზოლუციის პროექტი, რომელიც საფუძვლად უნდა დადებოდა კონფლიქტის დარეგულირების ძირითად პრინციპებს. რეზოლუცია ითვალისწინებდა საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობის პატივისცემას, რომლის აუცილებელ პირობას საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის შეიარაღებული ძალების გაყვანა წარმოადგენდა.[171] რუსეთის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერო-ში ა. ჩურკინმა საფრანგეთი ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების არსის დამახინჯებაში დაადანაშაულა და მის მიერ წარმოდგენილი რეზოლუციის პროექტს

171 Совет Безопасности, 5961-е заседание, 19 августа 2008 года [http://www.un.org/russian/documen/scaction/2008/index.html].

ვეტო დაადო. [172] ამ ქმედებით რუსეთმა ჩაშალა ექვსპუნქტიანი შეთანხმების ელემენტების კოდიფიკაციისა და კონფლიქტის დარეგულირებისათვის მყარი, სამართლებრივი გარანტიების შექმნის შესაძლებლობა.

19 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის მიერ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების უხეშ დარღვევას, საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების ჩიხში შეყვანის მცდელობებს გამოეხმაურა აშშ-ის ადმინისტრაცია. სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა გაავრცელა განცხადება, რომ რუსეთი მეტად და მეტად შორდება სამართლის ნორმებს, რომ „პატარა, მეზობელ სახელმწიფოში შეჭრით, მისი სამოქალაქო ინფრასტრუქტურის ყოვლად გაუმართლებელი ნგრევით, დაკავებული სოფლების დაცარიელებით, რუსეთი საერთაშორისო საზოგადოებისაგან საკუთარი თავის იზოლაციას ახდენს".

აშშ-ის ადმინისტრაცია სრულ და ობიექტურ ინფორმაციას ფლობდა საქართველოში არსებული ვითარების შესახებ. ამ მხრივ, ფრიად საყურადღებოა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მ. ბრაიზას ბრიფინგი. მისი ინფორმაციით, 7-8 აგვისტოს, ღამით, სამხრეთ ოსეთის რეგიონში დაწყებული შეიარაღებული შეტაკება წინასწარ დაგეგმილი და პროვოცირებული იყო რუსეთის მიერ, ხოლო დე-ფაქტო ხელისუფლება და მისი უსაფრთხოების სტრუქტურები დაკომპლექტებული იყო რუსი მოხელეებით, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულ ძალებს.[173]

19 აგვისტოს შეიკრიბა ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრების საგანგებო სესია. შეხვედრაზე ხაზი გაესვა ნატო-ს განსაკუთრებულ დაინტერესებას რუსეთ-საქართველოს კრიზისის დაძლევასა და რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის აღდგენაში.

---

172 Совет Безопасности , 5961-е заседание, Вторник, 19 августа 2008 года, 16 ч. 15 м.

173 U.S. Department of State. Foreign Press Center. *Briefing: The Situation in the Republic of Georgia and its Implications for the Caucasus*, August 19, 2008. See also Commission on Security and Cooperation in Europe. Georgia and the Return of Power Politics. *Testimony by Matthew J. Bryza*, September 10, 2008.

მინისტერიალმა მხარი დაუჭირა საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, ევროკავშირისა და ეუთო-ს ძალისხმევით მიღწეულ სამშვიდობო შეთანხმებას. შეხვედრაზე მოისმინეს ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, ეუთო-ს თავმჯდომარის ა. სტუბის მოხსენება ეუთო-ს მიერ განხორციელებული სამშვიდობო ღონისძიებების შესახებ, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ბ. კუშნერის ანგარიში რუსეთ-საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტის დასარეგულირებლად ევროკავშირის ეგიდით გაწეული საქმიანობის თაობაზე.

სესიამ მიიღო დადგენილება ნატო-საქართველოს კომისიის შექმნისა და ჩარჩო-ხელშეკრულების მომზადების შესახებ. აღნიშნულ საკითხზე საქართველოს ხელისუფლებასთან კონსულტაციები უნდა ეწარმოებინა ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს ბობ სიმმონს. ასევე, დაიგეგმა საქართველოში ჩრდილო ატლანტიკური საბჭოს წევრებისა და გენერალური მდივნის ვიზიტი სექტემბრის შუა რიცხვებისთვის. შეიქმნა ექსპერტთა 15 კაციანი საგანგებო ჯგუფი, რომელსაც უნდა შეესწავლა და განესაზღვრა საქართველოში დანგრეული სამოქალაქო, ტრანსპორტის, წყლის ინფრასტრუქტურების, ენერგეტიკული სტრუქტურის, კომუნიკაციების აღსადგენად, კვების და ჯანდაცის სფეროში გასაწევი დახმარების ოდენობა. დღის წესრიგში დაისვა საქართველოს საჰაერო სისტემის აღდგენისა და კიბერთავდაცვის ორგანიზების, დევნილი მოსახლეობისათვის სასწრაფო ჰუმანიტარული დახმარების გაწევის საკითხები.[174]

სესიის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ნატოს გენერალურმა მდივანმა სხეფერმა აღნიშნა, რომ ნატო-რუსეთის საბჭოს შეხვედრები არ განახლდებოდა, სანამ რუსეთი არ დაიცავდა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას. ამ ურთიერთობების მომავალი ბევრად იქნებოდა დამოკიდებული იმ კონკრეტულ ქმედებებზე, რომლებსაც რუსეთი სამშვიდობო გეგმის შესაბამისად განახორციელებდა. მინისტერიალმა მიიღო დეკლარაცია, რომელიც განამტკიცებდა ბუქარესტის სამიტის

174 US Secretary of State Condoleezza Rice following the Meeting of the North Atlantic Council at the Level of Foreign Ministers [http://www.nato.int/cps/en/natolive/opinions_7916.htm].

სულისკვეთებას და წარმოადგენდა იმის დეკლარირებას, რომ ცივი ომის დასრულებისა და საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ ალიანსი საფრთხის ქვეშ ვერ დააყენებდა ევროპის მთავარ მონაპოვარს – თავისუფლებასა და მშვიდობას, რომ ნატოს აქვს ღია კარების პოლიტიკა ევროპული დემოკრატიული ქვეყნებისადმი.

20 აგვისტოს საქართველოში შექმნილი ვითარება განიხილა ევროპარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის, უსაფრთხოებისა და თავდაცვის ქვეკომიტეტის, ევროპარლამენტის სამხრეთ კავკასიასთან ურთიერთობის დელეგაციის ერთობლივმა საგანგებო სხდომამ. მომხსენებლად მიწვეული იყო საფრანგეთის სახელმწიფო მინისტრი ევროპულ საქმეთა დარგში ჟან პიერ ჟუიე. სხდომა დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა. მონაწილეთა უმრავლესობამ სოლიდარობა გამოხატა საქართველოსადმი და დაგმო რუსეთის აგრესიული ქმედება. აქვე გადაწყდა, რომ სექტემბრის დასაწყისში, ევროპარლამენტის პირველივე პლენარულ სხდომაზე განეხილათ საქართველოში შექმნილი ვითარება და მიეღოთ სათანადო რეზოლუცია. „იმ პირობებში, როდესაც რუსეთი არ ასრულებს საერთაშორისო ვალდებულებებს, ევროკავშირი ვერ შეძლებს მასთან თანამშრომლობას და საქმიანობის ჩვეულ რეჟიმში გაგრძელებას“, – განაცხადა საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ი. სარიუშ-ვოლსკიმ.[175] სხდომაზე, ასევე, განიხილეს საქართველოსთვის ფინანსური დახმარების საკითხი.

2. საერთაშორისო თანამეგობრობის რეაქცია რუსეთის მიერ სეპარატისტული რეგიონების აღიარებაზე

როგორც ზემოთ ითქვა, 26 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა დ. მედვედევმა ხელი მოაწერა დოკუმენტებს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ. რუსი ხალხისადმი პირდაპირ სატელევიზ-

175[http://www.mfa.gov.gc/indcx.php?geo=on&searchq=%].

იო მიმართვაში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა თავისი გადაწყვეტილება ჰუმანიტარული მოტივებით ახსნა. ბევრად უფრო გულახდილი იყო დ. მედვედევი ტელეკომპანია სი-ენ-ენ-ისთვის მიცემულ ინტერვიუში. მისი სიტყვებით, რუსეთი სახელმწიფოა, რომელიც ვალდებულია უზრუნველყოს თავისი ინტერესები მთელს პერიმეტრზე, რომ რუსეთს არ მოსწონს, როდესაც მის გარშემო იქმნება ახალი ბაზები და ჩნდებიან ახალი რაკეტები, რომ უნდა მოიკვეთოს ის აზრი, თითქოს, ბაზები, რაკეტსაწინააღმდეგო სისტემები, ახალი რადიოლოკატორები რომელიღაც ქვეყნების დასამარცხებლადაა საჭირო. ყოველივე ეს აღმართულია რუსეთის საზღვრის გარშემო და მიზნად ისახავს რუსეთის ფედერაციაზე ზეწოლას.[176]

აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებით რუსეთის ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, გამორიცხა არსებული საერთაშორისო ნორმების, ინსტიტუტებისა და მექანიზმების საფუძველზე კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების შესაძლებლობა. ეს იყო ღია მესიჯი საერთაშორისო საზოგადოებისადმი, რომ პრივილეგიური ინტერესების რეგიონში კრემლი მტკიცედ დაიცავდა თავის პოზიციებს.

რუსეთის მიერ სეპარატისტული რეგიონების აღიარების დეკლარირებამ საერთაშორისო თანამეგობრობის ერთსულოვანი პროტესტი გამოიწვია. აშშ-ის პრეზიდენტმა ის შეაფასა, როგორც შეუთავსებელი გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებთან, საფრანგეთის შუამდგომლობით მიღწეული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების პრინციპებთან. ჯ. ბუშმა კრემლს მოუწოდა გადაესინჯა ეს ყოვლად უპასუხისმგებლო გადაწყვეტილება და დაეწყო 6 პუნქტიანი შეთანხმების მოთხოვნების შესრულება. სახელმწიფო მდივანმა კ. რაისმა სინანული გამოთქვა სამშვიდობო შეთანხმების დარღვევის გამო, რომელიც მოწოდებული იყო აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სტატუსის განსახილველად საერთაშორისო მოლაპარაკებების დაწყებისკენ. მისი აზრით, რუსეთის ნებისმიერი მცდელობა გაერო-ს უშიშროების

176 Интервью телекомпании *Си-Эн-Эн*. 26 августа 2008 года,Сочи [http://www.kremlin.ru/text/appears/2008/08/205774.shtml].

საბჭოზე მიეღწია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებისათვის, იმთავითვე მკვდრად შობილი იქნება.[177]

ცალსახად უარყოფითი იყო ევროპის სახელმწიფოთა ლიდერების პოზიციაც. გერმანიის კანცლერი ა. მერკელი გამოთქვამდა იმედს, რომ ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო რუსეთთან დიალოგის დაწყება, მხოლოდ იმ ფასეულობების გაზიარების შემთხვევაში, რომლებიც პატივს სცემს ცალკეული სახელმწიფოების ტერიტორიულ მთლიანობას, ისევე როგორც საერთაშორისო მექანიზმების გამოყენებას კონფლიქტების მოგვარების საქმეში. საფრანგეთის პრეზიდენტმა ნ. სარკოზიმ მკაცრად დაგმო აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართული ქმედება. მისი აზრით, რუსეთის ამ ნაბიჯს შეეძლო გამოეწვია ევროკავშირ-რუსეთის ურთიერთობების გადასინჯვა.[178] იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანკო ფრატტინიმ მიუღებლად მიიჩნია ეთნიკურად ჰომოგენური ანკლავების შექმნა, მაგრამ დასავლეთს ურჩევდა სიფრთხილით მოკიდებოდა რუსეთის იზოლაციას.[179] შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კარლ ბილდტი თვლიდა, რომ რუსეთმა თვითონ აირჩია არა მარტო ევროპასთან, არამედ მთელს საერთაშორისო საზოგადოებასთან კონფრონტაციის გზა. [127]

გაერთიანებული სამეფოს საგარეო უწყების ხელმძღვანელის დ. მილიბენდის აზრით, რუსეთის გადაწყვეტილება უსამართლო და მიუღებელი იყო არამარტო საერთაშორისო ნორმების დარღვევის გამო. ის, ასევე, არ ითვალისწინებდა აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან დევნილი ათასობით ქართველისა თუ სხვა ეროვნების წარმომადგენელთა ინტერესებს.

---

177 **Nichol J.** Russia-Georgia Conflict in Agust 2008: Context and Implications for U.S. Interests. 2009, p.27.

178 The Presidency of the Council of the European Union strongly condemns the decision taken by the Russian authorities to recognise the independence of Abkhazia and South Ossetia

179 **Nichol J.** Russia-Georgia Conflict in Agust 2008: Context and Implications for U.S. Interests, p. 17.

დ. მილიბენდი თვლიდა, რომ საჭირო იყო ფართო კოალიციის ჩამოყალიბება რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ განხორციელებული აგრესიის წინააღმდეგ.

რუსეთის მიერ საქართველოს სეპარატისტული რეგიონების აღიარებისადმი ნეგატიური დამოკიდებულება გამოხატეს საერთაშორისო ინსტიტუტებმა. დიდი შვიდეულის საგარეო საქმეთა მინისტრების აზრით, რუსეთის გადაწყვეტილებამ ეჭვქვეშ დააყენა კავკასიაში მშვიდობა და უსაფრთხოება, რადგან მან იარაღის ძალით მოახდინა საქართველოს რეგიონების ოკუპაცია.[180] ანალოგიური პოზიცია დააფიქსირა ნატო-ს გენერალურმა მდივანმა. ნატო-ს საბჭომ რუსეთის ხელისუფლებას მიღებული გადაწყვეტილების ანულირებისკენ მოუწოდა, რადგანაც ის ეწინააღმდეგებოდა ევროპაში სტაბილურობის ფუნდამენტურ პრინციპებს.[181]

საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს, კონფლიქტის საერთაშორისო ნორმების ფარგლებში დარეგულირებას მხარი დაუჭირეს ეუთო-ს და ევროპის საბჭოს ხელმძღვანელებმა.

რუსეთის ფედერაციას საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვის, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონისთვის დაუყოვნებლივი სრული და თავისუფალი ჰუმანიტარული დახმარების გაწევის პირობების შექმნის, ეთნიკური ქართველების მიმართ ძალადობისა და დაშინების შეწყვეტისკენ მოუწოდებდნენ გაერო-ს უშიშროების საბჭოს წევრები 28 აგვისტოს გამართულ სხდომაზე. მათი აზრით, სამხედრო ძალის გამოყენება, სამოქალაქო პირების მიმართ ძალადობა და დაშინება, ფაქტობრივი ანექსია ვერ გახდებოდა კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების საფუძველი. „არ შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს უშიშროების საბჭოს მიერ არაერთგზის და ერთსულოვნად აღიარებული გაერო-ს წევრი-სახელმწიფოს ტერიტორიული ხელშეუხებლობა მე'სობელი ქვეყნის მხრიდან განხორციელებული

---

180 «Большая семёрка» осудила Россию за признание Южной Осетии и Абхазии.

181 Совет НАТО призвал Россию пересмотреть решение о признании независимости Абхазии и Южной Осетии. *Коммерсант* . 27. 08. 2008.

სამხედრო ინტერვენციის შედეგად, რომელიც ყოველგვარი პოლიტიკური პროცესებისა და არსებითი საერთაშორისო გარანტიების გარეშე ახდენს მის ტერიტორიასთან მიმდებარე რაიონის საზღვრების შეცვლას", – განაცხადა საფრანგეთის წარმომადგენელმა ლაკრუამ.

რუსეთის ქმედება იარაღის ძალით მეზობელი ქვეყნის საზღვრების შეცვლის მცდელობად შეაფასა გაერთიანებული სამეფოს წარმომადგენლმა სერ ჯონ სოერსმა. „რუსეთის ქმედებებმა შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული ჰუმანიტარული და პოლიტიკური შედეგები. ჩვენთვის ცნობილია, რომ რუსეთი თავის ქმედებებს ჰუმანიტარული კატასტროფის თავიდან აცილების აუცილებლობით ამართლებს. ბოლო კვირეებში ჩვენ გავხდით სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში ეთნიკური ქართველების საკუთარი სახლებიდან გამოძევების მოწმეები. რუსეთის მიერ ... მიღებული გადაწყვეტილება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში აქეზებს მათ, ვინც მიმართავენ ძალადობასა და დაშინებას, და დღეს ჩვენ გაგვაჩნია სანდო მტკიცებულებები ასეთი ქმედებების აქტივიზაციის შესახებ", – განაცხადა სერ ჯ. სოერსმა. უშიშროების საბჭოს სხდომაზე რუსეთს მისდამი ლოიალურად განწყობილმა იტალიამაც კი არ დაუჭირა მხარი.

რუსეთის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერო-ში ვ. ჩურკინმა უშიშროების საბჭო ორმაგი სტანდარტის პოლიტიკაში დაადანაშაულა, ვინაიდან თავის დროზე მან თავად უგულებელყო გაერო-ს რეზოლუციები და საერთაშორისო სამართლის პრინციპები, როდესაც კოსოვოს დამოუკიდებლობა აღიარა. კავკასიის ხალხების უსაფრთხოების დაცვა რუსეთის მისიაა, რომლის შესრულებაში მას ხელს ვერავინ შეუშლის. ამ განცხადებით რუსეთის ხელისუფლებამ საერთაშორისო თანამეგობრობა გააფრთხილა, რომ კავკასია მისი გავლენის სფეროს წარმოადგენდა და არ დაუშვებდა ამ ტერიტორიაზე დასავლეთის პოლიტიკურ გაძლიერებას. გაერო-ს სხდომაზე ღიად დაფიქსირდა რუსეთის პოლიტიკური ამბიცია აღორძინებულიყო როგორც ზესახელმწიფო და ერთპიროვნული მოთამაშე რეგიონში. ეს გახდა სერიოზული ნიშანი იმისა, რომ საჭირო

იყო დასავლეთის ძალისხმევის გაერთიანება რუსეთის მზარდი აგრესიის წინააღმდეგ.

7-დან 28 აგვისტოს ჩათვლით გაერო-ს უშიშროების საბჭომ ექვსჯერ განიხილა საქართველოს საკითხი, მაგრამ მისი ყველა მცდელობა შეექმნა კონფლიქტის დარეგულირების საერთაშორისო მექანიზმები ან მოეხდინა შექმნილი ვითარების კვალიფიკაცია, დაიბლოკა რუსეთის (ერთხელ ჩინეთთან ერთად) მიერ ვეტოს უფლების გამოყენებით. უშიშროების საბჭოს სხდომებზე ღიად გამოიკვეთა რუსეთსა და დასავლეთს შორის წინააღმდეგობის გაღრმავება კოსოვოსა და საქართველოს საკითხებთან მიმართებაში.

28 აგვისტოს შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციამ (ჩინეთი, რუსეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი და უზბეკეთი) არ გაიზიარა რუსეთის პოზიცია საქართველოს სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარების საკითხში, მხარი დაუჭირა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და დაგმო საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის გამოყენების პრეცედენტი.

გაერო-ს წევრი ქვეყნებიდან მხოლოდ ნიკარაგუას პრეზიდენტმა დანიელ ორტეგამ მოიწონა რუსეთის ხელისუფლების გადაწყვეტილება. 5 სექტემბერს მან ხელი მოაწერა დეკრეტს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ. საგარეო საქმეთა მინისტრის მანუელ კორონელ კაუტსის მტკიცებით, ნიკარაგუას კონსტიტუციის შესაბამისად, პრეზიდენტის დეკრეტები წარმოადგენენ საბოლოო ოფიციალურ აქტებს და არ საჭიროებენ პარლამენტის დამტკიცებას.[182] 2008 წლის სექტემბერში საქართველოს ხელისუფლებამ ნიკარაგუასთან დიპლომატიური კავშირი გაწყვიტა.

რუსეთის მიერ საქართველოს სეპარატისტული რეგიონების აღიარებას მიესალმნენ პალესტინის ავტონომიის ღაზას სექტორში ჰამასის მოძრაობის წარმომადგენელი აიმან ტახამი და „ჰესბოლას" ლიდერები, საუდის არაბეთის პოლისარიოს ფრონტი.

---

182 Никарагуа официально признала независимость Южной Осетии и Абхазии. *РИА «Новости».*

აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარების მხარდაჭერა ნიკარაგუასა და რამდენიმე ტერორისტული მოძრაობის მიერ რუსეთის დიპლომატიის სერიოზულ მარცხს წარმოადგენს.[183]

ამრიგად, რუსეთის ფედერაციამ, საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევით, საფრთხე შეუქმნა თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკურ-სამართლებრივ საფუძვლებს. რუსეთის პოლიტიკურმა ელიტამ გამოიყენა ხელსაყრელი საერთაშორისო გარემო პოლიტიკური ამბიციის დასაკმაყოფილებლად და საკმაოდ ეფექტური ნაბიჯები გადადგა რუსეთის, როგორც ზესახელმწიფოს აღსადგენად და მისი ნეოიმპერიალისტური პოლიტიკის ასაღორძინებლად.

რუსეთის მიერ მეზობელი სუვერენული ქვეყნის მიმართ სამხედრო ძალის გამოყენებით ახლო საზღვარგარეთის რუკის გადასინჯვის მცდელობამ და გავლენის სფეროებზე ღია პრეტენზიამ დასავლეთი ახალი რეალიების წინაშე დააყენა. გამოიკვეთა კრემლის სტრატეგიული მიზანი – მთელი პოსტსაბჭოთა სივრცის რუსეთის გავლენის სფეროდ გადაქცევა, რაც მომავალში უთუოდ გაზრდიდა რუსეთის ფედერაციის მხრიდან სხვა მეზობელი ქვეყნისადმი ახალი აგრესიის ალბათობას. მოვლენების ასეთი განვითარების პრევენციის ერთადერთ გზად გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრი გორდონ ბრაუნი ევროკავშირისა და რუსეთის ურთიერთობების გადახედვას, საქართველოსა და იმ ქვეყნებისადმი მხარდაჭერის გაზრდას მიიჩნევდა, რომლებიც მომავალში შეიძლება აღმოჩენილიყვნენ რუსეთის აგრესიის საფრთხის წინაშე.[184]

რუსეთთან დამოკიდებულების საკითხში კიდევ ერთხელ გაიყო ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკური ლიდერების

---

183 ХАМАС приветствует признание независимости Абхазии и Южной Осетии [http://www.regnum.ru/news/1054747.html]. იხ. აგრეთვე პაპასქირი ზ. და აღმოცისკარდა საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. თბ., 2009, გვ. 218-220.

184 This is how we will stand up to Russia's naked aggression . *The Observer*. 31.08. 2008.

პოზიცია ევროკავშირის საგანგებო სამიტის წინ, რისი ძირითადი მიზეზი ევროპის ზოგიერთი ქვეყნის რუსეთზე ენერგოდამოკიდებულებაში უნდა ვეძებოთ.

ევროპის ცალკეულ სახელმწიფოთა ლიდერების ერთი ნაწილი რუსეთის მიმართ მკაცრი ზომების მიღებას მოითხოვდა, რაშიც რუსეთ-ევროკავშირის თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებისა და ენერგეტიკის სფეროში ერთობლივი პროექტების შეჩერებას, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანების ბლოკირებას, რუსეთის მოქალაქეებისათვის სავიზო რეჟიმის გამკაცრებას გულისხმობდნენ. მეორე ნაწილი კი მეტ სიფრთხილესა და ზომიერებას იჩენდა. „გულდასმით და ეფექტურად უნდა შევარჩიოთ რუსეთის ქმედებებზე რეაგირების გზები. მოკლევადიან პერსპექტივაში მხარი უნდა დავუჭიროთ დემოკრატიულ და სუვერენულ ქვეყნებს. დავიწყებთ საქართველოდან, რომელიც ეკონომიკურ და პოლიტიკურ დახმარებას საჭიროებს. ასეთი მიდგომით ჩვენ რუსეთს უფრო მეტად მოვთხოვთ... ჩვენ გვინდა ვიხილოთ მისი განსხვავებული კურსი და არა დაჩოქილი რუსეთი. დასუსტებული რუსეთი ისევე ნაკლებადაა ჩვენს ინტერესებში, როგორც აგრესიული“, – განაცხადა გაერთიანებული სამეფოს საგარეო უწყების ხელმძღვანელმა დ. მილიბენდმა.[185]

1 სექტემბერს ბრიუსელში ევროკავშირის საგანგებო სამიტმა უარი თქვა რუსეთის მიმართ სანქციების პოლიტიკაზე. სამიტზე მიიღეს დეკლარაცია, რომელშიც დაგმეს რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ცალმხრივი აღიარება და სხვა ქვეყნებს მოუწოდეს არ ეცნოთ თვითაღიარებული დამოუკიდებლობა. მათი აზრით, ევროპის ყველა სახელმწიფოს აქვს უფლება თავად აირჩიოს თავისი საგარეო პოლიტიკა და ის ალიანსები, რომლებშიც შესვლა სურს.

საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ დასკვნით კონფერენციაზე განაცხადა, რომ მოლაპარაკებები რუსეთსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობის შესახებ ახალი

185 David Miliband Foreign Secretary. Thankfully...August is over [http://blogs.fco.gov.uk/roller/miliband/date/20080901].

ხელშეკრულების დადების თაობაზე შეჩერდება, სანამ რუსეთი შეიარაღებულ ძალებს არ დააბრუნებდა 6 აგვისტოს პოზიციებზე.[186] ევროკავშირის ლიდერებმა მხარი დაუჭირეს აღდგენით ღონისძიებებში საქართველოსთვის დახმარების გაწევას. ამ მიზნით, მიზანშეწონილად ჩაითვალა დონორთა საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა. კომისრის, ბენიტა ფერეროს აზრით, 20 000-30 000-მდე დევნილის დასახმარებლად, დაახლოებით, 110 მილიონი ევრო იქნებოდა საჭირო.[187] გადაწყდა საქართველოში ევროკავშირის ექსპერტთა ჯგუფის გამოგზავნა, რომელსაც ჰუმანიტარული საჭიროებანი უნდა შეეფასებინა. დღის წესრიგში დაისვა საქართველოსათვის თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობების შეთავაზებისა და საქართველოს მოქალაქეებისათვის სავიზო რეჟიმის შემსუბუქების საკითხიც, როგორც კი ამისათვის დამაკმაყოფილებელი პირობები შეიქმნებოდა. საქართველოს საკითხთან ერთად სამიტზე დიდი ყურადღება დაეთმო ევროპის ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემებს, ევროპის აღმოსავლეთ მეზობლებთან პარტნიორობის პროგრამის შემუშავების დაჩქარებას.

ევროკავშირის სამიტის გადაწყვეტილებამ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის დიდი მოწონება დაიმსახურა. „ევროკავშირის ქვეყნების პოზიციის სხვადასხვაობის მიუხედავად ჯანსაღმა აზრმა იზეიმა. ჩვენ ვიცით, რომ ზოგიერთი ქვეყანა რუსეთის დასასჯელად მითიური სანქციების დაწესებას მოითხოვდა. ევროკავშირს ეყო გამჭრიახობა ეს არ გაეკეთებინა. რუსეთის იზოლაცია, ფაქტობრივად, მიუღწევადია“, – განაცხადა დ. მედვედევმა.[188]

3 სექტემბერს რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი განიხილა ევროპარლამენტმაც, რომელმაც დაგმო აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარება და მოითხოვა რუსეთის ჯარების გაყვანა საქართველოდან. ევროპარლამენტმა მოიწონა ევ-

186 Extraordinary European Council meeting on the situation in Georgia. 1.08. 2008; **ავალიანი დ.** ევროპა სანქციებზე უარს ამბობს. *24 საათი*, 2.09.2008.

187 [http://ec.europa.eu/news/external_relations/080902_1_en.htm].

188 **ავალიანი დ.** რუსეთი პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიმხრობას ცდილობს. *24 საათი*, 3. 09.2008, №198.

როკავშირის გადაწყვეტილება რუსეთთან თანამშრომლობისა და პარტნიორობის შესახებ ახალი მოლაპარაკებების შეჩერების თაობაზე, მხარი დაუჭირა საბჭოს მოწოდებებს რუსეთზე ევროპის ენერგოდამოკიდებულების შემცირებაზე,[189] ევროკავშირის დამკვირვებლების მისიის გაგზავნას საქართველოში. დღის წესრიგში დაისვა გაერო-ს ან ეუთო-ს ეგიდით რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შესასწავლად საერთაშორისო გამოძიების ჩატარების საკითხი.

ევროპარლამენტის დეკლარაციაში აისახა ევროპელი დეპუტატების ხედვა ცალკეულ საკითხებზე. კერძოდ, მათი აზრით, 7-8 აგვისტოს ღამით, სახმელეთო ოპერაციები დაიწყო საქართველომ ცხინვალის რეგიონზე კონტროლის აღსადგენად. ამასთანავე, აკრიტიკებდნენ რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებას არაპროპორციული სამხედრო ძალის გამოყენებისთვის, აღნიშნეს, რომ რუსეთს არ ჰქონდა ლეგიტიმური უფლება შეჭრილიყო საქართველოს ტერიტორიაზე, მოეხდინა მისი ტერიტორიის ნაწილის ოკუპაცია და დამხობით დამუქრებოდა დემოკრატიული ქვეყნის ხელისუფლებას.

როგორც ვხედავთ, რუსეთმა მოახერხა ევროპის გაყოფა ენერგომატარებლების გამოყენებით, რაც ევროკავშირისა და ევროპარლამენტის დეკლარაციებშიც აისახა. მათ ისეთი სტრატეგიული გადაწყვეტილებები მიიღეს, რომლებიც ევროპა-რუსეთის ურთიერთობებში არ გამოიწვევდა უარყოფით შედეგებს. თუმცა, აქვე გამოიკვეთა სხვა მნიშვნელოვანი ასპექტიც – რუსეთის იმპერიალისტურ ლოგიკას ევროპამ დემოკრატიის განვითარების ხელშეწყობა და ევროკავშირთან ინტეგრაციის გაფართოება დაუპირისპირა. ამ სტრატეგიული კურსის ეფექტურობას უახლოეს ხანებში თავად ისტორიული პრაქტიკა გამოცდის.

აშშ-ის ადმინისტრაციის პოზიცია მკვეთრად განსხვავდებოდა ევროკავშირის პოლიტიკური კურსისაგან. აშშ-ის ხელისუფლება შედეგზე ორიენტირებულ კონკრეტულ ღონისძიებებს მიმართავდა და, ზომიერების ფარგლებში, საქართველოსადმი

189 European Parliament resolution of 3 September 2008 on the situation in Georgia.

არც ღია მხარდაჭერას მორიდებია. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს აშშ-ის უშუალო დახმარებით თბილისში საქართველოს სამშვიდობო მისიის გადმოყვანა ერაყიდან. რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრმა და პრეზიდენტმა არაერთხელ გააკრიტიკეს აშშ-ის ადმინისტრაცია და ის საქართველოსადმი დახმარებაში დაადანაშაულეს. უფრო მეტი, რუსეთის პრო-პაგანდისტული საშუალებები ცდილობდნენ დაერწმუნებინათ საერთაშორისო საზოგადოება, რომ ეს ომი მომზადდა და დაიგეგმა აშშ-ის მიერ, რაც მიზნად ისახავდა საერთაშორისო თანამეგობრობის დეზორიენტირებას. სამწუხაროდ, ამ პრო-ვოკაციაზე არაერთი პრორუსულად განწყობილი ევროპელი პოლიტიკოსი თუ დიპლომატი წამოეგო.

საქართველოსადმი სამხედრო-პოლიტიკური მხარდაჭერის დემონსტრირებას წარმოადგენდა საქართველოს საზღვაო წყ-ლებში აშშ-ის ხომალდების გამოჩენა: 24 აგვისტოს სამხედრო ხომალდი McFaul-ი ბათუმის პორტში შემოვიდა; 27 აგვისტოს ბათუმის პორტში ღუზა ჩაუშვა სანაპირო დაცვის კატარღა Dallas-მა, 5 სექტემბერს ფოთის პორტში შემოვიდა სამხედრო ხომალდი Mt. Whitney-ი.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი დ. მედვედევი აშშ-ის ხელისუფლების ქმედებებს საქართველოსადმი სამხედრო მხარდაჭერად აფასებდა. გენერალი ა. ნოგოვიცინი ნატო-ს ად-მინისტრაციას 1936 წლის მონტრეს კონვენციის დარღვევაში ადანაშაულებდა.[190] რუსეთის გენერალიტეტის ამ მოსაზრებას არ იზიარებდა ნატო-ს ხელმძღვანელობა. ნატო-ს ადმინის-ტრაცია შავი ზღვის აუზში ფლოტის შემადგენლობის გაზრდას საქართველოსთვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევითა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის გეგმიური წვრთნებით ხსნიდა. ანალიტიკოს ვლადიმერ სოკორის აზრით, აშშ-ს შავი ზღვის აუზში არ დაურღვევია მონტრეს კონვენციის მოთხოვნები,

190 Black Sea Fleet ships start tracking NATO guests _ Politics _ REGNUM". [http://www.regnum.ru/english/polit/1047087.html]. Naval Imbalance in the Black Sea After the Russian-Georgian War. Ocnus.net. 2008-11-27. [http://www.ocnus.net/artman2/publish/Defence_Arms_13/Naval_Imbalance_in_the_Black_Sea_After_the_Russian-Georgian_War.shtml].

იცავდა რა კონვენციით დადგენილ სამხედრო ფლოტის ტონაჟისა და ფლოტის ვიზიტის ხანგრძლივობის პირობებს. კონვენციით გათვალისწინებულ ინტერვალებში ხდებოდა გემების როტაციაც.

აშშ-ის ადმინისტრაციის ღია მხარდაჭერა საქართველოსადმი ობიექტური რეალობით იყო განპირობებული. აშშ-ს კავკასიისა და შავი ზღვის რეგიონისადმი თავისი სტრატეგიული ინტერესები გააჩნია, უპირველესად, რუსეთ-ირანის ურთიერთობებთან მიმართებაში, ამიტომ აშშ-ის ხელისუფლებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კავკასიაში სტატუს-კვოს შენარჩუნება, მშვიდობისა და სტაბილურობის აღდგენა.

IX. პოსტკონფლიქტური საქართველოს განვითარების ტენდენციები

1. აშშ - საქართველოს ურთიერთობა ომის შემდგომ პერიოდში

საომარი ოპერაციის დასრულებისთანავე აშშ-ის ხელისუფლებამ დაიწყო ზრუნვა საქართველოსთვის დროული ფინანსური, მორალური თუ პოლიტიკური მხარდაჭერის აღმოჩენისთვის. აშშ-ის ხელისუფლების კეთილგანწყობა კიდევ ერთხელ დაადასტურა ვიცე-პრეზიდენტმა დიკ ჩეინმა 4 სექტემბერს საქართველოში ვიზიტის დროს. „აშშ დაეხმარება საქართველოს მსოფლიოში ყველაზე სწრაფად მზარდი ეკონომიკის მქონე ქვეყნის პოზიციის აღდგენაში", – განაცხადა ვიცე-პრეზიდენტმა. 6 სექტემბერს იტალიაში მან მკაცრად გააკრიტიკა რუსეთის პოლიტიკა და ხაზი გაუსვა აშშ-რუსეთის ურთიერთობებში შექმნილ დაძაბულობას. „რუსეთმა მოახდინა დემოკრატიული საქართველოს სუვერენიტეტის ხელყოფა, დადო და შემდეგ უხეშად დაარღვია ოფიციალური შეთანხმება, რაც ევროკავშირის საჯარო შეურაცხყოფაა. რუსეთმა ძლიერი ზიანი მიაყენა ევროკავშირისადმი ნდობასა და მის ადგილს მსოფლიოში, ასევე საფრთხის ქვეშ დააყენა საკუთარი ურთიერთობები აშშ-თან და სხვა სახელმწიფოებთან," – განაცხადა დ. ჩეინმა.[191]

კრემლის ადმინისტრაციაზე ზეწოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბერკეტად უნდა განვიხილოთ 8 სექტემბერს აშშ-ის კონგრესის მიერ აშშ-რუსეთის სამშვიდობო ბირთვული თანამშრომლობის შეთანხმების შეჩერება. აშშ-ის პრეზიდენტის განმარტებით, ეს გადაწყვეტილება წარმოადგენდა პასუხს რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების ქმედებაზე, რომელიც მან

191 **Nichol J.** Russia-Georgia Conflict in Agust 2008: Context and Implications for U.S. Interests, p. 27.

განახორციელა სუვერენული და დამოკრატიული მეზობელი ქვეყნის, საქართველოს მიმართ.

9 სექტემბერს საქართველოს საკითხზე მოსმენები გაიმართა აშშ-ის სენატის სამხედრო საქმეთა კომიტეტში. სხდომაზე სიტყვით გამოვიდა აშშ-ის თავდაცვის მდივნის მოადგილე ერიკ ედელმანი, რომელმაც სენატორებს გააცნო პენტაგონის გადაწყვეტილება საქართველოში სპეციალური დელეგაციის მივლინების შესახებ. მისიას სამხედრო დახმარების აღმოჩენის მიზნით უნდა შეესწავლა საქართველოს შეიარაღებული ძალების სამართლებრივი დოკუმენტები და მდგომარეობა. საქართველოს, ისევე როგორც ნებისმიერ სუვერენულ სახელმწიფოს, უნდა შეეძლოს თავდაცვა და აგრესორის ახალი თავდასხმების მოგერიება", – განაცხადა ე. ედელმანმა. იმავე დღეს მოსმენები გაიმართა აშშ-ის კონგრესის საგარეო საქმეთა კომიტეტში, სადაც საქართველოში განვითარებული მოვლენების დეტალური ანალიზი წარადგინა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ევროპისა და ევრაზიის საკითხებში დენიელ ფრიდმა.

18 სექტემბერს აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა „მარშალის ფონდში" გამოსვლისას მკაცრი შეფასება მისცა მოსკოვის მცდელობებს შექმნას ახალი მსოფლიო წესრიგი, გააკრიტიკა რუსეთის აგრესიული პოლიტიკა საქართველოში შეჭრის ჩათვლით. კ. რაისის აზრით, რუსეთის საქართველოში ინტერვენცია იყო წინასწარ მოფიქრებული და დაგეგმილი, რომელიც დიდი ხნით ადრე დაიწყო, როდესაც სეპარატისტულ რეგიონებში არიგებდნენ რუსეთის პასპორტებს, წვრთნიდნენ და აიარაღებდნენ მათ სახალხო ლაშქარს, შემდეგ კი საქართველოს საზღვრების გადაკვეთა გაამართლეს როგორც თვითდაცვითი ქმედება. „საქართველოში შეჭრით რუსეთმა ვერ მიაღწია და ვერც მიაღწევს სტრატეგიულ მიზნებს, მათ შორის, ომის მთავარ მიზანს – საქართველოს ხელისუფლების დამხობას," – განაცხადა სახელმწიფო მდივანმა. მან ყურადღება გაამახვილა ალტერნატიული ენერგომარშრუტების განვითარებაზე, რუსეთის გვერდის ავლით დასავლეთის ქვეყნების ერთიანი ენერგოუსაფრთხოების სისტემის შექმნაზე. კ. რაისს

დღის წესრიგში არ დაუსვამს რუსეთის იზოლაციის საკითხი. პირიქით, საჭიროების შეთხვევაში, აშშ და ევროპა გააგრძელებდნენ რუსეთთან ერთად ერთიანი პოლიტიკის გატარებას, მათ შორის, ტერორიზმთან ბრძოლის, ირანის ბირთვული მისწრაფების შეჩერების, ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის მხარდაჭერის პროექტებისა და გაერო-ს უშიშროების საბჭოს ეფექტურობის სტიმულირების საკითხებში. „სამწუხარო იქნება, თუ რუსეთთან ჩვენი ურთიერთობები ინტერესთა დონეს ვერ გასცდება, რადგან ქვეყნებს შორის საუკეთესო ურთიერთობები მაშინ ყალიბდება, როდესაც ისინი მიზნებსა და ღირებულებებს იზიარებენ“, – აღნიშნა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა.[192]

25 სექტემბერს ნიუ-იორკში გენერალური ასამბლეის მაღალი ტრიბუნიდან საქართველოს პრეზიდენტმა საერთაშორისო თანამეგობრობას მიმართა. მან თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევა ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის მისაღწევად, ყურადღება გაამახვილა მარიონეტული ძალებისა და მათი გასამხედროებული ფორმირებების მიერ საქართველოში ორგანიზებულ უსასტიკეს ეთნიკურ წმენდაზე. საერთაშორისო თანამეგობრობას მოუწოდა ხმა აღემაღლებინათ გაერო-ს წევრი სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული შეიარაღებული აგრესიის, ოკუპაციის და ეთნიკური წმენდის წინააღმდეგ, დაეგმოთ საქართველოს სეპარატისტული პროვინციების აღიარება, რომლებიც არსებითად ანექსირებული იყო მეზობელი სახელმწიფოს მიერ. საქართველოს პრეზიდენტი ითხოვდა კონფლიქტის დარეგულირების კონსტრუქციული პროცესის დაწყებას, რომელიც მოწოდებული იქნებოდა უზრუნველეყო საქართველოს რეინტეგრაცია და კონფლიქტის დასრულება ყველა ეთნიკური ჯგუფისა და ეროვნული უმცირესობების ინტერესების გათვალისწინებით. „თუ ჩვენ ვერ შევძლებთ წერტილი დავუსვათ ძალისმიერი მეთოდების პოლიტიკას, ის მსოფლიოს სხვა რეგიონებშიც იქნება

192 ტრანსატლანტიკური ერთობა რუსეთთან ურთიერთობაში. *24 საათი*, 26.09.2008.

გამოყენებული. ჩვენი საერთო პასუხისმგებლობაა ვიმოქმედოთ თავდაჯერებულად და მტკიცედ", – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა მ. სააკაშვილმა.[193]

27 სექტემბერს აშშ-ის სენატმა საქართველოს მხარდაჭერით გამსჭვალული 690-ე რეზოლუცია დაამტკიცა. „მიუხედავად რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მიზეზებისა, რუსეთის მიერ არაპროპორციული სამხედრო ძალის გამოყენება წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის უხეშ დარღვევას და ასუსტებს რუსეთის როლს საერთაშორისო თანამეგობრობაში," – ნათქვამია დოკუმენტში. აშშ-ის სენატორები რუსეთისა და საქართველოს მთავრობებს მოუწოდებდნენ თავი შეეკავებინათ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსის გადაწყვეტისას ძალის გამოყენებისგან, აშშ-თან, ევროპასთან და სხვა დაინტერესებულ ქვეყნებთან, გაერო-ს უშიშროების საბჭოსთან, ეუთო-სა და სხვა საერთაშორისო ფორუმებთან ერთად განეხილათ სეპარატისტული რეგიონების სტატუსის განსაზღვრის შესაძლებლობები გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესაბამისად.

რეზოლუცია აშშ-ის ხელისუფლებას მოუწოდებდა საქართველოსთვის გაეწია ჰუმანიტარული და ეკონომიკური დახმარება, განემტკიცებინა კომერციული ურთიერთობები, საერთაშორისო თანამეგობრობასთან ტანდემში ხელი შეეწყო საქართველოში ძლიერი, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებისთვის, პრეზიდენტს ურჩევდა კონგრესთან გაემართა კონსულტაციები საქართველოსთან უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობისა და შესაბამისი დახმარების გაწევის საკითხებზე, გაეგრძელებინა ნატო-ს ბუქარესტის სამიტზე მიღებული დეკლარაციის სულისკვეთების მხარდაჭერა. რეზოლუცია დღის წესრიგში სვამდა აშშ-ის, ევროკავშირის, საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნების თანამშრომლობის საკითხს ევროპისთვის თავისუფალი ენერგიის მიწოდების, საკომუნიკაციო და სავაჭრო გზების განვითარების საქმეებში.[194]

193 [http://www.un.org/ga/63/georg.pdf].

194 Conflict Between Russia and Georgia – (Senate - September 27, 2008), [Page:

საქართველო-აშშ-ის ურთიერთობები მნიშვნელოვნად გააღრმავა და გააფართოვა აშშ-საქართველოს სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტიამ, რომელსაც ხელი 2009 წლის იანვარში მოეწერა. მასში აისახა ყველა ის ძირითადი პრიორიტეტი და სასიცოცხლო ინტერესი, რომლებიც ამ ორი ქვეყნის ურთიერთობებში გამოიკვეთა. ეს შეთანხმება თავისი ხასიათით არ არის ორიგინალური. ანალოგიური შეთანხმება აშშ-სა და ბალტიისპირეთის ქვეყნებს შორის ჯერ კიდევ 1998 წელს გაფორმდა, ხოლო აშშ-სა და უკრაინას შორის – 2008 წლის დეკემბერში.

ქარტიის პრეამბულაში ხაზგასმულია ჩვენი ქვეყნების სტრატეგიული პარტნიორობისა და მეგობრობის მნიშვნელობა, რომელიც ეფუძნება ისეთი ფასეულობებისა და საერთო ინტერესების გაზიარებას, როგორებიცაა დემოკრატიისა და ეკონომიკური თავისუფლების განვითარება, უსაფრთხოებისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, სასამართლო ხელისუფლების გაძლიერება, ადამიანის უფლებების დაცვა, დევნილთა და ლტოლვილთა ღირსეული, თავისუფალი დაბრუნების უფლების ჩათვლით, ინოვაციური და ტექნოლოგიური განვითარების ხელშეწყობა, ევრაზიის ენერგეტიკული უსაფრთხოების განვითარება, ურთიერთობების გაღრმავება ეკონომიკის, ენერგეტიკის, დიპლომატიის, მეცნიერების, კულტურის და საზოგადოებრივი ურთიერთობების სფეროებში.

ქარტია ხელს შეუწყობს ევროატლანტიკური თანამეგობრობის ქვეყნებთან საქართველოს კავშირების განმტკიცებას, ინტეგრაციას ევროპულ და ტრანსატლანტიკურ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, უსაფრთხოებისა და თავდაცვის ინსტიტუტებში სტანდარტების შესაბამისად.

უსაფრთხოების სფეროში ქარტია მიზნად ისახავს თავდაცვისა და უსაფრთხოების თანამშრომლობის პროგრამების გაფართოებას გლობალური მშვიდობისა და სტაბილურობის ხელშეწყობის თვალსაზრისით. ასეთი თანამშრომლობა გულისხმობს საქართველოს უსაფრთხოების შესაძლებლობების

S10020]. [http://thomas.loc.gov/cgi-bin/query/C?r110:./temp/~r110ZHpRg8].

გაზრდას და საქართველოს ნატო-ს წევრობის კანდიდატობისათვის მომზადებას, თანამშრომლობას ნატო-საქართველოს კომისიის ფარგლებში, ნატო-სა და საქართველოს შორის ფუნქციური თავსებადობისა და კოორდინაციის გაზრდას, ქართული ჯარების წვრთნასა და აღჭურვას.

ეკონომიკის, ვაჭრობისა და ენერგეტიკული თანამშრომლობის სფეროში ქარტია მოწოდებულია ხელი შეუწყოს ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და ეკონომიკურ ზრდას, საბაზრო სექტორის რეფორმასა და ლიბერალიზაციას, ბიზნესის განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნას, ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების გაფართოებას და საქართველოს ჩართვას საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებში, მათ შორის, პრეფერენციების მთავარ სისტემაში, რომელიც თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულების გაფორმების შესაძლებლობას ითვალისწინებს; ომის შემდგომი საქართველოს რეკონსტრუქციასა და ფინანსურ სტაბილიზაციას, ჯანდაცვისა და განათლების სისტემის განვითარებას. ენერგეტიკული უსაფრთხოების მიზნები მოიცავს საქართველოს ენერგოპროდუქციის გაზრდას, ახალი სამხრეთის კორიდორის განვითარებას.

დემოკრატიის გაძლიერების სფეროში ქარტია ითვალისწინებს თავისუფალი და დამოუკიდებელი მედიის, ძლიერი პარლამენტის, სასამართლო ხელისუფლების, სამოქალაქო საზოგადოების არსებობას, სასამართლო რეფორმას, ადამიანის უფლებების პატივისცემასა და თავისუფლებას, ანტიკორუფციული საქმიანობის გაძლიერებას, ტოლერანტობას. სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის გასაზრდელად აშშ მონაწილეობას მიიღებს მოსამართლეების, პროკურორების, ადვოკატების, პოლიციის თანამშრომლების მომზადებაში; დასახულია ერთიანი ღონისძიებების გატარება ტრანსნაციონალური სისხლის სამართლის ისეთი დანაშაულობების წინააღმდეგ, როგორებიცაა: ტერორიზმი, ორგანიზებული დანაშაული, ადამიანთა და ნარკო ტრეფიკინგი, კიბერნეტიკული დანაშაული. ქარტია ხელს შეუწყობს საქართველოს აღმასრულებელი ორგა-

ნოებისა და საკანონმდებლო პროცესის ტრანსპარანტულობის გაზრდას, პოლიტიკურ პლურალიზმს, პოლიტიკური პარტიების გაძლიერებას, არასამთავრობო სექტორის მონაწილეობის გაფართოებას საკანონმდებლო ორგანოებსა და მიმდინარე რეფორმებში, კონკურენტული საარჩევნო გარემოს შექმნას.

კულტურულ სფეროში ქარტია განამტკიცებს ქართველ და ამერიკელ ხალხებს შორის კავშირებს, ითვალისწინებს კულტურულ, საგანმანათლებლო, პროფესიულ გაცვლით პროგრამებს. გათვალისწინებულია ომის შედეგად დაზიანებული კულტურული მემკვიდრეობის აღდგენა, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობასთან კონტაქტების დამყარებაზე ზრუნვა.[195]

ერთი სიტყვით, ქარტიის უმთავრესი ამოცანა ძლიერი, დამოუკიდებელი, სუვერენული და დემოკრატიული საქართველოს არსებობაა. ქარტია იყო პირველი კონკრეტული ნაბიჯი, რომელიც გადაიდგა საქართველოს ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისაკენ. ამ ქარტიით აშშ-მა განამტკიცა თავისი სტრატეგიული ინტერესები საქართველოსთან მიმართებაში, მოახდინა იმის საჯარო დემონსტრირება, რომ აშშ არ აპირებს შეეგუოს სამხრეთ კავკასიის გავლენის სფეროებად დაყოფას და აქ რუსეთის დომინირებას. სკეპტიკოსები თვლიდნენ, რომ ქარტია არ იმუშავებდა და ბუშის ადმინისტრაციის მმართველობის შეცვლასთან ერთად შეიცვლებოდა აშშ-საქართველოს ურთიერთობები. საბედნიეროდ, მოხდა პირიქით, აშშ-საქართველოს ქარტიის საფუძველზე დღითიდღე ფართოვდება ამ ორი ქვეყნის სამხედრო, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული თანამშრომლობა.

პირველადი ჰუმანიტარული დახმარების გაწევის შემდეგ აშშ-ის ადმინისტრაციამ დაიწყო ეკონომიკური დახმარების გრძელვადიანი პროგრამის შემუშავება, რომელიც ითვალისწინებდა ინტერვენციის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქციასა და ეკონომიკური ზრდის ტემპების შენარ-

195 [http://www.america.gov/st/texttrans-english/2009/January/20090109145313eaifas0.2139093.html].

ჩუნებას, ადგილნაცვალ პირთა ჰუმანიტარულ დახმარებას. სექტემბრის ბოლოსთვის აშშ-ის კონგრესმა დაამტკიცა საქართველოსათვის 1 მლრდ აშშ დოლარის ოდენობის ეკონომიკური დახმარების პაკეტის გამოყოფა, განიხილა საქართველოსათვის ზოგადი პრეფერენციების (GSP) პროგრამის შეთავაზების შესაძლებლობა, რაც აშშ-ში 25 ათასი სახის პროდუქციის შეღავათებით იმპორტს ითვალისწინებს.[196]

2008 წლის დეკემბერში განხორციელდა $757 მილიონის ტრანსფერი, დანარჩენი $243 მილიონის გადმორიცხვა 2009 წლის მანძილზე ეტაპობრივად მოხდება. ამ თანხიდან $60 მილიონი განკუთვნილია ჰუმანიტარული საჭიროებისათვის (საკვები, წყალი, ქვეშაგები, სამედიცინო დახმარება), $250 მილიონი – საქართველოს ხელისუფლებისთვის – ფისკალური სტაბილიზაციისა და სასწრაფო სახელისუფლებო ხარჯებისთვის, მათ შორის, პენსიონერთა პენსიებისა და სახელმწიფო მოსამსახურეთა ხელფასებისთვის, ჯანდაცვისათვის, იძულებით გადაადგილებულთა შემწეობისათვის, მეორადი განათლების მისაღებად. $100 მილიონი გამოიყო ტექნიკური საკითხების მოსაგვარებლად: გზების რეაბილიტაციისათვის, წყლით მომარაგებისა და წყლის პროექტების დანახარჯებისათვის, გაზის მილსადენების შეკეთებისა და ენერგეტიკული სექტორის კვლევისათვის. თავდაცვის სისტემის რეკონსტრუქციისა და სტაბილიზაციისათვის გამოიყო $50 მილიონი. $176 მილიონი გათვალისწინებულია კერძო ინვესტიციების ხელშეწყობისათვის: იპოთეკის, კომერციული და ადგილობრივი კერძო საკუთრების განვითარებისათვის. $121 მილიონი გამოიყო ეკონომიკური რეკონსტრუქციისათვის, იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარებისათვის, ენერგეტიკული უსაფრთხოების პროგრამებისა და დემოკრატიის გაძლიერებისათვის.

ამრიგად, რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ აშშ-ის ადმინისტრაცია და საკანონმდებლო ხელისუფლება საგარეო პოლიტიკურ სფეროში თუ შიდა დონეზე განუხრელად უჭ-

196 **გაბიევი ხ.** ვაშინგტონის ინიციატივა ქართული ბიზნესის დასახმარებლად. *24 საათი*, 1.10. 2008.

ერდა მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები ომის შემდგომ პერიოდში საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების გაძლიერების, ეკონომიკური განვითარების პოტენციალის შენარჩუნების, დემოკრატიული და ლიბერალური ღირებულებების დამკვიდრებისთვის. აშშ-საქართველოს ქარტიით საქართველო აშშ-ის სტრატეგიულ პარტნიორად იქცა.

2. ევროკავშირ-საქართველოს ურთიერთობა ომის შემდეგომ პერიოდში

ევროკავშირში ბულგარეთისა და რუმინეთის გაწევრიანების შემდეგ, ის უშუალოდ გაუმეზობლდა სამხრეთ კავკასიას, ამიტომ, ბუნებრივია, 2008 წლის აგვისტოს ომმა პირდაპირი საფრთხე შეუქმნა ევროკავშირის უსაფრთხოებას. საომარი ოპერაციების შეწყვეტის შემდეგ ევროკავშირის უმთავრეს ამოცანად რჩებოდა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების პირობების შესრულება, რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის აღდგენა, კონფლიქტის დარეგულირების საერთაშორისო მექანიზმების ამოქმედება. ამ მიზნის რეალიზების ერთ-ერთ ეფექტურ მექანიზმს ევროკავშირის მონიტორინგთა მისიის ჩამოყალიბება წარმოადგენდა, რომლის შექმნის გადაწყვეტილება ევროკავშირის საგარეო ურთიერთობის საბჭომ 15 სექტემბერს მიიღო. დადგენილება ითვალისწინებდა 1 ოქტომბრიდან უსაფრთხოების ზონებში, ე.წ. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში, 200 შეუიარაღებელი დამკვირვებლის განთავსებას. საბჭომ მოიწონა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის გამოსაკვლევად დამოუკიდებელი საერთაშორისო გამოძიების ჩატარების იდეა.[197]

2008 წლის 17 სექტემბერს აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან რუსეთის მიერ მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმებამ ნათელი გახადა, რომ მოსკოვი

197 EU. Conclusions of the 2,889th session of the European Union's External Relations Council Meeting on 15 and 16 September 2008 in Brussels, September 16, 2008.

არ აპირებდა საერთაშორისო თანამეგობრობასთან კონსტრუქციული ურთიერთობისა და დიალოგის რეჟიმში გადასვლას. ეს გახდა იმის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რომ 29 სექტემბერს, სტრასბურგში, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის საშემოდგომო სესიაზე დეპუტატთა ნაწილმა დღის წესრიგში დასვა რუსეთის დელეგაციისთვის უფლებამოსილების შეჩერების საკითხი. ევროსაბჭომ რუსეთის ქმედებები შეაფასა, როგორც აგრესია მეზობელი სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ და საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევა.

რუსეთის წარმომადგენლობამ, თავის მხრივ, გააპროტესტა საქართველოში აგვისტოში განვითარებული მოვლენების რუსეთ-საქართველოს ომის კონტექსტში განხილვა, რადგანაც, მათი აზრით, საკითხისადმი ასეთი მიდგომა არ შეესაბამებოდა მოვლენათა რეალურ შინაარსს. ევროსაბჭოს დეპუტატებმა რუსეთი მსოფლიო წესრიგისა და ცივი ომის დასრულების შემდეგ შექმნილი საზღვრების გადასინჯვის, საბჭოთა ეპოქის გავლენის სფეროების რესტავრაციის მცდელობებში დაადანაშაულეს.

2 ოქტომბერს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც მხარი დაუჭირა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოსაგვარებლად საერთაშორისო სამშვიდობო მექანიზმის შექმნას. რეზოლუციაში ნათქვამია, რომ ცენტრალურ და დასავლეთ საქართველოში რუსეთის სამხედრო ძალების ქმედებები არაპროპორციული იყო და ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო სამართლის პრინციპებს. ასამბლეა, საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, მიუღებლად მიიჩნევდა უცხო ქვეყანაში შეჭრას „საკუთარი მოქალაქეების დაცვის" პრინციპით. რუსეთს დაეკისრა მთელი პასუხისმგებლობა მისი ფაქტობრივი კონტროლის ქვეშ მყოფ რაიონებში ადამიანის უფლებების დარღვევაზე. დეკლარაციაში გამოითქვა შეშფოთება სამხრეთ ოსეთსა და „ბუფერულ ზონებში" განხორციელებული ეთნიკური წმენდის გამო.[198]

198 PACE. *The Consequences of the War between Georgia and Russia,* Resolution 1633, October 2, 2008. Russia had threatened to resign from the COE if its voting rights were suspended. **ავალიანი დ.** ევროსაბჭოს რეზოლუცია რუსეთზე საერთაშორისო ზენოლის ნაწილი. *24 საათი,* 3.10. 2008.

ასამბლეამ მიიღო გადაწყვეტილება კონფლიქტის მიზეზის შესასწავლად საერთაშორისო საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ.[199]

13 ოქტომბერს ლუქსემბურგში შეიკრიბნენ ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრები. შეხვედრაზე ერთ-ერთ საკითხად განიხილეს ევროკავშირის მისიის საქართველოში განთავსებისა და რუსეთის საოკუპაციო ჯარის ნაწილების გაყვანის საკითხი. მინისტრები თვლიდნენ, რომ ჟენევის 15 ოქტომბრის შეხვედრის პირველი რაუნდი ფოკუსირებული უნდა ყოფილიყო რეგიონში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ღონისძიებების შემუშავებაზე, მათ შორის, ადგილნაცვალ პირთა მდგომარეობის გადაწყვეტაზე, ზემო კოდორისა და ახალგორის რაიონის საკითხებზე.[200] მინისტერიალზე რუსეთთან პარტნიორობის თაობაზე მოლაპარაკებების განახლებას მხარი არ დაუჭირა ევროპის ლიდერების ნაწილმა, მათ შორის, შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, რომლის აზრით, რუსეთი არ ასრულებდა შეთანხმების პირობებს და კვლავ განაგრძობდა საქართველოს ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაციას. საბოლოოდ, ევროკავშირმა რუსეთთან კონსტრუქციული თანამშრომლობის სასარგებლოდ გააკეთა არჩევანი. 14 ნოემბერს ნიცაში, ევროკავშირ-რუსეთის სამიტზე, გადაწყდა რუსეთთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებებზე მოლაპარაკებების განახლება, რომელიც 2009 წლის თებერვალში პრაქტიკულად აღდგა.

რუსეთ-საქართველოს ომის შედეგების ანალიზს ფართო ყურადღება დაეთმო ევროპის არაერთ სახელმწიფოში. საკითხის განხილვას სპეციალური სხდომა მიუძღვნა ფინეთის პარლამენტმა, სადაც მოხსენებით გამოვიდა საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრ სტუბი. სესიაზე გამოითქვა მოსაზრება, რომ 2008 წლის აპრილში ბუქარესტის სამიტზე საქართველოსთვის MAP-ის მინიჭება შესაძლებელს გახდიდა მოვლენების ომის

199 PACE. The Consequences of the War between Georgia and Russia, Resolution 1633, October 2, 2008.

200 Council Conclusions on Georgia/Russia 2897th exter_al relatio_s Council meeting Luxembourg. 13 October 2008.

გზით განვითარების პრევენციას.[201]

ლიტვის რესპუბლიკის ხელისუფლებამ ქვეყნის უსაფრთხოების განსამტკიცებლად აშშ-ის ხელისუფლებას ქვეყანაში ნატო-ს სამხედრო ბაზების გახსნის წინადადებით მიმართა. ეს საკითხი 2008 წლის 29 სექტემბერს განიხილეს აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა და ლიტვის პრეზიდენტმა ვალდას ადამკუსმა.[202] ლიტვაში, ზოკნიაეში, 2004 წლიდან განთავსებულია ნატო-ს გამანადგურებლები, რომლებიც ბალტიისპირეთის ქვეყნების საჰაერო სივრცეს იცავენ. ლიტვის ხელისუფლება თვლის, რომ ეს ძალები არ არის საკმარისი რუსეთის შესაძლო აგრესიისაგან მათ დასაცავად.

2008 წლის 3 დეკემბერს ევროკომისიამ წარმოადგინა ინიციატივა „კომუნიკაცია ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს მიმართ აღმოსავლეთ პარტნიორობის შესახებ". ინიციატივა შემოთავაზებულ იქნა პოლონეთისა და შვედეთის მიერ. მის ძირითად მიზანს ევროკავშირის აღმოსავლეთ მეზობლებთან ურთიერთობების შემდგომი გაღრმავება და გაძლიერება წარმოადგენს. აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის პრიორიტეტული სფეროებია დემოკრატიის განვითარების, ეფექტური მმართველობისა და სტაბილურობის ხელშეწყობა, ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის პოლიტიკურ მიმართულებებთან მიახლოება, ენერგოუსაფრთხოება და ხალხთა შორის კონტაქტების, ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება როგორც ორმხრივ, ასევე რეგიონულ ფორმატში. ევროკავშირსა და საქართველოს „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება" ძალაში შევიდა 1999 წელს.

2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შემდეგ ამოქმედდა ევროკავშირის სამოქალაქო დაცვის მექანიზმი, რამაც გააადვილა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიდან დახმარების მიღება. გადაუდებელი ჰუმანიტარული დახმარების სახით ევროკომი-

---

201 **ასანიშვილი გ.** რუსები საქართველოდან უნდა წავიდნენ. *24 საათი*, 12. 09.2008.

202 **გაბიეუი ხ.** ლიტვა ნატო-ს ბაზებისათვის ემზადება. *24 საათი*, 2.10. 2008.

სიამ € 9 მილიონი გამოყო. 22 ოქტომბერს მსოფლიო ბანკთან ერთად ევროკომისიამ ორგანიზება გაუწია დონორთა საერთაშორისო კონფერენციას, რომელზეც გამოცხადდა 2008-2010 წლებში საქართველოსთვის € 500 მილიონის გამოყოფა, ხოლო საერთაშორისო დონორებისგან € 3.44 მილიარდის მობილიზება მოახდინა. რიგი პროექტებისა უკვე ხორციელდება: გამოიყო € 8 მილიონი ჰუმანიტარული დახმარებისთვის, € 61.5 მილიონი – დევნილებისთვის, ფუნქციონირებს ევროკავშირის დამკვირვებელთა მისია ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის სფეროში.[203] პარალელურად, ევროკავშირი აგრძელებს საქართველოში მიმდინარე რეფორმების მხარდაჭერას ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა და პარტნიორობის ფარგლებში.

ევროკავშირის პოლიტიკური თუ ფინანსური მხარდაჭერა საქართველოსადმი, ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება, უპირველესად, ევროკავშირის უსაფრთხოების განმტკიცებისკენაა მიმართული.

2008 წლის ნოემბერში შეიქმნა ევროკავშირის საგამომძიებლო კომისია, რომელსაც დაევალა აგვისტოში საქართველოში მიმდინარე პროცესების შესწავლა. საგამოძიებო კომისია, როგორც წესი, იკვლევს საქმის მხოლოდ ფაქტობრივ მხარეს. კომისია მუშაობას შეუდგა 2008 წლის დეკემბრის დასაწყისში. კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა გაერო-ს ყოფილი წარმომადგენელი საქართველოში, შვეიცარიელი დიპლომატი ჰაიდი ტალიავინი. კომისიაში შევიდნენ სამხედრო ექსპერტები, პოლიტიკური ანალიტიკოსები, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. კომისიის წევრები შეხვდნენ და ინტერვიუები აიღეს კონფლიქტის მონაწილე მხარეების წარმომადგენლებისგან, შეკრიბეს სხვადასხვა მტკიცებულება. კომისიის დასკვნა უნდა გამოქვეყნებულიყო 2009 წლის ივლისისათვის, მაგრამ მასალის სიჭარბის გამო, მისი წარდგენის ვადა 2009 წლის სექტემბრისათვის გადავადდა. რუსეთის ხანგრძლივი სამზადისი საქართველოს წინააღმდეგ აგრესიისთვის, შეიარაღებული და-

203 [http://ec.europa.eu/world/enp/documents_en.htm].

პირისპირების ესკალაცია ცხინვალის რეგიონში და საქართველოში შეიარაღებული ინტერვენცია ეჭვს არ იწვევს. საქართველოს წინააღმდეგ გატარებული სამხედრო და პოლიტიკური ქმედებები ის ინდიკატორებია, რომლებიც იძლევა რუსეთის მხრიდან მომდინარე გლობალური საფრთხეების გაზომვის შესაძლებლობას. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების სისტემური ანალიზი საერთაშორისო თანამეგობრობას საშუალებას მისცემს შექმნას საერთაშორისო ბერკეტები რევიზიონისტული სახელმწიფოების შესაჩერებლად.

საგამომძიებო კომისიის მიერ რუსეთის აგრესიის მიჩუმათების მცდელობას ან მისდამი მაამებლური დამოკიდებულების გამოვლენას უაღრესად ნეგატიური პოლიტიკური შედეგები ექნება. აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე პროცესების ანალიზი, რუსეთ-უკრაინის დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობები, საქართველოს პრეცედენტის გამეორების რეალურ საფრთხეებს შეიცავს. თუ, კომისიის საბოლოო დასკვნა იქნება ზომიერად ნეიტრალური, რათა არ გამოიწვიოს რუსეთის პოლიტიკური ელიტის გაღიზიანება, ევროპა ახალ სიცოცხლეს შთაბერავს რუსეთის რევანშისტულ პოლიტიკას და კრემლის „სილავიკებს“ ახალი შეიარაღებული კონფრონტაციისკენ უბიძგებს.

3. ევროპის ენერგოუსაფრთხოების საკითხები

რუსეთ-საქართველოს ომმა წინა პლანზე წამოსწია ის ხარვეზები, რომლებიც არსებობდა ევროკავშირის უსაფრთხოებისა და ერთიანი პოლიტიკის სტრატეგიის საკითხებში. რუსეთმა ეფექტურად გამოიყენა ევროპის ენერგობაზარზე მონოპოლია და შეძლო ევროპის ერთიანობაში დისონანსის შეტანა, რამაც ევროპა ფინეთიზაციის აშკარა საფრთხის წინაშე დააყენა. ამიტომ ევროპის ენერგოუსაფრთხოების გაძლიერება სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხად იქცა. აშშ-ის ელჩი შვედეთში მაიკლ ვუდი თვლიდა, რომ ევროპას რუსეთის ენერ-

გეტიკული იარაღის სიძლიერისთვის უნდა დაეპირისპირებინა ერთიანი პოზიცია ალტერნატიული ენერგორესურსების ტრანზიტის საკითხებში. კერძოდ, გაეფართოებინათ თანამშრომლობა ენერგომწარმოებელ ცენტრალური აზიის ქვეყნებთან და აზერბაიჯანთან, საქართველოსა და თურქეთთან, როგორც სატრანზიტო ქვეყნებთან და მათთან კონსორციუმში შეექმნათ კრემლის კონტროლს მიღმა მყოფი ენერგეტიკული ინფრასტრუქტურა. „რუსეთის შეჭრამ საქართველოში ევროპის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ეკონომიკა შეარყია და „ნაბუქოს" მილსადენის პროექტსაც მნიშვნელოვანი ბარიერები შეუქმნა", – თვლიდა მ. ვუდი.

ევროპის ენერგოუსაფრთხოების საკითხებზე იმსჯელა 8 სექტემბერს პრაღაში გამართულმა საერთაშორისო ენერგეტიკულმა კონფერენციამ. კონფერენციაზე ცალსახად აღინიშნა, რომ მოსკოვს ენერგეტიკულად მასზე დამოკიდებული ევროპის გათიშვა და მასზე ბატონობა სურდა. კონფერენციის მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს „ნაბუქოს" პროექტის განხორციელებას.[204] ხანგრძლივი დებატების შემდეგ მხარეებს შორის მიღწეული კონსესუსის შედეგად „ნაბუქოს" პროექტი რეალობად იქცა. 2009 წლის 13 ივლისს ანკარაში თურქეთის, ავსტრიის, უნგრეთის, ბულგარეთისა და რუმინეთის ოფიციალურმა პირებმა ხელი მოაწერეს მრავალმხრივ შეთანხმებას „ნაბუქოს" გაზსადენის მშენებლობის შესახებ. ხელმოწერის ცერემონიაში 30 ქვეყნის წარმომადგენელი, მათ შორის, საქართველოს პრეზიდენტი მ. სააკაშვილი, იღებდა მონაწილეობას. „ნაბუქოს" პროექტის რეალიზება უზრუნველყოფს კასპიის ენერგორესურსების დივერსიფიცირებას და რუსეთის გვერდის ავლით ევროპის გაზით მომარაგებას. ამ პროექტის დამტკიცება წარმოადგენს ევროპის უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის ერთიანი სტრატეგიული კურსის გამარჯვებას და ევროპის ენერგობაზარზე რუსეთის ბატონობის დასასრულის დასაწყისს.

---

204 **სმიტი, დევიდ ჯ.** არჩევანი ენერგეტიკული ვასალობის სასარგებლოდ. *24 საათი*, 16.09.2008.

4. საქართველო-ნატო-ს ურთიერთობა ომის შემდგომ პერიოდში

საქართველო-რუსეთის ომის შემდეგ ალიანსის ხელმძღვანელობამ გააააქტიურა კონტაქტები და თანამშრომლობა საქართველოსთან. პრიორიტეტული გახდა საქართველოს თავდაცვის სისტემის განვითარების ხელშეწყობა და ქვეყნის უსაფრთხოების განმტკიცება. ნატო-ს ფინანსური და ადამიანური რესურსების დახმარებით დაიწყო რუსეთის აგრესიის შედეგად თითქმის განადგურებული სარადარო სისტემის აღდგენა. სექტემბრის დასაწყისისათვის დასრულდა საქართველოს სრულყოფილად ჩართვა ნატო-ს საჰაერო კონტროლის სისტემაში.[205]

საქართველო-ნატო-ს პარტნიორული თანამშრომლობის დემონსტრირებას წარმოადგენდა 2008 წლის 15 სექტემბერს ჩრდილოატლანტიკური საბჭოს წევრი სახელმწიფოს ელჩებისა და ნატო-ს გენერალური მდივნის ვიზიტი თბილისში. ისინი შეხვდნენ საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს. საუბარი შეეხო ნატო-ს პარტნიორობის ფარგლებში მიმდინარე რეფორმებსა და ომის შემდეგ ქვეყანაში შექმნილი ვითარების ანალიზს.

ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ მიიღო კომუნიკე, რომელშიც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, დაგმო რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება. მოკავშირეთა ელჩებმა დააფიქსირეს ნატო-ს მტკიცე ნება გააგრძელოს საქართველოს დახმარება დემოკრატიული რეფორმებისა და ნატო-სთან ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პროგრამის ფარგლებში. მოკავშირეთა ელჩებმა საქართველოში არსებულ ყველა პოლიტიკურ ძალას მოუწოდეს ხელი შეეწყოთ ქვეყანაში დემოკრატიული პოლიტიკური

205 საქართველო ნატოს საჰაერო სისტემაში სრულყოფილად ჩაერთო. *24 საათი*. 5.09. 2008.

კულტურის დამკვიდრებისთვის. მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ საქართველოსა და ნატო-ს შორის დაიწყებოდა მხარეების ინტენსიური ჩართულობა მაღალ პოლიტიკურ დონეზე, რათა პასუხი გასცემოდა გაწევრიანების სამოქმედო გეგმაზე გადასვლასთან დაკავშირებით არსებულ კითხვებს. ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ თხოვნით მიმართა ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრებს მიეცათ პირველადი შეფასება საქართველოს მიერ IPAP-ის ფარგლებში გაწეული საქმიანობისთვის. საგარეო საქმეთა მინისტრებს მიენიჭათ უფლებამოსილება მიეღოთ გადაწყვეტილება საქართველოს MAP-ის განაცხადზე.

16 სექტემბერს ხელი მოეწერა ნატო-საქართველოს კომისიის დამფუძნებელ ჩარჩო ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებს მხარეებს შორის ურთიერთობების გაღრმავებას. ნატო-საქართველოს კომისია მიზნად ისახავს საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის ხელშეწყობას, კოორდინაციას გაუწევს ალიანსის დახმარებას პოსტკონფლიქტური საქართველოს რეკონსტრუქციის საკითხებში, კერძოდ, სამოქალაქო ინფრასტრუქტურისთვის მიყენებული ზარალის განსაზღვრასა და ქართული შეიარაღებული ძალების მდგომარეობის შეფასებას; ხელს შეუწყობს ნატო-საქართველოს შორის პოლიტიკური დიალოგისა და თანამშრომლობის გაღრმავებას, ზედამხედველობას გაუწევს ნატო-ს ბუქარესტის სამიტზე განსაზღვრულ პროცესს.[206] ნატო-საქართველოს კომისიაში წარმოდგენილია ნატოს წევრი ყველა ქვეყანა და საქართველო. კომისია იკრიბება რეგულარულად ელჩებისა და სამხედრო წარმომადგენლობების, პერიოდულად – საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრებისა და შტაბის ხელმძღვანელების დონეზე. კომისიის მუშაობის ფორმატი, ასევე, ითვალისწინებს შეხვედრებს სამიტების დონეზე. საერთო პოლიტიკური, საკონსულტაციო და საკოორდინაციო ორგანოს შექმნით ნატო-საქართველოს ურთიერთობა თვისობრივად ახალ ეტაპზე გადავიდა, კომისია ხელს შეუწყობს ფართო პოლიტიკურ დიალოგს და პრაქტიკულ

206 NATO. NATO-Georgia Joint Press Statement on the Occasion of the North Atlantic Council Visit to Georgia and the Inaugural Meeting of the NATO-Georgia Commission, September 15, 2008.

თანამშრომლობას საქართველოსა და ნატო-ს შორის.

იმავე დღეს ნატო-ს გენერალური მდივანი და ჩრდილოატლანტიკური საბჭოს წარმომადგენლები ქ. გორს ეწვივნენ, რათა პირველწყაროდან მიეღოთ ინფორმაცია აგვისტოს ომის შესახებ, ენახათ ის გამოწვევები, რომელთა წინაშეც აღმოჩნდა ქვეყანა. მოინახულეს კონფლიქტის შედეგად დაზიანებული საქართველოს პირველი ქვეითი ბრიგადის ყაზარმა. შეხვდნენ და გაესაუბრნენ ცხინვალის რეგიონიდან დევნილებს, რომლებიც გაერო-ს დევნილთა ბანაკში აფარებდნენ თავს.[207]

მოკავშირეთა ელჩებმა შეხვედრები გამართეს ევროკავშირის, ეუთო-ს და გაერო-ს რეგიონალური ოფისების წარმომადგენლებთან, სადაც ისაუბრეს საქართველოსათვის საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერაზე. ნატო-ს გენერალური მდივანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსაც ეწვია. „საქართველოს მომავალი – უსაფრთხოებისა და დასავლეთის პარტნიორებთან ურთიერთობების გაღრმავება – რეფორმების გატარებასა და დემოკრატიული ინსტიტუტების შემდგომ განვითარებაშია", – განაცხადა სტუდენტებთან შეხვედრაზე სხეფერმა.[208] მოკავშირეთა ელჩებმა, ასევე, მონაწილეობა მიიღეს პარტნიორობა მშვიდობისათვის ნდობის ახალი ფონდის გახსნაში.

19 სექტემბერს ლონდონში ნატო-ს წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრებმა განიხილეს აღდგენით სამუშაოებში საქართველოსთვის დახმარების გაწევის საკითხები, გაანალიზდა რუსეთის ქმედებების შედეგები ევროატლანტიკური უსაფრთხოებისათვის. ნატო-ს მინისტრების შეფასებით, რუსეთის სამხედრო აქცია საქართველოში იყო არაპროპორციული და არ შეესაბამებოდა კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების საერთაშორისო პრინციპებს. მინისტერიალზე, ასევე, განიხილეს ბუშის ადმინისტრაციის გეგმა რუსეთის მოსაზღვრე ქვეყნების დასაცავად ნატო-ს სტრუქტურაში ახალი, სწრაფი რეაგირე-

207 North Atlantic Council visits Gori 16.09/2008 [http://www.nato.int/docu/update/2008/09-september/e0916c.html].

208 [http://www.nato.int/docu/update/2008/09-september/e0916b.html].

ბის ძალების შექმნის შესახებ. ლონდონის მინისტერიალს იმ დღესვე გამოეხმაურა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი, რომელმაც ნატო რუსეთ-საქართველოს ომის პროვოცირებაში დაადანაშაულა.[209]

30 სექტემბერს საქართველოს ეწვივნენ ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი ჟოზეფ ლელუ და ასამბლეის კომიტეტების თავმჯდომარეები. როგორც ცნობილია, ჩრდილოატლანტიკური ასამბლეა ნატო-სგან დამოუკიდებელია და თავის გარშემო აერთიანებს ნატო-ს წევრი სახელმწიფოების პარლამენტარებს. ამ ინსტიტუტის მეშვეობით ხორციელდება ალიანსის წევრი ქვეყნების პარლამენტარების კომუნიკაცია და ურთიერთობების კოორდინირება. ვიზიტის მთავარი მიზანი აგვისტოში განვითარებული მოვლენების შესწავლა იყო. ასევე, უნდა მომზადებულიყო რეკომენდაციები საქართველოზე ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის ნოემბრის კონგრესისთვის, რომელსაც, თავის მხრივ, უნდა შეემუშავებინა რეზოლუცია ალიანსის დეკემბრის მინისტერიალისთვის.[210]

9-10 ოქტომბერს ბუდაპეშტში შედგა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის თავდაცვის მინისტრების არაფორმალური შეხვედრა, სადაც ერთ-ერთ მთავარ საკითხს ალიანსის ტრანსფორმაციის პროგრამის შემუშავება წარმოადგენდა. შეხვედრაზე განხილულ იქნა საქართველოსა და უკრაინის ნატო-ში გაწევრიანების საკითხებიც. აშშ-ის თავდაცვის მდივანი რობერტ გეითსი პრესკონფერენციაზე შეეხო რუსეთის პოლიტიკურ კურსს. „სამწუხაროდ, რუსეთის ქმედებებმა საფრთხე შეუქმნა რეგიონის უსაფრთხოებას და ეჭვქვეშ დააყენა რუსეთის რეალური ინტერესები. რუსეთმა საქართველოში შეჭრით ვერ მიაღწია და ვერც მიაღწევს თავის სტრატეგიულ მიზანს“, – განაცხადა რ. გეითსმა. [211]

---

209 Medvedev Accuses NATO of Provoking Georgia War. *Agence France-Presse*, 19. 09. 2008.

210 საქართველოს ნატოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაცია სტუმრობდა. *ნატო საქართველოში*. გაზ. 24 საათის დამატება. 13. 10. 2008.

211 ბუდაპეშტში ნატო-საქართველოს კომისიის შეხვედრა გაიმართა. *ნატო საქართველოში. 24 საათის დამატება*. 13. 10. 2008.

10 ოქტომბერს გაიმართა ნატო-საქართველოს კომისიის პირველი შეხვედრა. ნატო-ს წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრებმა ქართველ კოლეგასთან ერთად იმსჯელეს საქართველოს დახმარების საკითხებზე თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში, უსაფრთხოების სექტორის რეფორმირებასა და საჰაერო სივრცის დაცვაზე. ნატო-ს გენერალურმა მდივანმა განაცხადა, რომ აუცილებელია საქართველოს თანადგომა სამხედრო ინფრასტრუქტურის აღდგენაში. მინისტრებმა კიდევ ერთხელ გამოხატეს მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებთან ინტეგრირებისკენ საქართველოს მისწრაფებისადმი.

2-3 დეკემბერს ბრიუსელში ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრები კვლავ მიუბრუნდნენ ნატო-რუსეთის ურთიერთობის საკითხს. მათ კიდევ ერთხელ გამოხატეს ნეგატიური დამოკიდებულება რუსეთის ქმედებებისა და ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებების მიმართ. რუსეთს მოუწოდეს პატივი ეცა იმ საერთაშორისო ფასეულობებისა და პრინციპებისთვის, რომლებსაც ეფუძნება საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემა, შეესრულებინა აღებული ვალდებულებები, თავი შეეკავებინა ალიანსის უსაფრთხოებისა და მისი პარტნიორების მიმართ კონფრონტაციული განცხადებებისა და მუქარისაგან.[212] შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ე.წ. „გაყინული კონფლიქტები" უნდა გახდეს გადაუდებელი დებატების საკითხი, რომ ალიანსი უშუალოდ არ არის დაკავშირებული ამ კონფლიქტების გადაწყვეტასთან, მაგრამ პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში ნატო-ს შეუძლია პოლიტიკურ და დიპლომატიურ დონეზე ხელი შეუწყოს მხარეებს შორის ნდობის აღდგენას. მინისტერიალმა მხარი დაუჭირა საქართველოსა და უკრაინის საკითხებზე ბუქარესტის სამიტის დადგენილებებს. აღინიშნა, რომ ამ ქვეყნებმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგეს ნატო-სკენ, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი აქვთ გასაკეთებელი. შეხვედრაზე უკრაინა-საქართველოსთვის MAP-ის მინიჭების საკითხის განხილვა დროებით გადაიდო.

212 Chairman's statement [http://www.nato.int/docu/pr/2008/p08-154e.html].

ბრიუსელში გაიმართა ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე. ადგილი ჰქონდა მოვლენების სიღრმისეულ ანალიზს და დისკუსიას ბოლო დროს საქართველოში განვითარებულ მოვლენებზე. კომისიის წევრებს შორის გაიცვალა მოსაზრებები მომავალი პოლიტიკური კონსულტაციების, თანამშრომლობისა და შეხვედრების საკითხებზე.

საქართველო-ნატო-ს შორის თანამშრომლობის გაფართოება ხელს შეუწყობს საქართველოს შეიარაღებული ძალების რესტრუქტურიზაციას, ნატო-სთან თავსებადი განათლებისა და წვრთნების სისტემის დანერგვას, სტრატეგიულ-კონცეპტუალური დოკუმენტების, თავდაცვის დაგეგმვისა და ლოგისტიკის განვითარებას. ყოველივე ეს, თავის მხრივ, გაზრდის ახლო მომავალში საქართველოს ნატო-სთან შემდგომი ინტეგრაციის შესაძლებლობებს.

X. ომის შედეგები

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის გეოპოლიტიკური შედეგები, კონფლიქტის მხარეების სამხედრო-სტრატეგიული თუ ოპერატიულ-ტაქტიკური მოქმედებები პოლიტიკოსების, ანალიტიკოსების, სამხედრო ექსპერტებისა და სამეცნიერო წრეების დისკუსიის საგანი გახდა. აგვისტოს ომმა თანამედროვე მსოფლიო ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. რუსეთმა ძალის პოლიტიკით დაიწყო ბრძოლა არსებული მსოფლიო წესრიგის შეცვლისა და ზესახელმწიფოს სტატუსის აღდგენისთვის. ახალი გამოწვევების შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა ნატო-ს რესტრუქტურიზაციის, მისი პრიორიტეტების მოდერნიზების, ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურაში ნატო-ს როლის განმტკიცების საკითხები, ევრაზიის კონტინენტზე დესტაბილიზაციის ახალი კერების შექმნის თავიდან აცილების აუცილებლობა.[213] გამოვლინდა საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიაში, თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკაში არსებული ხარვეზები, პირველ რიგში, მართვის სისტემასა და ლოგისტიკაში.

საომარი ოპერაციების შედეგად დაიღუპა საქართველოს 78 მშვიდობიანი მოქალაქე და 144 ჯარიკაცი, დაიჭრა 267 მშვიდობიანი მოქალაქე და 1964 ჯარისკაცი. ომის პირველ დღეებში ცხინვალის რეგიონსა და ზემო კოდორის ხეობაში განხორციელებული ეთნიკური წმენდის შედეგად ადგილნაცვალი გახდა 119 ათასზე მეტი ადამიანი. რუსეთის საოკუპაციო ჯარის ნაწილების უკანდახევის შემდეგ 69 ათას ადგილნაცვალ პირს საკუთარ საცხოვრებლებში დაბრუნების საშუალება მიეცა. იძულებით გადაადგილებული დღემდე რჩება 50 000-მდე ადამიანი. კონფლიქტის შედეგად რადიკალურად შეიცვალა ეთ-

213 იხ. გეგეშიძე ა. აგვისტოს მოვლენები: კრიზისის საფუძველი, მიზეზები და აღმოფხვრის პერსპექტივა. *2008 წლის კრიზისი საქართველოში. წინაპირობა, რეალობა, პერსპექტივა.* დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბი, თბ., 2008, გვ.6-10.

ნოდემოგრაფიული სურათი ცხინვალის რეგიონში. სრულიად დაცარიელდა კოდორის ხეობა, რომელიც მხოლოდ ქართველებით იყო დასახლებული.

ოკუპირებულია საქართველოს მიწა-წყლის მნიშვნელოვანი ნაწილი. სეპარატისტული რეჟიმების კონტროლქვეშ მყოფი ტერიტორიების გარდა, რუსეთმა დამატებით თავის კონტროლს დაუქვემდებარა ახალგორის რაიონი და კოდორის ხეობა, საჩხერის რაიონის სოფელი პერევი.

საქართველოს მთელს ტერიტორიაზე წარმოებულმა ფართომასშტაბიანმა სამხედრო ოპერაციებმა სერიოზული ზიანი მიაყენა ქვეყნის სამხედრო და ეკონომიკურ ინფრასტრუქტურას. ომის შედეგებმა, მსოფლიო კრიზისის ფონზე, ძლიერი დარტყმა მიაყენა საქართველოს მზარდ ეკონომიკას. ინვესტიციების შემცირება და საბანკო სისტემაში შექმნილი ვითარება პირდაპირ აისახა მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. 2008 წლის 7 ნოემბერს ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე კომერციული ბანკების მოთხოვნამ აშშ-ის დოლარზე 31 მლნ-ს გადააჭარბა. 15%-ით გაუფასურდა ლარის კურსი დოლართან მიმართებაში[214] და ეს მაჩვენებელი მუდმივად იზრდება.

აგვისტოს ომის დროს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება საქართველოს დსთ-დან გამოსვლის შესახებ. სამშვიდობო მანდატი გაუუქმდა საქართველოში დისლოცირებულ დსთ-ის სამშვიდობო მისიას. 2008 წლის 17 სექტემბერს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რეჟიმებთან დადებული ბილატერული მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შეთანხმებების საფუძველზე რუსეთმა მოახდინა იქ არსებული სამხედრო ბაზების (გუდაუთისა და ოჩამჩირის სამხედრო ბაზები, ოჩამჩირის სამხედრო პორტი და ჯავის სამხედრო ბაზა) ლეგალიზება, გააძლიერა სამხედრო ბაზა სომხეთში და სომხეთის, როგორც სტრატეგიული პარტნიორის, სამხედრო პოტენციალი. რუსეთის მიერ გატარებუ-

214 იხ. **პაპავა ვ.** საქართველოს ეკონომიკა: შეცდომები, საფრთხეები, მათი დაძლევის გზები. *2008 წლის კრიზისი საქართველოში. წინაპირობა, რეალობა, პერსპექტივა*. დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბი, თბ., 2008, გვ. 35.

ლი ღონისძიებებით, გრძელვადიან პერსპექტივაში, რეგიონში დაირღვა სამხედრო ძალთა ბალანსი რუსეთის სასარგებლოდ. ევროკავშირისა და ეუთო-ს მცდელობა არ დაეშვათ რეგიონში რუსეთის სამხედრო კონტინგენტისა და შეიარაღების ზრდა, წარუმატებელი აღმოჩნდა.

კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ რუსეთი ღიად დაადგა რევანშის პოლიტიკას და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია – დროებით შეაჩერა ნატო-ს გაფართოება აღმოსავლეთის მიმართულებით; დაიწყო ბრძოლა ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურაში თავისი როლისა და გავლენის გაძლიერებისა და რეგიონში ალიანსის პოზიციების შესუსტებისთვის.

რუსეთის ხელისუფლებამ მის მიერვე ხელმოწერილი საერთაშორისო დოკუმენტების იგნორირებით, აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობით, ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების პირობების უხეში დარღვევით, სეპარატისტული რეგიონების ცალმხრივი აღიარებით, ეჭვქვეშ დააყენა რუსეთის, როგორც საერთაშორისო თანამეგობრობის წევრის, სანდოობა და იმიჯი.

რუსეთმა ვერ მიაღწია სტრატეგიულ მიზანს – მთელს საქართველოზე სამხედრო-პოლიტიკურ გაბატონებას, სამხრეთ კავკასიაში ერთპიროვნულ ჰეგემონობასა და კასპიის ენერგორესურსებზე კონტროლის დაწესებას. რუსეთ-საქართველოს ომმა გააძლიერა ტრანსატლანტიკური ერთობა ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და რეგიონის სტაბილურობის საკითხებში. მათი საერთო ძალისხმევის პირდაპირ შედეგს წარმოადგენს კასპიის ენერგორესურსების დივერსიფიცირება და დასავლეთ-აღმოსავლეთის სატრანზიტო კორიდორის შემდგომი განვითარება. ამ პროცესით დაიწყო რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის შესუსტება ევროპაზე.

დასკვნა

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი ახალი ნიშანსვეტია არა მარტო საქართველოს ისტორიაში, არამედ ახალი ტეხილია გლობალურ პოლიტიკაში, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პოლიტიკურ ძალთა გადანაწილებაზე მსოფლიოში. ომის მიზეზებისა და შედეგების ანალიზს არა მხოლოდ სამეცნიერო, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტებისა თუ სტრატეგიის განსაზღვრისთვის. რუსეთ-საქართველოს ომმა ნათლად წარმოაჩინა რუსეთის მთავარი გეოპოლიტიკური მიზანი – შეცვალოს ცივი ომის შემდეგ შექმნილი მსოფლიო წესრიგი, აღდგეს როგორც ზესახელმწიფო და რეგიონის წამყვანი მოთამაშე. ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელია კავკასიასა და აღმოსავლეთ ევროპაში მისი გავლენის შენარჩუნების გარეშე. ამიტომ კავკასიაზე ბატონობის უზრუნველყოფა პირდაპირ განსაზღვრავს რუსეთის, როგორც ზესახელმწიფოს არსებობის ბედს. აგვისტოს ომში რუსეთის მთავარ გეოსტრატეგიულ მიზანს საქართველოზე პოლიტიკური ბატონობის დამყარება, კავკასიაში პოზიციების განმტკიცება და კასპიის ენერგორესურსებზე ერთპიროვნული კონტროლის დამყარება წარმოადგენდა. რუსეთი იქცა რევიზიონისტულ სახელმწიფოდ, რომელსაც აქვს არა მარტო არსებული მსოფლიო წესრიგის შეცვლის, არამედ ევროპის ახალი უსაფრთხოების სისტემის არქიტექტურის ჩამოყალიბების პრეტენზია.

ბუქარესტის სამიტმა წარმოაჩინა ნატო-ს ბლოკის წამყვანი სახელმწიფოების გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ინტერესების ჰეტეროგენურობა. რუსეთმა შეძლო ალიანსის გახლეჩა ბერლინ-პარიზის ღერძზე, რაც მისი დიპლომატიის სერიოზული წარმატება იყო. გერმანიამ და საფრანგეთმა, ფაქტობრივად, პოსტსაბჭოთა სივრცე რუსეთის გავლენის სფეროდ აღიარეს და ნააქეზეს კრემლის რევანშისტული, აგრესიული პოლიტიკა.

ამ ფონზე სრულიად ლოგიკური იყო დაგვიანებული პრევენციული დიპლომატიისა და პროცესების სამშვიდობო ფორმატში დაბრუნების მცდელობების წარუმატებლობა.

